

მ ი ს ა გ ი

თ ვი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

წ ე ლ ი შ ი დ ი შ ე წ ე ი დ ე

№ X

ო ძ თ მ ა ბ ა ხ ი 0, 1 9 0 0



ტ ე ი ლ ი ს ი

ს ი კ უ რ ა მ ა ბ ა ხ ი 0, 1 9 0 0

1900



Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Ноября 1900г.

## გ მ ნ ე ს რ ს ი

I—გიული — მოთხოვბა. — XI—XV (დასასრული) გ. არა- გვისპირდებასა . . . . .	83°
II—ვირტირი. — თხზ. გაფტესი. — იარგმ. გერვანულიდან. — ი—ნასა (გაგელება) . . . . .	1 43
III—შემოდგომა. — ლექსი, ი. ეგდიშვილისა . . . . .	45
IV—ცისარტელა. — კომედია ოთხ მოქმედებად, ა. ცა- გარდისა . . . . .	96
V—„ვეფხის ტურსეის“ ზალგი ადგილები. — LXXXIV— LXXXVI, ად. აჯ—შეაღისა . . . . .	1
VI—ეტიუდები ჩართულის ლიტერატურიდან. — წერი- ლი მეექვე, გატა აბაშიძისა . . . . .	33
VII—ინგლისის კონსტიტუცია მე-XIX საუკუნეში. — II.	35
VIII—სამყაროულოს აღმართ. — XII—XVI. ირკანჯელო- ლამბერტისა. — (თარგმანი იტალიურით) . . . . .	1
ქრონიკა:	
IX—უცხოეთის მიმოცილვა. — ჩინეთის საქმეები. — გამოურ- კვევლი მდგომარეობა. — მშვიდობიანობის ჩამოგდების დაგვია- ნება. — პირობების გამორკვევა. — მოკავშირეთა საერთო პოლი- ტიკა. — არჩევნები ინგლისში — ლიბერალთა დამარცხება. — იმპე- რიალიზმის გამარჯვება. — აშის მიზეზები და შედეგი. დადასა .	57

## გ ი უ ლ ი

(დასასრული \*)

### XXI

— ქერბალია, დაიღუპება, თუ ამაღამ არ წავედი! — შუბ-  
ლის მოჭმუხვნით წამოიძახა მიტრუამ და სახრით ქექვა დაუწ-  
ყო ბალახებს.

— იცი, მეგობარო, რას გირჩევ, — ცოტა სიჩუმის შემდეგ  
მიჰმართა ქერბალიმ მიტრუას: ჩენ დღესვე, როგორც შენ-  
თვის ოპანეზას ურჩევია, ქალაქისკენ წავიდეთ. ეხლავე ყველე-  
ბი დაბარებე. ნულარ დაახანებ.

— რას ამბობ, ქერბალია?! აյი გეუბნები: „ამაღამ თუ  
გიული უნახავი დარჩი, გადირევა-მეთქი“!

— მეც ამისთვის გეუბნები და ქალაქში წასვლას გირჩევ,  
რომ უნახავი არ დარჩეს გიული.

— ვერ გამიგია.

— ამას რა გაგება უნდა! ჩენ ეხლავე წავალთ. შელამდე-  
ბა, თუ არა, შენ გიულისაკენ წახვალ, მე კი მოგიცდი სადმე.  
მეთვალყურედ, ვეცდები, მე წამოგყვე. მეც დეკეულობას წა-  
მოვლალავ ქალაქში გასასყიდად.

— კარგი, თუ შენ გამომყევი! მაგრამ სხვა რო გამომა-  
ყოლონ, მაშინ?!.— ცოტა ჩაფიქრების შემდეგ დაეკითხა მიტ-  
რუა.

---

\*) იხ. „მოამბე“ № IX, 1900 წ.

— აკი გეუბნები: „ვეცდები მე გამოგყვე-“ და, თუ ისე მოხდა, როგორც შენ ჰყიქრობ, მაშინ, ჩემო მიტრო, ერ-  
თი და დაგრჩენია,— მასწავლო სადაც არის გიული და, ძმობას  
გეფიცები, დილაზე შენზე იღრე გიულის ქალაქში მივიყვან და,  
როდესაც შენ მოხვალ ქალაქში, ჩაგაბარებ.

მიტრუამ, ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით შეჭხდა და  
დიდხანს, დიდხანს ასე გაშტერებით თვალი თვალში გაუყარა  
ქერბალიის.

— რატომ აგრე ეჭვის თვალით მიყურებ მიტრო!?

— რა ვიცი!

— შენი ნებაა.

მიტრუას მეტი გზა არ ჰქონდა. გულის მოკუმშვით დაე-  
თანხმა ქერბალიის და ასე გამოეხმაურა:

— მართალს ამბობ, ქერბალია!.. მეტი ხსნა არა მაქვს.  
გასწავლი სადაც გიული არის, მაგრამ... — შუბლი უნებურად  
შეეჭირენა, და სიტყვა შეუწყდა.

მიტრუას გული უფრო მოკუმშა, და ციუი ოჭლი გად-  
მოჰსებდა...

— ეჲ! — გულის სიღრმიდინ ამოჰსებდა კვნესა, და მთლად  
ღმერთს მიანდო შედეგი.

— მიტრო, — დაიწყო ქერბალიმ, როდესაც მიტრუას ყოყ-  
მანი შეამჩნია: თუ გული გეთანაღრება, ნურას მეტყვი და ისე  
მოიქეცი, როგორც შენმა ჭკუამ გასჭრას.

— გეტყვი, თუ არ გეტყვი, ეხლა სულ ერთია, ჩემო ქერ-  
ბალი! ეხლა შენ ხელთა ვარ.

— მაშ დროით თორებ შეგვნიშნავენ.

— ხომ იცი იოანე ნათლიმცემლის საბერო. პო და, იქ  
კლდეებში ბევრი გამოქვაბული სენაკებია. საყდრის ხელ-მარ-  
ჯვნივ — აქედან რომ მიღიხარ — ერთ ამ სენაკთაგანშია. აღმო-  
სავლეთით მესამეა. შელამდება თუ არა, გიული კარებში დად-  
გება. მიაგნობ. მისელისას ერთი ორჯერ წაუსტვინე და გიუ-  
ლიც სტვენითვე გავცემს პასუხს...

## გიუდი

— კარგი. მაშ დაეჩქარე! — სიტყვა შეაწყვეტინა ქერბალაინ და უეცრივ გატრიალდა.

დაღონებული მიტრუა დიდხანს უმზერდა ბინისკენ მიმავალ ქერბალაის და ადგილიდან არ იძროდა. თანდათან გული ბრაზით ევსებოდა, და ეჭვი ეპარებოდა, რომ ქერბალაიმ, ვაი თუ, მიმტყუნოსო. რაც დრო გადიოდა, და ქერბალაი გორაკს ეფარებოდა მიტრუა მოსაზრებას ჰერიგავდა, და მას გორაკს მხოლოდ ერთი, ერთი ფაქრი — ვაი თუ მიღალატოსო — იპყრისბდა...

— დაეაღრჩობ, ძაღლივით დავაღრჩობ, თუ... — ვეღარ დაათავა. თითები ერმანერთში გადახლართა და, თითქოს აღრჩობს ვისმეო, მაგრად დაუწყო სრესა.

— ქერბალაი!.. — წამოიყვირა ერთბაშად, როდესაც ქერბალაი გორაკს მოეფარა, და მისკენ მოჰკურცხლა.

— დაგაღრჩობ, დაგაღრჩობ, თუ მიღალატე! — ბუტბუტებდა მიტრუა, მაგრამ ქერბალაის მისი სიტყვები არ ეყურებოდა.

მიჩნდოდა მიტრუა და ქერბალაის მოწევნის, ვიღრემდის იგი ბინაში მივიდოდა, ჰლამიბდა, რომ ჩაეგონებინა მისთვის: თუ მიღალატე, დაგაღრჩობო“...

— მიტრო? — გორაკის მეორე მხარეს გადაჰედა თუ არა, ოპანეზა წინ დაუხვდა.

— დაგაღრჩობ, დაგაღრჩობ!..

— მიტრო? — ხელმეორედ დაუძახა გაოცებულმა ოპანეზამ და გზა გადეჭრა.

მიტრუა შედგა ოპანეზას დანახვაზე და დაეკითხა:

— ქერბალაი ხომ არ შეგხევდრია?!

— როგორ არა, ავერ ფარებში არ მივიდა! — ტკბილად უპასუხა ოპანეზამ და ხელით ანიშნა ქერბალაი.

— ჰო!... ავერ, ფარებში არაა!... — წამოიძახა მიტრუამ და აღგზნებულ თვალებს ზევით ქუთუთოები ოდნავ წამოაფარა.

ხაფანგში მომწყველეულ თავვსავით ფურთხალობდა მიტრუა; ყველგან შელობილი დაუხვდა გზა, და მოქანული დაჰმორჩილდა თავის ხვედრს...

— ჩაც მოსახლენია, დეე, მოხდეს! — გულის ტკენით წა-  
მოიძახა კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ და ოპანეზის შეჭხედა.

— მიტრო, იმისთვის დაგეძებდი, რომ კიდევ მერჩია ამი-  
ღამ ქალაქში წასვლა. — უთხრა ოპანეზიმ, როდესაც მიტრუამ  
ლმობიერად შეჭხედა, და სრულებით არ აგრძნობინა, რომ  
მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა ყველაფერი გამოატელავნა.

— მართალს ამშობ, ოპანეზ! წაყიდეთ, ყველები დავაბარ-  
გოთ და გზას გავუდები.

— ჰოო, გიშველა ღმერთმა!..

მეტი აღარა უთქვამს-რა. მაშინვე კარავისკენ შხარ და შხარ  
ამომდგრები ჩქარის ნაბიჯით წიგიღნენ და, როდესაც კარავ-  
თან მიეიღნენ, გულმოდგინედ ურემზედ ყველის დაბარგებას  
შეუდგნენ.

იმათ მუშაობას გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა ალია,  
რომელიც ფარეხის წინ იჯდა. ველარ მოითმინა და დაეკითხა:

— ოპანეზ, ქალაქში ხომ არ გზავნი ყველს?

— ჰო!... — მოკლედ უპასუხა ოპანეზიმ.

— ვის მიაქვს?!

— მიტრუას.

— როდის?!

— ამაღამ.

ხმა გაქმინდა ალიამ. თვალები უეცრივ აენთო და ფეხ-  
აკრებით ფარეხში შევიდა.

— მომეცით თოფი! — ფარეხში შესვლის უმაღ წამოიძახა  
ალიამ და იქავე ბოძს ხელი მაგრად მოშევია.

— თოფი რად გინდა?! — შეეკითხა ისმაილა, რომელიც ეს  
ორი დღეა თავ-გადაგლეჯით გიულის დაეძებს და ცხვარში  
აღმარ დადის.

დაღალული აქეთ-იქით ხეტიალით შხარ-თეძოზე წამოწო-  
ლილიყო და ალიას ხმა რომ გაიგონა უეცრივ, ფეხზე წამო-  
ვარდა...

— მინდა მოვკლა, მოვკლა! — დაიძიხა და ბოძს ხელი უფ-  
რო მაგრად შემოურკალა.

— ეინ?..

— ეინ და ჩემი დამღუპველი!.. ჩემი... მიტრუა, მიტრუა!.. უკანასკნელი სიტყვები ჩურჩულით და წამოიძახა, რადგანაც სიბრაზით გული ყელში მოებჯინა.

— მამი, ჯერ მოიცადე. აჩქარება არ ვარგა ამ საქმეში. ხომ გადავწყვიტეთ თვალ-ყურის დევნა. ვადევნოთ, და თუ მართლა მაგისაგანა ვართ შერცხვენილნი, გეფიცები, პირველად მე გავუყრი ყელში ამ ხანჯალს!...

— ეგაა, ეგაა ჩემი დამღუპველი! გული მეუბნება და არც მატყუებს ხოლმე. ყული ტყუილად გავგზავნეთ გიულის მამას-თან. გიული არ გაიქცეოდა... ის განგებ არის წაყვანილი, მო-ტაცებული, თორებ თითონ არ წავიდოდა. ალლაპსა ვფიცავ, ეს ასეა. ამ ბოლოს ძალიან შევუყვარდი. სულ ჭირსა მჭამდა. თითონ არსად წავიდოდა, არა!..

— იქმნება სხვამ მოიტაცა და მიტრუას სულ ტყუილად აბრალებ.

— გიული!.. ჩემო გიული!.. პატარა ჯეირანო, სადა ხარ?..! — ლმობიერად წამოიძახა, და თვალები ცრემლებით აევსო.

ისმაილის შეებრალა მამა, თუმცა კი წინად მისი აგეთი გატაცება სიცილსა ჰვერილა, და თანაგრძნობით მიჰმართა:

— მამი, მე მოგიკვდე, თუ გიული არ გიპოეოთ!

— შეილო ისმაილ, შენ იცი!.. — სლუკუნით წამოიძახა და ისმაილის მხარი ცრემლებით დაულბო.

— აღუუ!.. — თავისთვის წამოილულლულა აქნობამდის გა-ჩუმებულმა იეთარმა და მუჯლუგუნი წაჰკრა თავის რძალ ქუ-ქაზბანს, რომელიც იეთარიეთ გაჩუმებული ისმენდა მამამთი-ლისა და თავის ქმრის ბაასს.

ორივე მანლილოსანთ ჩუმი, თავდაჭერილი ფრუტუნი აუ-ტყდათ.

— გაიგეთ? — ამ დროს დაიძახა ქერბალიშ კარებიდან: „მიტრუა ქალაქში მიდის.

ქერბალის ხმაზე მამა-შეილნი განშორდნენ ერთმანეროს.  
ალიამ თვალები მოიწმინდა და მოაგონდა, რომ ამ ამბის სათ-  
ქელად შემოვიდა ესაც.

— ჰო, გავიგე!..

— გაიგე და რას აპირობთ?!

— მე არა გამიტია რა! — სოქვა ისმაილამ და თვალი გა-  
დავლო მამას და ძმას.

— აგრე, ყველს აბარგებენ.

— მე ამ ამბის სათქმელად შემოვედი წელან და ბრაზმა-  
სულ გადამავიწყა.

— იმის მაგივრად, რომ ეთქვა რამ, მაგან ტირილი დაი-  
წყო და ისმაილაც ააღელვა, — წამოილაპარაკა იეთარმა.

— იეთარ, გულს ნულარ მიკლავ მაინც!..

— ჰო, მაგეებს თავი დაანებეთ! ისა სჯობია, მოვიფიქ-  
როთ რამე.

— მართალს ამბობ, ჩემო ქერბალია!..

## xx

დილა იდრიანათვე სემინარიის გვერდით ქუჩა ახმაურდა.  
კაცს რომ ყური დაეგდო, ერთ გარკვეულ ხმას ვერ გაიგონებ-  
და. ადამიანთა და პირუტყვთა ხმა ერთმანეთში ირეოდა და  
უცნაური, გაუგებარი გრგვინვა გამოისმოდა. ვაჭრებს გამოე-  
ტანათ სანოვაგვე: ყველი, ლორი, მწვანილი, საალდგომო ნამცხ-  
ვარი, დაკლული ინდოური, გოჭი და რაც ძალი და ღონე  
ჰქონდათ აქა-იქა იდგილებიდან გაპეკიოდნენ. ზოგნი დაკლულ  
გოჭებს და ინდაურებს ხელით დაარბევინებდნენ და არა ნაკ-  
ლებ მაგიდეებთან შოგაჭრებზე გაპეკიოდნენ და ხან ერთ მსყრდ-  
ველს გაუშვერდნენ გაყვლეფილ გოჭს, და ხან მეორეს. უფრო  
მომეტებულად ცოცხალი გოჭები უკანა ფეხებით ეჭირათ, რომ-  
ლებიც საშინლად ჭყვიტინებდნენ, რითაც ქვეყანას ამცნობ-  
დნენ ადამიანის უდივრად მათთან მოპყრობას; მაგრამ ყურად-  
ღებას არავინ აქცევდა.

მსყიდველნი გაბრუნებულნი ამ გრგეინვით დადიოდნენ და აღარ იცოდნენ, დაავიწყდათ კიდევაც რის სასყიდლად გამოვიდნენ. აქეთაც ეწევიან და იქითაც ჩარჩები,—წინაც და უკანაც. ყიდულობს ყველაფერს, რასაც აწვდიან. სანოვაგის სიკეთის გასინჯვასაც კი ვეღარ ახერხებს. ერთად-ერთი სურვილი მისი—ეს—დროით განშორდეს ქრისმულს, ოვის გამაბრუნებელ ხმაურობას. აგრე სამარხეო ზარის რეკაც გაისმის. მაგრამ არავის ეყურება. ისევ ყიდინი, ჭყივილი, ჭყვიტინი და ბლავილი. ხალხის მოძრაობას არ აყენებს არც სასტიკი ქარი, რომელიც განთიადისას ამოვარდა და აქაურობას ანგრევს, ჰესხაეს და სულდემულთ სისხლის მოძრაობას უყენებს. მიტრუაც გაფაციცებით დარბის აუარებელ ხალხში და ხან ერთ ჩოხიანთან გაჩერდება და ხან მეორესთან. ყველები ჩააბარა თუ არა ბაყალ გეუას, აღარც კი დააცადა გამოეკითხნა რამ, მაშინვე ხალხში აირია და თავ-გადაგლეჯით დაეძებდა ქერბალის. იმას არც ღრიანცელი ესმის და ვერც სუსხიან ქარს ჰვრძნობს.

შეელ ღამეს თვალი არ მოუსუჭნია. გამალებით მოერეკებოდა ურემს. ისმაილი, რომელსაც დეკეულობა მოუდიოდა გასასყიდად პევრჯელ შეემუდარა: „დავისევნოთ, რას მივეჩქარებით! დილაზე მაინც აღრიანად შევალო ქალაქშიო“. მაგრამ მიტრუას თითქოს არც კი ეყურებოდა ისმაილის სიტყვები. მხოლოდ ერთხელ უპასუხა: „თუ გინდა, შენ დაისვენე, მე კი არ შემიძლიანო“. ისმაილი დიდის სიამოვნებით ჩამორჩებოდა და მწყემსურ ძილს გამოაცხობდა; მაგრამ ოჯახური თათბირ-დადგენილობით ისმაილი მეთვალყურედ იყო გამოგზავნილი, და ამის გამო ვერ შორდებოდა. მიტრუამ მოკლე გზებით ატარა ურემი და, ჯერ აზც კი ერაერაენა, რომ წმ. ბარბარეს ხაყდარს დაუახლოვდა. აქ კი შეაყენა ურემი, ხარები გამოუშვა და აქეთ-იქით ხეტიალი დაიწყო. ისმაილამ მწყემსები გაიხმო და ჩუმად დაარიგა ერთი მათგანი, რომ შორი-ახლოს ედევნა და თვალი არ მოეშორებინა. თითონ კი ურმის ქეეშ წაეგდო და აქედან უპირობდა თვალყურის დაჭერას, მაგრამ სწრაფად ხვრინვა ამოუშვა...“



„ამ გზას ვერ ასცდება“, — ფიქრობდა მიტრუა ხეტიალის დროს: „აქეთ გამოივლის და თვალს მაინც მოვკრავ, თუ ეს ოხები მითვალყურებენ და გამოლაპარაკებას ვერ მოვახერხებ... ოხ, რა ძნელია, ეს თხერი ლოდინი!.. — დაიძახა კარგა ლოდინის შემდეგ და დედამიწას დაემხო.

დიდხანს, დიდხანს ასე დამხობილი დედა-მიწის პირას გა-იცქირებოდა ყარაიისაკენ, მაგრამ ვერავინ დაინახა. უეცრივ ზეზე წამოვარდა ურემთან მიირბინა და დაიძახა:

— წავიდეთ, ჩქარა წავიდეთ, თორემ დაგვიგვიანდება.

ხმაურობაზე ისმაილს გამოეღვიძა. ფშმუილით ურმის ქვე-შიდან გამოძრა და წაიბუტბუტა:

— შენც რა დაგემართა?!.. ბავშვივით ერთ წამს გუნებას იცვლი.

— ჩემო ისმაილა, ვერა ჰერძნობ ამ ქარის სუსხს, და არ გეყურება სისინი?! მე ვიცი მოუმატებს და მაშინ ამ ლია ადგი-ლის ამოვგვაშეშებს ჩვენცა და საქონელსაც!

— მაგას კი მართალს აშბობ!

თუმცა ისმაილას ქარი მოუმიზეზა, ნამდვილად კი სხვა იყო მიზეზი ასე უეცრივ ურმის შებმისა. აქნობამდის მიტრუას ეგონა ქერბალიი ამ გზით წამოიყვანდა გიულის. მაგრამ აქ უეცრივ მოაგონდა, რომ უფრო მარჯვე გზა ითანე ნათლი-მცემლის საბეროდან კახეთის გზატკეცილისკენ იყო. „მით უფ-რო იქით წავიდოდა ქერბალი, — გაიფიქრა მიტრუამ, — რომ გზა-ში ბინები ნაკლებად შეხვდებაო“.

ქარმა მირთლა უმატა. ჩქარა სასტიკად დაპბერა და კორი-ანტელი ააყენა. მგზავრები თვალის ახელის ველარ ახერხებდნენ, რადგანაც პირდაპირი ქარი იყო და თვალებში მტვერს აყრი-და....

— უმ, რა არამი ქარია!.. — წამოიფშმუვლა ისმაილამ და ზურგი შეუქცია ქარს.

— ჰო, ველარისა ვხედავ!.. — უპასუხა მიტრუამ და იმანაც ზურგი შეუქცია.

ასე ზურგ-შექცეული მიერეკებოდა ხარებს, ვიღრემდის ნაეთლულის თავს კახეთის გზაზე არ გადმოვიდა. აქ კი შეა-ყინა ურემი, აქეთ-იქით მიიხედა, მერე თვალები კახეთის გზას გააკრა...

უკვე გაფიტრებულიყო კა. სინათლეს კუმეტი გაეპო და არე-მარე გამოექანდაკებინა. საგნები კარგად ირჩეოდნენ.

— ჰააამოო! — ტანის ერეოლით დაპირისპირი ხარებს და ერთი ისეთი გადუჭირა სახრე ხარს, რომ ხარი ხელნას მიეკრა და ასე გვერდ-გვერდ ხელნაზე მიკრული რამდენიმე წამს მიღიოდა.

მიტრუას იმედი ჰქონდა, გზაში უეჭველად პნახავდა გიუ-ლის. ეს იმედი ისე ძლიერი იყო, რომ ერთ წამსაც ეჭვი არ შეჰპარვია, და, აი, როგორ გაუმართლდა ეს იმედი. თითქმის ქალაქში შემოვიდა, და ის კი არსად იყო, თვალი ვერ დაჭკ-რა. მწვავი იყო ამისთვის იმედის გაცრუება. იმდენად მწვავი, რომ გონება აერია და ისე ძლიერად გადუჭირა სულ უნგბუ-რად სახრე ხარს, თითქოს ძლიერის დარტყმით იმედს ისევ და-იბრუნებდა. მართლაც სიმწეავე სახრეს გაატანა. გაბრუვდა მიტ-რუა და გაშტერებული იჯდა ურმის თაეზე...

ჰქონდა-ლა ქარი?...

ალარა ეყურებოდა-რა. გონს მხოლოდ სირაჯხანის თავ-დაღმართში რომ ჩაღიოდა ურემი ისმაილას წინამძღოლობით მაშინ მოვიდა. შებლზე ხელი მოისვა, და მოაგონდა რომ ქერ-ბალაი გზაში არ შეპხვდა. უნდა ენახა კია. ნაეთლულის თავ-ში აქეთ-იქით იცქირებოდა და, მერე რა მოხდა?. ალარა ახსოე-დარა. საშინლად გაიკვირვა, რომ ურემი სირაჯხანის თავდაღ-მართში ნახა. ასე უეცრივ ურემი აქ როგორ გაჩნდა?!

— ისმაილ, მეიდნისკენ წავიდეს, მეიდნისკენ... — დაუძახა მიტრუამ ისმაილას, როდესაც იმან ხარები რიყის ქუჩისკენ მოირეკა...

— ოჲ, გამოიღვიძე?!. რა დაგემართა კაცო. ისე რამ გა-გაშეშა?!. რამდენჯერმე დაგიძახე, ურემი კინალამ გზის თხრი-

ლეგში არ გადაბრუნდა. მაგრამ უენ გახევებული იჯექი. მეღა გამოერეკე.—ჩაეკითხა ისმაილა და ხარებს ჩამოეცალა.

— რა ვიცი!—მოკლედ უპასუხა მიტრუამ.

— მე საქონელს რიყეში შევრეკამ გასასყიდად. ურემშე, აი, ალია წამოგყვება.

— კარგი!

მიტრუა მთლად გამოერკვა. ხარებს შეეხმაურა და ურემი აფლაბრის მოედნისკენ წაილო. „იქმნება ქერბალია დუქნშიაც მელისო“, — გაიფიქრა იმან: „და მე კი ტყუილ-უბრალოდ თავ-ბრუ დამიხვა“... მომხიარულდა მიტრუა. ხარების ალერსით ხე-ლი გაეაზე გადასდო, თითქოს თავისი სასტიკობა ამით უნდო-და გაექარწყლებინა და ალერსითვე წასხახა:

— აბა, თქვენი ჭირიმე, ააქარეთ ფეხი თორემ...

ზუზუნებს, ზუზუნებს ქარი. სასტიკად უსტვენს იგი. ამ გმინვას ბანს აძლევს ადიდებული მჩქეფარე მტკვარი. რიყის პირას, თითქოს საბრძოლველად ემზადებაო, ტრიალობს, გმი-ნაეს, ძალის იქრეფს და იერიში მიაქვს ზღუდეზე, რომ ერთბა-შად ჩანთქს, შემუსროს და კალაპოტი გაიგანიეროს, სამფლო-ბელო გააფართოოს, მაგრამ ამაოდ. კიდენი სალის კლდისანი გულ-გრილად უხედებიან განრისსებულ ტალლებს, რაც უფრო აშფოთებს მტკვარს. აქაფებული, აღშფოთებული ამგვარ მედი-დურობით ლრიალით მიქანაობს, რომ შემდეგი ზღუდე მაინც მილეწოს; მაგრამ იქაც ისევ ის გულ-გრილი წინააღმდეგობა და ისეთივე გამარჯვება გულ-ქვასი. მთლად განადგურებული მტკვარი მეორე ხიდ ქვევით გატვრენილი—მიქანავს, რომ თა-ვის სირცევილი დამალოს, გააქარწყლოს...

მიტრუამ ხარებს ხელი ანება, როდესაც ხიდზე შეაყენა ურემი, მარჯვენა მხარი ფარად ითვარა და ქუდი მოიხადა.

ოპოპოპო, რა ქარია!—წაიბზმუილა მიტრუამ და მარცე-ნა ხელით ხარს სახრე გადაჰკრა.

— მოეფარა მიტრუა სახლებს. სიონისკენ ჩაუხვია. ვეღარ ჰედავს სტიქიონის სასტიკ ბრძოლის. თითქოს ქარმა იყუჩა.

შიტრუას გონიება უფხიზღლდება, ხახე უცინის. ეხლა მიეჩქარება დუქნისაკენ, ხადაც ქერბალის ჰნახავს და გიულის ამბავს შეიტყობს; იქმნება გიულიც ნახოს!...

— ჰამო, ჰამო!.. — ალერსით აჩქარებს ხარებს, ნატრობს ფრთების გამოსხმას, მაგრამ ხარები ჩვეულებრივად, თავისებურად კუდის ქნევით მიიზღაუნებიან სიონის აღმართზე...

— ცოტალაა, ცოტალა!... — უსიტყვოდ გაიძახის მიტრუა და ხარებს უფრო ჰჯმუჯნის, ებვეეა...

მაგრამ კიდევ იმედის გაცრუება. ქერბალი იქ ვერ ნახა. ხნის ამოულებლივ ყველები დუქანში შეზიდა. ხმის ამოულებლივ გამოეშურა ბაზრისკენ და აგრეთვე ხმის ამოულებლივ დაეძებს ქერბალის აუარებელ ხალხში.

მოიქანცა მიტრუა ამ ლრიანცელით. თითქმის ათჯერ შემოირბინა მთელი სავაჭრო მოედანი. მაგრამ ქერბალის მგზავრი ვერავინ ნახა...

— მაშ მომატყუილა, მომატყუილა იმშ!.. — სიტყვა ვეღარ დაათვა და სასოწარკვეთილმა პუშკინის ბალის ლობეს ზურგი მიჰყუდა.

რა აზრმა არ გაურბინა თავში?.. ყველა აზრი კი ერთი მეორეზე ძლიერად სტანჯავდა და სხეულს უდაგვდა...

— არა!.. არა!.. ეგ შეუძლებელია! — წმინდანისალა მიტრუამ, როდესაც მისდაუნებურად გაურბინა თავში იმ აზრმა, ვითომ ქერბალიმ გიული ისევ ბინაზე წაიყვანაო.

— მერე მზის ცქერა აღარ უნდა?! — განაგრძო აღმფოთებით მიტრუამ და ისევ ძებნა დაუწყო...

## xiii

რაკი ტფილისში საქონელიც მიუდიოდათ გასასყიდად თათბირის დროს ისმაილას მიანდეს მიტრუასთან ერთად წასვლა, რაღგანაც მხოლოდ ისმაილას დაუდიოდა გასასყიდად საქონელი. იმთავითვე ისმაილა განაგებდა ამ საქმეს. ქერბალის კი

ჯერ ერთი ხბოც არ გაეყიდნა და ამისთვის ის არ გააყოლეს მიტრუს, თუმცა კი ყველას სურვილი იყო ეს...

— მე ვერ მოედინარ შენთან, მიტრო, მაგრამ არა უშავს-რა! — თათბირის შემდეგ ქერბალაიმ მოახერხა ჩუმად წალაპარა-კება: — ძმობას გეფიცები, რომ გზაშივე დაგახვედრებ გიულის.

მიტრუს არ ესიამოენა ეს ამბავი. ამაღამ ქერბალაი რომ წაჲყოლოდა, თვითონ წავიდოდა გიულისთან, მაგრამ რა გაეწ-ყობოდა. დაშმორჩილდა ხვედრს. ქერბალაის სიტყვებით დაიმე-დებული ისმაილასთან ერთად ტფილისის გზას გაუდგა.

ქერბალაი კი, რა წამს ყველამ მიიძინა, წამოდგა, მიიხედ-მოიხედა და ის იყო გამგზავრებას აპირობდა, რომ ფარების მე-ორე მხარეს აჩრდილსავით ეიღაც დაიარებოდა. თვალები დაა-შტერა და ალია იცნო. „საწყალს ვეღარ მოუსცენია!“ — უნე-ბურად წამოიძახა ქერბალაიმ.

ალია კარავის კარებთან მივიდა და ჩურჩულით დაიწყო:

— ოჰანეზ, ოჰანეზ!..

— ჰმ, ჰმ!.. — მოისმა ოჰანეზის ძილისაგან გამოურკვეველი ბზმული.

— ოჰანეზ, ოჰანეზ, მე ვარ!..

— ალი, შენა?!

— ჰო!.. — მოკლედ უპასუხა და კარავში შევიდა.

— ამ დროს რად გარჯილხართ?!.. — გაკვირვებით ჰკითხა ოჰანეზიამ და მხრჩოლავი თუნუქის ლაპარი აანთო.

— რა ვიცი, არ მეძინება!.. ადამიანთან ლაპარაკი მომინ-და!..

— დაბძანდი, დაბძანდი!..

— ჩემს ცოლ-შვილს ხმას ვერ გაჰცემ, მგლებივით მიცქე-რიან; ამისთვის შენ მოგნახე. — დაიწყო ალიამ და ოჰანეზის ლოგინზე მოიკალათა.

ქერბალაის ერთი სიტყვაც არ გამოჰპარებია. ის გაუნძრევ-ლად იდგა და სახე თან-და-თან ელრუბლებოდა. ალიას ყოველი სიტყვა, მისი მოძრაობა გულს უფხავნიდა და სიბრალულს უდ-

## გაული

ეიძებდა. ის ზიზლი, რომელიც ქერბალაის გულში ჰქონდობდა მამისადმი, თან-და-თან ქარწყლდებოდა. წინად, როდესაც ალია მიეალერსებოდა გიულის, ქერბალაის ზიზლს ჰქონდა. მწარედ კბილებს გააკრაჭუნებინებდა ალის ამგვარი საქციელი; ეხლა კი მისი ხმა, მისი მოძრაობა, მისი ჩამომხმარი სახე გულს სიბ-რალულით უვსებდს...

„საწყალი, ამ ორ-სამ დღეში რანირად ჩამოხმა, განადგურდა.—ჰფიქრობდა უნებურიდ ქერბალი. — „ან კა რა დააშავა ისეთი?..“ — უეცრივ ელფასავით გაურბინა თავში ამ კითხვამა: „განა სხვები კი მაგასვე არ შერებიან?.. ცალი ფეხი...“

— ცალი ფეხი სამარეში მიდგას. ერთად-ერთი სიამოენება ჩემი გიულისთან ახლოს ყოფნა იყო და ესაც შეჰშურდათ!... ესაც... — შემოესმა ქერბალაის მამის თითქმის ქვითინი.

ამას კი ვეღარ გაუძლო. იმასაც თვალებზე ცრემლი მოადგა. ერთი ნაბიჯი წინ გადადგა და მამისკენ გაქანება დაპირა, რომ ენუგეშებინა, ეთქვა: „ეხლავე აქ გავაჩენ გიულისო“. მაგრამ ამავე დროს მიტრუა წინ აემართა...

— ააა!.. — მწვავედ წამოიშმუვლა ქერბალაიმ და თავის მკლავს მაგრად, მაგრად ღრღნა დაუწყო...

— შინაურებმა დამლუპეს, ჩემო ოპანეზ, თორემ გარეშე რას მიზამდა...

— ააა!.. — უფრო მწვავედ დაიბლმუვლა და ითანე ნათლის-მცემლის საბეროსკენ რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოჰკურ-ცხლა...

## ათა

შებინდდა თუ არა, გიული სენაკის პირას გამოდგა და აღზნებული თვალებით მზერა დაიწყო იქით, საიდანაც მიტ-რუა უნდა მოსულიყო. კარგად იცოდა, ჯერ აღრე იყო, ჯერ მიტრუა იგრე მალე ვერ გაათავებდა საქმეს; მერე ვიდრემდის სხვები არ დაიძინებდნენ ის ვერ გაპედავდა წამოსვლას, მაგ-

რამ გული არ უთმენს. ჯერ დღეც, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ის დღე ვერ მოვიდოდა, მალი-მალ ქურდულად გა-მოიხედავდა ხოლმე, და ეხლა ხომ, როდესაც დარწმუნებული იყო მას ვერავინ დაინახავდა, რა დაუშლიდა გარედ ყოფნას.

ეს მესამე დღეა სენაჟში იმყოფება, და ჯერაც არ მოჰ-წყენია მარტოდ ყოფნა. მარტო ღამ-ღამობით ჰქედავს თავის მიტრუს, რომელსაც მიანდო თავისი სული და გული და, ისაც ცოტა დროთი, სულ რამდენიმე საათით და ამითაც კმაყოფი-ლია, მხიარული. წელიწადიც რომ გაგრძელდეს ასეთი მდგო-მარეობა, მაინც კმაყოფილი იქმნება, მაინც ღმერთს მადლო-ბას შეჰქმდირავს. მარტო ერთა რამ აჩრდილებს მის გონებას. ეს — ალიაზე მოგონება. ჩაფიქრდება თუ არა, ეს კი ხშირად ემართება, რადგანაც აქ მეტი არა დარჩენია-რა, მაშინვე ალია წარმოუდგება თვალშინ, ის ეხვევა, გულში იქრავს და „გიუ-ლი, გიული“-ს ჩაპირებულებს. ყოველ მოგონებაზე უნებურად სხეული უტის, კრთება და, რომ განდევნოს არა სასიამოვნო მოგონებანი, ქურდულად გარედ გამოიხედავს. ალიას ოჯახის მოგონებაც უწყლავს გულს. ერთად-ერთი არსებაა ალიას ოჯა-ხში, რომლის დაკარგვაც ეძნელება. ეს — ფარია. წარმოუ-დგებოდა თუ არა ფარი, ღრმად ეწავებოდა იმაზე მოგონე-ბას და გამორკვევა ენანგბოდა. უნდოდა სულ იმაზე ეფიქრნა. „ახ“, — ხშირად წამოიძახებდა ხოლმე, — „ფარიც რომ ჩემთან იყოს, მაშინ“... — აღარ ათავებდა სიტყვას. თვალებზე მომდ-გარ ცრემლებს გამოიეურავდა და ძალა - მიხდილი ზურგს კედელს მიაყუდებდა. მამის ოჯახში, როდესაც ეთხოვებო-და, ისე არავინ დაპირებია, როგორც ეხლა ფარი. რამ-დენჯერ მოუმშრალებია გიულისათეის ფარის ცრემლები; რამ-დენჯერ ფარის ალერსს გამოუყვანია სასოწარკვეთილებიდან, გული გაუმხიარულებია?! ის იყო ალიას ოჯახში ამის მფარ-ველ ანგელოზად. „ საწყალი ფარი“, — ყურებში უდგია მი-ტრუს სიტყვები, რომლებითაც მან უპასუხა მოტაცების შემ-დეგ პირველ შეხვედრაზედ, როდესაც გიულიმ ფარი იკითხა. „მთელ დღეს ცრემლი არ შეჰქმდიაო!“ „უეპველად ფარისაც

## გული

წამოვაყვანინებ შიტრუას! — წამოიძახებდა ხოლმე ამის შემდევ გიული და ამ იმედით გამხიარულებული ახლა მიტრუას გონებით ეალერსებოდა...

— ეხლა დაიძინებდნენ! — წამოილაპარაკა გიულიმ, როდესაც კარგა შეღამდა, და კუშეტი თვალები აჩე-მარეს გადავლო.

ბნელი ლამე იყო. ბნელიც რომ არა ყოფილიყო, მაინც გიული დიდ სივრცე ეერ გადააელებდა თვალს, რადგანაც წინ მეები ჰქონდა ფარებული, და ამისკენ გზა მხოლოდ მიხლავნილ ხევით მოდიდა. გიულიმ ამ ხევს გააყოლა თვალი, როდესაც თვალის გადავლების დროს მხოლოდ შავად ამართული კლდეები დაინახა. თვალის დაუხამძებლივ კარგა ხანს უცქეროდა ხევს, მერე რამდენიმე ნაბიჯი ძირს ჩამოდგა სიფრთხილით, რადგანაც ვიწრო ბილიკი მიღიოდა ძირს, ხევისკენ და ჩამოჯდა. ძირს ჩაიხედა და შექრეოლდა. ძირს წყვდიადი, შესახარი სიბნელე სუფევდა. გიული შეუჩვევარი იყო ამ გვარ სიბნელეს, ამ გვარ ადგილებს. მართალია, ბევრჯელ უნახავს ამგვარი ადგილები, უფრო უარესიც და უარეს ლამესაც, მაგრამ სხვებთან ერთად. მარტოკას კი არას დროს...

— ეხლა მოდის!.. — გასამხნევებლად წამოიძახა, თავი მაღლა აიღო და კლდეს მიჰყუდა.

ერთ წამს უაზროდ ატარებდა ცის ნაგლეჯზედ მხედველობას. არა მოჩანდა. რა ყომრალი ნაბდის მეტი, რომელიც ცის გადაჭკროდა. უეცრივ თვალი მოჰკრა ცის ნაგლეჯის ნაპირას ოდნავ მბეუტავ ვარსკელიას. ესიამოვნა. თვალები ოდნავ მიელულა ცოტა მზერის შემდეგ, და ტუჩები ლიმად გადაჭექცნენ. გონება კი მიტრუას გვერდში ამოუდგა. მოდიან თრივენი. გამოიარეს ნაცნობი ადგილები. წყაროსკენ ბექობი ჩაიარეს და ძირს, მეორე ბექობის დასაწყისში შედგა მისი გონება. აქ, ამ ადგილის იგრძნო პირველიად, თუ რა იყო თავდავიწყებული კოცნა სიყვარულ მოდებული ადამიანისა; აქ, ამ ადგილის პირველიად იგრძნო, თუ სიცოცხლე რა ტკბილი ყო-

ფილა, როდესაც ორი სიყვარულით მთრთოლარე გული შეერთ-დება... საუკუნოდ ამ ადგილს დატჩება. ემუდარება მიტრუას: „მოიცა, მიტრო, ჩემო კარგო, აქ... აქ, მინდა დავრჩე შენთან ერთად! შენთან ერთად აქ მინდა დავიმარხო!..“ მაგრამ მიტრუა არ ეთანხმება. ამას ყურს არც კი უგლებს და ჰშორდება ამ ადგილს.

— მიტრო, მიტრო!.. — მისძახის გიული და სასოწარკვე-თილებას ეძლევა.

— ღმერთო, საით გაუხვია?!.. მე დავავიწყდი კიდევაც!... მიტროოო!...

— ნაუუუ!.. — მოისმა სამგლოვიარო შუალამის ზარის რე-კა შორი ახლოდან.

— ჰა?! — წამოიძახა დაფეთიანებულმა გიულიმ და თვალე-ბი დააჭირა.

ზარის უკანასკნელი გუგუნი ისევ გაისმოდა წილამოში.

— რაა?... — დაეკითხა თავის-თავ და თვალების ცეცება დაიწყო.

მისუსტდა ზარის ხმა. ოდნავ ხმა-ლა მოისმის. სწორედ ამ დროს განმეორდა „ნაუუ“ ძლიერად. გიული დამშვიდდა. იც-ნო ზარის ხმა. ძალიან ხშირად გაუგონია ეს ხმა აქ ყონის დროს. გაეხარდა კიდევაც, რომ ამის გარდა სხეებსაც არ სძი-ნავთ. თავი ისევ კლდეს მიჰყუდა და თვალები მილულა. გო-ნება ისევ მიტროსკენ გაქანდა. სულ ახლო შეეფეთი მიტრუას. რამდენიმე წუთიც და გონებასთან ერთად თითონ გიულიც მოეხვევა, გულში ჩაეკვრის თავის საყვარელს მიტრუას...

ზარი კი ისევ ისე გუგუნებს. ხან მისწყდება მისი გუგუნი და ხან კი უეცრივ ძლიერად გამოეხმაურება მიდამოს...

— ჩემო მიტრო, ჩემო... მოხვედი?!. — აცმაცუნებს ტუჩებს გიული.

ამ დროს ფეხ-აკრებით ხევში შემოვიდა ქერბალაი და პირ-დაპირ წამოვიდი. მივიდა ბილიკთან, რომელსაც კლდეზე სენაკ-თან აჰყენდა და წაუსტვინა.

— მიტროა, მიტრო!.. — ოდნავ ჩურჩულებდა გიული ჟა  
ეხევა მიტრუას...

ქერბალი კი შედგა. ყური დაუგდო, მაგრამ პასუხი ვერ  
მიიღო.

ზარს მაინც პრეკენ. ისევ-ისე გუგუნი გაისმის მიდამო-  
ში...

„ავალ ზევით. იქნება ჩაეძინა. ზევით დავუსტვენ და, იქ-  
ნება მაშინ მომცეს პასუხი“ თ.

ქერბალი ნავალი იყო. კარგად იცოდა აქაური სენაკები.  
ხშირად დაურბენია, და ამისთვის თამამად შეუდგა კლდის ბი-  
ლიკას. უნიშნოდაც აივლიდა, მაგრამ არ იცოდა რომელ სე-  
ნაკში შესულიყო. რადგანიც ამ ბილიკს ბევრ სენაკისკენ მი-  
ჰყანდა.

კარგა ზევით რომ ავიდა, შესდგა. აქ ბილიკა იყოფოდა.  
ალარ იცოდა საით წასულიყო. ისევ წაუსტვინა ძლიერად.

— მიტროო!.. — გაახილა თუ არა ოვალები დასტვენაზე,  
დაინახა იქვე ახლოს და სწრაფად გულში ჩაეკრა.

— მიტრო, მიტრო!.. — ჩურჩულებდა გიული და თან მხუ-  
რვალედ ჰკოცნიდა ქერბალის.

ქერბალი პირველად შეკრთა. უნდოდა მოქმორებინა და  
აეხსნა, რომ იგი მიტრუა არ იყო. მაგრამ სწორედ იმ დროს,  
როდესაც მკლავში ხელი წაავლო და მოშორება დააპირა, გი-  
ული მხურვალედ დაეკრა ქერბალის ტუჩებს. რა დაემართა  
ქერბალისი?! მოშორების მაგივრად ხელები მაგრად მოჰვია  
და გონება მიჰხდილმა მაგრად, მაგრად ჩაიკრა გიული გულ-  
ში. ქერბალის ცოლ-შვილი ჰყავს. თითქოს უყვარს კიდე-  
ვაც. ცოლსაც უყვარს. მაგრამ ცოლის კოცნით ასე არას  
დროს არ აღელვებულა, ასეთი სითბო, ნეტარი სითბო, სხეუ-  
ლის მომშლელი სითბო არას დროს არ უგრძვნია. განა ცოლს  
არ უკოცნია ამისთვის?! თითონაც უკოცნია!.. მაგრამ რა?!  
ცოლის კოცნა ოდნავ, ცივად ტუჩების შეხებაა; ლოყაც კი

ძლიგას ჰერძნობს. ეხლა კი ისეთი ძლიერებით, ისეთი სითბო-  
თი იყო კოცნა, რომ ყოველმა მისმა სხეულის წერტილმაც  
კი იგრძნო; ყოველი წერტილი მონაწილეობას იღებს ამ კო-  
ცნაში. ქერბალაი მხოლოდ ერთს-ლა ჰერძნობს, რომ გიულის  
მთელი ძალა მასზე გადმოგის და მისი კიდევ გიულისაზე. ძა-  
ლების ასეთი მოგზაურობა კი ნეტარებას ჰქადავს და ყველა-  
ფერს ავიწყებს. ალარ ახსოვს არც ცოლი და არც შეილი,  
არც მამა და არც დედა, არც მიტრუა და აღარც ის, თუ რი-  
სთვის მოვიდა აქ. ერთად-ერთი და ენატრებოდა ქერბალაის:  
ეს—დიდხანს გაგრძელებულიყო ასეთი მდგომარეობა. ხმის ამო-  
ულებლივ მხურვალედ ჰჯმუჯნიდა გიულის და სამაგიერო პა-  
სუხსაც იღებდა...

— ჩემო კარგო, რად დაიგვიანე?!. ჴო, ვიცი, რადაც!.. —  
ხელი მხარზე დაადო, როდესაც მოიქანცა ხვევნით, თვალებში  
ალერსით ჩააკერდა და ალერსითვე მიეხმაურა. ქერბალაის  
დაავიწყდა, რომ გიულის ეს სიტყვები მიტრუასადმი იყო მი-  
მართული. დაავიწყდა ისიც, რომ გიულის ხვევნა, ის ნეტარე-  
ბა, რომელიც ამ წამს გამოსცადა და სცდის, ნაქურდალია. ალგზენულმა ამ ალერსით ქერბალაიმ ნაზად წავლო კლავში  
ხელი და ტკბილად, ტკბილად, მომხიბლავის ხმით დაიწყო:

— გიული, დავიგვიანე?! გეფიცები ალლაპს, საუკუნოდ  
შენთან დავრჩები, შენი....

— ქერბალაი!..

— გიული, რად შეჰკრთი?!. ხომ ჰქედავ, სამტროდ...

— გამიშეი, გამიშვი!..

— მოიცადე, გენაცვა, ყური დამიგდე!..

— ღმერთო!..

— გეფიცები ალლაპს, შენ არ მოგშორდები! წავიდეთ  
შორს გადავიკარგნეთ! მე...

— გონს მოდი, ქერბალაი!.. რეებს ჰლაპარაკობ?! ნუ გა-  
ვიწყდება, მე დედიშენის ფეხი გარ, მამიშენის ცოლი!..

— რას დავეძებ მაგას?!. მიყვარხარ...

— ხომ არ გაჰვიუდი?!.. ხელი გამიშვი!.. — ბრაზ-მორეული გიული შეებრძოლა ქერბალას, მაგრამ ვერა გახდა-რა.

— მიტრუა საცაა, აქ მოეა!..

— ხა, ხა, ხა!.. — გადაიხარხარა ქერბალაიმ წინააღმდეგობით გახელებულმა და ამავე კილოთი განავრძო:

— მიტრუას ნახვას ვეღარ ეღირსები!

— ის გაგცემს პასუხს, შე... შე შეჩვენებულო!..

— აკი გეუბნები, გიული, მიტრუას ვეღარ ჰნახავ!..

— რატომ, შე წყეულო, განა მოკვდა?!

— მოკვდა, მოკვდა, გიული! აი, ამ ხანჯალმა გაუპო გული! — ქერბალაიმ ხელი გაუშვა გიულის და ხანჯალზე გაივლო.

გიულიმ ისარგებლა ამ წამით. რაც ძალა ჰქონდა ორივე ხელები გულის ფიცარში ჰკრა ქერბალაის და სწრაფად ზევით გატრიალდა დასამალავად. მაგრამ მიბრუნების დროს ძლიერად თავი ჰკრა კლდის ქიმს, გვერდზე წატორტმანდა და თავი ვეღარ შეიმაგრა.

— ვაიი!.. — გულის გამგმირავი ხმა გაისმა ჰაერში და ჩქარა ისევ მიწყნარდა. ქერბალაიმ თვალი ვერც კი მოჰკრა, ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა.

— გიული!.. — მწარედ წამოიკვნესა ქერბმლაიმ და ყურები ცქეიტა.

ხევის ძირიდან, კლდიდან ჩაცეივნული ქვების რახუნი-ლა მოესმა, სწრაფად იქ გაჩნდა და გულ-აღმა დაწოლილ გიულის დაემხო.

— გიული, გიული!.. — ეხვევა ქერბალაი, ჩასძახის ტირილით და ხან ხელში იყვანს, მაგრამ გიული პასუხს აღარ აძლევს. ჯერ ისევ თბილი გვამი მის ხელებში ლაფანსავით იკეცება.

— გიული!.. — სასოწარკვეთილებით დაიძახა ქერბალაიმ, დაიჩოქა და გვამი ძირს დაუშვა.

დიდგანს, დიდხანს დასცქეროდა გაშტერებით უძრავ გვამს ხმის ამოულებლივ.

რაზე ფიქრობდა ამ დროს ქერბალაი?! თითქმის არაფერ-ზე. ასე გახევებული დასცემულდა დაჩოქილი ქერბალაი გიუ-ლის გვამს, რომელსაც თანდათან სითბო კალდებოდა.

— შეილო, მამიშენისავით დედაშენს რად ულალატე?!.— უეცრივ მეფიოდ მოესმა დედის სიტყვები.

უშიშარი ქერბალაი შიშის ზარმა აიტანა. ქუდი მაღლა წაუვიდა. სწრაფად ხანჯალი გაიძრო ხელების თახთახით და ფეხზე წამოდგა. მიიხედ-მოიხედა. ისევ ის წყვდიადი სუფევდა, ისევ ის სიჩუმე იყო და არა არღვევდარა მას. უფრო შეეშინდა ამ წყვდიადისა. ქუდი გადმოუვარდა. თვალის კაკლები კი დაუდიდნენ და ბუდიდან გადმოვარდნას უპირობდნენ.

— მიტრო, აქ რა გინდა, ჰა?!. აკი ქალაქში წახვედი?! მა-მაჩემიც მოგყავს?!. ნუ, ნუ მორბიხარ, თორემ, აი, ხანჯალი!.. არ იშლიში. ჰაა?!. შედექი.. აი..

## \*\*

წითელ პარასკევსაც არ დაწყნარებულა ქარი. მარტყოფის მინდვრებზე თავისუფლად დათარეშობდა. საშინელ კო-რიანტელს აყენებდა და აბნელებდა მიღამოს. კახეთის გზაზე თითქმის მოძრაობა შესწყდა. თავზე ხელ-ალებული თუ გაპე-დავდა ამ დროს მგზავრობას. მართლაც თავზე ხელ-ალებული არავინ გაძოჩნდა, მიტრუას გარდა, რომელიც შემოკალთავე-ბულ ჩოხით დილა ადრიანად ორად მოხრილი გარბოდა კახე-თის გზაზე. თითქოს ამ გაბედულობით განრისხებული ქარი უფრო უმატებდა კივილს, უფრო სასტიკობას იჩენდა და მიტ-რუას მთლად მტვერში ახვევდა. მაგრამ მიტრუა არც კი ამჩ-ნევდა ქარის სასტიკობას. მარტო გიულის და ქერბალაის შე-გვრო მისი გონება. ამათ მეტზე ფიქრს ვეღარ ახერხებდა, და ვეღარც არას აჩნევდა. დილხუთშაბათი ქალაქში ძებნას მოან-დომა. სანთლების ინფებისას დუქანში მიეიდა მთლად განადგუ-რებული. გეომ შესხედა თუ არა, გაიკვირვა მიტრუას მდგო-მარეობა.

## გაუღია

— კაცო, რა დაგმართნია?! — დაეკითხა თანაგრძნობით გეო.  
 — ავადა ვარ!..  
 — ავადა ხარ და საჯღა დაიკარგე?!

— ხომ არავის ვუკითხივარ? — თითქოს გეოს კითხეა არც  
 კი გაუგიაო, დაეკითხა თავის მხრივ მიტრუა.

— არა.

— აღა, უნდა შინ დამითხოვო, ავადა ვარ!  
 — ამისთანა დროს, შვილო, მტერი მტერს არ დაანებებს  
 თავს და შენ ხომ...  
 — რავწნა, არ შემიძლიან, — სიტყვა გააწყვეტინა მიტრუამ  
 და კედელს მიეყრდო.

გეო ცოტა ყოყმანის შემდეგ დასთანხმდა, აშკარად ატ-  
 ყობდა გეო, რომ მიტრუა არა სტყუოდა, რომ იგი თავის  
 ქერქში არ იყო.

მიტრუა მაშინვე ვამოტრიალდა და წელმოწყვეტილი ავ-  
 ლაბრისკენ წამოვიდა. იმ ღამეს ბაკებში იბზრგა და დილით,  
 ჯერ ისევ გაუთენებლივ გზა მონახა.

გაიარა თუ არა ორხევი, მარჯვნივ გადუხვია და უგზო-  
 უკლოდ მიდიადა ითანე ნათლისმცემლისაკენ. ხევი, ღრე და  
 კლდე ისე გაიარა, რომ დალლილობა არ უკვერძნია. მხოლოდ  
 მაშინ მოეკვეთა მუხლები, როდესაც იმ ხევთან მივიდა, რომე-  
 ლიც სენაკის გზას შეიღვენდა. აქ კი შედგა, მუხლები აუთრ-  
 თოლდა, და ჩაიკეცა. გულმაც მეღგრად დაუწყო ძეერა. უნე-  
 ბურად თვალები მიელულა, ტანი მოუდუნდა და კლდის ძირს  
 მიესვენა.


ქარი კი გმინაედა, ხარხარობდა, ტიროდა. იგი ერთი სე-  
 ნაკიდან წივილ-კივილით და გმინვით გამოჰქონდა და მეორე-  
 ში გრიალი შექმნდა; კლდის ერთი კალთიდან მეორეზე გა-  
 დარბოდა და ბოლოს ვაი-ვაგლახით ხევში ჩამოჰქოდა.

მიტრუა შეძრწუნდა ამ გმინვით. სწრაფად წამოხტა და  
 ბილიკისკენ გაემართა. წამს გაიფიქრა „იქმნება ქერბალიძმ  
 ვერ იპოვა გიული, ისევ აქ არის და ეს ვაი-ვაგლახი ჭკუიდან  
 შექშლისო“.

შეუხვიდა თუ არა კლდის ფრთას, მიტრუა გაშეშდა. მის წინ ჩასისხლიანებული გიული გულ აღმა ეგდო, რომლის კაბას და თმას ქარი უწყალოდ აფრიალებდა, და იმის გვერდით კი თვალებ გადმოკარკლული, სახე ალექსილი ქერბალის გვამი ეგდო, რომელსაც შიგ გულში ხანჯალი ჰქონდა გატარებული.

— გიული, გიული!.. — დაიკივლა მიტრუამ და ზედ დაემხო.

— ხაახაახახა!... — დაპხარხარა მიტრუას პასუხად ზევით, მთის წვერებიდან ქარმა და შემდეგ გაპეტივლა, რაც შორს, შორს კვნესად შეიცვალა..



# ვ ი რ ტ ე რ ი

იხტეულება გატესი

(თარგმანი გერმანულიდან \*)

ჭირი შეორე.

20 ოქტომბერი 1771 წ.

გუშინ ჩამოვედით აქ. ელჩი უქეიფოდ არის და რამდენიმე დღით შეისვერებს. ასე მკაცრი რომ არ იყოს იგი, უველავერი კარგად იქნებოდა. ვატყობ, ვატყობ, რომ ბედს ჩემთვის ბევრი განსაცდელი დაუმზადებია. მაგრამ მეტი მოთმინებაა საპირო! ცივი გრძნობა უველაფერს აიტანს! ცივი გრძნობაორ? მეცინება, როცა რომ ჩემი კალამი ამ სიტყვებს ხწერს. ოჰ, ერთი ბეწო უფრო ცივი სისხლი რომ მქონდეს, უბედნიერესი ადამიანი ეიქნებოდი მთელს ქვეყანაზე. როგორ! სადაც სხვებს თავიანთი ჰაწაწინა ძალით და ნიჭით თავი მოაქეთ და კმაყოფილი ჩემს წინ მამლაყინწაობენ, იქ მე სასოება უნდა წარვიკვეთო ჩემის ნიჭის შესახებ? ღმერთო კეთილო, ყოვლის იმისა მომნიჭებელო! რატომ რაც მიბოძე, მისი ნახევარი არ მაკმარე და სამაგიეროდ არ მომეცი მეტი რწმენა და კმაყოფილება თავის თავისა!

მოთმინება, მოთმინება! საქმე გამოსწორდება. შენ მართლი ხარ, მეგობარო. მას აქეთ, რაც ყოველდღე ხალხში ვტრი-

\*) იხ. „მოამბე“ № IX, 1900 წ.

ალებ და ვხედავ, რას აკეთებენ და როგორ მოქმედებენ, მე ვურიგდები ჩემს თავს. რასაკვირველია, რადგან ყველაფერს ჩვენს თავს ვადარებთ და ჩვენს თავს ყველაფერს, ამიტომაც ბედნიერება თუ უბედურება თვით შედარების საგანში მოიპოვება. და ისე საშიშარი არა არის-რა ადამიანისათვის, როგორც მარტოობა: ჩვენი წარმოდგენითი ძალა, რომელიც ბუნებით გატაცებულია და რომელსაც კიდევ უფრო რევენ პოეზიის ფანტასტიური სურათები, ჰქენის სახეთა მთელს წყებას, რომელშიაც ჩვენ სულ ძირეული აღგილი გვიჭირავს; ყველაფერი, რაც კი ჩვენს გარეშემოა, უფრო მშვენივრად გვეჩვენება, სხვა აუამიანი უფრო სრული გვგონია. ეს ბუნებრივი მოვლენაა. ხშირადა ვერძნობთ, რომ ზოგი რამ გვაკლია და გვგონია, რომ ის, რაც ჩვენ გვაკლია, სხვას აქვს და იმასვე ვაკუთვნებთ მასაც, რაც ჩვენ გვაქვს და ამას გარდა კიდევ იდეალურ კმაყოფილებას. ასე და ამგვარად მზად არის ბედნიერი ადამიანი, ნაყოფი ჩვენივე ოცნებისა.

პირიქით, როცა ჩვენ, მიუხედავად ჩვენის სისუსტისა და შეუძლებლობისა, წინ მივესწრაფებით, ხშირად ვამჩნევთ, რომ ჩვენ ჩვენის მიმოხვეულის ცურვით უფრო შორს წავსულვართ, ვიდრე სხვები თავიანთ იალქნებითა და ნიჩებით.... და.... თუ ჩვენ სხვას ვუსწორდებით, ან—კიდევ უკეთესი,—ეუწინაურდებით კიდეც, ჩვენსავე თვალში ვმალლდებით ჩვენ და ვმხნევ-დებით.

### 26 ნოემბერი.

თან-და-თან ვეჩვეები ჩემს მდგომარეობას. ყველაზე კარგი ის არის, რომ აქ ბევრი საქმე მაქვს; ამას გარდა სხვა-და-სხვა ჯურის ხალხი, სხვა-და-სხვა სახეები უცნაურ სანახავს წარმოადგენენ ჩემთვის. გავიცანი გრაფი კ. რომლისადმი დღითი-დღე უფრო მეტს პატივისცემას ვერძნობ, რადგან იგი დიალ ვრცელი განვითარებული გონების პატრონია; იგი არ არის გულცივი ადამიანი, რადგან ბევრი ესმის. ზედვე ეტყობა, რომ მას შეუძლიან ღრმა გრძნობა მეგობრობისა და ს. ყვარულისა. გრაფი დამიახლოვა

## გერტერი

შას აქეთ, რაც ერთი მონდობილობა შევასრულე მასთან. იგი პირველი სიტყვებიდანვე მიხვდა, რომ ჩვენ გვესმის ერთმანერ. თის და მას ჩემთან შეუძლიან ლაპარაკი ისე, როგორც არა ყველასთან, მე დიდად ვაფასებ მის ჩემდამი დამოკიდებულებას. იმაზე სასიამოენო არა არის-რა ქვეყანაზე, როცა დიდსულოვანი ადამიანი სხვას თავის გულს გაღუმლის ხოლმე.

### 24 დებემბერი.

ელჩი მეტად მაბეჭრებს თაეს. ამას მე წინდაწინვე მოველოდი. იგი მტკნარი სულელია, რომელსაც წვრილმანი თან-და-თანობა უწმინდესს მცნებად მიაჩინა და რომელიც ერთი ეინმე გადაბერებულ გასათხოვარ ქილივით ყოველ სიტყვაში კუდ რამეს ეძებს. ის ისეთი ადამიანია, რომელიც თავის დღეში არ არის კმაყოფილი თავისი თავისა, რომელსაც ამიტომ სხვაც ვერ ასიამოენებს. მე ადეილად გმუშაობ და ესწერ, ის კი ყოველ-თვის მზად არის ჩემი ნაწერი დამიბრუნოს და მითხრას: „კარგია, მაგრამ მაინც გადახედეთ; ყოველთვის შეიძლება მონახოს კაცმა უკეთესი სიტყვა, უფრო წმინდა და ლამაზი წინადადება“. მე საშინალად ეხელდები. როგორ იქნება, რომ გამოსტოვო თუნდა უმცირესი კავშირიც კო; ამასთანავე ის სასიკვდილო მტერია ყოველივე თავისებურად შედგენილ ფრაზისა, რაც ზანდახან წამცდება ხოლმე. თუ მასი პერიოდები ჩვეულებრივის ჰანგებით არ უმდერე, ვერაფერს ვერ გაიგებს. სწორედ ტანჯვაა ისეთ ადამიანთან საქმის დაჭერა.

ერთად-ერთი ჩემი ნუგეში გრაფ კ—ს ნდობაა. ამას წინად სრულებით გულახდილად მითხრა, თუ რამდენად უკმაყოფილოა იგი ჩვენი ელჩის გვიანობით და ყოყმანით. „ეს ხალხი თვითონაც იძნელებს საქებს და სხვასაც უძნელებსო,—ამბობდა გრაფი—მაგრამ ამ გარემოებას ისე უნდა დავემორჩილოთ როგორც მგზავრი ემორჩილება მთის გადავლის მიუცილებლობას, თუ უნდა რომ მთას იქეთ მიექცეს. რასაკვირველია, მთა რომ არ დახვედროდა, გზა უფრო მოკლე იქნებოდა და მო-

ხერხებული, მაგრამ გთა ჰედება და, მაშისადამე უნდა გადაიაროს!

ჩემი მოხუციც ამჩნევს, რომ გრაფი მის წინაშე უპირატესობას მაძლევს; ეს მას ძლიერ სწყინს და ყოველი შემთხვევით სარგებლობს, რომ გრაფის შესახებ ცუდი რამ სთვეს ჩემთან. მე ვეკამითები ხოლმე, ამით, რა თქმა უნდა, საქმე უფრო ფუჭდება. გუშინ მან ძლიერ გამაჯვარა, რადგან მისი სიტყვები მეც მეცებოდნენ: „ჰო, გრაფმა საქმები ჩინებულად იცის, აღვილად მუშაობს, მარჯვედ სწერს, მხოლოდ საფუძვლიანი სწავლა აკლია, როგორც ყოველ ბელლეტრისტს“. ეს სიტყვები ისეთი სისის გამომეტყველებით შეაზიარა, თითქო უნდოდა გთქვა: „იგრძენი თუ არა ეკალიო“. მაგრამ ამან ჩემზე მისდა სასურველად არ იმოქმედა. მძულს ადამიანი, რომელიც ასე ფიქრობს და იქცევა, მე არ გვჩუმდი და ცხარედ დაუწყე ლაპარაკი. გრაფი, როგორც ხასიათით, ისე ცოდნითაც შესანიშნავი კაცია-თქო, ვეტხარი. მე არ მინახავს მეორე, რომელსაც მისავით მრავალმხრივი ცოდნა ჰქონდეს და თანაც შერჩენოდეს ასეთი საქმიანობა ყოველდღიურ ცხოვრებაშიაც! ეს ელჩის ტვინისათვეს ჩინური იყო, და ვარჩიე ლაყბობის გაგრძელებით ნალველი არ ამეშალა!

ყოველიფერში თქვენა ხართ დამნაშავე, თქვენ ყველანი, რომ ელთაც შეიაბით ამ ულელში თქვენი დაქინებულის ლაპარაკით და საქმიანობის ქება-დიდებით! საქმიანობა! თუ ჩემზე მეტს არ აკეთებს ის, ვინც კარტოფილს რგავს და ქალაქში მიდის ხორბლის გასაყიდად, მაშინ მე მზადა ვარ კიდევ ათი წელიწადი ვიმუშავო ამ კატორდაში.

ამას დაუმატე ეს ბრწყინვალე სისაწყლე, მოწყენილობა ამ ხაძაგელ ხალხში, რომელიც შუდამ დღე იმის ცდაშია ერთი ნაბიჯით არის მაინც გაუსწოოს მეორეს ხარისხების შეძენის გზაში; ღმერთო, რა წვრილმანი, და ადამიანის ლირსების დამდაბლებელი გულისთქმანია და ისიც უსირცხვილოდ გამოაშკარავებულნი. აქ არის ერთი დედაკაცი, რომელიც ყველის თა-

ვის მამულებზე და დიდ-ხარისხოვნობაზე ელაპარაკება; უცხო ადამიანი მას ჩათვლის სულელად, რომელსაც ხარისხი და მა-  
შულები რაღაც საკერძოელ და სიონები რამედ წარმოუდგე-  
ნია... ნამდეილად კი იგი უარესია, რადგან იგი შეიღია მა-  
ლობელ ქალაქის ერთი დაწესებულების გადამწერლისა. მე ვერ  
შემიგნია ადამიანის გოდგმა, რომელიც იმდენად სულელია,  
რომ თავს ასე იმცირებს და იმდაბლებს.

დღრთა-დღე უფრო კრწუნდები, ჩემი ძეირფასო, თუ რა  
უგუნურია ის, ვინც სხვას თვისი სახომით ზომავს. გარდა ამი-  
სა ჩემი თავიც მყოფნის საქმედ, რაღან ჩემ გულში ხშირად  
გულისთვისა ქარიშხალია ხოლმე; ამიტომ სხვებს არ ვუშლი  
თავისი გზით იარონ, ოღონდ მეც დამანებონ ჩემნებაზე სია-  
რული.

ყველაფერზე უფრო ეს ფატალური მოქალაქობრივი და-  
ბოკიდებულებანი მიხელებენ. მეც ისე კარგით ვიცი, როგორც  
სხვამ, რამდენად აუცილებელია წოდებათა შორის განსხვავება  
და რამდენად სასარგებლო იგი კერძოდ ჩემთვის; მაგრამ ის  
არ უნდა გადამელობოს გზაზე იქ, სადაც შემიძლიან ვიგემო  
მცირეოდენი სიხარული, ლანდი ბეჭნიერებისა. ამას წინადსე-  
ირნობის დროს გავიცანი ერთი ქალი ფონ ბ. იგი ერთი საყ-  
ვარელი ქმნილებაა, რომელსაც ცხოვერებაში კიდევ შერჩენია  
თვისი მდიდარი ბუნება. ვიბასეთ, ერთმანერთი მოგვეწონა  
და როცა გამოვემზვიდობე, ნებართვა ვთხოვე მის სახლში მე-  
ნახა. გან ეს ნებართვა ისეთის გულწრფელობით მომცა, რომ  
მე ძლივს მოვითმინე დანიშნულ საათამდის. ის აქაური არ არის  
და ცხოვრობს თავის დეიდათან. ამ გოხუცებულ მანლილოს-  
ნის სახე არ მომეწონა. დედის ყურადღებით ვექცეოდი მას, ჩე-  
მი ბაასი მისკენ იყო მიმართული და არ გასულა ნახევარი სა-  
ათი, რომ გამოვიცანი მისი ხასიათი, რაც თვით ქალიშვილმაც  
შეამოწმა მას შემდეგ. საყვარელი მოხუცებული დერდა მოკლე-  
ბულია ყველაფერს, შესაფერი ქონებიდან დაწყებული გონე-  
ბამდის, ერთად ერთს ყავარჯენს თავისს წინაპართა მთელს წყა-  
ბაში პოულობს, ერთად-ერთს ფარს იავისს წოდებაში, რომელ-

შიაც ჩასაფრებულა და უდიდესს სიამოენებას ჰპოულობს იმაში, რომ თავისი სახლის ზედა სართულიდან ქვეშ გამვლელ-გამომკლელ მოქალაქეთა თავებს დაჰყურებს. თურმე ახალგაზღობაში ის ლაპაზი ყოფილა და მისს სიცოცხლეს ხუმრობაში გაუვლია. ჯერ, ახალგაზღობისას, ზოგიერთ ვაჟთა გული უწამებია, მერე მომწიფებულ ხანში, თავი უმცირებია ერთი ხნიანი აფიცირის მორჩილებაში, რომელსაც რიგიანი სარჩოსათვის გაუტარებია იმასთან ბრინჯაოს საუკუნე და მომკვდარა. ახლა კი იგი ქალი, თავისს რკინის საუკუნეში, მარტო დარჩენილა და მას არც კი შეხედავდა ვინძე, რომ მისი დისტული ისე საყვარელი არ იყოს.

8 იანვარი, 1722 წ.

რა კაცები უნდა იყვნენ ისინი, რომელთა მთელი გრძნობა-გონება ცერემონიაზეა დამყარებული, რომელთა წადილიც და მეცადინეობაც მთელი წლობით მიმართულია მხოლოდ იმაზე, რომ სუფრაზე ერთი მტკაველით არის წინ წაჩინებული! ნუ-კი იფიქრებთ, რომ ვითომც ამის მეტი საქმე არა ჰქონდეთ-რა: პირიქით სამუშავო გროვდება, რადგან წერილმანების გამოკიდება დიდს საქმებზე ზრუნვას ხელს უშლის მათ. ამას წინად ყინულზე გლინვის დროს ალაპარაკება მოხდა და მთელი სიამოვნება ჩაგვიშხამეს.

რა სულელია ის ადამიანი, რომელიც ვერ ამჩნევს, რომ საქმე ადგილი არ არის და რომ ვისაც პირველი ადგილი უკავია, იყი იშვიათად თამაშობს პირველის როლს! რა ხში-რად არიან ხოლმე მეფები თავიანთ მინისტრებისა და მინისტრები თავიანთ მდივნების ყურ-მოქრილი ყჩანი! მაშ ვინდა არის პირველი? მე მეონია, ის, რომელსაც იმოდენა ძალა, ან მოხერხება აქვს, რომ სხვისს ლონესა და სისუსტეს თავის განზრახვეთა შესასრულებლად ხმარობს.

20 აანგარი.

ძეირფასო ლოტტა! უნდა მოგწეროთ წერილი აქე-  
დან, ამ უბრალო გლეხის ქოხიდან, რომელსაც ივდრის გა-  
მო თაეი შევაფარე. სანამ საძაგელ ბუდეში, დ.—ში, ვიყა-  
ვი, სანამ უცხო, ჩემი გულისთვის, სულ უხცო ხალხში ვიმ-  
ყოფებოდი, არა მქონდა არც ერთი წამი, რომ ჩემს  
გულს მოვეწოდებინე თქვენდამი წერილის მოსაწერად, და  
ახლა ამ ქოხში, ამ მარტოობაში, ამ ტყვეობაში, როცა  
ჩემს ფანჯარისთან თოვლი და სეტყვა ირევიან, აქ ახ-  
ლა თქვენ იყავით ჩემი პირველი ფიქრი. როგორც კი შემოვ-  
დგი ფეხი ამ ქოხში, მაშინვე თვალწინ წარმოშიდგა თქვენი სა-  
ხე, თქვენი ხსოვნა. ო, ლოტტა, ისე წმიდათ, ისე მხურვალედ!  
ოჲ, ღმერთო კეთილო! ისევ ის პირველი ბედნიერი წამი!

ნეტავ მხედავდეთ, უძეირფასესო, გასართობთა ტალლებ-  
ში! გრძნობა მიშრება, ერთი წამითაც აღარ არის სავსე ჩემი  
გული, აღარცერთი სანეტარო საათი აღარ არის ჩემთვის! არა-  
ფერი! არაფერი! თითქოს უცხო ნიკთების კილობანთან ეიდგე,  
ვხედავდე, როგორ მიმოდიონ კაცუნები და ცხენუკები; ხშირად  
ვეკითხები ჩემს თავს, ეს მხედველობის ცდომილება ხომ არ  
არის. თქო. მეც ვიამაშობ მათთან, არა, უკეთა ვთქვათ, მათა-  
მაშებენ, როგორც ტიკინს და ხშირათ ჩემს მეზობელს ვტა-  
ცებ ხოლმე ხელს ხის ხელზე და შემკრთალი ვიხვი უკან. სა-  
ლამობით განვიზრახავ ხოლმე მზის ამოსვლის მზერით დატ-  
კბობას და ლოგინს ვერა ვშორდები, დღისით ვიმელოვნებ გა-  
ნვიხარო მთეარის შუქითა და ოთახიდან ვერ გამოვლივარ. არც  
კი ვიცი კარგად, რისთვისა ვდგები ან რისთვის მივდივარ და-  
საძინებლად. ის საფუვარი მაკლია, რომელსაც შეეძლო ჩემი  
სრულცხლის ამოძრავება, ის საუცხოვო ძალა, რომელიც ღამ-  
ლამეობით მხნეობას მანიჭებდა, აღარ არის, რომელიც დილათ-  
ბით მაღვიძებდა, გაჭერა.

მთელ ქალაქში მხოლოდ ერთი ქალი ვპოვე, რომელიც  
ლირისა ამ სახელისა; ეს არის ფონ ბას ქალი. ის თქვენ გვავთ,

საყვარელო ლოტტა, თუ კი შეიძლე რომ ვინმე გვავდეთ.—ეე! ვერტერი კომპლიმენტებს მოჰყვაო!—იტყვით თქვენ და ეს არც სულ ტყუილია! ერთი ხანია, რაც დიალ თავაზიანი ვარ,—ან როგორ შემიქლია არ ვიყვე თავაზიანი,—ვმახვილობ და ქალები ამბობენ, არაეის არ შეუძლია ისე მარჯვედ ქება, როგორც ვერტერსაო. (და ცრუობაცაო, —იტყვით თქვენ, რადგან ერთი უმეოროდ ხომ შეუძლებელია?). მე ფონ ბ—ზე ვლაპარაკობდი. მას ბევრი გრძნობა აქვს, რომელიც მისი ცისფერი თვალებიდან სავსებით გამოსჭვერს. თავისი წოდება ემძიმება მას, რადგან ეს არცერთს მისს სულიერ მოთხოვნილებას არ აქმაყოფილებს.—იგი ნატრობს მოშორუეს ამ ცხოვრების მორევს და ჩვენ მთელი საათობით ვეძლევით ხოლმე თკნებას სოფლურ ცხოვრების შეუზიავებელ და მარტივ ბეღლიერებაზე და—ახ! თქვენზე! როგორ გცემთ თაყვანს, რა სიმოვნებით ისმენს თქვენზე ლაპარაკს, რა რიგ უყვარხართ თქვენ მას...»

ოჂ, ნეტავ, ეხლა თქვენი და ჩვენი პატარები ამ ლარიბა და მყუდრო ოახში გაჩნდეთ. ბავშვები დაგვეტრიალებენ, თაშიშობენ და როცა მათი ხმაურობა მეტად მატულობს, მე მზად მაქვს მათთვის რომელიმე საშინელი ზღაპარი და ისინი შიშით მე მეკვრიან! მაგრამ... მზე ღიღებულად ჩადის თოვლით ვაბრ-წყინვებულ მთების იქით, ავდარშა გადაიარა, და მე.... ისევ ჩემს გალიაში უნდა შევიკეტო... მშვიდობით! ალბერტი თქვენთან არის? და როგორ! ღმერთმა შემინდოს ეს კითხვა!

#### 8. თქებერვალი.

ეს რვა დღე სახაგელი ამინდია, რაც ჩემშე ძლიერ კარგად მოქმედობს, რადგან ჩემს აქ ყოფნაში ერთი მშვენიერი დღე არ ყოფილა ისე, რომ ვისმე არ გაეფუჭებინა, არ ჩაემწარებინა იგი ჩემთვის! ახლა კი, როცა ძალზე წვიმს, ცივა, ტალაზია, ჰა!—ვფიქრობ მე,—სახლში ხომ ამაზე უარესი აღარ იქნება, ანდა, პირ იქით, გარეთ ხომ უფრო ცუდი არ არის, ვიდრე სახლში, და მაშასარამე კარგია.

როცა დილდილობით მხე ამოდის და მშვენაერ დღეს გვპირდება, მე გავიძინი: „ი კიდევ ერთი ცით ბოძებული სა- უნჯე, რომელიც შეუძლიანთ ადამიანებს ერთმანეთს წაართვან. რადგან არა არის-რა ისეთი, რომ ისინი ერთმანეთს არ სტა- ცებდნენ: ჯან-მთელობას, შეუბლალავ სახელს, სიხარულს, მოსვენებას და უშეტესჯერ ამას სხადიან სიცულლუტისა, უკუ- ნურებისა და განუვითარებლობის გამო, ამბობენ კი კეთილის განზრახვითათ. ხშირად მზად ვარ მუხლ-მოყრილი შევევედრო მათ, ნუ შფოთავენ ისე მძვინვარედ თვისი გულ-კვამით.

### 17 თებერვალი.

მეშინია, რომ მე და ჩემი ელჩი ერთმანეთს დიდ ხანს ვერ შევერჩებით. ეს ადამიანი სწორედ, რომ თუტანელია. მისი წესი მუშაობისა და საქმეების გამგეობისა იმოდენად სისაცილოა, რომ არ შემიძლია არ ვეურჩო და ზოგიერთ საქმეებს ჩემი თა- ვისა და ჩემი წესის შესაფერად ვასრულებ და ამას იგი, რასა- კვირეელია, უსამართლოდ სთვლის. მან ამაზე სასახლეშიაც მი- ჩიელა და მინისტრმა მომცა შენიშვნა, თუმცა მსუბუქი, მაგრამ შენიშვნა შენიშვნად რჩება და მე მზად ვიყავი დათხოვნის ქა- ლალდი შემეტანა, რომ ამ დროს არ მივეღო მისგან კერძო წერილი,\* ) რომლის მაღალი, კეთილშობილური და ბრძნული აზრისათვის მუხლ-მოყრილი თაყვანი უნდა მეცი. იგი მითა- თებს ჩემს შთაბეჭდილებათა ადვილად მიმღებ ბუნებაზე და მერე ამბობს, რომ იგი ჩემს გაზვიადებულ აზრებს საქმიანო- ბაზე, გავლენაზე, საქმეებში გატაცებაზე, როგორც ახალგაზ- დურ კარგ თვისებებს, დიდს პატივსა სცემს და ცდილობს, კი არ აღმოფხვრას ისინი ადამიანში, არამედ გააზომიეროს და მი- მართოს ისინი იქითვენ სადაც მათვის გაშლილა ჭეშმარიტი სამოქმედო სარბიელი, სადაც შეუძლიანთ გამოიჩინონ ძლიერი ზედმოქმედება!

\* ) მორიდებამ და პატივისცემამ იმ ჩინებულ ადამიანისადმი გამავა- შვებია მისი აქ გულისხმებული წერილი და ერთიც სხვა ქვეით ნახსენები.

ამ წერილის შემდეგ რვა დღე მხნდე ვიყავი და ჩემს თავს სრულებით შევურიგდი. მშვიდობა სულისა კარგი რამ არის, იგი თავისთავად სიხარულია. ძვირფასო მეგობარო! ნეტავ ეს საუნჯე იმდენადვე აღვილად გასატეხი არ იყოს, რამდენადც ტურფაა და ძვირფასო.

## 20 თებერვალი.

ღმერთმა გაუურთხოთ, ჩემთ ძვირფასნო და მოგანიჭოთ თქვენ ის კარგი დღენიც, რომელთაც იგი მე მართმევს!

გ მადლობ, ოლბერტ, მოტყუებისითვის: ველოდი შენგან ამბავს შესახებ თქვენი ქორწილის დღისა და ვაპირობი იმავე დღეს ჩამომედო კედლიდან ლოტტას სურათი და დამემარხა იგი სხვა ქალადთა შორის. თქვენ ახლა წყვილი დაქორწინებულნი ხართ, მისი სურათი კი ისევ აქ არის! და დარჩება კი-დეც! ან რატომ არა? ეიცი, მე თქვენთანა ვარ, ლოტტას გულში შენთვის უცნებელი, იქ მე მეორე იღვილი მიჭირავს და მსურს დამრჩეს შემდეგშიაც მე ეს აღვილი. ო, ჰკუიდან შევიშლებოდი, რომ მას შესძლებოდა ჩემი დავიწყება... ოლბერტ, ამ ფიქრში, მთელი ჯოჯოხეთი იფარება! ოლბერტ, მშვიდობით! მშვიდობით ზეციერო ანგელოზო! მშვიდობით ლოტტა!

## 15 მარტი.

ერთი უსიამოენება შემემთხეა, რომელიც აქედან მდევნის. სიბრაზით კბილებს ვაღრკვენ, და მხოლოდ თქვენა ხართ ამაში დამნაშავე, თქვენ მაქეზებდით, მდევნიდით, მაწუხებდით შევსულიყავი ისეთ სამსახურში, რომელიც ჩემს ბუნებას არ შეეფერებოდა. ახლა კი ვისჯები ამისათვის და ისჯებით თქვენც! კვლავინდებურად რომ არ თქვა, ვერტერი ჩვეულებრივ აზვიადებსო, მოგიყვები დაწვრილებით მემატიანესავით, შემთხვევას.

გრაფ კ. ვუყვარვარ, სხვებში მარჩევს, ეს ყველასათვის ცხადია და შენთვისაც ეს აჯერ მითქვამს. გუშინ მასთან ვიყავი საღილზე მიპატიუებული; მაინც და მაინც ეს ისეთ დღეს მოხდა, როცა საღამოობით გრაფისას იკრიბებიან კეთილშობილნი

მამაკაცნი და მანდილოსანნი; მე მათზე არც კი მიფიქ-  
რია და ერთხელაც არ მომსვლია აზრში, რომ ჩვენ, ხელქვე-  
ითნი, მათს საზოგადოებას არ ვეკუთვნით. კარგი. „გისადილე  
გრაფთან და ნასადილებს დავიწყეთ წინდაუკან სიაზული დიდ  
ზალაში. მე ვმუხსაიფობდი მასთან და კოლონელ ბ.-სთან, რო-  
მელიც ამ დროს შემოვვიერთდა; ამასთაში საზოგადოების  
შეკრების დრომაც მოაწია. ღმერთმა იცის, რომ არაფერი  
მქონდა გულში. ამ დროს შემოდის უმოწყალესი ქალბა-  
ტონი ჭ. თავისი მეულითა და ძალზე გამხმარი, წიწილა-  
ქალიშვილითურთ, რომელსაც ბრტყელი გულ-მკერდი ლა-  
მაზი კარსეტით ჰქონდა დაფარული. შემობრძანდნენ თუარი,  
თავის მაღალ ხარისხოვანი თვალები და ცხვირი en passant ზა-  
მოავლეს იქაურობას; რადგან ეს ხალხი ძლიერ მეჯავრება,  
მინდოდა შინ წასკლა, მხოლოდ გრაფს ვუცდიდი; ამ დროს  
შემოვიდა ფონ ბ.-ს ქალი და რადგან მის დანახვაზე ჩემი გული  
ცოტათი ყოველთვის ტოკავს ხოლმე, ამიტომ დავრჩი კიდევ,  
დავდექი მის სკამს უკან; მალე შევამჩნიე სხვიმინდელზე უფრო  
ნაკლები გულახდილობა და უფრო დარცხვენილი ლაპარაკი.  
ამ შენიშვნამ გამაკვირვა. „ნუ თუ ისიც ისეთია, როგორც სხვე-  
ბი?“ ვიფიქრე მე, მეწყინა და მინდოდა შინ წასკლა, მაგრამ  
მაინც დავრჩი, მზად ეყიყავი მიმეტევებინა ეს მისთვის, არ მჯე-  
როდა ეს და კიდე ველოდი მისგან ერთ კეთილ სიტყვას .. ამასთ-  
ბაში შეიკრიბა საზოგადოებაც. ბარონი ფ. ფრანც პირველს  
კურთხევის დროინდელი გარდერობით; ჰოფრატი რ. აქ in qualita-  
tate ბ-ნ ფონ რ.—ედ წილდებული, თვისი ყრუ მეულლითურთ  
და სხვა... არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ცუდათ ჩაცმული  
ი., რომელსაც თავისი ძველი, მოდის ტანისამოსი ახლმოდური  
ნაკრებით შეუკეთებია. მე გამოველაპარაკე რავდენიმე ნაცნობს  
და ყეელანი ძალიან სიტყვა-მოკლენი მეჩვენენ. მე ვფიქრობ-  
დი.. და მთელს ჩემს ყურადღებას მხოლოდ ჩემს ბ.-ს ვაქცევდი.  
ვერ ვამჩნევდი, რომ ზალის მეორე ბოლოში მანდილოსნები  
ერთმანეთს ეჩურჩულებოდენ და მათი აზრი მამაკაცთა წრე-  
შიაც ვრცელდებოდა, ქალბატონი ფონ ჭ. გრაფს ელაპარაკე-

ბოდა მანამდის (ყველაფერი ეს შემდეგ მიამბო ფონ ბ—ს ქალმა) სანამ ბოლოს, გრაფი ჩემსკენ არ წამოვიდა და ფაზჯარისკენ არ გამიხმო. „თქვენ ხომ იცითო ჩვენი საოცარი დამოკიდებულებანიო, — მათხრა მან: საზოგადოება, როგორც ვხედავ, უკმაყოფილოა თქვენი აქ ყოფნითაო“.

— ე არასფრის გულისთვის არ მინდოდა... თქვენი ბრწყინვალებაკ, მივუგე მე,— ათასჯერა გთხოვთ მოტევებას; მე ადრევე უნდა მეფიქრებინა ამაზე და მომიტევეთ ეს მოუფიქრებლობა; ადრევე მინდოდა წასვლა, მაგრამ რაღაც აემა სულმა დამაკავა, — დავუმარე ლიმილით დათავი დავუკარი. გრაფმა ხელი ხელს მომიჭირა ისეთის გრძნობით, რომ ამით ყველაფერი გამოთქა. მე სიამოვნებით დავტოვე ბრწყინვალე საზოგადოება, ჩაეჯექი კაბრილეტში და გავსწიე მ...სკენ, რომ იქ სერიდან, მზის ჩასვლისათვის მემზირა და მეყითხა ჩემი ჰომიროსის ის ადგილი, სადაც ულისს ჩინებული მელორე უმასპინძლდება. ეს ყველაფერი კარგათ მოეწყო.

სალამოს დავბრუნდი სავახშმოდ. სასტუმრო ოთახში ცოტანი-ლა დარჩენილიყვნენ: კუთხეში სუფრა-გადაძრობილ მაგიდას შემოსხდომოდენ და კამათელს აგორებდნენ. ამ დროს შემოდის პატიოსანი ა... იხდის ქუდს, შემომხედაეს, მოდის ჩემთან და მეუბნება ჩუმად:

— უსიამოვნება შეგემთხვეა?

— მე?

— გრაფს სახლიდან დაუთხოვნიხარ.

— ერთხა! — მივუგე მე,— სასიამოენოც იყო ჩემთევის, რომ წმინდა ჰაერზე გამოვედი.

— კარგია, რომ აგრე აღვილად იტან ამ ამბავს,— სთქვა მან.

მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ყველგან ამიზე ლაპარაკობენ. ამ ამბავმა მეტად მატკინა გული. მეგონა, რომ ყველა, ვინც კი სუფრასთან მოვიღოდა და შემომხედავდა, ამ შემთხვევის გამო მიყურებდა. ამან სისხლი ამიშეოთა.

სადაც კი მიველ დღეს ასე მეგონა ყველგან მიბრალებენ, და გავიგონე, რომ მოშურნენი გაიძახიან: დახეთ, სადამდის მი-

დის, თავგასულობა იმ ვაუბატონთა, რომელნიც თავისს პატაწინა თაეს მაღლა სწერენ და ჰეონიათ, რომ უფლება აქვთ გადათელონ ყოველივე დამოკიდებულებანი და სხვა. ამგვარი ყეფა ძალლებისა, რომ მესმას... მაშინ მზადა ვარ დანა დავიცე გულში. ჩაც უნდა თქვათ ადმინის თავისუფლებაზე და სხვების შეხედულებებისაგან დამოუკიდებლობაზე, მინც დარწმუნებული ვარ, რომ არავინ არ მოათმენს, როცა ბრიყვნი მის შესახებ ცუდს ხმებს ავრცელებენ და უფრო მაშინ თუ ამ ხმებს საფუძველი აქვს. თუ კი მაგი ყბედობა უსაფუძვლოა მაშინ მათი ატანაც უფრო ადეილია.

## 16 მარტი.

ყველაფერი მტანჯავს დღეს. შეკვედი ხეივანში ქალიშეილს ფონ ბ.-ს, ვერ მოვთმინე და გამოველაპარაკე; როგორც კი დავშორდით დანარჩენ საზოგადოებას, მაშინათვე ვაგრძნობინე, თუ როგორ მაწყეინა მისმა უკანასკნელმა საქციელმა.

— ო, ვერტერ,—მითხრა მან,—როგორ შეგიძლიანთ ჩემი მაშინდელი არეულობა მაგნაირად ახსნათ, როცა კარგათ იცნობთ ჩემს გულს! ო, რამდენი ტანჯვა გამოვიარე თქვენი გულისთვის დარბაზში შემოსელის უკან. მე ყველაფერს წინდაწინვე ვხედავდი და ათასჯერ მოვინდომე მეთქვა ყველაფერი თქვენთვის. ვიცოდი, რომ ქალბატონები ზ. და ტ. თავიანთ შეუღლებითურთ არას გზით არ დარჩებოდნენ თქვენთან ერთად ერთს საზოგადოებაში. ისიც ვიცოდით, რომ გრაფი ვერ გაუწევდა მათ წინააღმდეგობას... მეორეს მხრით ეს მითქმა-მოთქმა!.. „როგორ, ქალბატონო?“ — შევძახე მე ფარულის შიშით; ამ წამში ყველაფერმა, რაც გუშინწინ მითხრეს, მდუღარე წყალივით დამიარა ძარღვებში.

— რა ძნელი იყო ჩემთვის ამის ატანა! — მითხრა ტკბილმა ქმნილებამ და თვალებზე ცრემლები მოადგენ. მე თაეს ვეღარ ვიკავებდი და მზად ვიყავი დავცემულიყავი ძირს, მის წინ.— „თქვით ყველაფერი“ — ეუთხარი მე. მის თვალთაგან ცრემლები



გადმოცვინდა. მე გონებას ვკარგავდი. ცრემლები მოიშმინდა, თუმცა არა ცდილობდა მათს დაფარვას.—

— თქვენ იცნობთ დეიდაჩემს.—დაიწყო მან—ისიც იქ იყო და ოო, რა თვალებით უყურებდა ამ ამბავს! ვერტერ, წუხელ და დღეს დილას მისგან მთელი ქადაგება მოვისმინე შესახებ ჩემი თქვენთან დამოკიდებულებისა! უნდა მესმინა როგორ გამდაბლებდენ და გამცირებდენ და არ შემეძლო, ვერ ვბედავდი თქვენს სავსებით გამართლებას.

ყოველი მისი სიტყვა ლახვარივით მესობოდა გულში. ვერა გრძნობდა, თუ რა მოწყალება იქნებოდა ჩემთვის ყველაფრის ამის ჩემგან დაფარვა. ამას ისიც მიუმატა, თუ შემდეგ რას იტყვიან, თუ როგორის ტრიუმფით შეხვდება ამ ამბავს ერთი დარგი აღამიანთა; როგორ გაახარებს მათ ჩემი ასეთი სასჯელი სიამაყისათვის, სხვათა დამცირებისათვის, რასაც დიდიხანია მისა-ყველურებენ. ვილპელმ, ამის მოსმენა მისგან, რომლის ხმაშიაც ჭრიარიტი თანაგრძნობა გამოსჭვერდა... სული ჩემი ლელავდა და, ჯერაც არ დაწყნარებულა ჩემი შფოთვა. ნეტა ვინმე გაბე-დავდეს ჩემს გაკიცხვას, რომ გავგმირო იგი ხმლითა; იქნება სისხლის დანახვამ, ცოტათი მაინც შემისუბუქოს ტანჯვა. ახ! ათასჯერ ამიღია დანა ხელში, რომ გზა მიმეცა ამ შეხულული გულისითვის. გამიგონია, თურმე არიან ისეთი ჯიშის ცხენები, რომელნიც ხანგრძლივი ჭრებით გახურვებულნი ინსტიქტიუ-რად კბილებით ძარღვს იხსნიან სულთქმის გასაადვილებლად. მეც ასე მემართება ხშირად: მინდა გავიხსნა ძარღვი და მოვი-პოვო საუკუნო თავისუფლება.

## 24 მარტი.

სასახლიდან დათხოვნა მოვითხოვე და იმედია მივიღებ:— მომიტევეთ კი, რომ თქვენთვის ნებართვისათვის არ მომიმართავს. უსათუოდ უნდა წავიდე; თქვენ რაც გქონდათ სათქმე-ლი შესახებ ჩემი დარჩენისა სამსახურში, წინდაწინავე ვიცო-დი... გადაეც დელაჩემს რაც შეიძლება უფრო რბილათ, რომ მე ჩემს თავს ვერ ვშველი, და ნუ გაჯავრდება თუ ველარც.

## გერტერი

შას ვუშველი. თქმა არ უნდა, რომ ეს ამბავი მას შეაწეობს. ძნელია მისთვის დანახვა, რომ ის გზა, რომელსაც, მისა შვილი პირდაპირ ელჩობისაკენ და უმაღლეს ხარისხისაკენ მიჰყავდა, უეცრად შესწყდა და ეხლა მისი შეილი უკანვე მოჩანჩალებს, სახელრით თავლისაკენ. ეხლა რაც გსურდეთ ისა ჰქენით, დააწყვეთ ათასგვარი კომპინაციები, რომელთა მიხედვითაც მე შემეძლო დარჩენა ამ ადგილზე... კრარა, მე მივდივარ. რათა იცოდეთ სად მივდივარ, გეტივით, რომ აქ არის თაეადი XX, რომელსაც ჩემთან ყოფნა ძლიერ ესიამოვნება. როცა გაიგო ჩემი განზრახვა, მოხოვა წავყოლოდი მას მამულში და იქ გამეტარებინა მასთან გაზაფხული; სრული თავისუფლება აღმითქვა და რაკი ერთმანეთისა გვესმის, ვცდი ბედსა და წავყვები.

## დამატება.

19 აპრილი.

გმაღლობ ორივე წერილისათვის. არ გიპასუხე და ეს ბარათი ამდენი წანი არ გამოგიგზაუნე, რადგან სასახლიდან ჩემის დათხოენის ქალალს მოველოდი. მეშინოდა, რომ დედაჩემი მიჰმართავდა მინისტრს და ჩემი განზრახვის შესრულებას გამიძელდებოდა. აწ კი შესრულდა და ჩემი დათხოვნაც ხელში მაქს. არ გატყობინებთ, თუ რა ძნელი იყო მათვის ჩემი დათხოვა და რასა მწერს მინისტრი; არ გატყობინებთ ამას, რადგან ვიცი, რომ ხელ-ახლა ასტეხთ ერთ ამბავს და მოჰყვებით გოდებას... მემკვიდრემ ოც და ხუთი დუკატი კამომიგზავნა და თანაც ისეთი სიტყვა, რომ ცრემლები მომგვარა. ასე რომ, აღარა მჭირდება ის ფული, რომელსაც ამას წინად გთხოვდით.

5 მაისი.

ხვალ მივდივარ აქედან. მინდა ვნახო ჩემი სამშობლო სოფელი, რომელიც სულ ექვსი მილის მანძილზე ძევს გზიდან,

მინდა ძეველი, ბედნიერი, სიზმარივით მიმქრალი დღეები მოვი-  
გონო. მინდა იმ ჭისკარში შევიდე, რომლიდანაც დედა-ჩემი  
ჩემთან ერთად გამოეიდა, როცა, მამიჩემის სიკვდილის უკან,  
ეს საყვარელი ადგილი მიატოვა და მაგ აუტანელ ქალაქში  
ჩაიკეტა. მშეიდობით, ვილპელმ! მგზავრობის ამბავს შემდეგ მო-  
გწერ.

9 მაისი.

მოგზაურობა ჩემს სამშობლოში შევასრულე დიდის სასო-  
ებით, ვითარცა პილიგრიმმა, და ბეკრმა მოულოდნელმა გრძნო-  
ბებმა შეიძყრეს ჩემი სული. დიდ ცაცხებთან, რომელნიც ქა-  
ლაქიდან თხუთმეტი წუთის მანძილზე არიან, შევაჩერები-  
ნე გტლი, გადმოვხტი და ეტლი წინ გავუშვი, რათა ქვეითათ  
წავსულიყავ და ყოველ მოგონებით ხელ-ახლა გულიანად  
დავმტკბარიყავი. ვიდექი ცაცხებ ქეშ, რომელნიც ოდესლაც,  
ბავშობის დროს ჩემი სეირნობის მიზანი და საზღვარი იყვნენ.  
რა განსხვავებაა! მაშინ უკადინარობით ბედნიერი, ოცნებით  
ველტოდი იმ უცნობ მხარეს, სადაც ვიმედოვნებდი გულის  
საზრდოს და ნეტარების პოვნას და ნატვრობით აღსაესე სუ-  
ლის დაკმაყოფილებას... ახლა ვბრუნდები იმ შორეულ მხარი-  
დან, მეგობარო, ახ, რამდენი გაცრუებული იმედებით, დარ-  
ღვეული გეგმებით! — ჩემს წინ ვხედავ მთას, რომელიც ოდეს-  
ლაც ჩემი ნატვრების საგანი იყო. ვიჯექი ხოლმე აქ მთელი  
საათობით და ვნატრობდი მთის გადალმა გადასვლის და სული  
ჩემი, შინაგანი ჩემი არსება იკარგებოდა იმ ტყეებში და ხევებ-  
ში, რომელნიც ასე საყვარელათ გამოიყურებოდენ, და როცა  
დანიშნულ დროზე სასწავლო ოთახში უნდა დავბრუნებული-  
ყავი, რა ფრიად მენელებოდა ამ საყვარელი ადგილის მიტო-  
ვება!

ქალაქს მიეუახლოვდი; დიდი სალმით ვეგებებოდი ყოველს  
ძველს ნაცნობ სახლს, ახლები კი მეჯავრებოდენ, როგორც  
საზოგადოთ ყოველი ცვლილება. — შევედი ჭისკარში და წარ-  
სული აწმუნდ შეიცვალა. წვრილმანებს არ აგიწეს, რადგან ისეთ

## გერტერი

აღტაცებაში ვიყავი და, რომ შოგიყვე მოთხრობა, ერთ ფეროვანი გამოვა. გადავწყეტე დაბინავება ბაზარში, ჩევნს ძველ სახლთან. გზაში შეენიშნე, რომ ის სკოლა, რომელშიაც ერთი პატიოსანი მოხუცი დედაკაცი ბავშვებსა გვწრონიდა, საჭვრილმანო დუქნად გადაქცეულიყო. მომავალი მოუსვენრობა, ცრემლები, მწუხარება და შიში, რომელნიც ამ ჯურლმულში გამომივლია. ყოველი ნაბიჯი შესანიშნავი იყო. ვერცერთი პილაგრიმი ვერ იპოვნის წმიდა აღგილებში ამდენ რელიგიოზურ მოგონებათა აჩრდილთ და მისი სული ვეჭვობ, რომ იყოს აღსავს ასეთი წმიდა ჩლელვარებითა. — აი ერთი კიდე სხვა ათას-ში. ჩავყევი მდინარეს ერთს ეზომდის. ეს ოდესლაც ჩემა გზა იყო და აღგილიც, სადაც ბავშვები ვიკრიბებოდით და ვარჯიშობდით მდინარეზე კენჭების სროლაში. გარკვევით მომავალი, როგორ ვიდექი ხოლმე აქ და თვალს ვადევნებდი მდინარის ტალღებს საუცხოვო გრძნობებით და წარმოეიდგენდი იმ უმცნაურ აღგილებს, რომლებიც ამ წყალს უნდა გაევლო, მერე ჩემს წარმოდგენითი ძალის საზღვარი ედებოდა, მიგრამ მაინც მივდიოდი ოცნებით უფრო შორს, შორს, სანამ ბოლოს არ ვიკარებოდი უხილავი სიშორეში. — დახე, მეგობარო, ასე შეზღუდულნი და ასე ბედნიერნი იყვნენ ჩევნი ჩინაპარნი! ასე ბავშვური იყო მათი გრძნობა, მათი თხზულება! თუ უღირსი განუზომელ ზღვაზე ლაპარაკომს, ეს ისე ჟეშმარირია, ადამიანური, წრფელი, ვიწრო და საიდუმლოებით სავსე, რას ვაჭნევ ჩემს ცოდნას, რას მშევლის ის, რომ ყოველ მოსწავლე ბავშვთან ერთად შემიძლია გავიმეორო, დედამიწა რგვალი არის-თქო? ადამიანს მხოლოდ რამდენიმე ბელტი მიწი სკირდება, რომ მაზე იცხოვროს ბედნიერათ და ამაზე ნაკლებიც, რათა მის ქვეშე განისვენოს.

ახლა აქა გარ, თავიდის სანადირო კოშკში. ამ ადამიანთან ცხოვრება შესაძლებელია, რადგან იგი უბრალოა და წრფელი. გარს საოცარი ხალხი ახევვია, რომელნიც ვერ შემიგნია. ისინი არ ჰვანან ვაიძვერებს, მაგრამ არც პატიოსან ადამიანთა შეხედულობა აქვთ. ხანდახან პატიოსნებად მეჩვენებიან,

ნდობით კი მაინც ვერ ვენდობი მათ. მე კიდევ ისიც მაშტაცებს, რომ თავადი ხშირად ისეთ საგნებზე ლაპარაკობს, რომელზე-დაც მხოლოდ გაუგონია და ან წაუითხავს რამე და ლაპარაკობს ისე, როგორც ისინი მას სხვამ წარმოუდგინა. ჩემს ნიჭისა და ჰკუასაც უფრო აფასებს, ვიდრე ჩემს გულს, რომელიც ხომ ჩემი ერთად-ერთი თავ-მოსაწონებელი საკანია, რომელიც ერთად-ერთი წყაროა ყველაფრისა, ყოველი ძალისა, ყოველი ნეტარებისა და ყოველი უბედურებისა. ახ, რაც ვიცი, ის შეიძლება სხვამაც იცოდეს, ეს გული კი მარტო ჩემია.

25 მაისი.

ერთი განზრახვა მქონდა, რომლის გამხელა არ მინდოდა თქვენთვის, სანამ მას არ განვახორციელებდი, მაგრამ ახლა სულერთია, რაღაც არა გამოვიდა-რა. მინდოდა ლაშქარში წასვლა; დიდი ხანია იქითკენ მწევდა გული. თავადსაც იმისთვის უფრო გამოვყენ, რომ ის სარდალია \*\*\*-ს სამსახურში. ერთხელ, სეირნობის დროს გავუმხილე მას ჩემი განზრახვა. მან არ მირჩია და მეც ადვილად დავეთანხმე, რაც იმის ნიშანია, რომ ეს ჩემი სურვილი არ იყო, ჩემი სულის ნამდვილი მოთხოვნილება.

11 ივნისი.

რაც გინდა სთქვი, მე აქ დარჩენა აღარ შემიძლია. რა მაქვს აქ? დრო ასე გრძლად მეჩვენება. თავადი ჩინებულად მე-პყრობა, მაგრამ მე მაინც ჩემს ქერქში არა ვარ. საფუძვლიანად რომ გავშინჯოთ, ჩვენ არა გვაქვს-რა საერთო. იგი ვონიერი ძალიანია, მაგრამ გონება მისი სულ ჩვეულებრავია. მასთან ბაასი იმდენათვე მართობს, როგორც კარგად დაწერილი წიგნის კითხვა. ჩვა დღე კიდევ ვიქმნები აქ, მერე კი მოვყენები ისევ ხეტიალს. თუ რამ კარგი გავაკეთე აქ, ეს ისევ მხატვრობაა. თავადს განვითარებული გრძობა და გემოენება აქვს, მაგრამ საუბედუროდ შესაბრალის ფარმალიზმით და ჩვეულებრივის ტერმინოლოგით არის შეზღუდული. ხან და ხან სიბ-

## გერტერთი

რაზით კბილებს ვაღრვენდი ხოლმე, როცა მე თბილი წრფე-  
ლი გრძნობა ბუნებისადმი და ხელოვნებისადმი მომერევა და  
ის კი ჰერნია—კარგს ვშვრებით, გაცვეთილ რამე ტერმინს  
იხმარო.

16 იუნისი.

დიალ, მე მგზავრი ეარ, პილიგრიმი ეარ ქვეყანაზე! აქენ  
კი რამე მეტი ხართ?

18 იუნისი.

საითქვნ ვაპირობ წასვლას? გამოგიტყდები, როგორც მე-  
გობარს: თოთხმეტი დღე აქ დავრჩები, მერე \*\*-ს მაღნები უნდა  
ვნახო; ნამდვილად კი საჭმე ამაში არ არის: მე მინდა ლოტ-  
ტასთან ახლოს ვიქნე, ეს არის და ეს. დავსცინი ჩემს საკუთარ  
გულს და ვასრულებ მის ნებას.

29 იუნისი.

არა, კარგია! ყველაფერი კარგად არის! — მე — მისი ქმარი!  
ოჲ, ღმერთო ჩემი, შემომქმედო, რომ ეს ნეტარება მოგევლი-  
ნა ჩემთვის, მთელი ჩემი სიცოცხლე იქნებოდა განუწყვეტელი  
ლოცვა. მე არა ვჩივი და შემინდევ ეს ცრემლები, შემინდევ  
ჩემი უნაყოფო ნატევრები. ის ჩემი ცოლი! უსაყვარლესი არსე-  
ბა მთელს ცის ქვეშეთში, რომ გულზე მიმეკრა... მთელს ტან-  
ში შეშის ურუანტელი მივლის, როცა ალბელტი მას წელში  
ხელს მოავლებს ხოლმე.

ვთქვა? ან და რატომ არა, ვილჭელმ? ლოტტა ჩემთან  
უფრო ბეღნიერი იქნებოდა, ვიდრე მასთან! ოჲ, ალბელტი ისე-  
თი ადამიანი არ არის, რომ შეიძლოს იმ გულის ნატევრათა  
სავსებით დაკმაყოფილება. რაღაც გრძნობიერების ნაკლულობა,  
ნაკლულობა... იფიქრე, როგორც გინდა... მისი გული თანა-  
გრძნობით არ ტოვავს, ოჲ... წიგნის ამ აღვილზე, რომლის წა-  
კითხვის დროს მე და ლოტტას გული ერთმანეთს ხვდებიან,  
ესევე ხდება ათას სხვა შემთხვევაშიაც, როცა მიღავნდებიან

କୁର୍ଯ୍ୟରେ ଗର୍ବନବ୍ୟବୀ ଶ୍ରେଷ୍ଠ ମେସାମ୍ଭ କୌରିଳ ମର୍ମଦେହିଲା. ଦେଇରତ୍ନାଳି  
ବିଲକ୍ଷେଣିଲା!.. ମାଗରାମ ଅଲ୍ପଦେଖିଲା ଉପ୍ପାରୁ ଇଗି ମତେଲିଲି ଶୁଣିଲା ତା  
ଗୁଣିତ ଲା ବସେଟିଲା ଶ୍ରୀପାରାମଜୁଲି ରିଲି ଲିଲିଲି ଏହି ଏହି!

ଯରତମା ଆସିଥିଲା କାପମା ଶ୍ରୀମାର୍ତ୍ତିଷ୍ଠାତିନା. ପ୍ରକ୍ରିମିଲ୍ଲେବି ଶ୍ରୀମା-  
ଶର୍ମନ. ମେ ଗାସେରିଲେ. ମହାପିଲାବିତ ଦେଇରତ୍ନାଳି!

o—6

(ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ପଦମାର୍ଥ)

ერთ გამო მისა მო და  
ერთ გამო მისა მო და  
ერთ გამო მისა მო და  
ერთ გამო მისა მო და

## გ ე მ რ დ გ რ მ ბ ს

ნრდილოეთის ქარმა დაჭპერა,  
ტემ იძარცება, ხუნდება მდელო,  
იყო ზაფხული — არ ვიუვავილეთ,  
გვიანდა ნანთბ რს, საუკარელო!

ჩამშენარ უვავილებს უვითელ ბალახში  
დასცექერის გარდი გატიტველებული,  
ცვიგა ფოთოლი — ცვიგა ცრემლები,  
მთა გვინესის მწარედ უტირის გული!

რა შიშველ ხეებს ცივი ნიავი  
მიმშენარ შტოებში გამოურბენავს,  
და ფოთოლს შეცდილს ასაღ წელულებზე,  
შეუბრალებლად დაჭპრავს, დაჭპბენავს,

ტოტი ტოტს ხედება, უელზე ესვევა,  
ჩასხურჩელებენ ერთმანეთს გვინესით,  
თითქთს უბედურთ გადახვეულებს,  
ჭისურთ მოვედნენ ერთათ ტებილის ალერსით

მსოდლოდ მუხა-კი, ბებერი მუხა,  
გათცებული აქნევს გინწერის,  
უეურებს მაღლა, ამბავს აბარებს  
თბილის ქვეენისგენ მიმფრინავს წერს.

წეაროვ, მატარავ, დალო, ანგარავ,  
სად არის შენი მღერა წერიალი?  
ცელქო, ვარდს ნექტარს ვედარა ჭიშარავ,  
მოგაჭდა უვავილო ხეები ტრფიალი!

ଠିଂଗଲାକ୍ ଠିମାନ୍, ଗିର୍ବାଟ୍ ଫାଟ୍କୁଳା  
 ଏଣ୍ ଶେଷତାଙ୍ଗମାଦ ଗାଢାଏଉଗାଲା,  
 ଠିମାନ୍ ରା ଗିର୍ବାଟ୍ ଲାସାରିନାଲା  
 ଗିର୍ବାଟ୍ ଫିର୍ସିରୁଳାମି ମିର୍ବାର୍ଜ ଫାଲା,

ଗୁରୁର୍ ଶମିର୍ବାର୍ଜବଦା ରା ଶେଷତାଙ୍ଗମାଦ  
 ନିମିନ୍ ଶେଷର୍ବାର୍ଜ ଶୁଦ୍ଧରୁଳା ମନୋଲାଦ,  
 ରୁକ୍ଷ ଶାକ୍ ଯୁବର୍ଜନ୍ ଶେଷର୍ବାର୍ଜ ନିମିନ୍,  
 ନିମିନ୍ ଶମିର୍ବାର୍ଜ ଗାମର୍କରିଲାଲା!

### ୧୦. ପ୍ରଦିଷମ୍ବାଦା

୧୭ ନେପାଲମିଶ୍ରର୍.

# ც ი ს ა რ ტ ყ ე ლ ა!

(დღეგანდელი გარამი)

კომედია ოთხ მოქმედებად.

(მეოთხე მოქმედება ორ სურიათიდ)

წარმოსადგენნი პირნი:

სფარიდონ, შეძლებული კაცი	.	.	.	55 წლისა
სოფით, ამისი ცოლი	.	.	.	45 წლ.
მალხაზი, ამათი შვილობილი, კურს-დამთავრებული	.	.	.	26 წლ.
დამიტრი, მემამულე, პოლქოვნიკი სამსახურს გარეშე	.	.	.	60 წლ.
ევგენია, ამისი ცოლი, ძველი ლამაზი	.	.	.	48 წლ.
ელიკო, ამათი შვილი, ინსტიტუტ-დამთავრებული	.	.	.	18 წლ.
ანნა, ევგენიას გამზრდელი, ყრუ მოხუცი	.	.	.	70 წლ.
დათია დაუდგრომელაძესა	.	.	.	45 წლ.
ნიკო, აგრონომი	.	.	.	28 წლ.
ნადეჟა, კომანდორის ცოლი, კოხტა	.	.	.	30 წლ.
გამტორ გემტოროვიჩი, ბარონ დე კომბოსტინო, აფიცერი	.	.	.	26 წლ.
დათიკო მწევრაძე, ჩოხოსანი კეთილშობილი	.	.	.	27 წლ.

მოქმედება სწარმოებს: პირველი სოფელში, სფირიდონის სახლში,  
დანარჩენები ქალაქში (ტფილისში) დიმიტრის სახლში.

## პირველი მოძრაობა.

**სცენა:** სოფელი ზაფხულში. მამული სფირიდონისა. გარდას ბუჩქებით და სხვა ყვავილებით შემკული ბაღშა. სდგას სტოლები და ბადის სკამები. სახლი მარცხნივ არის (სცენიზან). შემოსავლელი გზა სცენის სიღრმეშია, საიდანაც ტერიტორია მოსჩანს.

### პირველი სანახავი

**სფირიდონ.** (ზის სტოლთან, გაზეთს გათხულობს, თან ჩაის სკამს. მიატოვებს გაზეთს, ჩაფიქრდება, მერე ადგება და მწმუნებარებით). ჯერ უბედურა დრეიჭუსის საქმეებმა გამოულაყეს მთელ ქვეყანას თავი, და ეხლა კიდევ საბრალო ბურების ბრძოლაშ! \*) რა არის, ღმერთმანი, როგორ არა რცხვენიან ინგლისს ამ პატარა ხალხის დაჩაგვრა! (დადის). ახირებულია, ოქენენმა მხემ, ინგლისელების უგუნურება და თავხედობა: როგორ გაბედა ამ ერთი მუქა მთიულების ბრძომ და ხელი შემოვეიბრუნო! მერე ვის? ჩვენ, დილებულს და უძლიერებს ინგლისელებსაო!... მიეცი ძლიერება და გამარჯვება ყოველ სუსტს, უბრალოდ და უმართლოდ ძლიერისაგან დაჩაგრულს... (ნიკა შემოდის).

\*) წარმომადგენელი დროის შესაფერ ამბავს იტყვის.

## ମେହର୍ଯ୍ୟ ସାନ୍ଦର୍ଭ

ପରିଚୟ ଓ ବିଷୟ

**ବିଷୟ.** (ଶ୍ରୀମତ୍ତବାଦିକାନ୍ତ). ଫିଲାମ୍ବିନ୍ଦିବିଶବ୍ଦିତ, ବାତୁନିନ୍ଦି!

**ଶକ୍ତିମାନ.** ଓଡ଼ି, ହେମି ନିଜି! ମନ୍ଦମାନଙ୍କି! (ଶ୍ରୀମତ୍ତବାଦିକାନ୍ତ) ଦାଖ୍ଯ-  
ଜି, ହେମି ନିଜି! (ଶ୍ରୀମତ୍ତବାଦିକାନ୍ତ) କାପା! ଏ ହାତ ଉତ୍ସର୍ଜ-  
ନିନାନ ବାଦରାଲା ଧୂର୍ଜ୍ବନ୍ଦି, ବିନିଦିନି ବାଦିଲା?!

**ବିଷୟ.** (ଭାବିତାକାରୀ) ମନୀଶ ଉତ୍ସର୍ଜ୍ବନ୍ଦିନାନ, ବାତୁନିନ୍ଦି, ହାତ ଗାଗି-  
ଗନ୍ଦିନାତ ଜାରିତୁଲି ଅନ୍ତର୍ଭାବ: „ପ୍ରିୟମାନ ମନ୍ତ୍ରିଲ୍ୟେ, ରା-  
ତ୍ରମ ଦିମା ଆରା ଗ୍ୟାଙ୍କିଲା! „ରା ବ୍ୟନ୍ଦା, ଆରା ମ୍ୟାଙ୍କିଲା“—,  
ମନୀଶ ଏହି ପିଲା, ଧୂର୍ଜ୍ବନ୍ଦିବାପାଇଁ ଏହି ଉତ୍ସର୍ଜ୍ବନ୍ଦିନାନ: ରାତୁନିନ୍ଦି  
ମହାତ୍ମାଙ୍କାରୀଙ୍କ ଆରା ଗ୍ୟାଙ୍କିଲା ଏବଂ ଲାଭନିଯରି ଆରା କାରି! ମାତ୍ର  
ହେମି ମନୀଶ ଉନ୍ଦା ପିଲାଗା...

**ଶକ୍ତିମାନ.** ଏ ଶ୍ରୀମତ୍ତବାଦିକାନ୍ତ ନାମିଲାବି! (ଶ୍ରୀମତ୍ତବାଦିକାନ୍ତ). ମାରିଲା, ନିଜି,  
ରାତ୍ରିକାର ଗାତ୍ରାତ୍ରାରେ ପ୍ରକାଶିତ ମେଜାଲିନିବି? ମାଲିନୀଙ୍କ  
ଶକ୍ତିମାନ ଏହି ଉତ୍ସର୍ଜ୍ବନ୍ଦିନାନ!

**ବିଷୟ.** ଫିଲାମ୍ବିନ୍ଦି ଏମିତି, ମାଲିନୀଙ୍କ ଦରକା ଗାଵାତ୍ମାରେ! ଫାଟିକାଳୀ ଏମ-  
ଦାଙ୍କି ହାତ ମନ୍ଦିରକୁଣ୍ଡଳିବାକାରି: ଏହି ଦାଗିବାତରିକ ମେ ଏବଂ ମାଲ-  
ିନୀଙ୍କି, ହାତ ଧିକ୍ଷିତମା ଦଲିଗୁଁ ମନ୍ଦିରକୁଣ୍ଡଳିବାକାରି ବାବଲିଶି.

**ଶକ୍ତିମାନ.** ଏହା ଫାଟିକାଳୀ?

**ବିଷୟ.** ହେବିନି... ମଧ୍ୟରୀଦ୍ୟ. ମେତ୍ରିଲ୍-ମେତ୍ରି ଦାଶୁରକାମମେଲିବା: ବାତୁ-  
ନିନ୍ଦି, ତ୍ରୈନିଶ୍ଚିଲିବା ତ୍ରୈ ମନ୍ଦିରାଲି, ମନ୍ଦିରିବା ତ୍ରୈ ମାଲାରି,  
ଶ୍ରୀମତ୍ତବାଦିକାନ୍ତ, ଲବିନିନିବାକାରି, ତମାଶିବାକାରି. ଦାରିଦ୍ର ଏବଂ ନାଲ-  
ଗ୍ରେଲି ମନୀଶ ଏହି... ନାମଦ୍ଵୀଲି ଧୂର୍ଜ୍ବନ୍ଦିନି ଉତ୍ସର୍ଜ୍ବନ୍ଦିନି  
ଶ୍ରୀମତ୍ତବାଦିକାନ୍ତ ପରିଚାରି.

**სფირიდონ.** მერე რა გამოვიდა?.. რატომ არა, ლხინი და დროს გატარება ყმაწეილი კაცისათვის ზოგჯერ და ზომაზე დასაძრახისი არ არის; მაგრამ გადაჭარბება კი, სწორე მოგახსენოთ, არაეისი მოსაწონი არ არის! არამც თუ მოსაწონი, გასაკიცხია... .

**ნიკო.** მაგას რაღა თქმა უნდა.

**სფირიდონ.** მაგის მამას კარგად ვიცნობდი; ძალიან რიგიანი კაცი იყო, და კარგი შეძლებაცა ჰქონდა. ეხლა, როგორც მესმის, მაგ თქვენ ჩინებულ დათიკოს მიუყვია მამულისათვის ხელი და იგირავებს და აგირავებს, რაც კი შეუძლიან, და ფულებს, ვინ იცის, რაში ფლანგავს.

**ნიკო.** მარტო დათიკო არ სჩადის ეგრე. საუბედუროდ საქართველოში ვისაც კი ცოტა რამ მამული აბადია, იმას ეშურება, რომ მალე დააგირავოს და შეჭამოს. ეს განსაკუთრებით ითქმის ჩვენს კეთილშობილებზე. იმათ მამულის დაგირავება სენად გარდაექცათ. ჩვენდა სამწუხაროდ, გულახსნით უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს, გახსოვდეთ, ბატონო, რომ მოგახსენებთ „დღეს“, — რომ დღეს ერთი უპირველეს მიზეზთაგანი ჩვენის, ე. ი. თავად-აზნაურობის, დაქვეითებისა და დაცემისა სხვათა შორის სათავად-აზნაურო სიადგილ-მამულო ბანკია. ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა!..

**სფირიდონ.** (წამოდგება, განცემითებით) ერიშა! ნასწავლი ყმაწვილი კაცი! რას ამბობ მაგასი? ნუ თუ მაგ აზრისა ხარ ჩვენ ბანკზე? ნუ თუ აქამდის არ დაჭკვირებისარ იმ მოვლენას, რომ ბანკი ჩვენში ჩვენის კეთილ-ცხოვრებისათვის ერთი უპირკელესი სახსარია?!

**ნიკო.** (ადგება) როგორ არა, ბატონო, დავკვირებივარ კადეც და განუშორებელი ფიქრიც ყოფილა ჩემთვის ჩვენ

ბანკზე ფიქტი, მაგრამ მაინც ერთი და იგივე დასკვა-  
ნა გამომიყვანია, რომ დღეს ბანკი ქართველ თავად-  
აზნაურობისათვის დამღუპველია.

**სფირიძონ.** (გულმოსული) ღვთის გულისათვის, ნულარ გაბედავ  
ჩემთან მაგის გამეორებას!.. დიდად ვსწუხეარ, რომ  
მაგ აზრისა ხარ, როდესაც ყოველი წარჩინებული  
ქვეყანა და ხალხი ამ გვარი ბანკების მოტრფიალენი  
არიან, ვინაიდან იგი, ბანკები არიან ერთად-ერთი სახ-  
სარი ხალხის კეთილდღეობისა და მხსნელი ეკონო-  
მიური დაცემისაგან...

**ნიგო.** (სინაწელის დამიღით) კიდეც ეგ მაწუხებს, რომ მაგ აზ.-  
რისა და მიხედულობისა გახლავართ. კიდეც მაგაზე  
მოგახსენებთ, რომ ბანკი, შეიძლება, ყველასათვის  
სასარგებლო იყოს, მხოლოდ ქართველებისათვის კი  
დიდი მავნე; კეალად მოგახსენებთ, დღეს. რისთვის?  
იმასაც მოგახსენებთ. არა მგონია, რომ დღეს კო-  
ტად თუ ბევრად გაგებული კაცი, განვითარებულს  
არ ვიტყო, მოიპოვებოდეს, რომ ბანკის დიდი მნიშვ-  
ნელობა არ ესმოდეს. ბანკი, კეშმარიტად, დიდებუ-  
ლი დაწესებულებაა; მაგრამ ბანკი იმას კი არ ნიშ-  
ნავს, რომ „ავიღე და ველარ მოგეციო“, რომ იტყ-  
ვიან. უშეტესი ნაწილი ჩვენის კეთილშობილებისა  
ასე სარგებლობს ბანკით. განა ეს ასე უნდა იყოს!  
ბანკი ის დიდებული უნგარო დაწესებულებაა, რო-  
მელიც აძლევს საშუალებას და ამასთანავე დიდ შე-  
ღავათს კაცს, რომ მან თავის მამულს ვალები ახა-  
ლოს, გაალამაზ-გაამშვენიეროს, კიდევაც სხვაც, რამე  
შეიძინოს და ბანკს მაღლობით დაუბრუნოს სესხი,  
და თმგვარად მამული არ ჩაუგდოს მოსისხლე ვაჭ-  
რებს ხელში. მერე ასე უყურებს ჩვენი თავად-აზნაუ-  
რობა ბანკს? არა. მამულს რომ დააგირავებენ და  
ფულს აიღებენ, ბევრს დიდ სირცხვილად მიაჩინიათ,

რომ ქალაქს გააცილონ ეს ფული, და აქვე რესტო-  
რანებში და სასტუმროებში ვარხალალოს ძახილით  
გაამტვერებენ ხოლმე. ამ გვარიდ ფულიც ამაოდ მი-  
დის და მამულიც იყარგება. აი ამაზე მოგახსენეთ,  
რომ დღეს ჩვენი ბანკი უფრო მავნეა, ვიდრე სასარ-  
გებლო.

**სფინჯიდონ.** ახირებულია, თქვენმა მზემ! მერე ვისი რა ბრალია,  
ჩვენ რომ ბედოვლათები ვიყოთ და სიკეთით სარ-  
გვბლობა არ ვიცოდეთ!

**ნიგო.** სამწუხაროც ეგ გახლავთ. თუმცა გონების თვალით, რომ  
შევხედოთ, არც ძალიან გასაკიცხია ჩვენი თავად-  
აზნაურობა, რომელიც იმ თავიდან, ე. ი. ბატონ-  
ყმობიდან, დაჩვეულია მუქთახორობას, უზრუნველო-  
ბას, სხვისი ოფლით ცხოვრებას, და, გარჯას და  
შრომას კი სრულიად არ არის მიჩვეული. აი მიზე-  
ზი თავად-აზნიურთა დაცემისა.

**სფინჯიდონ.** მაშ შენის აზრით უნდა გაუქმდეს ბანკი? ჰა?

**ნიგო.** უნდა გაუქმდეს, თუ კი რომ სახსარს ვერ მოვუძებნით,  
რომ დაუდევრობით და თავჭარიანობით დაგირავე-  
ბული მამა-პაპეული მამული სამუდამოდ ფულიან  
მცონართ არ დარჩეს.

**სფინჯიდონ.** მერე რა სახსარი გვაქვს განსაცდელი ავიცილოთ?

**ნიგო.** ეს სახსარია შრომა, სიმხნევე, გონების სიფხიზლე; ბან-  
კიდან გამოტანილი ფულის ჭკუით მოხმარება და  
არა წარა-მარად ფლანგვა. დღეს შეუძლიან იხეიროს,  
და ძალიანაც იხეირებს, ჩვენში, მხოლოდ საგლეხო  
ბანკი.

**სფინჯიდონ.** ეგ მითომ როგორ?

**ნიგო.** ისე, ბატონო, რომ გლეხი ბანკიდან ფულს მიი-  
ღებს, ის ქალაქში კი არ გაფლანგავს ამ ფულს; ხე-  
ლის კანკალით მიიტანს სახლში. თუ ვალი მართებს,  
გაისტუმრებს; მამულს შეიძენს და გაამშვენიერებს;

ତେଗିତାନ୍ତ ଶିଗ ହିଂଦୁଗ୍ରେହା ଏବଂ ନାତାନୀତ ମାନରିଷ୍ୟାଙ୍କୁ ମାମୁଲୀଙ୍କ,  
ରାମ ଶୈଖିନୀଙ୍କାଙ୍କି ଗାୟାତ୍ରେ ପରିପଦେଶ. ଫରନୀଥେ ଶୈରିତାନ୍ତି  
ବାନ୍ଧିଶି ତାଙ୍କି ଦା ସାରଗ୍ରେହେଲୀଙ୍କ, ଦା ରାମଦେବିନିମେ ଶିଳିଙ୍କ  
ଶୈଖିନୀ ନାଥାଙ୍କ ଗଲ୍ପେଖ-କାପୁ ଉଚ୍ଚାଳନୀଙ୍କ, ମହେନୀଜୀରି ମା-  
ମୁଲୀଙ୍କ ତାତିରାନ୍ତି ଦା ତାତୀନିନାଲ ମହେନୀରେହାଙ୍କ. ଏହି ରା  
ନିଶାନ୍ତି ଉମିକଣ୍ଠିଙ୍କିଲା ଦାନ୍ତିରି!..

ସଫଳିତାକୁ. ଏହିପରି ମାରିତାଲିବା. (ମାଲକାଙ୍କ ଶୈଖିନୀଙ୍କ).

ଶୈଖିନୀଙ୍କ ସାନାକାଙ୍କ

ପିନ୍ଧିନୀଙ୍କ ଏବଂ ମାଲକାଙ୍କ ଶୈଖିନୀଙ୍କର ପିନ୍ଧିନୀଙ୍କର.

**ମାଲକାଙ୍କ.** (ଶୈଖିନୀଙ୍କ). ଓତ୍ତି, ନିକୁଳ, ଗାମାର୍ଜନବା! (ଶୈଖିନୀ ଆତମିଷ୍ଟିକ).  
ନେଇବା. ଗାମାର୍ଜନବା, ମାଲକାଙ୍କି କାପୁ, ଅମଦେବ ବାନ୍ଧି ଗମିନାଙ୍କି?

**ମାଲକାଙ୍କ.** ଏହା, ଯିବ ଗିତକରା? ଲକ୍ଷ୍ମୀ ହିଂଦୁଗ୍ରେହରିବିନ୍ଦୀ ଅଧରେ ଗାୟା-  
ଲ୍ଲବିନ୍ଦୀ ଏବଂ କାବିନ୍ଦୀରିଶି ପରିପଦେଶ: ମାମାମ ରାମାପ ତଳା-  
ନ୍ଦେଶି ଏବଂ ହିଂଦୀ ଗାୟାର୍ଜେଶୁଲନୀଙ୍କ ଲାଗୁତାର. ଶିଳ୍ପୀଙ୍କ ମହିମା  
ପାଇଁ ଗାଲାଶାହିର୍କାନ୍ଦୁ, ମହିମାଙ୍କାନ୍ଦୁ...  
ନେଇବା. ମହିମାଙ୍କାନ୍ଦୁ, ମହିମାଙ୍କାନ୍ଦୁ, ଏହି ଗାୟାର୍ଜେଶି. ସାନାମ କି ନାଥବାମଦିଲି, ପୁରୀ  
ରୀ ସାଜିମେ ମାଜିବେ.

**ମାଲକାଙ୍କ.** ସାମିତ?

**ନେଇବା.** ମିଶେଇଲି ଶୈଖିନୀଙ୍କର, ରାମ ପ୍ରେରମା ଦାୟାତ୍ମକାଲିନୀରିନ. ମିନଦା  
ତାତାରା ବାନ୍ଧି ବେଳିବିନିନ.

**ମାଲକାଙ୍କ.** ମେ ବେଳ ବିପ୍ରାଗ୍ରି, ଦାଲିନାନ କାରଗାଲ ମହିମାର୍ଯ୍ୟାନି. ପ୍ରେଲାନ୍ତି  
ପ୍ରେଲାନ୍ତି ଏବଂ ମହିମାର୍ଯ୍ୟାନି, ରାମ ସାଦାଲାନିନ ସାଦାଶିବାଲେଶ-  
ଲୀଙ୍କ ରାମଦେବିନିମେ ଶୈଖିନୀରି ଅମାମୁକ୍ତାନିନ ମତେଲି ଶାତ୍ରୀ-  
ଶାତ୍ରୀଲନୀଙ୍କ ଏବଂ ଅମାମୁକ୍ତାନିନି. ଉନ୍ଦା ନାଥନ, ରାମନାନ  
ଶିଖିନୀଙ୍କ ଏବଂ ଗୁଲା-ମାଲକାଙ୍କ ମହିମାର୍ଯ୍ୟାନି ମହିମାର୍ଯ୍ୟାନି ତାତାରା  
ମେଦାଲେଶେବି: ଶିଳ୍ପି ପ୍ରେଲାନ୍ତିଙ୍କି ଉଚ୍ଚାଳନୀଙ୍କ, ଶିଳ୍ପି ବେଳିନୀଙ୍କି  
ଶିଳ୍ପି ପ୍ରେଲାନ୍ତିଙ୍କି କ୍ଷେତ୍ରକାନ ଦାୟାତ୍ମକାଲିନି... ଶିଳ୍ପିରେ  
ସାମିତ.

**ნიკა.** ეგ მართლა, რომ ჩინებული აზრია. რამდენი ობოლი და ღარიბი შეგირდია, რომ ამოიყვანონ ხოლმე ჩვენმა მემამულეებმა ზაფხულობით, დათხოვნილები როცა არიან, ოჩგვარ სიკეთე იზამენ: კეთილს და სასარგებლო საქმეს. ნახვამდის. (მიდის).

**მაღაზაზ.** სადილად გელი.

**ნიკა.** (შორიდან). სიტყვას ვერ მოვცემ.

**სფირიძენ.** მომეცი აქ ეგ დოკუმენტები. სულ გადაშინჯე? მაღაზაზ. თითქმის სულ. (სტოლზე დაუწეულს ქადალდებს).

**სფირიძენ.** (შინჭავს ქადალდებს). ჰო, თითქმის ყველაა. კი- დევ გვაქვს მთაში ახალი შეძენილი სათიბები და ცოტაოდენი ტყე... ახლა რას გვტყვი: წაიყოლიე მოურავი და შენი თვალით ნახე ყველა მიჯნები. ესეც უნდა იცოდე, რომ ჩვენი მამული უეალოა. ჩვენი კი მართებთ სხვებს. ნაღდი ფულიცა გვაქვს. შენა ხარ დიდი ქონების პატრონი. მოიხმარე, შვილო, ჭკუით; იყავი ქვეყნისა და ხალხის მწე და სასარგებ- ლო. მე დავიღალე მუშაობით და მოსვენება მინდა. ამიერიდან შენა ხარ ჩვენი და ჩვენის ოჯახის პატრო- ნი. (დადის).

**მაღაზაზ** (მტკიცედ). ვეცდები ამაგი დაგიფასოთ, მამა ჩემო! მე ბედ- ნიერი ვარ არა იმითი, რომ დიდი შეძლება მაქვს, არა- მედ იმითი, რომ მე შემეძლება, ჩემი შეძლების და- გვარად, დავეხმარო ჩემს ქვეყანას და მოძმეთ.

**სფირიძენ.** გმადლობ მაგ მიმართულებისათვის: კაც აღამაღ- ლებს და აკეთილშობილებს მამულისა და მოძმის სი- ყვარული... (დადის.) კიდევ რა უნდა გითხრა, შეი- ლო მალხაზ: რადგანაც დღეიდან ჩვენი მამულის გამ- გე-პატრონი შენა ხარ, ამიტომ ეხლავე გადავწყვი- ტოთ ერთი საქმე: შენ კარგა იცი ჩემი ძმის-წულე- ბის ხელ-მოკლეობა; ჩენდა სასახელოდ და მათდა სასიკეთოდ, ეხლავე გადავუჭრათ, რაც გვემეტება და უფრო დამშვიდებული ვიცხოერებთ.

## ცისარტუელი

**მაღვაწ.** როგორც გნებავთ, მამავ! თუ გინდათ, შუაზე გაყავით  
ქონება. აბა, ჩემი ბიძა-შვილებისათვის რას დავიშუ-  
რებ...

**სფირადონ.** რათა, შვილო! მამა-პაპეული მე არა დამშეთენია-  
რა. რაცა გვაქვს, ჩემი შეძენილია... (შედგება.) თით-  
ქმის შენი უფრო...

**მაღვაწ** (გავირევებული). როგორ, ჩემი! (ჯიმილია) ჩემზე ხარჯის  
მეტი რა მოგსვლიათ!

**სფირადონ.** ჰო... რაც არის... სჯობს, რაც გვინდა, მივცეთ და  
მოეისვენოთ...

**მაღვაწ.** როგორც გნებავდეთ.

**სფირადონ.** ჰო, ასე სჯობია. (შემოდის სოფიო).

## მეოთხე სანახავი

იგინივე და სოფია (შინაურებულად სუფთად ჩატრები).

**სოფია.** აქა ხართ? მე კი მითხ'ეს, ბოსტნისაკენ გაისეირნესო.  
(ჭრას მოუკდება) სად ინგბებთ სადილს?

**მაღვაწ.** სალხინოში, დედა, სალხინოში. ცოტა კი დავიცადოთ,  
ნიკო მოვა. (ხელზე ჭროცნის).

**სოფია.** (თავზე ხელებს მოჭებეს და ჭკოცნის) მოეიცადოთ, შვი-  
ლო, ჯერ მაინც ადრეა.

**სფირადონ.** (ქადალდებს აწევს) კაი დროს მოხვედი. მინდა, ჩე-  
მი ქონება გავაცნო ამ ვაებატონს; დროა, შეუდგეს  
შრომას... მაგრამ, ქალო... (შინჭავს) სოფიო! აქ ზო-  
გიერთ ქალალდს ვერა ვხედავ... შენ ხომ არა გაქვს  
შენახული? (მაღვაზს). შენ ხომ არათერი დაგრჩა უჯ-  
რაში?

**მაღვაწ.** არათერი, სულ ამოვალაგე.

**სოფია.** მეონია ყუთში მაქვს. აი, შვილო, მალხაზ, (კრიალო-

სანს აძლევს, რომელსაც რამდენიმე გასაღებია ახა. ) კა-  
მოდზე რომ სარკის ყუთია, ის გააღე, შიგ კიდევ სა-  
ღაფის პატარა ყუთია და იმაში არის.

**მაღალაზე** (კრისტოსანს ართმევი). ეხლავე! (შედის).

**სფინძლონ.** რას იტყვი, ქალო? მინდა, ეხლავე რამე მამული  
მივკე ჩემ ძმისწულებს; მეტი უსამართლობა იქნება,  
რომ უნუგეშოდ დავტოვო.

**სოფია.** რატომაც არა. ძალიან კარგს იზამ, შენმა გაზდამ!  
მალხაზის მაინც საკმარისი დარჩება. ამასთანავე კიდევ  
შეიძენს, გამრჯელია; კარგ მზიოთევს აიღებს... მარ-  
თლა, არ გითხარი, დილას კაცი მოგვივიდა, ძალია-  
ნა ცდილობენ, ომიანიე დაკვიმოყვრონ. მალხაზი ძა-  
ლიან მოსწონებიათ...

**სფინძლონ.** ვინ ომიანიძეა? დიმიტრი ხომ არა... რაღაც მახ-  
სოვს ახალგაზდობისას... სამხედრო სამსახურში იყო.  
(ფიქრობს).

**სოფია.** ჰო, დიახ... პოლკოვნიკია თურმე. ქალსაც ძალიან  
უქებენ...

**სფინძლონ.** მერე საიდან სადაო: ომიანიძე ხომ კახელია, აქ რა  
უნდა?

**სოფია.** დიახ, კახელები არიან, მაგრამ დიმიტრის ცოლი აქა-  
ურია, მწყერაძიანთ ქალი, გადაღმა სოფლიდან, ჩევნი  
გიერ დათიკოს მამიდაა... და იმასთან თურმე არიან  
სტუმრად.

**სფინძლონ.** ღმერთო! რამ გადამავიშყა! ჰო, ჰო, ეხლა კი მო-  
მაგონდა. მაგათი ამბავი მთელი რომანია. მახსოვს,  
მახსოვს!.. კიდევც იმიტომ დაგვპატიუა დათიკომ გუ-  
შინ. მაგრამ ჩვენ, რომ ვერ წავედით, ყმაწვილებს კი  
კარგი დრო გაუტარებიათ. აბა რას მოვიფრებდი,  
რომელი იყო დათიკოს მამიდა! რამდენი ხანია, ამ  
მხარეში არ გამივლია... მაშ კოხტა ევვენია ბძან-  
დება აქა?

## ცისარტეველა

**სოფია.** (დამიჭითა) დიიახ, კოხტა ევგენია! და იმის ქალს ცდი-  
ლობენ ჩვენი მალხაზისთვის. საშინლად აქებენ ქალს.  
სფირიდონ. კარგი ოჯახის შეილია დიმიტრი. (დარია გამოჩენდება).

## მეტუთე სანახავი

იგინივე და დარია, (რომელიც მეტად მედიდურობს).

**დარია.** (მარჯვენივ შემოდის ბაღჩიდან, იქიდანვე იძახის). გამარჯ-  
ვება თქვენი, ხალხნო! იპ, იპ, იპ! მტრედებივით არა  
ლულუნებენ. იშ-ქა! რით ვერ მოგწყინდათ ოცდა  
ათი წლის ერთმანეთის ყურება და ალერსი! (შემოდის).

**სფირიდონ.** იი, დაგწყევლა ღმერთმა! საიდან გაჩნდა ასე უც-  
ბად ეს ქარის წისქვილი!

**სოფია.** რას ემართლები, ქა! მოვიდეს, ღროს გაგვატარები-  
ნებს; რამდენი ხანია, არ მინახავს.

**დარია.** (მიუახლოვდება). მომილოცავს, ხალხნო, თქვენი შშვე-  
ნიერი მალხაზის დაბრუნება შვილობით, დღეგრძე-  
ლობით და დიდის სწავლა-განათლებით. (სოფიას  
ჭკოცნის, სფირიდონს ხელს ჩამოართმევს.) სად არის,  
გენაცვალეთ, მალხაზო, ერთი მიჩვენეთ. მშვენიერი  
ვაჟეაცი იქნება. სულ ბოლოს ღროს გენაზისტი მახ-  
სოეს.

**სოფია.** ეხლავე მოვა. დავიჯერო, სტუდენტობისას არ გინა-  
ხავს?

**დარია.** არა, შენ არ მოუკვდე დარიას.

**სფირიდონ.** ქალო, სადა ხარ დაკარგული, რომ შენი ვერაფე-  
რი ამბავი ვერ გავიგეთ?

**დარია.** არ იცი, ჩემო სფირიდონ, რომ არ მომასვენებენ? გა-  
მიგონია, რომ რუსეთში არის ერთი გაჭირვების ტალ-  
კვესიო—სპასოვიჩი, და საქართველოში კიდევ მე

ეარ: საცა ვინმე გასათხოეარი და დასანიშნია, მე უნდა მომატანონ...

**სფირიდონ.** (დამიღოთ). ქალო-და, სპასოვიჩი მაჭანკალი კი არ არის! ვექილია.

**დარია.** უი, დამიღგა თვალი! მერე მე რაღა მაჭანკალი ვარ? ვის ეკადრება! შუამავალი და მაჭანკალი სხვა-და-სხვა გახლავთ... ჩენს ღირსება და გვარიშევილობაში მა-ჭანკლობა ვის ეკადრება!

**სოფია.** მაინც სადა სეირნობდი, ან რამ გაფიქრებინა ჩვენი ნახევა?

**დარია.** როგორ თუ რამ მაფიქრებინა! თქვენზე მახლობელი ვინა მყავს? ცოლი ხარ ნათესავი და ქმარი.. ახლა, ქალო, რა გითხრა: მოელი ზაფხული კახეთში გა-ვატარე. მაგრამ რა ხალხი მეხვია გარს! რუსეთის ვრაფები და თავადები, მერე როგორ დიდებულია დალზრდილნი და მდიდარნი. ზრდილობას ხომ ვინ იტყვის! ხომ ვერაფერს ვერ დასწრობ: „აბა რას ინებეთ? რა გესიამოვნებათ“.... წარმოიდგინე, სო-ფიო, კალოშებსაც კი თითონ ჩამაცმევდნენ ხოლმე...

**სფირიდონ** (დაწინვით). დიდ აბებეში ჰყოფილხარ.. რუსის გრაფმა კალოშები მოგართვა!

**დარია.** (აპრეწვით). მაშ არა და თქვენი სახლი, რომ სახსეა ლვდლისა და დიაკვნის შეილებით და გლეხებითა,— იმათსას ევვანება! ვის ეკადრება!.. არც ევრე თავის დამცირება უნდა!

**სფირიდონ.** სულაც არა, თქვენმა მზემ! თავის დამცირებად კი არა, სიამაყედ მიმაჩინა, როდესაც ჩემს სახლში ვხე-დავ, როგორც შენ ამბობ, იმ დაბალი წოდების ხალხს შთამომავლობით, მაგრამ სწავლითა და მეცნი-ერებით გამსჭვალულს! ესენი არიან ნამდვილნი მუ-შაკნი მამულისა!

**დარია.** რაც გინდა, ბძანე, ჩემო სფირიღონ, მაგრამ აზრს მაინც  
ვერ შემაცვლევინებ. (ზიზღით.) ამლერეული სისხლი  
არ მომწონს... ფუჭ!.. კეთითშობილი კაცის სისხლი  
სულ სხვა—ინკარა ნაკადულივით სპეტაკი და უზა-  
ღო! ვის ეკადრება!..

**სოფია.** მერე, ქალო, აღარ იტყვა, რამ გაფიქრებინა აქ მობ-  
ძანება?

**დარია.** როგორ არ გეტყვი. ერთი კარგი ნიშნობა გავჩარხე კა-  
ხეთში. ქალაქში წამოვედით, მე და ნაჩილნიკის ქალი  
ვარინ კა, რაგინდარაების სასყიდლად. ქალაქში შეგვ-  
ხედნენ სუსველა, ვინც კი უდიდებულესი თავადია  
ჩენში ..

**სფირიდონ.** (იქთ.) ნეტა ვიცოდე, ვინ არის ჩვენში უდიდე-  
ბულესი თავადი!

**დარია.** დიდა პატივი გეცეს: თეატრში არ დაგვპატიუეს, სადი-  
ლები არ გაგვიკეთეს, კონცერტებში არ წაგვიყვანეს!  
ერთი სიტყვით, დიღებულად და მედიდურად. ჩემი  
რძალი სონეჩა შემხვდა და მითხრა: „ქალო, აქ რას  
აკეთებ, შენი ნათესავი შვილსა ნიშნავსო“. ვინ ჩემი  
ნათესავი-მეთქი?—სფირიდონიო!—აბა რაღა დამიყე-  
ნებდა, გამოვეშურე. ჯერ ერთი, ოქვენი ნახვა მინ-  
დოდა და მეორეც, უბრალოდ არავის გადაჰყიდონ-  
მეთქი მალხაზი!

**სფირიდონ.** (შირვარს იქნეს.) აი, დიდება შენოვის, ღმერთო!  
ჯერ ჩვენ არაფერი არ ვიცით და ამათ საიდან რა  
გაიგეს! მერე ამ სიშორეზედ!

**დარია.** კახეთში მყავს მალხაზისთვის ძალიან კარგი ქალი...

**სოფია.** ქალო, ყმაშვილს ჯერ სახლში ფეხი არ შემოუდგამს,  
არ იცის, სად რა აბადია, და შენ კი ცოლის შერ-  
თვას გაიძიხი!

**დარია.** რაც აღრე იქნება, ისა სჯობიან.

**სოფია.** რა ეჩქარება? ჯერ გაიცნოს ხალხი და ქვეყანა, მიიხედ-

მიიხედოს და მერე მოასწრობს ცოლის შერთვას.

**დარია.** როგორც გნებავო, მაგრამ მაინც უჩემოდ ცოლს ვერ შეიძითავს!

**სოფიადონ.** ეი! შენ უდასტუროდ არც ლვდელი დასწერს ჯვარს?

**დარია.** არა, მაშ! (მაღაზია).

### მექენე სანახავი

#### იგინივე და მაღაზი.

**მაღაზი.** (გამოდის სახლიდან.) ეერ ვიპოვნე, დედა, ვერაფერი. დარია. (მხარედად.) მალხაზია? რა მშვენიერი ვაჟკაცია!

**სოფია.** მალხაზ! ვერ იცანი დეიდა დარია?

**მაღაზი.** ისე.. ცოტათი, მაგონდება.. (სეჭს უშევრს).

**დარია.** (ადგება). უი-ქა, გენაცვალე! ესე მახლობელი ვარ და ვერა მცნობ? (მოქსევა.) სულ პაწაწკინა გაზრდილ ხარ ჩემს ხელში...

**სოფიადონ.** საიდან ეხსომები, ორჯერ არ უნახვიხარ.

**დარია.** სხვა, გენაცვალე, ქორწილს არ აპირებ? რომ იცოდე, რამდენი მშვენიერი ქალი მეგულება...

**მაღაზი.** (ღიმილით.) რა დროს ქორწილია, თქვე დალოცვილო! ჯერ საქმეები მაქვს...

**სოფიადონ.** (ცოდს) აღარ გახსოვს, სად შეინახე ის ქალალ-დები?

**სოფია.** (მაღაზის.) აბა, შვილო, ხატის უკან ნახე, იქ მეგულება, ატლასის პარკში.

**მაღაზი.** ვნახავ იქაც. (გადის).

**დარია.** (ღიმილით.) რა ვაჟკაცია!... უი დელასა!... ღმერთო! რა არა ხდება ქვეყანაზედ! საწყალი მაგის მშობელი!

## ცისარტუქელა

**სოფია.** (შემქრთალი.) ვინ მშობელი? კი არაფერი არ წამოგ-  
ცდეს მაღაზთან!..

**დარია.** შენგან არ მიკვირს!.. განა არაფერი არ იცის?

**სფირიძონ.** (შებდე-შეკრული) რა უნდა იცოდეს? დედასაც და  
მამასაც თვალით უყურებს!

**დარია.** ევ ხომ ევრეა, მაგრამ... ახში ხომ გაიგებს?

**სფირიძონ.** (ადგება, წერომით) ახა, ღმერთო ჩემო! ნეტა ვი-  
ცოდე, რა სამახარობლოს მოელი!

**დარია.** არაფერს, გენაცვა, საწყენად კი არ მითქვამს.

**სფირიძონ.** (იქით) ამისმა დანახეამ მაშინვე დავთჩები ამირია!  
(მიდის ბაღჩისეკნ და თავისთვის) ნეტა ვიცოდე, რა  
გრჯით!.. დიდი შეცდომა კი მომივიდა, რომ თავის  
დროზე არ გავაგებინე თავის ვინაობა; მე სულ სხვა-  
სა ვფიქრობდი.. ეხლა როგორ უნდა გავუმელავნო!..  
(მიდის). დიდა შეცდომა მომივიდა...

## მეშეიდე სანახაეი

იგინივე, დათიგო და ნიკა (გარებში შესკვებიან).

**დათიგო.** (გადაკრულშია, სეღში მათრახი უწირავს) დიდ ბატონს  
ვახლავართ ასის კაცით! (ჭუდს უხდის).

**სფირიძონ.** (გზაში ლაპარაკობენ) მობძანდი, დავით! უკაცრაოდ,  
რომ შენს წვეულებაზე ვერ დავესწარი... არ შე-  
მეძლო.

**დათიგო.** იცით, ბიძია სფირიძონ! ძალიან მაწყენინეთ, ძალიან!  
დავითიცე, აღარ გავიცლი იმათ სახლში-მეთქი, მაგ-  
რამ მეზობლობს რა ვუყო! ხვალ კი თუ არ მობ-  
ძანდით დედაბუდიანათ, მთელ ქვეყანას დავანგრევ.  
იმისთვის მოვედი...

**სფირიძონ.** ხვალ რაღა ამბავი გაქვთ?

**დათიკა.** ჩემი სიძე დიმიტრი მეწვია, ცოლშვილის წასაყვანად  
მოვიდა, და გამოთხოვების საღილს ვუკეთებ; მაგრამ  
ძალიან დროს კი გავატარებთ... ზეგ ქალაქში—ჰაიდა!

**დამიტრი.** მოვალთ, მოვალთ. კაი ხანია, დიმიტრი არ მინახავს.  
მობრძანდით, ყმაწვილებო, სოფიოსთან, მეც ეხლა-  
ვე მოვალ. (გადის).

**დათიკა.** (შორიდან ჭედს მოუსდის, სოფიოს.) დეიდას ვახლავარ!  
(მიგა, სელზე აკოცებს).

**სოფია.** მობძანდი, დათიკო! კარგია, მოგვიგონე. ნიკო, დაბ-  
ძანდი!

**დათიკა.** მაშ ვინ უნდა მოვიგონო, თუ თქვენ არა? მოპატიუე  
ვარ, მოპატიუე! ხვალ უთუოდ უნდა მეწვივნეთ! ვქვი-  
ფობთ რაღა!

**სოფია.** დათიკო, ამ ქალს არ იცნობთ? ჩემი ნათესავია, და-  
რია დაუდგრომელაძისა, ესეც თ. დათიკო მწყე-  
რაძე.

**დათიკა.** (სელს აძლევს) მაშ თქვენც უნდა მეწვივნეთ! მალხა-  
ზი სად არის, მალხაზი? ქეიფზედა ვარ, დეიდა...

**სოფია.** ოთახშია, შედი ნახე.

**დათიკა.** უნდა ვნახო, მაშ! (ბაღჩასკენ მიდის) ნიკო, ცოტა  
მოიცადე და გავსწიოთ შინისაკენ.

**ნიკო.** კარგი, კარგი, ნუ დაიგვიანებ.

**დათიკა.** (მიდის მდერით) „ლვინოს დავლევ. წყალს არა...  
შენ გაკოცებ, სწვას არა...“ (გადის).

**სოფია.** უი, შენ, ჩემო თავო! ეს ყმაწვალი კი ვერგაგოცანი!

**დარია.** (მედიდურად გვერდზე შეხედავს).

**სოფია.** ნიკო, გაიცანი, შეილო!

**ნიკო.** (ფეხზე ადგება).

**დარია.** (სოფიოს) თავადია?

**სოფია.** არა.

**დარია.** (აპრეწით.) მაშ ღვდლის შვილი იქნება ან დიაკვნისა;  
გლეხი, ეის ეკადრება! (ნიკოს სელით) დაჯექი.

**სთავით.** ქალო! რა გლეხი, განათლებული ყმაწვილია, უმაღლესს სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული.

**დარჩა.** არა, დედავ და თვალო, გლეხმა თუნდა ოც და ათი უნივერსიტეტი გათავოს, მაინც გლეხია... „ძალლი ისე არ დაწვება...“

**სთავით.** (შეჩერებს.) ქალო!.. უი, დამიღვა თვალი!

**დარჩა.** ჰო და რა? (ნივთს.) ვისი ნაკაცარი ხარ?

**ნიგო.** როგორ თუ ნაკაცარი?

**დარჩა.** ჰო, ბატონ-ყმობისას ვამბობ... ვისი ნაყმევი ხარ?

**ნიგო.** (მტკაცებს.) ჩემი მამა-პაპა ყოფილიან ყმანი უსამართლო-ებისა, უმეცრებისა და მტარევალობისა; ხოლო მე ვარ შეილი თავისუფლებისა, სიმართლისა და მონა მეცნიერებისა და სწავლა-განათლებისა. გონების სიბნელის, უმეცრების დაწყებიალის შემუსვრას გვარიშვილობა არა სჭირია და ამიტომ თამამად ვკიდებ ამ საქმეს ხელს. (დაჯდება.)

**დარჩა.** (სთავითს.) რა გითხარი? ღორის კბენარი ფეხზე დაის-ვიო, პირში გვლანძლავს, ოქვენმა მზემ!

**სთავით.** არათერსაც არ გლანძლავს, მართალს გეუბნება. შენ უფრო არ შეურაცხჲყავ განათლებული ყმაწვილი!

**დარჩა** (გააჯავრებს). „განათლებული!“ ნუ იცით, დედავ და თვალო, წარა-მარა ლაპარაკი და უადგილო ლიბერალობა! მაგისთანებებს ჩაიძახებთ, და მერე ძალლადაც არ გვაგდებენ. (ზაზღვთ) ვიღაც ჩემი პურის-მცხობლის მაისს შეილი და „განათლებული!“ რაც უნდა იყოს, ხომ მაისს შეილია? ჰა? „არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვეშითაო“...

**სთავით.** იი, ჩემო კარგო, ეგ ანდაზა სწორედ ჩვენზე არის ნათქვამი და არა გლეხებზე...

**დარჩა** (გაოცებით). ქა, ქა, ქა! ძალიან კი გიხდება და! აბა შენ რომ მაგას ამბობ, რა გავამტყუფნო წუნკალა გლეხის შეილი!... (ისმის დათივჭას სიძღვრა): „შავი ზღვის

ნაპირას ჩვენი სახლები, ძელთაგან ძველია, არა ახლები”... (გამოჩენდება ბაღში.) „ბაღში ვარდები...გულ-ში დარდები იღარ გვეწება, გაიზარდები”...

**სოფია.** (დარიას დათიქოზე უწევნებს). აი, ესეც შენი თავადი-შვილი! ოც და ოთხი საათი ეგრე მღერის.

**დათიგა.** (გზად მიდის, ნიკოს). ეეე! ზნაკომი! მივდივართ! (სოფიას,) დედიდა, იცოდეთ, გელით, ნულარ გვალოდინებთ. (დარიას.) თქვენცა, ბატონო!

**ნიკო.** (თავს დაუკერავს). მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (გადის).

**დათიგა.** (მიმაკაცდა). „მამა მომიკედა, დავრჩი ობლადა; დედა წავიდა პურის მცხობლადა; ბაღში ვარდები...“ (გადის).

**დარია.** ყოველ დღე, რომ გპატიუობენ, აქ რაღაც ამბავია, რა-ღაც უდევთ გულში...

**სოფია.** რა ამბავი უნდა იყოს, ახალი გაცნობილი მეზობები არიან.

**დარია.** მარტო ეგ არ გახლავთ... მე ცოტა ნიშნობის სუნიც მომდის...

**სოფია.** ეგრეც რომ იყოს, რა ურიგოა? ოღონდ მალხაზს მოეწონას, მე ძალიან კმაყოფილი ვიქნები.

**დარია.** ახლა ეგრე საჩქარო რა გაქვთ? მე მეუბნებოდით და...

**სოფია.** ეგ სულ სხვაა; მხოლოდ მე ძალიან გამეხარდება, ომიანიძის ქალი ჩემ სახლში შემოვიდეს.

**დარია.** რატომაც არა. მაშ მთელ ქონებასაც მალხაზს დაუმტკიცებთ?

**სოფია.** მაშ ვისა, ქალო? ვის ეყვარება ლეიძლი შვილი ისე, როგორც ჩენ მალხაზი გვიყვარს!.. არა, სურიდონი თავის ძმისწულებსაც მისცემს რამეს, რადგანაც ხელ-მოკლედ არიან...

**დარია.** სხვა ნათესაობას?

**სოფია.** რა ვქნა, ვისი რა მოვალეა, ჩემი ქმარი?! ყველამ კარგად იცის, რომ მამა-პაპეული არა დარჩენია-რა, სუყველა თავის შეძენილია.

დარჩა. ჰო, მაგრამ მგონია, რომ ნათესავებზე უფრო უპრიანია, ვიდრე... უცხოზე.

**სოფია.** ეგ თათონ იყიან, რა ჩეკნი საქმეა. (მაღლაზა).

### მერვე სანახავი

იგინივე და მაღლაზ.

**მაღლაზ.** (შემოვა ქაღალდებით, ძალზე გაფირრებულია). მამა საღა არის?

**სოფია.** მამა ბაღშია. იპოვე, შვილი, რაც გინდოლა?

**მაღლაზ.** (თავს არიდებს, რომ აღელებება არ შეამჩნიონ). რაც მინდოლა, იმაზე მეტიც, ვიპოვე.

**სოფია.** (ადგება). ქალო შევიდეთ სახლში, ამათ აქ საქმე აქვთ, დაუშლით. (მიღის).

**დარჩა.** შევიდეთ. (ადგება და მიმავალი). მე სფირიდონისა ძალიან მახლობელი ნათესავი ვარ. როგორჩი ქუჩაში ნაპოვნს გადაულოცონ მთელი ქონება და ჩვენ კი პირში ჩალა გამოვალონ! არა, ნურას უკაცროდ! (მიღის სახლში).

### მესხრე სანახავი

მაღლაზ, მერე სფირიდონ.

**მაღლაზ.** (სტოლზე დაჭურის ქაღალდებს და რამდენიმე წამს გაშრებულია. მერე უბიდან პატარა ბარათს ამთაღებს და დააკეთდება). რა ვქნა, ეს რა უცნაური გამოცანაა! რანაირად მელევა გული! (ჯითხელობს). „ეს ბავშვი კეთილშობილია, კარგი დედ-მამის შეილი. მონათლულია, ჰქვიან ალექსანდრე. ვინც ამ ბავშვს იპოვით, შეიყვარეთ და მოუარეთ, ცრემლით გევედრე-

ბათ, გამწარებული, დედა. 18... წელს, ქრისტეშობის 22 არის დაბადებული". (დაშტერებით) წლოვანება. ჩემია!.. სახელი დოკუმენტებში, ხომ მეც, ალექსან-დრე მიწერია!!.. აქ რაღაც საიდუმლოება არის! ამას გადავიწერ და ნამდვილს მამას ვაჩვენებ, რას ნიშნავს! (სახქაროდ გადაიწერის ყარანტაშით).

**სფირიძონ.** (მომავალი) ვერაფერი შვილი გამოდგა ჩვენი სა-ლეწი მანქანა, ან არა და მოხმარება არ იციან ჩვენ-მა ბიჭებმა: ნახვარი ხორბალი ბზეს გადასდევს. რა ქნი, იპოვე?

**მალხაზ.** ვიპოვე. (აძლევს ქადალდებს).

**სფირიძონ.** ჰო, ეს არის. აქ სადაოთ თუმცა არაფერი არ არის, მაგრამ მაინც მოგვიხდება ქალაქში ჩასვლა, ნოტა-რიუსთან, სჯობს-საქმე გავასუფთავოთ...

**მალხაზ.** (გადაწერილ ბარათს ჭაბეში იდებს და ნამდვილი ხელში უჭირავს) მამაჩემო, ეს რაღაც უცნაური ბარათი ვი-ჰოვე, რას ნიშნავს?

**სფირიძონ.** რა ბარათია, სად იყო? (ხელს უშეულს).

**მალხაზ (აძლევს).** პატარა პარკში, აა ამ დოკუმენტებთან ერ-თაღ.

**სფირიძონ.** (დასხედავს ბარათს და შეშეფერდება). რად იციო, შვი-ლო, წარა მარა, ქექა, ჩემი ქალალდებისა! ათასი საი-დუმლო ქალალდები მაქვს... მე გითხარი, დოკუმენ-ტები გადაარჩიე-მეთქი...

**მალხაზ.** (დაშტერებით უუურებს). ისე... შემხვდა ხელში...

**სფირიძონ (გაივლის, იქთ მწარედ).** დასაბამილან ქვეყნისა კაცის სულიერად და ხორციელად დამლუპველი დედა-კაცი იყო და არის! რა შესანახი იყო ეს ბარათი დოკუ-მენტებთან, ჩემს ცოლს რომ შეუნახავს!.. (გამობრუნ-დება, ცდილობს, რომ დაშვიდდეს). ეს ერთი ჩემი მე-გობრის საიდუმლოა, ეჭ, რა ხარ სიყმაშვილევ! (ინა-სავს ბარათს).

**მაღაზაზ.** (დაბწეული) ჰო... დიალ... (დააშტერდება). მაგრამ რიც-  
ხვი ბარათისა... და სახელი...

**სფირიდონ.** (შირს მთარიდებს, მწერალად) ჰო, რა რიცხვი? რა  
სახელი! რა გამოძიებაში შეხვედი? რა შენი საქმეა  
სხვისი საიდუმლო? (დადის).

**მაღაზაზ.** (მორჩილად) რასაკვირველია, თუ სხვისი საიდუმლოა,  
რა ჩემი საქმეა!..

**სფირიდონ.** მაგ ქალალდებს თავი თავს მოუყარე და გადაიკი-  
თხე; მე სანამ წისქვილისკენ გავივლი. (იქით) რამე  
უნდა მოვაგვარო, რომ არ მიგვიხდეს... (მადის) აჭ!  
რატომ დროზე არ ვაცოდინე!.. (მიდის ბაღში).

### მეათე სანახავი

მაღაზაზ, მერე დარია.

**მაღაზაზ.** (თვალს გააუთვებს მამას, დავდება სტოლთან და ქაღალ-  
დებს სინჯავს) ასოებს ვეღარ ვარჩევ, ეს რა მომდის!  
რაღაც ფიქრები მიტრიალებენ თავში და რომ ვერ  
გამოვარკვიე, რა ფიქრებია! ვერ მიეუხვდი რა მწალიან!  
ამ პაწაწინა ბარათმა რათ დამფანტა ესე!.. ღმერთო!  
თითქო რაღაც განსაცდელს ვუახლოვდები! ან იქნე-  
ბა ვგიუდები! რაღაც კი მაწუხებს და არ ვიცი... (ნა-  
ფერდება).

**დარია.** (გამოდის, ალექსით) მუშაობ, გენაცვალოს დეიდა? (მსარ-  
ზე სელს დადებს).

**მაღაზაზ.** (დააშტერდება) დიახ... ემუშაობ...

**დარია.** რატომ ეგრე ხარ, ხომ არა გტკივა-რა?

**მაღაზაზ.** (წამოდგება და დაშტერებით) არა!.. რაზე მატყობთ?!

მე კარგადა ვარ...

**დარია.** (იქით) დროა გავუმელაენო! (იმას) რატომაც არ უნდა  
იყო კარგად: ფუფუნებაში აღზრდილი, კარგი გა-

ნათლებული, მდიდარი, მშვენიერი სასიძო... (წუწუ-  
ნთ) საბრალო შენი მშობლები...

**მაღაზ.** როგორ თუ ჩემი მშობლები!?

**დარა.** (კითომ წამოსწდა) ჰო... არა... ისე... სხვა უნდა მეოქვა ..  
**მაღაზ.** (ხელი დაუჭრს) სთქვით, სთქვით!

**დარა.** სულ სხვა უნდა მეოქვა...

**მაღაზ.** ვიცი, ყველაფერი ვიცი, მხოლოდ დაწვრილებით...

**დარა.** ჰო, თუ იცი და... (იქით) მეც ეს მინდოდა. (იმას) ჰო  
დაწვრილებით მეც ბევრი არაფერი ვიცი, მხოლოდ ..  
ჰო, ესენიც, რასაკვირეელია, მშობლები არიან... ამათ  
ხელში ფუფუნებითა ხარ ალზრდილი... სულ ერთი  
კეირისა არ იყავი...

**მაღაზ.** (შემდიდივით) ერთი კეირისა?

**დარა.** ჰო, დიახ, როდესაც თოვლში გიპოვეთ... ხომ იცი ყველა?

**მაღაზ.** (დაშტერდება, წინ სცენაზე შიაუკანს) ვიცი!.. ვაცი...  
როგორ იყო?

**დარა.** საშინელი ზამთარი იყო... (წუწუნთ) რაზე გაიყინებო-  
დი!.. თუმცა ძალიან თბილად კი იყავი შეხვეული...  
სფირიდონს გამოთხოვების ვახშამი ჰქონდა, სათათ-  
რეთში რომ გაამწესეს, იმის გამო. ვახშამზე ვისხე-  
დით, რომ ვიღამაც ისე დაგვირევა ზარი, რომ კი-  
ნალიმ ჩამოგლიჯა. გაცვიდნენ ბიჭები... საშინელი  
უკუმეთი იყო, და თოვლმა დაიწყო ბარღნა... ვერა-  
ვინ ვერა ჰნახეს და შემობრუნდნენ. რამდენიმე წამს  
არ გაუვლია, უფრო ძლიერ დარეკეს. გავიდნენ სან-  
თლებით, და კნავილი მოგსმათ: მოაჯირთან კაბე-  
ზე იდევი თბილად შეკრული, მაგრამ თოვლი კი  
დაგდიოდა...

**მაღაზ.** (გაშმაგებული). მერე... მერე?

**დარა.** მერე შემოგიტანეთ სახლში, გაგათბეთ და შოგიარეთ...  
და ი ეხლა ვაეკაცი ხარ (მხარეულად.) ლამაზი და  
მშვენიერი. ნახვამდის, გენაცვა; საღამომდის ვერ  
გნახავ, უნდა ნაცნობებს ჩამოეუარო. (ხელს აძლევს,

ଯେତେ.) ମାତ୍ର ଫିଲ୍ସ ଏବଂ ଦ୍ୱାମିଦ୍ୱୟବତ୍ ଜୀବନେବାହି, ଏ ମେ ବେ-  
ବୁ! (ଛାଇବାରେ).

### ମେତେରତମ୍ଭେଫ୍ଫେ ସାନୁକାବୁ.

ମାଲକ୍ଷ୍ମୀ, ମର୍ମ ବ୍ୟାପିରିଦ୍ଧାନ.

**ମାଲକ୍ଷ୍ମୀ.** (ଭାବକାଳେ ଗୁମ୍ଭରୀର୍ବ୍ୟାଳି ଲାଗାଏ ବ୍ୟାକେ ଏବଂ ବ୍ୟାକେ କଥାବିର୍ଦ୍ଦହୀନ ହେବାକୁ କେଇବେଳେ, କ୍ରାନ୍ତିକାମକାଳେ ଅନ୍ତର୍ମୟକୁଣ୍ଠିତ ହେବାକୁ). ତମ୍ଭଲମୌ  
ମିଳିବାବୁବୁ... ଗାମାତଥୀ ଏବଂ ମନମାର୍ହୀବୁ!.. ମେରେ ବିନା ଫାର  
ମେ?! (ବ୍ୟାପିରିଦ୍ଧାନ) ଅମିଲାନା ତାପିକାରୀ!.. ମାତ୍ର ଏବଂ ମର୍ମବ୍ୟା-  
ବ୍ୟାକୁ, ସାମ୍ବାରୀଲ୍ଲି ଆମିଲାନିବ୍ୟାବୀ ହେବି ଭେଦ-ମାତ୍ରା ଏବଂ ଏବାବୁ!  
ମାଗାତ ମେରୁ ଲାଦାଲ୍ଲେବିଲାନ ବ୍ୟାକ ଏବାବୁ ଏବଂ ମାତ୍ରବ୍ୟାବୀ!  
(ବ୍ୟାପିରିଦ୍ଧାନରେ କଥାବିର୍ଦ୍ଦହୀନ) ବାମ୍ବେ, ରାଗମର ଗାମିଲୁହିଲା ବ୍ୟା-  
ପରପରାଲ୍ଲେ, ପରିଚିତିଲୁହିବୁ ଏବଂ ରାଗମର ମାତ୍ରା ରାଗମର  
ଲାଦାଲ୍ଲୀ ଏବଂ ଲୋଗିଲାଲ୍ଲୀ!.. ବିନା ବାର? ରା ବାର? ବାଦା ବାର?!.  
(ଛାଇବାରେ) ରାତ୍ରିକି ଏକାମଦ୍ରିବ ଏବଂ ବିପରୀତ-ରା! (ଭାବକାଳେ  
ହେବାକୁ) ରାଗମର ବ୍ୟାବୀ ଏବଂ ତାପିଲ୍ଲେ-ବ୍ୟାବୀରୁହିଲ୍ଲୀ, ରାଗମର ହେବ  
ତାପି ଏବଂ ଗର୍ବମନ୍ଦୀରା ଏବଂ ଦ୍ୱାରାଯାପିରିଲ୍ଲୀ! ମାଗରାମ ବାଲାନ  
କାଳେ ମନ୍ଦିରିକର୍ମବିର୍ଦ୍ଦିଲ୍ଲୀ! ଗୁଣି, ଗୁଣିବା କାଳେ ମେଘବନ୍ଦନ୍ଦୀ  
ଭିନ୍ନ?! (ଗୁଣିବାରେ କଥାବିର୍ଦ୍ଦହୀନ) ରାଗମର ତୁ ଏବଂ ହେବି ହେବି  
ଭେଦ-ମାତ୍ରା ଏବଂ ଏବାବୁ!! ମେ ବ୍ୟାକ ଭେଦ-ମାତ୍ରା ଏବାବୁ ମନ୍ଦିରିଲ୍ଲୀ  
ଏବଂ ଏବାବୁ ମେଘମନ୍ଦିରିଲ୍ଲୀ! ଏବାବୁ ମିଳିଲା ବ୍ୟାକ ଭେଦ-ମାତ୍ରା, ମେ  
ଏବାବୁ ଏବଂ ଏବାବୁ ଏବଂ ଏବାବୁ ଏବଂ ଏବାବୁ ଏବଂ ଏବାବୁ ଏବଂ  
(ହେବାକୁ) ମନ୍ଦିରିଲ୍ଲୀ, ଶେରିଶାଲ୍ଲୀ, ରାଜ୍ଯର ବାମିଲୁହିବୁ!.. ଏ ଦା-  
ରାତିରେ ଏବଂ ଏବାବୁ ଏବାବୁ ଏବାବୁ ଏବାବୁ ଏବାବୁ ଏବାବୁ  
(ବ୍ୟାପିରିଦ୍ଧାନରେ) ତମ୍ଭଲମୌ ନାମେବିନି... (ବ୍ୟାପିରିଦ୍ଧାନରେ)  
ମାମାହେମ, ଶେରି କିରିମେହେ, ମିଶ୍ରମେହେ ରାମେ!

**ବ୍ୟାପିରିଦ୍ଧାନ.** (ମନ୍ଦିରିକର୍ମବିର୍ଦ୍ଦହୀନ ଗୁମ୍ଭରୀର୍ବ୍ୟାଳି) ରା ବ୍ୟାକ, ରା ଦ୍ୱାରାଯାପିରିଲ୍ଲୀ  
(ଶେରି ଏବାବୁରେ).

**ମାଲକ୍ଷ୍ମୀ.** ମାମା! ବିନା ବାର ମେ? ଏବାବୁ ଶ୍ଵେତି ବାର?

**ବ୍ୟାପିରିଦ୍ଧାନ.** (ଏବାବୁ) ଗାମିଲୁହିବୁ ଲମ୍ବରିତି! (ଏବାବୁ) ଏବଂ ରାଲା ଏବାବୁ  
ବାର! ରାଗମର ତୁ ବିନା କାରି?



**მაღლებაზ.** მე ხომ თქვენი შვილი არა ვარ, თუმცა თქვენის მე-  
ტი დედ-მამა მე არ მინდა! (თვალებს იწმენდს).

**სფირიძონ.** ევ რა უცნაური ლაპარაკია! დედასაც და მამასაც  
თვალით უყურებ. რა ბავშვობაა ტირილი! ისიც შენ! როგორ გეკადრება! (ადერსით თავზე ჭროცნის).

**მაღლებაზ.** (ხელზე ჭროცნის) მართალია, სიბავშვეა, მაგრამ... მარ-  
ტო რომ დავრჩი ამ ქვეყნაც! რომ არ ვიცი, ვინა  
ვარ, ვისი შვილი!?

**სფირიძონ.** (იქით) ვინ გამომჭრა ყელი! შეიძლება, ბავშვი გა-  
მიგიუდეს! ოცდა ექვსი წლის ამავი დამეკარგოს! რა-  
ტომ დროზე არ გავაგებინე თავისი ვინაობა!.. აჲ,  
აჲ, აჲ!.. დიდი შეცდომა! (იმას) დამშვიდლი, ვაჲკაცი  
ხარ! რეებს ამბობ? მე შენს ბედნიერებას შევხარი...  
მაღლებაზ. მართალია, კეთილნო ხალხნო, უუძვირფასესნო, ჩემო  
მშობლებო, თქვე ანგელოზებო, თოვლში რომ არ  
ჩამახრეთ... (ტირის).

**სფირიძონ.** (თვალებს იწმენდს) რა გინდა, შვილო, ჩემგან? ვინ  
რა გითხრა?

**მაღლებაზ.** ხომ არა ვარ თქვენი შვილი? დამშვიდებული ვარ,  
მითხარით.

**სფირიძონ.** (იქით). იმ დაწყევლილმა დედაკაცმა თუ უთხრა  
რამე! (იმას). რა ვწნა, რას ეძახი შვილს?! შენთვის  
ვცოკხლობთ, შენთვის გვიდგია სული, მთელი ჩვე-  
ნი სიხირული და სიმოვნება შენა ხარ; თუ რამე  
გვაბალია, შენია; ოცდა ექვსი წელიწადი შენ შემო-  
გხარით... სხვა, არ ვიცი, ღმერთმანი, შვილს რას  
ეძახი?...

**მაღლებაზ.** მე მამაცობა არ მაჟლია, ამ ზარს ავიტან, მხოლოდ  
ნამდვილი მინდა ვიკოდე... უველაფერი გავიგე...

**სფირიძონ.** (რომელიც შეწუხებული დადიოდა, შედგება.) ჩვენ თუ  
არა ვართ, მაში ისინი არიან მშობლები, რომლებმაც  
კატის კნუტისაეით ჭურაში გადაგაგდეს! უთუოდ უნ-  
და ჩვენი ნაშობი იყო?!

შენა ხარ ჩვენი სულიერი  
შვილი, და მგონია, ეს ბევრით უმაღლესია...

## ფისარტეკლა

**მაღაზა. რატომ აქამდის არაფერი არ ვიცოდი?!** რად ვიყავი უუბედნიერესი და უუბედურესი ჩემს ამხანაგებში!...

**სფირადონ.** (იქით.) ეს ყველა ჩემი ბრალია! (მას.) ეხლაც უუბედნიერესი ხარ შენს ტოლებში. მომავალი მშვენიერი გილიმის. სწავლა-ვანათლება გაქვს, შეძლება, რომლითაც, როგორც შენ არა ერთხელ გითქვამს, ხელს მიაწვდენ შენს მოძმებს... რით არა ხარ ბელნიერი?!

მალე ოჯახს მოეკიდები, ცოლს შეირთავ... რა ვქნა, გვწუნობ მე და სოფიოს, უკეთესი დედ-მამა კიდევ ვინდა?! შენი ნებაა! ნეტავი მე შემხვედროდა იმისთანა დედ-მამა, როგორც შენ და...

**მაღაზა.** (ხელს მაგრა დაუჭირს და ხელზე ჰქოცნის.) არა, არა! ჩემი დედ-მამა თქვენა ხართ! ნამდვილი დედ-მამა თქვენის მეტი არავინ არ ვიცი და არცა მსურს ვიცოდე!.. მაგრამ მე... მე, ასე ბელნიერს, რათ დამატყდა მები?!

**სფირადონ.** რა მეხი, რას ამბობ? ბელნიერი ხარ და მოიხმარე შენი ბელნიერება. (იქით.) იქნება მშობლების ხელში სულ უბედური ჰყოფილიყავი! ვინ იცის!..

**მაღაზა.** თქვენ ღვთის ხალხი ხართ. თქვენით ბელნიერი ვარ, მაგრამ წარმოიდგინეთ, როგორ ბელნიერად ვრაცხდი ჩემს თავს, ჩემს საკუთარ ოჯახში, ჩემ საყვარელ მშობლებთან... და ეხლა კი ეხედავ, რომ ჩემზე უბედური რამენ არა ყოფილა ქვეყანაზე!..

**სფირადონ.** (შეწუსებული.) მე შენი თავი არა მაქვს! დედა-შენ-მა ჩაგვინოს! (ჩქარა გადის ბაღისები).

### მეთორმეტე სანახავი

**მაღაზა, მერე სოფია.**

**მაღაზა.** (მაპატიე, მამა! უუტკბილესო მამა! (ჩაფიქრდება.) რა ვქნა, როგორ უნდა მოვინელო, რომ ამ ღვთისნიერი ხალხის ნაშობი არა ვარ!.... (დადის.) განა არა, დიდ უუფუნდებაში და ილერ-სში (შეჩერდება დაფიქრებით.) მშობლის სითბოს

ვერა ვგრძნობდი! ეს რაღაც უცნაური გრძნობა აქვს  
კაცს თან დაყოლილი. მეც ხომ მეხვეოდნენ, მეა-  
ლერსებოდნენ, გულში მიხუტებდნენ, მაგრამ სხვა-  
მშობლების ხვევნა-ალერსს რომ უუფურებდი, სულ  
სხვანირად შეჩვენებოდა; თითქო რაღაც უფრო მეტს  
გულის სითბოს ვგრძნობდი! პატარობიდანვე უნე-  
ბურად ყურს ვადევნებდი იმას, რომ თითქო ჩვენი  
მშობლიური—დედაშვილური ილექსი არა გვანდა  
სხვის ალერსს, და აი, დღეს ვხედავ, სამაცლოდ მოვ-  
ლილ-გაზდილი ვარ დეთისნიერი ხალხისაგან, მათ-  
გან სიკვდილს გადარჩენილი!.. რეებსა ვფიქრობდი,  
რა ოცნებანი მჭონდა! როგორი იმედი მჭონ-  
და ჩემის ქონებისა, რომ შევიძლებდი მოძმის დახმა-  
რებას! თურმე ყველა ეს ზმანება იყო! არამც თუ  
ქონებრივი და გვარულობითი არა მაქვს-რა, ისიც  
კი არ ვიცი, ვინა ყოფილან ჩემი მშობლები!. ღმერ-  
თო! როგორ შევათვისო და დავაფისო ეს ორი გა-  
რემოება: ეინ უარმყო შვილობაზე და კატის კწუ-  
ტივით თოვლში გადამაგდო, და ეინ შემთხვისა, მომია-  
რა, შემიყვარა და კაცი გამხადა! ნეტავი უვიცი და  
უგუნური ყყოფილიყავი, ესე არ დავიტანჯებოდი,  
ასე ცეცხლი არ მომექადებოდა! (ტრირის სმით)  
ჩემო საყვარელო მშობლებო! რისთვის გავიგე ეს  
გულშემხარავი ჩემი არა-რაობა! დევ, სიკვდილამდის  
მტკაცედ დარწმუნებული ყყოფილიყავი, რომ თვე-  
ნა ხართ, ჩემო საყვარლებო, ჩემი ღვიძლი მშობლე-  
ბი!.. (თვალებზე ხელს მიიფარებს).

**სოფია.** (ბაღიდან მოდის ჩქარა) შვილო! მალხაზ! რა დაგემართა?!

**მაღაზ.** (ორივე ხელს გაუშერს დადად შეწუხებული) უუმშეე-  
ნიერებო და უუტკბილებო დედავ! მაშ შენ ჩემი  
დედა არა ხარი? (ჭირინით გულზე დაკრება).

**სოფია.** (დადად შეწუხებული) ვაიმე, შვილო! ეინ რა გითხრა?!

(თავზე მოხვევს ხელს, გულზე მიიკრავს და თქმებზე  
დაკრინება. ორივენი ჭირინებული).

## მიორი მოძალება

**სცენა:** დიმიტრის სახლი ქალაქში. რიგიანად მოწყობილი (ასალ  
გემოგნებაზე) სასტუმრო ოთახი. კარები შეუზე და მარ-  
ცხნივ (სცენიდან). მარჯვენა ფარგლენა.

## პირველი სანახავი

დღისმატრიდ და სუვისრდეთან. (სხედან. ფერდა აისდება, ჰატარა სანს სიახლეა, მიზევთ ლაპარაკობენ).

**სფირადონ.** ...ასე და ამგარად. მაშ საქმე გათავებულია? დიმიტრი. დიდი ხანია, გათავებულია. მხოლოდ თქვენზეა და-  
მოკიდებული, საროლიოდ დავნიშნოთ ქორწილო....  
**სფირიდონ.** რაღას დავიყოფნებთ... ეგ იდვილია, მხოლოდ...  
(უყმობს.) მხოლოდ ეალდებულად ვრაც ჩემს თავს,  
გაუწყოთ ერთი საქმე, რომელიც თქვენ უთუოდ უნ-  
და იცოდეთ, რომ შემდეგში მითქმა-მოთქმა და სა-  
ყველურები არ იყოს...

დაძირები. (ცნობის მუჯარებით.) თქვენ როლიც საიდუმლო  
გაქცით სათქმელი?

სფირიდონ. ლიალ, სწორედ საიდუმლო.

დიმიტრი. მიგანეთ, ბატონი! არა მეონია, ჩვენ საქმეს ხელი  
შეუშალთას!..

**სფირიდონ.** ეგ თქვენზე არის დამოკიდებული; მე კი ვალყ-  
ბული ვარ, ნამდვილი გამცნოთ ეხლავე, ვიდრე სა-  
ქმე არ დაგეიძოვრებია.

დამიტრი. ლილი მადლობელი გიქმნები, თუ საიდუმლოს შან-  
დობთ!

სფირიდონ. ეს აუცილებელია. (სიჩუმე.) მალხაზი არ არის ჩე-  
მი ღვიძლი შვილი...

დიმიტრი. (განცვითებით.) როგორ თუ თქვენი შვილი არ  
არის?

სფირიდონ. დიალ, ჩემი ღვიძლი შვილი არ არის, თუმცა ათასს  
შვილს მირჩევნია...

დიმიტრი. მაშ ენი არის, ვისი შვილია?

სფირიდონ. მოგახსენებთ. სამი წლის ჯვარ-დაწერილი ვიყავი,  
ჩემს სოფიოზე, რომ მთავრობამ წინადადება მომცა,  
წავსულიყავი სათათრეთისკენ სამსახურში. მეტად სა-  
პატიო ადგილი მომცეს. ლარიბი კაცი ვიყავი; მშო-  
ბლებს ჩემთვის არა დაუტოვებიათ-რა, და მე, ხელ-  
მოკლეს დიდი იმედები მომეცა მომავალი სამსახუ-  
რისა. დავთანხმდი წასელაზე... და როგორ არ დავ-  
თანხმდებოდი, როდესაც ასე უეცრად წამწიეს სამ-  
სახურში და მატერიალურად უხვად დამაჯილდოვეს...  
მე ამას მოგახსენებთ 25—26 წლის საქმეს... გამო-  
ვუცხადე ჩემს ცოლს და ნათესაობას. ყველამ ერთის  
ხმით განაცხადა, რომ ცოლი ვერ გამომყება „სა-  
თათრეთში“. მწარედ დავლონდი, ცოლი ძალიან მი-  
ყვარდა, და მარტო, რომ წავსულიყავი, რა ეშმაკე-  
ბის მუშა ვიქმნებოდი, საყვარელი ცოლი აქ დამე-  
ტოვებინა! არ წავსულიყავი კიდევ და, მთელ ჩემს  
მომავალს ვკარგავდი. რა მექნა?! ბევრი მუდარებისა  
და თათბირის შემდეგ გადაეწყვიტეთ: მარტო მე წავ-  
სულიყავი, სახლი მომეწყო, სამსახური და იდგილი  
გამეცნო და მერე მოვსულიყავი და ჩემი ცოლი წა-  
მეყვანა. დავთანხმდი მეცა, მაგრამ რა ღითანხმება  
იყო, როდესაც გული მწყდებოდა და გიუკიო არ  
ვიცოდი, რა მექნა.. ამ გასაჭირ დროს გამომიჩნდა  
მხსნელი... ეს იყო პატარა მალხაზი.

დიმიტრი. (გაოცებით.) როგორ თუ მალხაზი? მერე იმას რა  
შეეძლო?

**სფირიძონ.** იმასაც მოგახსენებთ. მაღაზი გახდა ჩემი შესწელი,  
და დღეს თუ მაბატია რამე, იმის წყალობით...

**დიმიტრი.** მერე როგორ, ყმაწეილო?

**სფირიძონ.** გეტაჟით. გადავწყვიტე წასვლა, უკან დახევა აღარ  
შეიძლებოდა. ქრისტეშობის დღეები იყო. სუსხიანი  
ზამთარი, თოვლიანი ღამე, ვახშამზე რომ ვსხედეართ,  
ამ დროს ძლიერი ზარის რეკა მოგვესმა. გავიდნენ  
ბიჭები, ნახეს, რომ კიბეზე ბავშვი ჩხავის, დაავლო  
ერთმა ხელი და სიხარულით შემოგვირბენინა: „ბა-  
ტონო, სტუმარი გეწვიათო“. (გაიცინებს.) მივარდა  
ჩემი ცოლი, ამოდენა ხალხი, გახსნეს თბილი საბნე-  
ბი და მშვენიერი ბავშვი კი ამოიყვანეს...

**დიმიტრი.** (გაოცებით.) დიდება შენდა, ღმერთო! მერე ის ბავ-  
შვი...

**სფირიძონ.** ის ბავშვი გახლდათ მაღაზი.

**დიმიტრი.** იქნება შართლა? სწორედ, რომ ძალიან საინტერე-  
სო ამბავია!..

**სფირიძონ.** ჩემი ცოლი სიხარულით კინაღამ გადაირია. სამი  
წლის ჯვარ-დაწერილნი უშვილონი ეიყვით. იმ ღა-  
მესვე გამომიცხადა ჩემმა ცოლმა, თუ ბავშვს წავი-  
ყვანთ, სიხარულით წამოვალ მეცაო, რადგანაც გუ-  
ლის გადასაყოლებელი და თავის გასართობი მეყო-  
ლებაო. მეორე დღესვე ვიშოვეთ კარგი ძიძა და  
გავუდექით გზას.

**დიმიტრი.** (მხარეზეად.) ბავშვიც წაიყვანეთ თანა, ჰა?

**სფირიძონ.** წავიყვანეთ, და ისე თქვენ იცოცხლეთ, როგორც  
სიამოენებით და გულ-დამშვიდებით ჩენა ვცხოვრო-  
ბდით იქა 25 წელიწადი. ამგვარად ჩემი მაღაზი გა-  
ხდა მიხეზი მთელი ჩემი ქონების შეძენისა... ეხლა  
თქვენა ჰხელავთ, რაც არის.

**დიმიტრი.** ღმერთმა, ყაველ ჩემს მოკეთეს ნუ ზოაკლოს მაგი-  
სთანა შვილი!

**სფირიძონ.** ეხლა თქვენ უკელაფერი იცით, ბატონო! მე ეს  
მოგახსენეთ, იმიტომ, რომ ბოლოს სამდურავი და  
უკედრება არ გამოვიდეს.

**დიმიტრი.** რა ბძანებაა! სამდურავს ჩვენთან რა ხელი აქვს!  
(მხარულად) სწორედ კარგი ამბავია!

**სფარაძონ.** ეგ არის ჩემი შეილიც და უკელაფერიც. რო-  
გორც გვარი მივეცი, აგრეთვე მთელი ჩემი სარჩო-  
საბადებელიც მაგისია... ასე და ამ გვარია. ეხლა  
თქვენ იცით, თუ ეს გარემოება ხელს არ შეუშლის  
ჩვენს მოყვრობას...

**დიმიტრი.** რა ბძანებაა, ყმაწვილო! ჩვენ თქვენ შეილად ვიც-  
ნობთ და სხდა არაფერი. ერიშაა! სად წავა, წვენი  
ახალგაზღობა რომ მოვიგონოთ! რამდენი ამბები  
ჩვენ ჩაგვიდენია ყმაწვილობაში! (ანჯლრებს) ჰა, სფი-  
რიდონ?

**სფირიძონ.** (დიმიტრი) ბეჭრი, ბეჭრი, შენმა გაზღამ!.. მხო-  
ლოდ არაესითან კი არა გრჯოდეთ-რა. ვისთვის რა  
საჭიროა!

**დიმიტრი.** აბა შენგან არ მიკვირს! ვის რა უნდა დუთხრა?  
**სფირიძონ.** რა ვიცი... კნეინა ევგენის, მაგალითად...  
**დიმიტრი.** რა ევგენის საქეა! ან როგორ ვეტყვი....

### მეორე სანაეჭები

იგინივე, ეგბენია და ანნა (შარტხინიშვილისან).

**ეგბენია.** (მხარულად, სფირიძონს) ოჰ, ძვირფასო მძახალო, მო-  
ბძანებულხართ? (სელს აძლევს).

**სფირიძონ.** (მძიმედ თაქს უკრავს) გიახელით, ბატონო, ჩვენი  
ახალგაზღების საქმეზე.

**ეგბენია.** დიახ, დიახ! რაც მალე მოეუშორებთ თავიდან, ისა  
სჯობიან. დაბძანდით, ბატონო! (დაჯდება).

**დიმიტრი.** ნება მიბოძეთ, ბატონო სფირიდონ, წარმოგიდვი-  
ნოთ ჩვენი სახლთ-უხუცესი, ჩვენი მოურავი, ივან-  
ჩაეანი..., ჩემი ძეირფასი ანნა.

**ანნა.** (თაქ უკრავს) მშვიდობა თქვენდა, ბატონო!

**სფირიდონ.** ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ; გიცოცხლოთ ესენი.  
**ანნა.** (იქით) რა ვაუკაცი იყო! ამასაც სიბერე შევპარვია!

**დიმიტრი.** ეს არის აღმზრდელი კრეინა ევგენიასი და მასვე გა-  
მოჰყეა, ჩემი ევგენია რომ წარმოეყვანე. კარგი ოჯა-  
ხის და გვარის ქალია. პატარობიდანვე ამთ სახლ-  
შია გაზღილი, ევგენიას დედმამის ხელში. ისე მოკრ-  
ძალვით მშობლებთან როგორ ვიქნებოდი, როგორც  
ამასთანა ვარ. (დიმიტრი) თითქმის მეშინიან კიდევც  
კეცვანი დედაკაცია და სამაგალითო ღვთის-მოსავი.  
მთელი ჩვენი ოჯახი მაგის ხელშია, და ეგ რომ არა  
გვყვანდეს, მგონია (სიცილით), შიმშილით დავიხო-  
ცებით!..

**სფირიდონ.** დიდად სანუკარია ამისთანა ერთგული ადამიანის  
ყოლა ოჯახში. (ჩუმად განაგრძობენ დაპარაფის).

**ანნა.** (თავისთვის) დიდება შენდა, მაცხოვარო! საიდან სად  
შეხვდება ადამიანი ადამიანი! ასე მგონია, გუშინ იყო  
მეოქი, მე და ჩვენმა დემეტრემ, იმ წყვდიად დაყინულ  
დამეში, ჩემი ილექსანდრე, რომ მივუგდეთ სფირი-  
დონს... ემალლობ ჩემ უფალს, რომ ჩემი ვეზრება  
შეისმინა, და დღეს თვალით ვუყურებ, ჩემ ამაგდარს,  
შვენიერ ვაუკაცს... ღმერთმა ეს კეთილშობილიც  
დღეგრძელ ჰყოს, რომ ისე მამაშვილურიდ მოუარა  
და კაცი გამოიყვანა... მაგრამ არც ერთმა ამათგანმა  
რომ არიცის, ეინ არის მალხაზი ან ვისი შეილია! მაგრამ  
როგორ რას ვიტყვი ან ვის გაეაგებინებ ამ საქმეს,  
როდესაც ჩემ დიმიტრის და ევგენიას ამდენი შვილე-  
ბი და გასათხოვარი ქალები ჰყავთ: ხომ სახელი გა-  
უტყდათ!.. თავი მოეჭრათ!..

დიმიტრი. ანნა! ხომ იცი, ვინცა ბძანდება? (სფირიდონზე).  
 ანნა. (ეგგენიას.) რა არისო?

ეგგენია. (კუჭშა ჩასძახებს.) ხომ იცი, ვინცა ბძანდება, ბატონი სფირიდონი?

ანნა ვიცი, როგორ არ ვიცი. ბევრით თქვენზე აურე ვიცნობდი. მაშინ სულ ყმაწვილი იყო. ზემო ქართლში.... სფირიდონ. მართალი გახლავთ, ბატონი! იქ მე დეიდა მყვანდა და ხშირად ვიყაფი ხოლმე იმასთან გიმნაზისტობის დროს...

დიმიტრი. (ცოდს.) ქალო! ელიკო სად არის, რატომ არ გამოვა?

ეგგენია. ელიკო ქალაქში გიახლათ, სავაჭრო იქვს; სანამ თქვენ მობძანდით, ყავა მიირთვით. (სფირიდონს.)

დიმიტრი. ეგ შეიძლება, და ყავასთან თუ საუზმესაც მოგვარომევთ, ის უფრო კარგი!...

ეგგენია. დიღის სიმოვნებით. მობძანდით, ბატონებო!

სფირიდონ. (სთავაზობს.) ინებეთ, მიბძანდით, თქვენი ჭირიეთ!

დიმიტრი. მობძანდით, მობძანდით, ძველო მეკობარო და ახალო მოყვარევ! (წელზე სელს მოსკევს; მიდიან, კარებთან ერთმანეთს სთავაზობენ გზას. შედაან მარცხნივ.)

დიმიტრი. (გამოარტვდება და ანნას.) უბძანე, მარნიდან ძველი ლვინო ამოვვიტანონ.

ანნა. ეხლავე, კარგია. (ჭიბეში გასაღებს აჩხარუებს, ამოაჭებს და შეა გარით გავა.)

### მესამე სანახავი

ნიკო და ელიკო—(შემოდინ საქაჭროებით,)

ელიკო. (პალტის გაიხდის და შლიაპას მოიხდის.) უაბძანდი, ნიკო! (კარებშა შეიხედება.) სფირიდონი ბძანებულა ჩეენთან.

## ცისაჲტუება

ნიკო. ძალიან ხშირი სტუმარია თქვენი! (დაჯდება.)  
კლიერ. (დიმება.) ჰო, სამამამთილო გახლავთ!

ნიკო. მე კი დავთრებს მიკარგავს ეგ სამამამთილო და თქვენი  
არ ვიცი...

კლიერ. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა. საზო-  
გადოდ გათხოვებაზე სულ არ ვიტიქრებდი, მშობ-  
ლების ხელ-მოკლეობა რომ არ მაძულებდეს. გულ-  
გამოტეხით გეტყვით ცველაფერს...

ნიკო. დიდად გმადლობთ!

კლიერ. არ გაეთხოვდე მშობლების ბარგი უნდა შევიქნე, რო-  
მლებსაც ჩემს გარდა სხეა შვილებიცა ჰყავთ საზრუ-  
ნველი და აღსაზრდელი; გავთხოვდე და თუ ჩემის  
გუნებისას არ შევეყრები, რალა სიცოცხლე იქნება!..  
ამასთანავე არც მოხერხდება ჩემი სამუდამოდ სახლ-  
ში დარჩენა... ბავშური ფანტაზია თუ დაკვირვებით  
გამოკვლევა ჩემის მხრით, უნდა გითხრათ, რომ მე  
მინდა შრომა; მინდა მეუღლობა იმისათვის, რომ ჩემ  
ქმარს ტვირთად არ აეკიდო და ცხოვრებაში შუა  
გავუყო: ჯაფა-შრომა, ბედნიერება-უბედურება, სიმ-  
დიდრე-სიგლახაკე, ესე იგი, დავეხმარო მას ზნეობ-  
რივ, ჰუმანიურის რჩევა-დარიგებით, და, როგორც  
შევიძლებ, მატერიალურადაც. ამ გვარია ჩემი პრინ-  
ციპები...

ნიკო. აგრეც უნდა იყოს! მაინც დიდი ბელნიერი ვარ, რომ ეს  
მესმის დღევანდელი ქართველი ქალისაგან. ეს მოე-  
ლენა ჩვენი ცხოვრების ცისატყვლად მიმაჩინია!..

კლიერ. ცოტა მისწავლია თუ ბევრი, კურსი კარგად შევასრუ-  
ლე, და ამ მცირედის ცოლნით მინდა ვისარგებლო,  
რომ ეისთვისმე რამე კეთილი და სასარგებლო საქმე  
გავაკეთო. ეს არის ჩემი დედა აზრი. მეტად ჩამოვრ-  
ჩით ქვეყანას, განათლების მხრივ, ქართველი ქალები!

ჭვეფანის რომ ვუყურებ, თვალები მიბნელდება, შუ-  
რით კი არა, ჩვენის დაუძლებურების გამო.

**ნიჭი.** შართალს ამბობთ, ძალიან ნაკლებად ვხედავთ ჩვენს დრო-  
ში ქართველ ქალებს!

**ელიჭი.** პო და, ეხლა წარმოიდგინეთ ჩემი უკიდურესი მდგო-  
მარეობა: ყველას ერთის ხმით ჩვენს ოჯახში სურთ,  
ანნას გარდა, (დიმილით) არ ვიცი, ასე რად გესარჩ-  
ლებათ თქვენ...

**ნიჟი.** (დიმილით.) დიდი მეკობარი და მწყალობელია ჩემი.

**ელიჭი.** პო... ყველას, ანნას გარდა, სურს მაღაზი შევირთო.

**ნიჟი.** ვიცი და ეგ მიხუთავს სულს! მაღაზი მდიდარია.

**ელიჭი.** არა, ყმაწვილო, გარდა სიმდიდრისა, რომ არაფერი  
საბუთი და შიზეზი მაქვს, რომ ის დავიწუნო! არა,  
რა უნდა ესთქვა მიზეზიდნ! მშვენიერი ახალგაზდა,  
კარგი აღზრდილ - განათლებული ყმაწვილი, კეთილ-  
სათნოიანი, უზადო პატიოსანი, კარგის გვარისა.

**ნიჟი.** მართალს ამბობთ.

**ელიჭი.** მაგრამ გულის სილრმეში რომ ჩიმოიხედოთ, მე მაღაზის  
ქმრიდ არ ავირჩევ და, თუ ნებას მიბოძებთ, (დიმი-  
ლით.) თქვენ გარჩევთ იმის და აი რისთვის. მაღაზი  
რომ შევირთო, ქალბატონი უნდა გაფეხდე, ესე იგი  
უსაქმური, ზარმიცი, კოპტია, ამჰარტავანი... როვორც  
ეხლა ეხედავთ ჩვენებურ ქალბატონებს. სხვა ნირიად  
მოქცევა იმის სახლში არ შეიძლება, ამიტომ რომ  
იმ თავიდანვე ოჯახი ასე აქვთ დაყენებული. ხშირად  
მთელი ლამე, გინდა თუ არა, წინწალი; დღე თერმეტ-  
ოთორმეტ საათომდის შილი; რამდენიმე შიახლე: ერთმა  
ფეხთ უნდა ჩაგაცვას, მეორემ ტანთ, მესამემ თა-  
ეო უნდა დაგვარცხნოს; დღეში სამჯერ კაბები გა-  
მოიცვალო და სხვანი და სხვანი. აბა მე ამეებს  
როგორ ავიტან! და თუ ვერ ავიტან, იმ ოჯახში  
ცხოვრებაც არ შემეძლება.

## ცისარტყელი

**ნეკო. მტკიცე კეშმარიცება!**

**ელიფა.** პატარობიდანვე დღემდე ჩემი ზმანება იყო და არის: ქმარი თუ მეყოლება, განვითარებული, მანე კაცი, მშრომელი, მუშაკი, რომელიც დილი ადრიან მიხედავს მამულს, თავის საქმეს დაადგება, ბიჭებს გაამხნევებს, თითონაც მათთან იმუშავებს. ამავე დროს შე მოვუყრი თავს ჩემი სოფლის გოგო-ბიჭებს, ჩავუჯდები შუაში, გასწავლი და ვემუსათვები. სწავლის შემდეგ ჩამოვუკლი გლეხის ოჯახებს, ვანუგეშებ, დავარიგებ, გავაშინევებ, ავადმყოფებს მოვუკლი, წამლებით დავეხმარები და სხვანი. ამის შეძლება მაქვს და ყოველთვისაც მექნება. ეს არის ჩემი ოცნება, რომელიც უთუოდ უნდა განხორციელდეს, თუ ვიცოკლე. აბა, ამგვარი ცხოვრების ნებას ვინ მომცემს მაღხაზის სახლში! ეს არის ჩემი აღსარება.

**ნეკო.** გმადლობთ, გმადლობთ მაგ აზრებისათვის! (ხელზე ჭრის) თქვენ ანგელოზი ხართ, დაჩაგრულ ხელხთათვის სანუგეშოდ მოვლენილი. გასწით წინ! შრომას ნუ შეუშინდებით! თუხილეთ გონების თვალი ჩვენს ქალებს! ოღონდ კი ყველა ჩვენგანმა გააკეთოს ის, რაც შეუძლიან, და მეტი ბედნიერება არ უნდა ჩვენს ქვეყანას და ხალხს!

**მეოთხე სანახავი**

**იგინივე, სფირიდონ და დამიტრი. (შემოდიან.)**

**სფირიდონ** (შეიარყელად). ოჰ, ჩემი რძალო, სადა ბრძანებულ-ხარ? (ორივე ხელს დაუტენს.)

**ელიფა.** სავაჭროდ გახლდით.

**სფირიდონ.** ჴო, ჴო! მხადებაში ხარ, ჴა?

**ელიფა.** დიალ... არა, სე, რაღაც წერიმალი დამჭირდა...

დიმიტრი. ნიკო, გამარჯობა! სადა ხარ, კაცო? (სედს აძლევს.) სფირიდონ. (სედს აძლევს). კაცო, აღარც ჩვენსკენ გამოიარე, სად იყავი?

ნიკო. სოფელში გახლდით. ახალი სამეურნეო იარაღი მომივიღდა და და ის წავიღე.

ელიკო. (ხუმად ნიკოს.) ჯერ არ წახვიდე! (აღდებს ნაგაჭრს, ტანისამოსს და გავა).

სფირიდონ. აბა, აბა! შენ იცი, როგორ გვასახელებ. (დაჭრება.)

დიმიტრი. დაჯექი, ნიკო! (დაჯდება) შენ და შენი მეურნეობა. მგონია, მეტი არა გახსოვს-რა!

ნიკო. მეტი რა უნდა მახსოვდეს, ეს არის ერთად-ერთი სახე-რი ჩვენის ცხოვრებისა.

დიმიტრი. ჰო, რატომაც არა, ბევრია ეხლა მეურნეობის მიმდევარი.

სფირიდონ. (სიგარას უკიდებს). რა გამოეიდა, მომზადებულნი რომ არა ვართ!

ნიკო. როგორ, ბატონო?

სფირიდონ. სადა გვეცვავს განვითარებული მეურნეები?

ნიკო. ეგ თქვენზედ გახლავთ დამოკიდებული: შვილებს ხომ ზრდით, ხარჯი გაქვთ? დაზარდეთ მეურნეები...

დამიტრი. მაგისიც არა გაიგება-რა. ზოგი რას გირჩევს და ზოგი რას! ორი შეილი მყავს საზღვარ-გარედ და არ ვიცი, რა სწავლას ადგანან. დღეს რომ ერთსა გწერენ, ხვალ მეორე სწავლაზე გადადიან. რუსეთში კი დამთავრეს სწავლა და ეხლა არ ვიცი, რასა სწავლობენ.

ნიკო. მშვენიერი შვილები გყავთ, ბატონო, ძალიან კარგი ყმა-წვილები არიან. ვანო ხომ ექიმია და მიშა აგრონომიის უმაღლესს კურსებზე არის. პარიუში კარგა ხანს ვიყავით ერთად.

სფირიდონ. იცი, დიმიტრი, რა გითხრა. დღემდის ვერ გამო-  
ვარკვიეთ რა ჯურის სწავლა სჯობიან! რა გზას და-  
ვადგეთ ქართველები?

ნიჭ. არამც თუ ჩვენ, ბატონი, დღემდის მთელ ევროპას ვერ  
გადაუწყვეტია, რა ჯურის სწავლა სჯობია: კლასი-  
კური თუ რეალური... მაგრამ საიდან სად! (დამი-  
ლით.) ევროპა ძალიან შორს არის ჩვენგან!.. ლეთის  
წყალობა გაქვთ, რომ დიდი ბელნიერები ვიქმნებით,  
რომ დიდებული ექიმებიცა გვყვანდნენ, დიდებული  
ხუროთ მოძლვრები, გამოაჩინილი აგრონომები, მას-  
წავლებლები, ბუნების-მეტყველნი და სხვანი,—ყვე-  
ლა ეს დიალ კარგია, მაგრამ უწინარეს ყოვლისა,  
რომ გვცივა და გვშია?! აი რას უნდა მოვუნახოთ  
თავიდან ასაკოლებელი ხერხი. დღეს ჩვენი მხსნელი  
მეურნეობა მგონია და არცა ვცდები, და სასურვე-  
ლია, მომავალი თაობაც ამ მიზანს მიჰყვეს. სხვა გზა  
არა ვვაქვს.

დამიტრი. (ჩაფიქრებული.) მეურნეობას, მიწის შემუშავებას, სა-  
ზოგადოდ მიწად-მოქმედებას ფული უნდა. ჩვენ არა  
გვაქვს ფული, ღარიბები ვართ!

ნიჭ. (ცხარედ.) ღმერთი, რჯული, არ ვართ ღარიბები! ძალი-  
ან მდიდრები ვართ...

დამიტრი. (ხელს გაიქნევს.) მდიდრები ვართო! მაშ ბრძები ვყო-  
ფილვართ, ვერა ვხედავთ?

სფირიდონ. შე დალოცვილო, აქამდის შეგვატყობინებდი, სად  
არის ჩვენი სიმდიდრე! (ჩაიცინებს.)

ნიჭ. (ადგება, მტკიცედ.) ბატონი, თქვენ ფულს ეძახით სიმ-  
დიდრეს. ფული სიმდიდრე არ გახლავთ! (სფირი-  
დონ და დამიტრი ერთმანეთს გადახედავნ.) დიალ!  
ფულით სიმდიდრე საპნის ბურისა ჰგაეს, აი, პატა-  
რა ბავშვები რომ გაბერავენ ხოლმე: იბერება, იბე-  
რება, ადის მაღლა და უცბად გასკდება. მერე რა

რჩება იქიდან? არაფერი. ესევე გახლავთ ფულის სიმ-  
დიდრეც. სიმდიდრე ჰქვიან მიწას, ნიადაგს, რომელ-  
ზედაც დგეხარ და რომელსაც უნდა გაუფრთხილდე,  
რომ ფეხქვეშიდან არ გამოგეცალოს. აი ეს მიწა  
არის სიმდიდრე. და მიწა ჩვენ ჯერ-ჯერობით საკმა-  
ოდა გვაქვს.

**სფირიძონ.** ახა, ღმერთო ჩემო! ყმაწვილო-და, მიწის შემუშა-  
ვებას ფული არ უნდა?

**ნიკო.** უნდა.... ძალიან მცირე. მხოლოდ ძლიერი ცოდნა  
და სწავლა, რომელნიც იმავე მიწიდან ამოთხრიან  
ფულს.

**დამიტრი.** მაინც უფულოდ არა გაკეთდება-რა.

**ნიკო.** მართალია, მაგრამ ეს უფრო მართალია, რომ უცო-  
ლინარობით ფულითაც ეერაფერი ვერ გაკეთდე-  
ბა. რამდენიც გინდათ, ფული მიეცით ჩვენ გლეხ-  
კაცს, ის მოიხმარებს ამ ფულს?! არა. მილიონიც  
რომ ჰქონდეს, ჩვენი გლეხკაცი მაინც გუთანში რვა  
ულელ ხარ-კამერის შეაბამს, ხუთ მეხრეს და გუთნის  
დედას იყოლიებს, ჯერის მიმტანი კიდევ სხვა იქნე-  
ბა. ასე რომ ყოველ დღე ჩვენებურ გუთანს უნდე-  
ბა რეა ულელი ხარ-კამერი და მდენივე კაცი. მერე  
რას აკეთებს ამოდენა მუშა-კაცი და საქონელი? იმის  
მესამედს, რასაც გერმანელი გლეხი წყვილის ცხე-  
ნით ანუ ულელის ხარით ერთ დღეში გააკეთებს.

**სფირიძონ.** (სიცილით) ორი ცხენი ძალიან კი დასძრავს ჩვე-  
ნებურ გუთანს!

**ნიკო.** მაინცა და მაინც რათა გვონიათ, ბატონი, რომ თუ არ  
ჩვენებური გუთნით მოხნულია, სხვა მოსავალს ვერ  
მოიყენს?

**დამიტრი.** ჩემო ძმავ! რას გამოდგება ჩვენ მიწიზე შენი ევ-  
როპიული ფირფიტა გუთანი! ერთ გავლაზე მიაშჩე-  
რევენ.

ნიკო. ბატონო! კლდე-ლრეს თუ შეებრძოლებით, რასაკვირვე-  
ლია, მიანჩხვრევენ; თორემ უცხო ქვეყნებში ბამბა  
კი არ ჰქონია! მიწა, ნიადაგი იქაც ისეთია, როგორც  
ჩვენში... იქნება კიდევ უარესიც .. მხოლოდ ცოდ-  
ნა, მოხმარება უნდა იარაღს. ამას წინად ერთი ჩვე-  
ნებური მემამულე შემომჩიოდა: „რამდენი გუთანი,  
სალეჭი და სანიავებელი მანქანა გამოვიწერე ევრო-  
პიდან, სულ ერთიანად მიმიმტვრიესო!“ ღმერთო ჩე-  
მო! გუთანი თავის თავად კი არ მოხნავს! იარაღი  
თავის თავს კი ვერ იხმარებს!.. აბა გამოიწერეთ ევ-  
როპიდან ცოდნა და სწავლა... დახელოვნებული ოს-  
ტატები, ვნახოთ მოიხმარებენ თუ არა!.. ღარიბები  
გართო! რითა ვართ ღარიბები? ჩვენში უმიწოდ გლე-  
ხიც არ მეგულება, არამც თუ თავად-აზნაურობა!..  
გერმანეთში გლეხს რომ ათი დღიური მიწა აქვს,  
მდიდარი ჰქვიან: სასმელიცა აქვს, საჭმელიც, საქო-  
ნელიც, ორ-სართულიანი სახლიც და კიდევ... რის-  
თვის, საიდან? ცოდნა და შრომა! შრომა და ცოდ-  
ნა! აი საიდან...“

დამიტრი. ათი დღიური რომ აქვს, ერთ ალაგასა აქვს. მე ორი  
ათასი დღიურიცა მაქვს, მაგრამ რა გამოვიდა! ზოგი  
სად არის და ზოგი სად დაფანტული.

ნიკო. რაც უნდა დაფანტული იყოს, ერთ ალაგს ხომ გექნე-  
ბათ ათი დღიური?

დამიტრი. ჰო, რატომ... ერთ ალაგს ათი კი არა და ხუთასი  
დღიურიცა მაქვს.

ნიკო. აგაშენოთ ღმერთმა! მერე მოხმარება არ უნდა?.. ღარი-  
ბები ეთოთო!

დამიტრი. აი, ბატონო, მოიხმარეთ! ინებეთ, ვინ გიშლით!  
სფირიდდონ. (ფიქრის) ჰო... რაზე ჩამოვარდა ეს ლმპარაკი?

ნიკო. იმაზე, ბატონო, რომ რა ჯურის სწავლა სჯომიაო.

**სფირიდონ.** პო, დიახ, დიახ! სწავლის მიმართულებაზე... მერე ყველა ხომ მიწას არ ჩავაკვდებით, ექიმობა, ვსოდეთ, ან სხვა მეცნიერება, რა ნაკლებია ამ შენ მეურნეობაზე ან ხუროთ მოძღვრობაზე?

**ნიკო.** ნაკლები კი არა, ბატონო, ყოველგვარი სწავლა საჭირო და სასარგებლოა, რაღა თქმა უნდა, მე მხოლოდ მოგახსენეთ, დღეს ჩვენთვის უსაჭიროესი რომელიც არის. მშიერი კუჭი ვერ იმუშავებს, ამისათვის საჭიროა, ჯერ მატერიალურად მოვეწყოთ, ფეხზე წამოვსდგეთ, წელში გაესწორდეთ, ეკონომიკური მდგომარეობა გავიუმჯობესოთ. თორემ რა გამოვიდა: დავწანწალებთ უცხო ქვეყნებში მშიერ-მწყურეალნი, უსაცმელონი. როგორ უნდა ისწავლოს საწყალმა მშიერმა სტუდენტმა! ბევრ ნაკლებულობას ვიტანო, ეს მითომ არაფერი, სწავლის ფულს რომ ვერ შევიტანო, უნდა გამოვერევონ. წადი და იხეტიალე უცხო ქვეყანაში, უცნობ ხალხში...

**სფირიდონ.** ეგ ნამდეილია, რომ ჩვენი ხელმოკლეობა ძალიან აფერებს სწავლა-განათლებას ჩვენში.

**დიმიტრი.** მაგას რაღა თქმა უნდა.

**ნიკო.** წელინ თქვენა ბრძანეთ, ექიმობა კარგიაო. კარგი ექიმობა რატომაც არ არის კარგი, მაგრამ იშვიათი კი გახლავთ, შეიძლება რიგიანი ექიმი გამოვიდეს სტუდენტი, თუ რომ თითო კურსს სამ წელიწადში მოაწყობებს! თორემ ჩვენ ხუთ წელიწადში ხუთივე კურსს გავირჩენთ და გამოვცვივდებით, „ნასწავლი ექიმები“, საღი ხალხის დასახოცად.

**სფირიდონ.** (ს: ცილით) კაი ნუგეშია, თქვენმა მზემ!

**დიმიტრი.** მართალს ამბობს ეგ კაცი.

**ნიკო.** პირველად, ბატონო, საექიმო ფაკულტეტზე შევეღი-პირველი წელი კარგად გავატარე, გადავედი მეორე კურსზე. იმას არ მოგახსენებთ, რომ მე, ეს ღარიბი-

კაცი, წიგნებმა გადამიტანეს,—აბა ვინ მომცემდა იმ-  
დენ ფულს, რომ საჭირო წიგნები შემძინა, და ის  
საჭირო წიგნები უთვეალავია, თუ გინდა, ზედმიწევ-  
ნით შეისწავლო საგანი... ამხანაგები მიმართავდნენ  
ხელს. ეს იქით იყოს, ისეთი დაწყევლილი ძნელია  
მეორე კურსი, რომ მთელი უნივერსიტეტის დრო  
მარტო ამ კურსს რომ მოანდომოს სტუდენტმა, მაინც  
არა გამოდის-რა; ვერაფერს ვასწრობთ. ვუყურე, ვუ-  
ყურე და ვსთქვი: დაწესებულს დროში ისე ვერ შე-  
ვისწავლი საგანს, რომ საღი ხალხი არ გავწყვიტო-  
მეთქი, ავდეჭი და სააგრონომო სასწავლებელში გა-  
დავიდო.

**ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ.** (କ୍ଷାରକ୍ଷାରିତା) ଲୋକି ମାତ୍ରମାତ୍ର ଗାନ୍ଧୀଜୀରେ, ହରମ ଅମ୍ଭେଣୀ ବୋଲିଛି ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣଙ୍କିର୍ତ୍ତିନାମେ, ତଥାରୁ ଏହି ମି ହରମ ଯୁଦ୍ଧକାଳୀମ୍ବାଦୀ, ହରମାରୁ ଶ୍ରୀ ଅମ୍ଭନ୍ଦ, ଶ୍ରୀନି ମତ୍ରେଣୀ, ହରମ ଶ୍ରୀନି ନାମନାମ୍ବାଦୀ ମୁସରୀ ଗାନ୍ଧୀଜୀରୁ!..

ნიჭ. მართალი ეს გახლავთ და რა ვქვე...  
მართალი ეს გახლავთ და რა ვქვე...

კლიენტი. (კარგის შემთაცემის) ბატონი ნიკო! ყავა გაგიციელათ.

ნიგო. (ელიკას) უკაცრაოდ, ბატონი, გიახლებათ. (იმათ) რაც  
მოგახსენეთ, ჩემი საკუთარი აზრი გახლავთ. (შედის  
მარწმნივ).

დამიტრი. ბევრს საფუძვლიან რამეს კი ამბობს ეს ყმაწვილი.

სფირიდონ. ბევრს. თავსაც გაიტანს, ჩარჯვე ბიჭია. (წამოდგება)  
ესეც ესე. რაც გვინდოლა, ყველაფერი მოვილაპარა-  
კეთ. მე რაღა მოვიცადო, მივხედავ სახლს, პასუხს  
შევატყობინებ.

დიმიტრე. დიახ — კარგი. როგორც გითხარი, მე დიდი მომზა-  
ლება არ მინდა, როცა ვნებავთ, ქორწილი გადავი-  
ხადოთ.

სფარადონ. ჩემო ღიმიტრი, მკონია, რაც აფრე იქნება, ისა  
სჯობიან...

დიმიტრი. თუ გინდა, ხვალვე.

სფირიძე. ჰო, სჯობიან, საქმის გარემოება ხომ იცი...

დიმიტრი. მაგაზე შენც სუ და მეც სუ!.. ეგ საქმე ხელის შემშლელი არ არის...

სფირიძე. (ხელს აძლევეს) მაშ ნახვამდის, მალხაზს გამოვგზაუნი უკანასკნელიდ მოილაპარაკონ.

დიმიტრი. ძალიან კარგი. მაგრამ რას გეთხოვები, მეც გამოვივლი, პატარა საქმე მეტა მაქას. (აიღებს ჭუდს).

სფირიძე. მობძანდი. (გადაის).

### მესუთე სანახავი

ელიგო და ნიკო (გამოდიან დაპარაკით).

ნიკო. თქვენი მშობლების ლაპარაკიდან ცხადადა სჩანს, რომ თუ არ მალხაზი, მათ სხვა სასიძო არ უნდათ (სინანულით) რა ვქნა, ძალით არაფერი არ შეიძლება, და ოლონდ ბელნიერი იყავი, ყველაფერს დავთმობ, ჩემ ბელნიერებას შემოგწირავ...

ელიგო. ეხლა შენა სთქვი, ძალით არაფერი არ შეიძლებაო; მერე მე აღარავინ მკითხავს? რა უსუსური ბავშვი მე მნახეს, რომ ჩემი ბედ-ილბალი ბურთივით ათა-მაშონ!

ნიკო. წელან კიდევ შენ გამოსთქვი საფუძვლიანი აზრი, რომ არაფერი საბუთი არა გაქვს, მალხაზს უარი უთხრა ცოლობაზე. მართლა და რა უნდა სთქვა? რითი უნდა დაიიწუნო? მეტადრე როდესაც მე შემადარებენ იმას. სწავლით და კაცობით თუ ჩემზე მეტი არა, ნაკლები არ არის. და რაც შეეხება მატერიალურ მდგომარეობას, ის კაცი დიდი შემძლებელია, და მე კი ხელმოკლე შუშა კაცი. აი ეს თეითმცნობელობა სასტიკად მტუქსავს მე, რომ მეტოქობას ვუწევ მოლ-

## დასარტყმა

ხაზს. ან შენ, ან შენმა მშობლებმა რა უპირატესობა უნდა მომცირო მე წინაშე მაღაზისა? ამასა კერძობ და ესა მკლავს...

**ელიფა.** მე ჩემი აზრი გითხარი. მე არ მინდა ისეთი ცხოვრება, როგორც მაღ ხაზის სახლში მექნება. მე არ მინდა ქალბატონობა! ცხოვრებაში საბრძოლველად შომზადებული ვარ, და მინდა, ცოტაოდენი კვალი მაინც დავაჩინია ქართველი ქალის უაზრო და უქმეც ცხოვრებაში.

**ნიკო.** ღმერთმა გისმინოს. ჩემი ბედი განგებაზე არის დამოკიდებული და შენი ხასიათის სიძლიერეზე. ნახვამდის. (სეღზე ჭრუნის).

**ელიფა.** (სეღს აძლევს) საღამოზე უთუოდ შემოიარე.

**ნიკო.** უთუოდ. (მიდის, კარებში მაღხაზს შესვება).

## მეექესე სანახავი

იგინიგე და მაღხაზ.

**მაღხაზ.** (კარებში) ნიკო, გამარჯობა! კაცო, რომ აღარ შემოიარე ჩვენკენ, რა მინდაო?

**ნიკო.** არა მცალოდა... (მიდის.)

**მაღხაზ.** უთუოდ შემოიარე. არ დაგავიწყდეს, რომ შაფერი ხარ.

**ნიკო** (მიმავალი). კარგი, კარგი.

**მაღხაზ.** ელიკო, როგორა ხარ? (სეღზე ჭრუნის.)

**ელიფა.** გახლავართ. (იქით) ჯერ კიდევ ვინ იცის, ვინ ვისი შაფერი იქნება! (მიიწვევს). დაჯექით! (თვითონ მარწმნივ დაგანზე დაჭდება).

**მაღხაზ.** (დაჭდება და ხედებს იფშვნეტს). მე საჭიროდ მიმაჩინია, უკანასკნელად მოვილაპარაკოთ...

**ელიფა.** რაზედ? სთქვით, რაშია საქმე?

**მაღლხაზ.** მეტადრე ეხლა, როდესაც იმისთანა მდგომარეობაში უარ ჩაყენებული, რომ სულის სიმშვიდე აუცილებელია ჩემთვის...

**კლიფა.** მე თითქმის არაფერი არ მესმის!

**მაღლხაზ.** ჩემი საიდუმლო უნდა გაუწყოთ. ეს უკანასკნელი განდობა იქნება ჩვენ შორის... ჩვენები კიდეც ემზადებიან საქორწილოდ და ჩვენ კი...

**კლიფა.** ვის საქორწილოდ?

**მაღლხაზ.** როგორ თუ ვის საქორწილოდ? ჩვენ საქორწილოდ!..

**კლიფა.** (გავითრუბული) როგორ ჩვენ... მე თქვენთვის სიტყვა არ მომიცია!..

**მაღლხაზ** (დაფანტული). სიტყვა... რა სიტყვა! უკელა ისე გვიყურებს, ვინც ხედავს ჩვენს დამოკიდებულებას...

**კლიფა.** მე დიდის სიამოვნებით მიგიღებდი ხოლმე სახლში, როგორც სასიამოვნო ყმაწვილს კაცს, გეალერსებოდით, დიდიდ მომწონდით, მაგრამ მაგაზე კი არ მიფიქრია, და მგონია არც სიტყვა მომიცია.

**მაღლხაზ.** (ადგება) მე გათავებული მგონია საქმე, როგორც ჩვენებიცა და თქვენებიც დარწმუნებულნი არიან... მართალია, ოფიციალურად არ მითხოვია თქვენთვის ხელი. მე მხოლოდ მარტო იმისათვის მოვედი, რომ მეამბნა ჩემი აღსარება; ამას ზნეობა მოითხოვს, და, თუ საჭიროდ ხედავთ, ოფიციალურად გთხოვთ ხელსა! გთხოვთ, გახდეთ ჩემი ცოლი!

**კლიფა** (ადგება, ღელაკს). დიდად მომწონხართ, პატივს გცემთ, თითქმის... მიყვარხართ კიდეც, მაგრამ გულგამოტებით უნდა გითხრათ, რომ არ შემიძლიან თქვენი მეულლოება... .

**მაღლხაზ.** (გაფითრებული). როგორ! ამ სასოებასაც მისპობთ მე, მარტოდ დატოვებულს კაცს?! არა, თქვენ ამას არ იზამთ! თქვენ უნდა შეიქმნეთ ჩემი მფარველი ანგელოზი! თქვენ უნდა მომანიჭოთ სულის სიმშვიდე,

მისი მყუდროება! მხოლოდ თქვენ შეგიძლიანთ სულით  
დაუძლურებულ-დაჩაგრულთა შეელა...

**ელიკო.** (დაპარაკის მადა არ ესმის) აღრევაც ბევრჯელ მითქმაში  
და ეხლაც ვამბობ, რომ ჩვენს აღზრდა-მდგომარეო-  
ბაში არაფერი საერთო არ არის. თქვენ, დარწმუნე-  
ბული ვარ, თვენს უნებურად ბატონად ხართ აღზრ-  
დილი. ამ სენის მოშლა ძალიან ძნელია! მე უიდეოდ  
ცხოვრება არ შემიძლიან. მსურს, ვიყო მუშა, საზო-  
გადო—საქვეყნო მუშა, და ქმარიც ამგვარივე მინდა  
მუქთა-მჭამლობას, უზრუნველობას, ფუჭად დროს გა-  
ტარებას მე ვერ მოვეწყობი. არა მსურს, ჩემის ქმრი-  
სათვის სათამაშო ვიყო, როგორც ტიკინი ბავშვისა-  
თვის. (ადგრძით.) აბა წარმოიდგინე, ძვირფასო მალ-  
ხაზ, შენი მშობლები... აი, სულ უბრალო მაგალითს  
გეტყვი,—რომ დამინახონ, დილა აღრიან კრუხ-წიწი-  
ლას ნაკმაზს ვუყრი, ან და ჩავმჯდარვარ დაკონკილ-  
დაძონძილ გლეხის გოგო-ბიქებში და გულ-მხურვა-  
ლედ ვეალერსები და ვესაუბრები,—რას იტყვიან? ეს  
ხომ იმათვეის თავის მოჭრა იქნება, ჩემთვის კი ნე-  
ტარება. აბა როგორ შევათანხმოთ ეს ორი უკიდუ-  
რესი გარემოება? ეს სულ უბრალო მაგალითი მოვი-  
ყანე, და რამდენი ბევრად სერიოზულია... ერთის სი-  
ტყვით, რაც არ მოხერხდება, არ მოხდება. შენ ამა-  
ყად გაზიდილი, დედის ერთა, მდიდარი, გვარიშვი-  
ლი...

**მაღხაზ.** (ორიე სელებს დაუჭერს, აღელებული) არაფერი, არა-  
ფერი ძვირფასო, საყვარელო ელიკო, მე არაფერი  
არა ვარ! გებრალებოდე, მარტო ვარ ამ ქვეყანაზე!  
არავინ და არაფერი არ მაბადია! ყოველი შენი სა-  
ყვარელი გლეხის შვილი გაცილებით ბეჭნიერია და  
მაღლა სდგას ჩემზე!.. შემიბრალე, მხოლოდ შენა  
ხარ ჩემი მფარველი ანგელოზი, სათნოიანი; ნუ მი-  
მიყვან დალუპვამდე. (სელებზე ჭიოცნას.) სრულიად

მარტო ვარ ამ ქვეყანად, შენი სიყვარულის მეტი  
არა მაბადია-რა! გვევედრები, ჩემო ანგელოზო, ხელი  
მომაშველო, სულით მაშერალს, დავრდომილს, უპატ-  
რონოს... (თვალებს იწმენდს).

**კლიფთ.** (რომელიც დადად გაგვირჩებული უსმენდა). არაფერი არ  
მესმის! როგორ! შენ, მალხაზ, დავრდომილი, უპატ-  
რონო? (ალექსით) იქნება შეუძლოთა ხარ, მითხარი,  
მალხაზ! (სელებს დაუტენს) რა ვქნა, რა გემართება...  
მინია, ცუდათა ხარ!..

**მაღაზ.** (სიყვარულით შესცემის) გვინია შევიშალე? (დიმილით)  
არა, ჯერ არა, ნუ შეგვშინდება, ჩემო ძეირფასო!  
მაგრამ, მგონია, შორს კი არა ვარ შეშლაზე, შენ  
სიყვარული რომ არ მაკავებდეს!.. ოჟ, ნეტავ მართლი  
შევიშლებოდე, და მას კიდევ სიკვდილი მალე მოჰ-  
ყეს, თუ რომ ჩემს გულს სამოთხის შუქს არ მოჰ-  
ყენს შენი სიყვარული!

**კლიფთ** (გაშტერებული, იქით). რა ვქნა, ვერა გამიგია-რა!.. (იმას) ყველაფერი გულ-ახსნით გითხარი, ჩემო მალხაზ, და  
ან შენ ნაძალადევი შეულლება რად გინდა? ღმერთმა  
ხომ იცის, არაფრით არ გწუნობ, მხოლოდ ჩვენი მი-  
მართულება...

**მაღაზ.** (გააწევატინებს) არა, არა! (სასტიკად) გულ-წრფელი არა  
ხარ! ტყუილ მიზეზებს ეძებ!.. შენ გითხრეს ჩემი ვი-  
ნაობა, ანუ უკეთ ვთქვათ, ჩემი არარაობა და თავი-  
დან. მიცილებ!.. წინად თანახმა იყავი ჩემს ცოლო-  
ბაზე, ყველამ, შინაურმა და გარეულმა, იცის ეს...  
(კედრებით) ელიკო! ძვირფასო ელიკო! მე ვარ ის მუ-  
შაკი, მამულის შეილი, გამრჯე, როგორსაც შენ ეძებ!  
ცოდნა—სწავლა მაქვს, მსურს ჩემის ნაშრომით ვი-  
ცხოვრო, სხვებსაც დავეხმარო; დღეიდანვე ვიწ-  
ყებ ამ ქვეყნიურ ბრძოლის, მუქთი არაფერი არ  
მინდა. შენთან ერთად დიდებულად ვიცხოვრებ, იშე-

## ცისარტყელი

დი მაქვს... დაივიწყე, რაც ჩემზე გაიგე! მარტო მე

არა ვარ მაგალითი ამ გახრწნილ ქვეყანაში!

კლიფ. შენმა გაზდამ, კარგის მეტი მე შენზე არაფერი არ გამი-  
გონია!

მაღაზა. ჩემზე არაფერი გავიგონია?!

კლიფ. (გაკვირვებული) ვისი რა თქმა მინდა, როდესაც მე თვი-  
თონ ძალიან კარგად ვიცი შენი სწავლა-განათლება,  
შენი ვინაობა, შენი გვარიშვილობა...

მაღაზა. (მწარედ) რა ვინაობა, რა გვარიშვილობა, როდესაც  
არც ერთი არა მაქვს!..

კლიფ. (გაუცებით) როგორ?

მაღაზა. რასაცა მხედავ, ესა ვარ: არც ვინაობა, არც გვარი-  
შვილობა, არც ნათესაობა, არაფერი არ მაბალია...  
სრულიად მარტო ვარ ამ ქვეყანაზე...

კლიფ. (გული ამოუჯდება) რას ამბობ, მალხაზ?!

მაღაზა. არც დედ-მამა მყავს, არც ნათესაობა... რაღაც მეტად  
ვარ ქვეყანაზედ გაჩენილი!..

კლიფ. როგორ! მაშ ვინ ირიან სფირიდონ და სოფიო?! (შა-  
შით ქანგალებს.)

მაღაზა. კეთილი და ღვთისნიერი ხალხი, რომელთაც კატის  
კნუტივით თოვლში გადაგდებული მიპოვნეს, შემა-  
ფარეს, მომიარეს და კაცი გამომიყვანეს... მაგრამ რა  
კაცი! რა ვარ!.. (თვალებს იწმენდა) მეც დიდი ხანი  
არ არის, რაც გავიგე ესა.

კლიფ. (ტირილი მოსდის) იქნება შეცდომაა რამე? რატომ აქამ-  
დის არავინ არაფერი არ იცოდა?

მაღაზა. რა შეცდომაა, თეთონ ყველაფერი მიამბეს... ვის რა  
ეცოდინება ჩემზე, როდესაც ერთი კეირისა წამიყვა-  
ნეს ერევნისკენ, სათათრეთში და, ვიდრე უნივერსი-  
ტეტში კურსი ირ დავასრულე, აქაურებს თვალით არა-  
ვის არ ვუნახიფარ; ამიტომ ყველას სფირიდონისა და

სოფიოს ღვიძლი შვილი ეგონივარ. ეს ცხადია, რომ ასე უნდა ჰყონებო. ჭავარამა ჩემდა საუბედუროდ, ეხლახან შევიტყე ნამდვილი, მოულოდნელად (უბა-დან ბარათს იღებს და აძლევს) აი, ეს ბარათიც, თურმე გულზე მეკერა, როცა მიპოვნეს.

**ელიგო.** (ტირილით გამოართმევს) ღმერთო! რა უბედური ყოფილა! (მისუსტებული სკამზე დაქვება, ბარათს თვალს გადაკლებს და მოჟუვება ქვითინს).

**მაღაზაზ.** აბა ეხლა დაფიქრდი, რა არსება ვარ! ხომ ყველას აქვს ნება ქუჩაში დამიძახონ: ოხერი, უპატრონო, ბუში, სხვის ხელში შემაცეკერალი, სამადლოდ თავ-შეფარებული! აბა რა ვარ, ერთი მითხარი? ჩიტებსაც ხომ ჰყავთ მშობლები, რომლებიც მათ ზრდიან; შენს პატარა ფინის „უუუუსაც“ ხომ ჰყავდა დედა, რო-მელიც მას ძუძუს აწოვებდა ბუნებისაგან დაწესებულ დრომდის... მე?! მე კაცი მქვიან და რა ვარ?!

**ელიგო.** (ქვითინთ). ლეთის გულისთვის, მაქმარე, ჩემო საბრალო მალხაზ! (ორიგე ტირიან, ეგგენა შემოდის).

## მეშეიდე სანახავი

იგინივე და ეგგენია.

**ეგგენია.** (შემოდის, გარებიდანვე) აქა ყოფილხართ! მე კი მეგონა ბალჩაში არიან მეთქი.

**მაღაზაზ.** (დაშვიდებული) აქ გახლავართ! (ელიგოს) დედას ნუ-რაფერს ნუ ეტყვი!

**ელიგო.** (დაშვიდებული) თქმა არ მინდა! (ბარათს ჭიბეში ინახავს).

**ეგგენია.** (მხიარულად) რას იტყვით ამ მთისას და იმ ბარისას? (დაჯდება დივანზე, ქარვის ჭრიალასას ათამა შებს).

**მაღაზაზ.** (ღიმილით) კარგს ბევრს ვერაფერს ვერ მოგახსენებთ.

**გჩგენია.** ელიკო, შეილო! შენ როგორლაც ვერა ხარ ფკერზედ,  
რა ამბავია?

**ელიკო.** ცოტა არ შემიძლიან. ბევრი ვიარე და დავიდ ალე.

**გჩგენია.** შედი, წამოწექ, შეილო! არა უშავს-რა, გაგიჯლის.

**ელიკო.** არაფერია. (მარჯვენა მხარეს გადავა სტოლთან).

**გჩგენია.** მალხაზ, შეილო, შენც რაღაც ალელვება გეტყობა.

(დიმილით). მესმის თქვენი მდგომარეობა... ლაპარაკი ხომ არაფერი არ მოგიიღათ შენ და ელიკოს? უმა-  
გისოდაც არ შეიძლება. უთუოდ მომავალ ცხოვრე-  
ბაზე მუსაიფობდით. უფრო კარგი. სჯობს, ეხლავე  
უთხრათ ერთმანეთს გულის პასუხი, რომ შემდეგში  
საყვედურები არ იყოს... იცოდეთ, რომ ამ გვარი  
ლაპარაკი უკანასკნელია თქვენთვის. ესეც იცოდეთ,  
ძალას არავინ არ გატანთ, და თქვენზე არის დამო-  
კიდებული თქვენი ბედ-იღბალი. ჩემი ნატერა კი ის  
არის, რომ თქვენ ორივე ჩემი შვილები იყოთ... რა  
ვქნათ, ბედი ამ გვარია...

**ელიკო.** არა, დედა, თქვენ უბრალოდ გულს ნუ იტეხთ, ჩვენ  
ერთმანეთის უმაღლურნი არა ვართ, პირიქით...

**გჩგენია.** ღმერთმა ინებოს! ღმერთმა ნუ გამაგონოს თქვენი.  
უთანხმოება.

**მალხაზ.** (დიმილით) განა ელიკოს პატრიანი რისიმე მომდურა-  
ვი იქნება? არა, დედა! ჩვენ ორივე სულ სხვა, არა.  
სასურველ მოვლენამ აგვალელეკა: ჩვენ ვლაპარაკობ-  
დით ჩვენს დაცემაზე, ჩვენს ზნეობრივ გახრწნილო-  
ბაზე...

**გჩგენია.** ვერაფერი საგანი მოვირჩევით საბასოდ!

**მალხაზ.** უუპირველესი. ხალხის არსებობის უმთავრესი ჭაბრა-  
კი ზნეობის სიმტკიცეა. ამ თვის სებით ქართველს ყო-  
ველთვის უამაყნია და ათასი საუკუნოებით შეუნახავს.  
თავისი არსებობა; დღეს კი, ზვენდა სავალალოდ,

სწრაფად გვესპობა ეს დიალი ჰეშმარიტი ძალა თვით-  
არსებობისა.

**მკბენია.** ეგ სენი, ჩემო ძვირფასო, მარტო ჩვენ ხალხს არა  
სჭირს... მთელი ქვეყანა მოდებულია...

**მაღაზაშ.** (გაწყვეტილებს) მთელ ქვეყანასთან რა საქმე მაქვს,  
როდესაც ჩემს ხალხსა ვხედავ ასე დაცემულს! გარდა  
ამისა, უცხო ხალხისთვის, შეიძლება, ეს შეჩვეული  
ჭირი იყოს, ჩვენთვის კი მოულოდნელი და უეცა-  
რია, როგორც უცბად აფეთქებული გადამდები სე-  
ნი.. (მწარე ღიმილით) როგორ გაბედვით და ამაყად  
ვლაპარაკობდი ხოლმე უცხოელებთან ჩვენი დედე-  
ბის და დების უმანკოებაზე, ჩვენი ქალების მაღალ  
ზნეობაზე; რა ცხარე ბაასით და ტურფა მაგილითე-  
ბით ვუმტკიცებდი მათ სულის სიღიადეს და უმანკო  
სინიდისს..

**მკბენია.** ძალიან კარგი გინებებია, შენმა გაზდამ!..

**მაღაზაშ.** და ეხლა კი, როდესაც გონების თვალით დავაკვირდი  
ამ ჩვენ დამღუპველ და დამცემელ მოვლენას, სრუ-  
ლიად გამიტყდა გული და მომებსო გამობრუნების  
იმედი. დღეს ჩვენა ვართ დაცემულნი, ზნე-გახრწნი-  
ლები, რომელთაც ადამიანური, კაცობრიული გრძნო-  
ბაგამოუბრუნებლად შეგვიცვლია პირუტყვულ გრძნო-  
ბაზე...

**მკბენია.** ეგ მეტი მოგდის, შვილო! ათასში ერთი რა მაგალი-  
თია? ისიც, ვინ იცის...

**მაღაზაშ.** (ცხარედ). ჩვენდა საუბედუროდ, ათასში მხოლოდ ერ-  
თდა კარგი მაგალითი!.. ამას დღეს ყველა ჩვენის  
თვალით ვხედავთ! (ღვლავს). ძვირფასო ელიკო! ბა-  
ტარა ხანს მარტო დაგვტოვე. (ეჯიჭვ გადის). ამ უკა-  
ნასქნელ წელიწადს იძულებ ული ვიყავი დაცვირვე-  
ბოდი ჩვენს ზნეობრივ მხარეს და რა ვნახე: ათასო-  
ბით უკანონო ხიუვარული, უკანონო და საურცხო



ଯାଏ ଶିରି, ଯୁକ୍ତନନ୍ଦ ଶ୍ଵେତୀବୀ ଲାଭିଲୁଛି ଲୈକ୍ୟେଦୀ-  
ଶିତ କୁହାଶି ବାଦାୟରିଲୋ ଦାବିଦେବୀ!.. ମେହି ଶାତ? ହିତିଶି!..

**ଅଧିକାରୀ.** (ଜୁଲା ଜୟନ୍ତୀ) ମେହିବ ଆଖିଗାଲୁବ, ଶ୍ଵେତା, ମାଲକାଳି!..  
(ଭାଷାଶି).

**ମାଲକାଳି.** (ଶତାବ୍ଦୀବାଦି). କାରୀବ ରନ୍ଧା କନ୍ତୁତ୍ରୀବୀ ବାଦାୟପୁରିବାନ ଏବଂ  
ମାଲକି ଲୈକ୍ୟେଦୀ, ସାବରାଲ୍ଲା ମମୋଦଲ୍ଲେବୀ, ସାପୁରାଫାଦ  
ଶ୍ରେଷ୍ଠୀବୁଲ୍ଲାନୀ, ଦାଶରଥିବାନ ଗାମାଲ୍ଲେବୁଲ୍ଲାନୀ, ରନ୍ଧା ତାଙ୍ଗି-  
ଶି ନାଶବ୍ଦି ବିନ୍ଦୁବନ୍ଦ ଲା ବାଦମ୍ଭ ମିଦାରନ୍ଦ ଶୁଭୁଲ୍ଲା  
ବାଦମିବାନିଶ ତବାଲିଦାନ!.. ହିତି କି ବାଦମିବାନ ଗପିବାନ!  
ରା ଦେଇ ଶୁଣି ପ୍ରମାଦ ବିନ୍ଦୁବନ୍ଦ କିମ୍ବା ରନ୍ଧାର ବା ତାଙ୍ଗିଶ ନାଶବ୍ଦି ଶୁଲ-  
ଗରିଲାଦ ତାଙ୍ଗିଶି ବାଦାଗଲେବୀ!..

**ଅଧିକାରୀ.** (ଶ୍ରେଷ୍ଠୀବୁଲ୍ଲାନୀ). ତଥି ମମୋଦଲ୍ଲିର ଶୁଲ୍ଲିବାପୁ ହାତେଦେ,  
ଶ୍ଵେତା, ରା ମନ୍ଦିରମାର୍ଯ୍ୟବାଦିଶି ଲା ପ୍ରେତ୍ତିଲୀ ବିକା-  
ର୍ଯ୍ୟବା!..

**ମାଲକାଳି.** (ଭାଷାଶି). ଏହି ଶ୍ରେମତ୍ତ୍ଵେବାଶି ବାଦିଗାତାରି ତାଙ୍ଗିଶ-ମାର୍ଯ୍ୟବା  
ବିନ୍ଦୁବନ୍ଦ ଏବଂ ଶ୍ରେମଦିଲ୍ଲେବା!.. ଶୁଭୁଲ୍ଲା ମମୋଦିଲିମା ବାଦାମା-  
ବିନ୍ଦୁ ମେ ତାଙ୍ଗିଶି, ତାଙ୍ଗିଶ ବିନ୍ଦୁବନ୍ଦିଲୀଶ, ଏବଂ ଶୁକ୍ରିତା  
ବସନ୍ତକା, ଗାର୍ଯ୍ୟବନିଲ୍ଲେବିଶ ନାପନ୍ତି. ତୁ ତାଙ୍ଗିଶି ଏହି ବାଦମା-  
ବିନ୍ଦୁରକି ଲା ମାଲକିଲିମା ଏବଂ ଲାକରୀବିମା ଏହି ଶ୍ରେମିକିଶ, ଏହି  
ଶିଥି ହିମି ଦେଇ ପ୍ରମାଦ, ରାଘବାନ୍ତିପୁ କ୍ରେତିଲିମା ବାଲକିମା ମନୀ-  
ତାଙ୍ଗି ଲା ବାଦିମାଲାଦ ଶ୍ରେମିତାରି. ଏହିଲା, ଏହି ବାଦିଶି, ଶ୍ରେ-  
ମଦିଲ୍ଲେବା, ଦେଇ-ହିମି, ଏହିବା ପ୍ରମତ୍ତିବାଲିଶ, ଶ୍ରେମତ୍ତ୍ଵେଶ  
ବାଦମ୍ଭ, ଏହି ବାଦମ୍ଭ ଏହିବା ବାଦମ୍ଭବନ୍ଦ, —ବିନ୍ଦୁବନ୍ଦିଶ କ୍ଷା-  
ଲ୍ଲେବିଶ ଶିଥି ଲୈକ୍ୟେଦୀବିନ୍ଦୁବନ୍ଦ ହିତିଶି ପ୍ରେତ୍ତିବାଦି ଏହିବା-  
ବିନ୍ଦୁବନ୍ଦି, ରାଘବାନ୍ତିପୁ ତାଙ୍ଗିଶି ଏହିବାନ ଶୁରୁବି ଏହିବା-  
ବିନ୍ଦୁବନ୍ଦି ମିନ୍ଦୁବନ୍ଦି, —ଏହିବାନ ଏହିବାନ ଏହିବାନ ଏହିବାନ  
ଏହିବାନ ଏହିବାନ ଏହିବାନ ଏହିବାନ ଏହିବାନ ଏହିବାନ ଏହିବାନ  
(ମରିବିବାନ୍ତିରି). ମେହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି  
ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି ଏହି

ଏହି ପ୍ରେତ୍ତିବାଦ!! (ଜୀବିତବୁଲ୍ଲେବିଶ).

**ეგბენია.** (გული მისდის). საშინელებაა! დამშვიდლი, შვილო, რეებს ამბობ?!!

**მაღსაზ.** (ტარილით). როგორ რას ვამბობ?! როგორ დავშვიდლე?! ყველა ამას ჩემს თავზე ვამბობ! აგრ 26 წლის კაცი ვარ და მშობლები არ ვიცი—მე უპატრონომ, ქუჩაში ნაპოენმა...

**ეგბენია.** (მწარედ შეჭრიულებს). უი! გული!!.. (მიესკენება დიგანზე). ელიქა. (გამოკარდება). რა იყო?!

**მაღსაზ.** ჩქარა წყალი!

**ელიქა.** (წეალს გამოიტანს). დედა!

**მაღსაზ.** დედა! (წეალს პირთან მიუტანს. აქეთ-იქით დაუჩიტებენ და აბრუნებენ). დედა! დედა!

ა. ცხგარელი

ფ ა რ დ ა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



## „ვეფხის-ცყარსის“ ყალბი აღვალიშვილი

### LXXXI V\*)

ტარიელ და აკლამდინა უდიპნო დასტროგეს და მულდაზანზარც  
მოვიდნენ, ოთმ აქედან ფრიდონის დასმარებით ქავეთს გალაშქრე-  
ბულიუნენ. გმირებმა იმ დამეს ფრიდონისას გამოისვენეს და მეორე  
დღეს მასშინძელმა სტუმრებს (გვ. 310—311)—

1380. უთხრა თუ: «ესე სიტყვაა ავისა მასპინძელისა,  
ჰგავს, მოსწყვენდეს სტუმრობა თქვენ ბრძნისა, ვითა ხელისა,  
მაგრა აწყოვნა არ ვარგა, წასვლა სჯობს გზისა გრძელისა,  
თუ ქაჯნი მოგვესწრებიან, საეჭვი არს სიძნელისა.

1381. დიდთა რას ვაქნევთ ლაშქართა, კარგნი გვინდა და ცოტანი,  
სამასი კაცი გვეყოფის წავიდეთ მართ მეოტანი;  
ჩვენ ქაჯეთს ქაჯთა მეომრად დავაგნეთ. ხმალთა კოტანი,  
მას ადრე ვპოვებთ, ვისიცა მოგვეკლავს ალვის ამოტანი.

1382. ქაჯეთს ერთხელ კვლაც ვყოფილვარ, ჰნახაეთ, თქვენცა გემა-  
ყოვლენით კლდეა, გარეშემო მტერი ვერა მოადგების; [გრების;  
თუ იდუმალ არ შეუვალო, ცხადად შებმა არ ეგების,—  
მით ლაშქარი არად გვინდა, რაზმი მალვით ვერ მოგვყვების].

როგორც უკვეა სიტყვა შეუძის გმირების წარმოთქმული, ეს  
ფრიდონის სიტყვაც საუცხოვო ნიმუშია რესთველისეულის მწევრ-  
მეტეულობისა: აზრი და სტილი ნათელი, მსჯელობა საღი და გო-  
ნიერი, მსჯელობის ჯაჭვის თვალზე ერთო-მეორეზე მწიდროდ და-  
გაჭმირებული და ერთო-მეორისაგან წარმომდგარნი ლოდიების წი-

\*) იხ. „მოამბე“ № VIII, 1900 წ.

სისახლი. ფრიდონ ბინანად სჭის და თავისის მსჯელობას კონკრეტულს ფაქტებზე ამეარებს, და უკეთა მასი ფაქტი-საბუთი მსატვრულად და ცხოველად არის გამოსახული, თუმცა ენა სრულიად მარტივია.

ფრიდონ ბოლოში იხდის თავის სტუმრებთან, რომ წასკდას აწეს, მაგრამ ასლა სტუმრობის დრო არ არის: საკლიკ გზა გრძელია და თუ ქავნი (ე. ი. ქავნი-გრძელები) მოესწრებათ, საშიშია გამარჯვება არ გაუძნელდეთ. ქავნიც რომ არ მოესწრონ, მათის ციხის აღება მაინც მნიშვნელია. ფრიდონ ყოფილა ქავეთს და უნახავს მათი სიმაგრე, ტარიელ და აკთანდილიც ნახენ და დაწმუნდებათ, რომ ციხე მნიშვნელი საომარია: გარშემო კლდეა შეუკალი, გმირი იდგმალ უნდა შეკიდნენ, თორემ ცხადად, შირდაბირ ციხის აღება შეუძლებელია; ამიტომაც ლაშქარი გრის უშეკვის, კურ დაიმაღება და მათი განზრახვას გამოაცხადებს.

ასეთია ფრიდონის სიტუაცია მე-1380 და 1382 სანებში გამოიწმება და ამ ბინანსა და დალაგებულს მსჯელობაში ჩაეხირა მე-1381 სანა თავისის წარა-მარა უბედობით, უხამსო ტრაბასხობით და სიცრუით და უკეთაფერი შემადა, ამასთანავე ფრიდონის ლაშრობის შლანიც სრულიად შეიცვალა.

«დიდთა რას გაქნევთ ლაშქართა, კარგი გვინდა და ცოტანია», თამამად იძახის ვათამც ფრიდონ, მაგრამ მისი ქაშაფუტობა იქმნება, შემდეგს სანაშივე, გამსილდება. სანამ ფრიდონ მე-1382 სანაში დაასკვინდეს «ლაშქარი არად გვინდაო, თავისის მეგობრებს კურ ქავეთის ციხის სტრატეგიულს ვითარებას აუხსნის, მერე ციხის აღების ტაქტიკურს შლანს წარუდგენს და ბოლოს ამ საბუთებზე დამეარებს თავისის დასკვნას ლაშერის გამოუყენლობის შესახებ. მე-1381 სანაში კი ფრიდონ არავითარს საბუთს არც წინ წარუდგენს და არც შემდეგ დასძენს და ისე იძახის: დიდი ლაშქარი არ გვინდა, «სამასი კაცი გვიშოვისთვის. რატომ, რა მიზეზია? — ციხის ასაღებად მიდიან და დიდი ლაშქარი არ გვინდაო!... ასეთი უსაფუძველო სიტუაცია სომ ცარიელი ტრაბასხობას და თავისებობას.

მე-1382 სანაში რეალთავედი ფრიდონს ათქმევინებს: «ლაშქარი არად გვინდა, რაზმი მაღვით კურ მოგვეუპებისო, როდესაც კი

## „გეფხას-ტექასნის“ ყალბი ადგილები



გმირნი ქავეთს გაულაშქრებან, შოეტი გაუშეებს, «სამასის ცხენოსანისა წაიტანდეს, გმირთა დარსაო» (ჩ. 1383). პირველის შეხედეთ, აქ ფრიდონის სიტყვა თითქო საქმეს არ ეთანხმებათ და, საგონებელია, მე-1381 ხანის დამწერის განზრახვაც ის იყო, რომ ოუსთაველის ვითამც შეცდომა როგორმე გაესწორებანა, ამიტომაც შეღემსე ცდილობს მე-1382 ხანაში ნათქვამს ფრიდონის სიტყვას ცოტა რამ მოაქციოს, ვითამც ფრიდონის მართლა კი არ უნდა სულ უდაშქროდ წავიდეს, მსოდნოდ დიდის ლაშქრის წაყვანა არ მიაჩნდა საჭიროდათ,—სამასი კაციც გმართა. ასე რომ არც მწვადი დაიწვას, არც შამფური.

ნამდვილ მე-1382 და 1383 ხანებს შორის არაიერი წინააღმდეგობა არ არის, და თუ ფრიდონის თავისი სიტყვაში სამასის ჭაცის წაყვანა არ ასესენა, ეგ რუსთაველის შეცდომად არ უნდა ჩაითვალოს. ნუ დავიკიწებთ, რომ ქავეთის ციხეს ათა ათასი მეციანობენ იცავს. თვით ფრიდონის თქმით, ციხე—ეულებინით კლდეა, გარეშემო მტერი კერა მოადგებისა, თუ იღემალ არ შევიძნენ, მასი აღება შირდაპირ შეეძლებელია. მერე გმირნი რომ მივდენ იგივე ფრიდონ ასე გვისახვს ციხეს (გვ. 313):

1387. ....ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთავან საომარია,  
პირის-პირ ამი არ ძალ-გვაქვს, არ უამი საკუერარია,  
ათას წელ ვერსით შევუვალთ, თუ ზედ დაგვიხშან კარია.

რომ უნდოდეს კიდეც ქავებთან «პირის-პირ ომი», ფრიდონის ებ არ ძალუმს, რადგან სამაგიროდ ლაშქარი არ უვის. არაბეთისა და ინდოეთის დიდ ხელმწიფებსავით ლაშქარ-მრაველი, უმიანია რთდია, რომ ეკასეველაკო ურიცხვია სპანი მოჟერითოს, როგორც ტარიელ ხატაქითის საომრად, ან ლოთმოცი ათასი ცხენოსანია უზრუნველად ათხოვთს თავისი მეგობარს, როგორც მეფე როსტერეკან ტარიელს ინდოეთის ტახტის დასაპურობლად,—ნურადინ პატარა ქავენის მეფეა. ფრიდონის იცის ქავეთის ვითარება და დიაღამც შეეძლიან გამოიანგარიშოს ჰუავს თუ არ საქმია ლაშქარი იმ დიდთაგან საომარის ქადაქისა ასაღებად; და თუ გადასწევილა, რომ კასადად შებმა არ იგებასა, რასაკვირელია, იმატომ, რომ ქავეთის

ციხის გარს შემომრტულები და იერი შის მიმტანი დაშეარი არ ჰქავს. ფრიდონის რჩევანი დაშეარის დადგ-პატარარაბა კი არ იყო, არამედ ციხის შირის-პირი იმი, ან დღუმალ შესვლა; და რავი შეპარ-კა არჩია, ცხადია, დაშეარი არ დასტირდებოდა. სამასი ცხენოსანი «გმირთა დარი», რომელთაც გმირი მეგობარნი თან წაიკვანენ, «ცოტრა» დაშერადაც არ ჩაითვლება, «რაზმია როდია, რომელიც მაღვით კერ მიჰყება, — ეგ ამაღა, მეფეთ მსღებელი მგზავრობაში; იგივე სამასი გარე მოუმენი შევლანია (ხ. 423. გვ. 93), რომ-დებითაც ტარიელმა სატაველი შეატევა.

მე-1381 სანის დამწერს მხოლოდ, ის რომ ეთქვა, «სამასი გაცი გვეუთვისო», რასაკეირებელია, პოეტის აზრის შეასრულებდა; მაგრამ მელექს მაგის თქმას არ დასჭერდა და ფრიდონის უშერდ გვეხნა დაწევაბინა, ამის გამო შირებს დექსის სხვა მნიშვნელობა და ფერი დაედო და რაც რესთაველის შეცდომის გასასწორებლად ჩაუ-მატა თითონებე ჩაფუშა: მელექსის ნათქვამით გამოდის, კითომც ფრიდონი სამასის გაცით ქაფეთის ციხის შირის-პირ აღებას ჭიამის.

რავი უაღისა-მქნელმა ფრიდონის ათქმევინა, «სამასი გაცი გვეუთ-ფისო» და მით კითამც რესთაველის შეცდომა გაასწორა, სათქმელი გამოედია, სანის დასრულებამდე კი ჯერ შორს არის. — რა ქმნას, თუ შემთხვევის შესავერის უბედობით არ შეაგრძნეს? ფრიდონის დღე მიუხსის წინ სამარეა და რადგან მეომარი უნდა გულოვნობდეს, როდისდა იგულოვნოს გმირმა, თუ არ ესდა? და ფრიდონიც გულოვ-ნობს: კრთი ხოდ დაიგვეხნა, დიდთა რას კანენეთ დაშერთალა; ახლა აწევეს თავისის მეგობრებს: «წაკიდეთ მართ მეოტანო». მაგრამ ასეთი წევა ღრებულ მეტია: ჯერ ერთი, რომ ფრიდონმა შეპე-სთქვა, ადრ უოვნა არ კარგა, წასვლა სკობს გზისა გრძელისა», და მერე — საკითხავია — კინ უნდა აჩქარებდეს წასელას: ტარიელ, რო-მელსაც სატრეო წევას ქაფეთით დასახსნელი, თუ ფრიდონ, რომე-ლიც მხოლოდ ტარიელის მეშევლა? ან იქნება აფთხდილ ფრიდო-ნის მასპინძლობამ ისე დატებო, რომ მოუკრის საშეზე გული აიცრევა და ახლა ამას აწევენ წასელას?

ეს ჩაციდებული წევა და ტრაპისობის კილო, რომლითაც შეზა-გვსულია მე-1381 სანა, უნდღიუთ მაგონებს ამ გვარსაც გვეხნას

აკთანოიდის წარმოთქმულის, ამას წინად რომ გამოვიყვაშათ. მაშინ  
აკთანდიდ კუბნებოდა ტარიელი (გვ. 303):

1345. ვითა გვმართებს გახარება, პირველ აგერ გავიხარნეთ,  
მერმე შევსხდეთ, გავემართნეთ, ქაჯეთისკენ თავნი ვარნეთ,  
ხმალნი ჩვენი ვიწინამძღვრნეთ, მათნი ზურგი დავიყარნეთ,  
უჭირველად შემოვიქცეთ, იგი მძორთა დავაგვანეთ.

მე-1345 და 1381 სანა ისე ჰეგანან ერთმანერთს შინაოსითა  
და კალოთი, რომ უარესების ერთის მეღებსის შეთხული უნდა  
იყვნენ.

ფრიდონიც აკთანდილსავით იქადას ქაჯებს მუსრი გააკლოს:  
«ჩენ ქაჯეთს ქაჯთა მეომრად დაკაგნეთ ხმალთა კოტანი!» თქვენცა  
დააღ გრძნობთ, მეთხსელო, რომ აქ რადაც დამუქრებაა, მაგრამ  
საქმე არის გამოველევაა. «ქაჯეთს ქაჯთა ტაგტოლოგია იქით  
იყოს, და ქაჯებს მეომრად დაუაგოთ ხმლის ტარიო, — რას ნოშავს?  
თუ არ მეომრად სხევაფრივ როგორ უნდა დააგონ ხმალი ქაჯებს?  
რადა ხმლის ტარი დაუაგოთო და არა ხმლის პირი? — განა ქაჯები  
ისეთი ჩათლასხები არიან, რომ ფრიდონ ხმლის ტარითაც სულ  
გააგდებინებს?

საუბედუროდ, ჩენია საუცხოვო კომენტატორი თეიმურაზ ბა-  
რიანიშვილი არას გეგუბნება ამ ლექსის შესახებ, დ. ჩებინაშვილი  
კა ასე განმარტებას: «დაკაგნეთ, ავაგეთ, კ. ი. ხმლები აგაგეთ ხე-  
ტარსაო.» დაგდება აგება არ არის, მაგრამ ერთი და იგივეც რომ  
იყოს, ასეთი განმარტება ლექსის აზრის მათნც კერ ანათლების. პირ-  
იქით, განმარტებას რომ მივდით, უცნაური აზრი რამ გამოეს:  
კათომც გმირნი ქაჯეთამდის უტარო ხმლით ივლიან და, რა ქა-  
ჯეთს მიკლენ, მაშინ-და ააგებ ხმლებს ხეტარსაო... მგონა, ლექსის  
მაგდენა წეალება არ უნდა, მეღებსეს ფრიდონისათვის უნდა ეთქმე-  
გინებინა, რომ ქაჯებს ხმლით ამოვწევეტო, «კოტანი» კი აქ მხო-  
ლოდ ლექსის კიდერისათვის არის მიკერძული. მაგრამ ასედაც გა-  
სუფთავებული ლექსი რუსთაველის ნათებებს ეწინააღმდეგება. მე-  
1380 და 1382 სანებში ფრიდონი თამაშად კი არ უქადის ქაჯებს  
ამოვწევეტო, — ეგ თავის დროზე მოვა, მინამ კი საფინანსებული ისა

აქვს, ოომ ქაფებმა არ მიასწონ, ოომ «ძალვით» მივადნენ და ცონები დაფუძნდა შეკიდნენ. ამ მნელს საქმეში სიფრთხისი და მონერებისა საჭირო და არა წინასწარ გამარჯვების გვეხსნა.

როგორც მე-1345 ხანაში აკთანდილის ქადაღი, — «უწირესებად შემოვიქცეთო», — ეს უკავებობა და წინდაუხედავი ახლა ფრიდონის გვეხსნა: «მას ადრე ეშოვებო, ვისიცა მოგვედავს აღვის ამტანი». დასად ადრე კუპრევის, თუ ქაფებმა არ მიასწონეს და თუ მაღვით მისვლა და ციხეში შეპარვა არ უგრძნეს. ადრე კი მოხერდება გვერდა ეგა?

ერთის სიტყვით, როგორც მე-1345 ხანაში აკთანდილ ტარიელს ამსხვებდა, ახლაც მე-1381 ხანაში ფრიდონ ანუგემებს და აქეზებს თათქო ეჭირანსა და გაუბედავს ინდოთ მეფეს: შენ ფიქრი ნუ გაქასო, არც დადი და მქარი დაგვჭირდებათ, სულ სამასა-გაციც კმარა, მაღვე წავიდეთ, ქაფები ამოვწყვიტოთ და შენს საუკარელსაც ადრე კიმოვითო.

შინაარსისა და კილოს სიცრუეს დაურთვის სტილის საგან-გებო უგვანობა, ომელიც გვლაგ გაიმტკიცებს მე-1381 ხანის სიუბლებს. მელექსემ, მისდა თავის სატეხად, აირჩა მნელი რითმა: «ოტანი», რომელსაც კერა სძლია და მის გამო იმულებული გახდა თათო ლექსში ბარე ერთი სისულელე ეთქვა და ენა დაემახინვებინა.

შირე ლექსში ყალბის-მქნელი ლოდივის წინააღმდეგ ამობძს: ლაშქარი ეკარგი გეიინდა და ცოტანია. თუ საომრად დიდი ლაშქარი ან არ არის, ან არ გამოდგება, მაშინ ცოტა ლაშქარის დასტურდებან, მაგრამ კარგსა, რადგან ლაშქარის სიკეთემ თავისი სიძირე უნდა დაჭიროს, თორემ კაი ლაშქარის სიკეთეს მისი სიძირე კერ შეავსებს. ყალბის-მქნელმა რითმის გულისათვის უკუდმა მოაძრუნა ფრაზა და უკუნური გახსადა.

მეორე ლექსში იმავე მიზეზის გამო მელექსე სწორს: «წავიდეთ მართ მეოტანია. თუ მუშაობა ბატონიშვილი მეოტანია ასე გან-მარტებს: «მდორლეგარე, გაქცეული, — ამას ნიშნავს, კაცი რომ შიშისათვის გაიძიეს და თავისის თავის მორჩენისათვის რაც შეეძლოს ფიცხლად მირბოდეს». ცხადია, ოომ ასეთი შედარება ფრიდონის და მის მეგობრების გალაშქრებას არ შეაფერება, რადგან

გმირნი საომრად მიდიან და არა ბრძოლის კელიდან იღტვიან. ეტ-  
უბა, კომენდატორმაც იგრძნო, რომ ასეთი განმარტება კერ გა-  
მოდგება და კელავ დასძენს: «მეოტანი—ნადირთა უკანა სიფრისთ  
მდევნელნიო». დ. ჩებინაშვილი კი გადაჭრით ამტკიცებს, კითომც  
«მეოტანი მაოტნებელნი ან გამტცეველნი ჯარისა» არიანო. ესრედ,  
კომენდატორების თქმით, «მეოტა» გამტცევლიც არის და გამტცე-  
ველიც. მაგრამ კერც სიტუაცის ორშეორ ასესა შევლის დექს: «მეო-  
ტანი გამტცეველებადაც რომ ჩაითვალოს, ფრიდონის და მის მეტობ-  
რების გალაშქრება მაინც ჯარის მაოტნებელთა სიარულს არა ჰგავს.  
ფრიდონმა გადასწუვილა ქაფეთს «მაღვით» მისულიყო და გმირნიც  
სანამ ზღვით მიდიოდნენ, «იარეს დღისთ და დამით რებულთა»,  
როდესაც კი ზღვა გაიარეს (გვ. 311),

1884....ფრიდონ სთქვა: უვახლავთ არეთა ჩვენ, ქაჯეთს მიახლე-  
აქათვან ლამით სელა გვინდა, მით არას გამულავნებულთა». [ბულთა,

1885. ამა ფრიდონის თათბირსა სამნივე ერთვან ჭრილიან,  
რა გაუთენდის, დადგიან და ლამით ფიცხლად ვლილიან...

ასე არს გამტცევლი მიდის და არც «ჯარის გამტცეველი», არა-  
მედ განც მტერს მიეპარება.

მესამე დექსში უაზროდ მიბმულს «კოტანზე» უკეთ მოკახსენე  
მკითხველს და ახლა უკანასკენელის დექსის შენიერებით დატებეთ.  
სამს წინა დექსის კიდურში—ცოტანი, მეოტანი, კოტანი—მახვილი  
«ა-ა-აზის და ამ დექსთა წერბას შეჩევლი უური აუცილებლად  
მოითხოვს, რომ უკანასკენელის დექსის კიდური ასე წარმოითქმას:  
«ალგისა მოტანია, გამოდის რაზაც უაზრო სიტუაცია. სოლო თუ  
აზრის გულისათვის ეს რაზ სიტუაცია სამად გაეგავით «ალგის ამო-  
ტანი»—მაშინ მახვილი «ა-ა-ზე გადას და დექსის წერბაც შეაცვე-  
ლება. ენის დამახინვებაც ზოგჯერ მიეტევება მელექსეს, თუ აზრი  
არის მაინც, მაგრამ აქ დექსი რას სახავს და როგორ სასაკი? ძის  
აღრე გვივებთ, გისიცა მოგვევლავს (?) ალგის ამო ტანიო», —რასა-  
გვირეველია, ნესტან-დარევანზეა ნათქვამი, და ამ კომპლიმენტის ფრი-  
დონ ეჭანება ტარიელს მის სატრფოს შესახებ!... საეჭვოა, ასეთი

ქება წესტან-დარეჯანისა ტარიელისთვის სასიამოქნო იყოს, ან ფრი-  
დონს მაგის თქმით დიდი ზრდილობა გამოეხინოს.

### LXXXV

სამნი გმირნი-მეგობარნი მიადგნენ დამით ქაჯეთის ციხე-ქალაქს  
და თათბირობენ, რა ხერხი კიხმაროთ მის ასაღებადო. ფრიდონ  
აიჩეკის, რომ ერთს ციხის ბურჯს საბელი გადასგროს და, რადგან  
მან მუშაოთობა (ჭამბაზობა) იცის, ზედ ადგილად გაგა, ციხეში  
ჩახტება და ციხის ქარებს გააღებს, ტარიელ და აკანდილ კი იმ  
კარით შემოვლენ. აკანდილმა არ მოუწოდა ფრიდონს ეს ღონებ:  
მეციანობენი გიგრმნობენ და თოჯს მოგიწრიან,— და თავის მხრით  
არაბეთის სპასპეტი ასე აჩეკეს (გვ. 314—315):

1393. სჯობს, დადევით დამალულნი თქვენ ადგილსა იდუმალსა,—  
ისი კაცი არ იყირვენ მგზავრსა, ქალაქს შემავალსა,  
სავაჭროდა შევეკაზმი, ვიქმ საკმესა მე მუხთალსა,  
ერთსა ჯორსა გარდავკიდებ მუზარადსა, ჯაჭვსა, ხმალსა.

1394. სამთავე შესელა არ ვარგა, თუ გვიგრძნან, არს სათუები,  
მე მარტო შევალ ვაჭრულად, და კარგად შევეტყუები,  
მალვით ჩავიცვამ აბჯარსა, გავჩნდები, გავეცრუები,—  
ლმერთმან ჰქემნას, უხვად ვადინო შიგნით სისხლისა რუები.

1395. შიგნითა მცველთა მოვიცლი მე უნახავად ჭირისად,  
თქვენ გარეთ კართა ეცენით, ყოველნი მზგავსად გმირისად,  
კლიტეთა დავლეწ, გავახვამ, ჰნახოთ გაღება კარისად,—  
თუ რა სხვა სჯობდეს, თქვენ ჰბრძანეთ, ვარ მრჩევლად ამა პირისად.

აკანდილ თავისს მეგობრებს ეუბნება: ქაჯებს ქალაქს შემა-  
გადის მგზავრის ეჭვი არ ექნებათ, თქვენ აქ დამიმდენით, მე კი  
კაჭრულად შექაზმული ქალაქს შეკალ; შიგნითა მცველთა ადგილად  
მოვერევი, კარის ქლატეთა დავლეწ, თქვენ კი გარედან ქართა ეცე-  
ნითო. ასეთია აკანდილის შლანი და მისს აზრის მსვლელობაში  
სწორედ იმ ადგილს, სადაც გმირი ციხეში შეპარვის შესახებ საუ-  
ბარს გაათავებს და უნდა გადავიდეს იმაზე, თუ რას იზაძს ციხეში  
შეპარვის შემდეგ,—ჩაერთვის მე-1394 სანა, რომელშიაც მეღებე

ხელმეორედ ათქმევინებს აკთანდილს ციხეში შეპარვის პლანი. მე-  
ღეჭებეს, ეტელა, აკთანდილის მოგონილი ხერხი ძალიან მოსწო-  
ნებად და, თუმცა რესთაველის გამოსახვაში გრიმის პლანი ადგილი  
გასაგებად, მაინც მეუღება მის განმარტებას და გულაანად სცენების  
ზოეტის ნათქვამს. ხანების შედარებით ცხადად სჩანს, რომ მე-1394  
ხსნას აისცებითად ახალი და თავისებური მოთხოვობაში არა შემო-  
აქვს რა: პირველი მისა ნახევარი მე-1393 სანიდან არის ნასესხი,  
მეორე კი — მე-1395 ხსნადან. სოლო რაც მეჯამეშ თავის მხრით  
განმარტება მოუმატა უკეთ ამსელს მისი სიცრე ეყს.

თუმცა ყალბის-მქნელს დედანი თვალ წინა ჭრონდა, საქმის  
გარემოებას მაინც კერ მიმსდევას და პირველს დექსმი ერთგის. მე-1393 ხსნაში აკთანდილ თავისს მეგობრებს ეუბნება: თქვენ დაი-  
მალენით, მე კი შეკითხული ციხეშია. ყალბის-მქნელი ჭდამის ამ  
დაპირებას საბუთი მისცეს: ასამთავე შესვლა არ გარგა, თუ გვიგრ-  
ძან, არს სათუებია, — და ჭრონა, კითამც აკთანდილ ამით დადს  
ჭრის გამჭრიასობას გამოიჩინისო! ნამდგილ კი საბუთი თავისს  
საგანს არ ეშესაბამება: საშაში ის კი არ არის, კითამც სამნივე  
გმირნი თუ მეზავრელად ქალაქს შეგდენ, ქაფები ეჭის აიღებენო, —  
სადაც ერთი შეიძარება, იქ სამიც არს დაშავებს; საქმე ის არის,  
რომ თუ სამნივე შეგდენ, ის სამისა ცხენოსასნი უწინამდგროდ  
დარჩებიან, და მაშ ვინდა წასხსმს მათ და ვინდა ეცემა გარედან  
დალეწილას ციხის კარსა?

მეორე ლექსი — «მე მარტო შეგად გაჭრელად, და კარგად შე-  
გატევაბია» — იმეორებს მე-1393 ხსნაში გამოთქმების აკთანდილის  
განზრახვას, რომელსაც თვით გმირი ასე ახასიათებს: «ვიქმ საქმე-  
სა მე მეტალისა». ყალბის-მქნელიაც ჭრულა აკთანდილის უაღრესი  
ეშმაკობა გამოესახა და სოჭვა: «კარგად შეგვეუებით», — ძალიან მო-  
კატეუებო!

რესთაველის თქმით, აკთანდილის მუხთლობა იმაშია, რომ  
გმირი გაჭრულად ჩატმელი შეკა ციხეში, თან ეულება ჭორი მი-  
სის აბჯრითა და იარაღით დატვირთელი, თითქო საქონელითათ,  
და ციხეში რომ შეკა, «შავნითა მცენეთა მოიცლის». — როგორა  
გვიჩნიათ, მიხედებიან ტარიელ და ფრიდონ აკთანდილის ნათქვამი-

დან, თუ რას იზამს შათი მეგობარი ციხეში რომ შეიძარება, ან ყორზე გადაკიდებულს აბფარსა და იარაღს რაში გამოიყენებს?.. თქენ თუ მისედებით, თორემ ტარიელისა და ფრიდონის მისკვდ-რიდაბის იმედი ნუ გაჭით! ესენი თავიანთ გულში უთუოდ ასე გაა ფიქრებდნენ: ეს აკანდილ ციხეში რომ შეიძარება, წაკა და სად-მე მიამალება და აბფარი ყორზე აკიდებული დარჩებაო. გმირებს რომ მაგისთანა ეჭიგი გულში არ შეუვიდეს, ყალბის-მქნელი აკან-დიდს ათქმევინებს: «ძალებით ჩავიცამ აბფარსა, გაკჩნდება, გავეც-რუბით», — და ამას იქით უგელა ეჭიგი აკანდიდს საქციელის შე-სახებ შეუძლებელია. ამას გარდა თვით ლექსიც საუცხოვო რამ არის: კსედავთ აკანდიდს საკვირველს ეშმაკობას — «ძალებით ჩავიცამ აბ-ფარსათა და გასაშტერუბელს ევემტის — «გაკჩნდებითა... თქენ წარ-მოიდგენთ რა საშინელი აღიაქოთი უნდა მომხდარიყ ქავეთის ცი-სეში! უცხო ლექსია, მაგრამ კაი რომ ბოლოში წახდა! — «გავეც-რუბით», ეს ხომ იგივე «შევატუშებითა, წინა ლექსში რომ კნახეთ?

ფრიდონ რომ თაბირობდა, საბეჭიე გაგალ და ციხეში ჩაქ-ტებით, ერთი დაიგეხა: თქენ ჭირად გიყო შიგნითა შოვნა გაცი-სა მრთელისა (ჩ. 1389, გვ. 313). ყალბის-მქნელი; აღბად ჰერნია, რომ აკანდილ, რადგანაც ფრიდონზე ნაკლები გმირი არ არის, გვეხნაშიაც არ უხდა ჩამორჩესო, და ამასაც დაატრაპახებინებს: «დმრთმან ჰქმნას უხეად გადინო შიგნით სისხლისა რუბით» მაგ-რამ ეს შეცური ბაქობა არ ეთანხმება აკანდიდს ფრთხილს სიტუას, — «შიგნითა მცეკვლთა მოვიცდი მე უნახავად ჭირისად», — რომელშიაც გმირი არც დიდს ბრძოლის იქადის და არც უხეს სისხ-ლის ღვრას. აკანდიდის საგანი ის კა არ არის, რომ ციხეში მარტო სისხლის რუბით ადინოს, არამედ კარის მცეკვლთ მოე-რიოს, რომ კლიონი დალექოს და თავისს მეუბნებს ციხის კა-რი გაუღოს. აკანდიდის ქადილი სიმუხთლის ქმნა არის და არა მტერის ამორევეტა, რომელიც მაშინ მოხდება, როდესაც მისნი მე-გობარნი ციხეში შემოვლენ. ქაფების გაწევრის აკანდილ არამც თუ წინასწარ არ იკვეხნის, შირიქით ფრიდონის ტაბახობას დას-ცინის. ფრიდონმა რომ დაქადა, მტერს ისე დაგხორ, რომ ერთი მრთელიც კერ იშოვოთო (გვ. 313).

## „გეფხის-ტეჟასნის“ ებლი პდგილები

1891. ავთანდილ უთხრა: „შე, ფრიდონ, მოყვასი ვერ გიჩიგანან;  
ლომთა მკლავთაგან იმედი გაქცეს, არა წყლულნი გტკივიან;  
სთათბირობ ძნელთა თათბირთა, მტერთა ივაგლახ. ივიან,  
მაგრა თუ გესმის, გუშავნი რა ახლო ახლო ჰყივიან!“

1892. რა გახილოდე, გუშავთა ესმას აბჯრისა ჩხერება,  
გიგრძნობენ, თოქსა მოჰკვეთენ, ამისი ჰხამს დაჯერება;  
წაგიხდეს ცუდად ყველაი, დაგრჩეს ცუდი-ღა ფერება”....

შეუძლებელია, ამ ავთანდილის ჰასუხში მსმენელმა ირონია გერ  
იგძნოს. მაშ თუ ავთანდილმა ეს-იყო ფრიდონის საქობა უბად  
აიღო, თითონებე როგორდა დაიკუებნის რასაც დასცინა? ფრიდონ-  
საც ხომ სიმართლე ექნება ავთანდილს მიუგოს: ჭერ ციხის გარდ  
გაგვიღეო და მერე შიგნით რამდენიც გინდა ადინე სისხლისა  
რუები!“

## LXXXVI

ტარიელმა მეგობრების რჩევა დაიწუნა: თუ ფრიდონ ან ავთან-  
დილ ციხეში შირგელი შევა, რასაკეირებელია, ომი შირგელ მას მოუ-  
ხდება. «სმა ესმას ჩემსა ხელ-ქმნელსაო, ამბობს ტარიელ, ზედა  
გარდმოდგეს, მზე კითა, თქენ გქონდეთ ომი ფიცხელი, უმორდ  
მნახოს მე კითა! ესე მე დამსკრისოა, ამიტომ სჯობს სამასი ცხენო-  
სანი სწორად გავიუთო და სამთავე სამგნით მიგმაროთ ციხეს-  
ჩვენ სამთავან ერთი მაინც შევა და იმან შიგნითნი ჭხოცოს, სხვანი  
კა გარეთელებს ეცნენთ. ამაზედ (გვ. 316)

1400. ფრიდონ უთხრა: „შემიგია, გამიგია, ვიცი მე რა,  
მაგა ცხენსა ჩემეულსა მოასწრობენ კარსა ვერა,  
ოდეს გიძლვენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა,  
თვარა ყოლა არ გიძლვინდი, ჩემი გითხრა სიძუნწე რა.»

1401. ფრიდონ ლალი ამხანაგობს საუბართა ესოდენთა,  
ამაზედან გაიცინეს მათ წყლიანთა, სიტყვა-ბრძენთა,  
ერთმანერთსა ელალობნეს ლალობათა მათთა მშევნთა,  
გართა ჰავა და დაეკაზმნეს, უკეთესთა შესხდეს ცხენთა.

1402. კყლავ ერთმანერთსა მიუგეს სიტყვები არ პირ-მკანები, დასკვნეს იგი თათბირი, ტარის განაძრახები, გაიყვეს კაცი ას-ასი, ყველაი გმირთა სახები, ცხენებსა შესხდეს, აიღეს მათ მათი ჩაბალახები.

ფრთხონის ჰასუხმა გმირნი გააცინა და ერთმანერთს რომ ელადობნეს, «გარდაჭხდეს და დაეჭაზმნეს, უკეთესთა შესხდეს ცხენ-თა». რა უნდა მომხდარიყო ამის შემდეგ? — გმირებს სამხედრო მოქმედება უნდა დაეწყოთ, იტყვით. ესე იგი ის უნდა ექნათ, რაც ტარიელმა დააბირა და რასაც რესთაველი მოგვითხობს მე-1406—1408 ხანებში (გვ. 317): ღამით ციხეს მიჯპარებოდნენ და გათენებისას დასუმოდნენ. ასე უნდა მომხდარიყო საქმე, თუ გმარნი ქავეთს სამრად მოსუელან და არა სალადობოდ. ზემოყვანილის ეპიზოდში კი მოუმენი ერთს დადობას რომ მოჩჩებიან, კიდევ რადასაც უბნობენ; გადაწყვეტილის საქმეს კვლავ დაასეკენან; უკეთესს ცხენებზე უპირ გადამზდარნი, კადეკ რაღაც ცხენებს შესხდებიან და დაკაზმული კიდევ ჩაბალასებს იღებენ.... მიზეზი ასეთის უთავბოლო აშავისა მე-1402 ხანაა, რომელმაც არა მოთხობის წესიერი და ბუნებითი მსკლელობა.

როდესაც რესთაველმა მე-1401 ხანაში თქვა, გმარებმა ერთმანერთსა ელადობნეს», — რომ ამ ლადობას საგანი ფრთხონის ჰასუხი იყო, უკეცედა; ასელა კი მე-1402 ხანაში მეღვევს რომ გვაუწყებს, კითამც მეგობრებმა «კვლავ ერთმანერთსა მაუგეს სიტყვები არ შირ-მკანებოთა, — მათის ტკიბილის საუბარის საგანი რაღა იყო? ჰასეკერებელია, ეს საგანი ფრთხონის ჰასუხია ადარ იქნებოდა, რადგან სუმრობის გამეორება გამოვიდოდა; და სიტყვაც «კვლავ» განახობებს, რომ საუბარის საგანი სხვა უნდა უავილიყო. მაშასადაც სიტყვები არ შირ-მკანებია ცარიელ ყედობად რომ არ დარჩეს, ხანის მეორე ღერძის უნდა განვეხას: «დაასკვნეს იგი თათხარი, ტარიას განაზრახება».

უაღის-მქნელმა არც სიტყვის ფასი იცის, არც იმის დაზათი, რომ აზრი ნახევრად ან გადაკერთ გამოთქმულია და მსმენელი თვითონ მიხედება; ამ ესმის, რომ ტოლგვერ თქმა სკობს არა თქმასა, ზოგვერ თქმითაც დაშავდების». აქაც ფალის-მქნელს ჭრინა, კითამც

პოეტს არა უთქვაშე-რა იმის შესახებ მოიწონეს ფრიდონ და აკან-დღემა ტარიელის თათბირი, და გვაუწებს: «დასკენა იგი თათბირია; იმს კი კერ მისვდარა, რომ მათი თანხმობა ფრიდონის შასებსა და გმირთა დაღობაში თავის-თავადაც სჩინს, თუმცა მეგობრებს თავისთან დასტური შირდაშირ არ გამოუცხადებიათ. ფრიდონის რომ თავისი შასებს სერიოზულად ეთქვა, მით თავისი უთანხმოებას გამოაცხადებდა; ხოლო ხუმრობით თქმულს მისს სიტყვას წინააღმდეგი, უკუთქმით აზრი აქვს და მაშასადამე თანხმობას ნიშნავს; აკანდილიც რაგი ფრიდონის დაღობას ჰქონა, მით ტარიელის რჩევას თავის მხრით დასტური მისცა. გაცი მეტად მიუმხდარი და ტლანქის ჸეჭიას უნდა იყენს, რომ ასეთი ჩუმი თანხმობა და გაუცხადებლად შირობის დადება (convention tacite) კერ გაიღოს.

თუ გმირების თანხმობის კისმე ეჭვი მაინც ჭირდეს, ნუ თუ რუსთაველის დექსი — «გარდახდეს და დაეკაზმნეს, უკეთესთა შესხდეს ცხენთა» — არ დააკერებს? რაო, ფრიდონ და აკანდილიც ტარიელს რჩევა არ მოუწონეს, ერთმანერთს გაუწერნენ და გაურას უპირობენო?... განა დექსი აშეარად არ გვანაშებს, რომ მეგობრებმა შექმნადას გმირების ივი თათბირი, ტარიას განაზრასება», და მაშასადამე მაგ დასკენაზე საჭარი მეტიდაა?

მე-1402 სანის მეორე ნახევარი ისეთივე ფუტი უხედობაა, როგორც ორი წინა დექსი. «გავუკეს გაცი ას-ასი, უკელა გმირთა სახებია. გვიამბობს ყალბის-მქნელი, თუმცა ტუგადად ირჯება. მკითხველი თავის თავადაც მისვდება, რომ უთუოდ ეგრე უნდა მომსდარიყო, რაგა მეგობარიც ტარიელის რჩევას მიჟერნენ. ხოლო ტარიელის რჩევა სხესთა შორის ისიც იუთ, რომ «გავუოთ გაცი ას-ასიო» (ხ. 1398, გვ. 315). ახლა მაგის ხეენება მით უფრო მეტია, რომ თვით რუსთაველი თავისს დოზე მოუკითხობობს მაგ ფაქტის. გმირნი ამის თადამიგს რომ შეუდგნენ, სამაც გაიუკეს, თვითობის თვითო კარები, თანა ჭუავთ გაცი სამასი, უკელა გმირთა დარებია» (ხ. 1406, გვ. 317). ლექსების შეფარდებით ცხადად სჩინს, რომ ყალბის-მქნელმა თავის დექსის ერთი ნახევარი მე-1398 სანიდან მოისარა, მეორე ნახევარი კი — მე-1406 სანიდან, სიტუაცია სიტუაცია.

რაც შექება მე-1402 სანის უქანასკნელს დექს—«ცხენებსა  
შესხდეს, აიღეს მათ მათი ჩაბაჯახებია—მცონია, დიდი ლაპარაკი  
არ უნდა, რომ მისი დედანი იქვეა, წინა სანაში: «გარდაჭედეს და  
დაეკაზმნეს, უკეთესთა შესხდეს ცხენთა».

### ლXXXVII

ტარიელმა თავის მეგობრებას შეწენით ქაფებზე გაიმარჯვა,  
აიღო მათი ციხე და ნესტან-დარევან ტექობით ისსნა. მიჯნურთა  
შეერთებით მოისპო უკელა მათი ჭირი და მწერება, აქანამდის  
ჭირნახულთა, ამის იქით გაისარნენ (ს. 1415, გვ. 319) და მათს  
ბედნიერებას ერთი ღრუბელიც არ დააჩრდილებს. გამარჯვებულინი  
გმირნი ქაფეთით წავდენ გუდანშაროს, სადაც ზღვათა მეუე ტარი-  
ელსა და ნესტან-დარევანს დააჭროწიანებს. აქედან მიეღენ ფრიდო-  
ნისას, რომელიც თავის მხრით გადისხდის ქორწილს.

ანდოთ მეუეს თაერსს სკიანთაში არ ავიწყება აკთანდილის  
სამსახური და სწადიან გადისადოს მისი ჭირნახული, გააბედნი-  
ერთს ისეებ, როგორც თვით გაბედნიერდა მისის შეწენით. ამა-  
რომ ტარიელ გადასწუყეტს არაბეთს წაკიდეს და რთასტევან მეუეს  
აკთანდილისათვის ქალი სთხოვოს. გმარების მგზარობა მუღლა-  
ზანზარით არაბეთს ასეა აწერილი პლემში (გვ. 336—337):

1487. ფრიდონისით გაემართნეს იგი ლომნი, იგი მჰენი,  
თანა მიჰყავს პირი მზისა, ქალი, მჰერეტა ამაზრზენი,  
ჰელიდავს ბროლსა ყორნის ბოლო დაწყობილი, დნათხზენი,  
მუნ ბაღსახმა აშეენებდეს სინატიფე, სინაზენი.

1488. იგი მჰე უჯდა კუბოსა და აგრე არანინებდეს,  
მინაღირობდეს ნაღირსა, მუნ სისხლსა დააღინებდეს,  
სადაცა დაჲჭედის ქვეყანა, მჰერეტელთა მოალზინებდეს,  
მოეკებნიან, სძლვნობდიან, აქებდეს არ აგინებდეს.

1489. მას ჰევანდეს, თუკა სამყაროს მჰე უჯდა შეა მთვარეთა;  
იარნეს დღენი მრავალნი ლალთა, ბრძნად მოუბარეთა,  
შიგან მათ დიდთა მინდორთა, ყოვლგინით კაცთ-მიუმწვდარეთა,  
სად ყოფილ-იყო ტარიელ, შიკვდეს იმ კლდისა არეთა.

## „გეფხის-ტეატრის“ უაღბი ადგილები

შეუერთეთ მე-1487 ხანის ბოლოს მე-1489 ხანის დასაწყისიდა მათს შორის ჩართულის ხანის უაღგილობა უპირველად აღმოჩნდება. ეპიზოდში ცხადადა სჩანს, ოუსთაველის დასატელი სურათი: სამი ლომ-გმირი, ომელინიც ახლავენ ნესტან-დარეჯანს, და ეს უცხო სანახავი კრებული გამოიწევს ჩემულებრივს რესთველისეულს შედარებას, —მთვარეთა ჭიკანძნენ, ომელთა შორის მზე იყოთ. ამ შოეტის აზრს მე-1488 ხანა შეაზე ჭურის, დასადარებულს საგანსა და შედარებას შორის ჩაერთვის და სულ სხვა ამბავს გვიამბობს, ომელსაც ამ შედარებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ამის გამო მე-1489 ხანის ღეჭსს — «მას ჭიკანძნეს», თუცა სამყაროს მზე უფასა, შეა მთვარეთა — თავისი მნიშვნელობა და ეკარგა და კერც მე-1488 ხანის შინაარსს მიეჩემება, კერც მე-1489 ხანიას.

ამას გარდა მე-1488 ხანის ჩამატებით მოახსოვაც შეიძლა და ერთი და იგივე ფაქტები თრჯერ წარმოგვიდგა. რესთაველი გვაამბობს, ომი გმირინი მულდაზანზარით წარმოვიდნენ და ნესტან-დარეჯანი თან მოჰყევდათო და, — რადგანაც შოეტი თავის გმირთა სიტუაციის ქებაში დაუდალავია, — გვალავ გვიასტავს მათს მშვენიერებას. გმირებმა მრავალი დღე რომ იარეს, მიუახლოების ტარიელის უწინდელს ბინას — ქვაბსა. მე-1488 ხანა ამ ამბავს უმატებს, რომ გმირებმა ნესტან-დარეჯან კებთას მჭდომი მაჟეკანდათო და გზა-და-გზა ნადირობდნენო, ე. ი. იმეორებს უკვე ცნობილს ფაქტს. მაგრამ გამეორებას კინდა სხივის, საქმე ის არის, რომ მეღებსებ თავასის ნაწილს ჭრიდ დაურთო, კითამც გმირებმა ამ მგზავრობაში სხვა და სხვა ჭეკენები გაიარეს, სადაც მცხოვრებნი მათ ეგგებოდნენ, სძრებიდნენ და აქებდნენო.

მულდაზანზარით ტარიელის ქვაბამდის გზა ცნობილია. ტარიელმა გამოიარა ეს გზა პირველად ფრიდონს რომ გაუარა და დაკარგების სატრიუას საძებრად კელავ რომ წავიადა; იგივე გზა ასწავლა ტარიელმა ავთანდილს, როდესაც ეს ფრიდონისას მიღიოდა; ამავე გზით იარეს ტარიელ და აკთანდილ ასმათითურთ, ქავეთისეკნ რომ გაემართნენ; ესლაც ჩექნს გმარებს მავდეგართ გონებით იმავე გზით მამავალისა, — და აქმდის შოემიდან არ საიდან ჩნდა, კითამც ეს გზა რომელსამე დასახლებულს ქავეაზე მიღიოდეს. მართალია,

აკთანდილ რომ ამ გზით ფრიდონისას მარტო მიღიოდა, კიდაც უადაის-მქნელი გვარწმუნებდა კითამც აკთანდილს (გვ. 215).

970. ვინც გზასა ჰინახნის უცხონი, მასურებდიან, ყმობდიან,  
მოვიღოდიან საჭვრეტლად, მას ზედა ტრფიალობდიან,  
ეძნელებოდის გაშვება, გაყრასა ძლივ დასომობდიან,  
გზის ყულაუზი მისციან, ჰიკითხის რა, უამბობდიან.

მაგრამ გერც ამ ყალბის სანიდანა სჩანს უკეკელად, რომ აქ  
რომელიმე ქეყუნა დებულიყოს, და უფრო იმასა ჰქვეს, რომ აკთან-  
დილს სიარულის დროს კიდაც მგზავრები შემოჰურია. თვით რუს-  
თაკელი კი ისე წარმოგვიდგენს ამ გზას, რომ მის კითარების შესა-  
ხებ უკელა ეჭიში უადგილოა: ტარიელ და აკთანდილ ფრიდონისას რომ  
გაემართონენ (გვ. 308),

1368. ....წაიტანეს ასმათ თანა;  
ნურადინის ქვეყანამდი შეისვიან მათ უკანა;  
მუნ ვაკარმან ოქროს ფასად ცხენი მისცა, არ უძლვანა;  
აკთანდილ კმა ყოლაოზად, სხვამცა ვინცა წაიტანა.

სანამ ფრიდონის ქეყუნას არ მივიღნენ, ცხენები გერსად იყა-  
ლეს, და აკთანდილის მეტი ყოლაოზი არავინ ჰქვანდათ,—ამაზე მე-  
რი უდაბნო ნახულა?... საიდან-და გაჩნდა ეხლა იმ უდაბურს მხარეს:  
უცხო ქეყუნები, სადაც გმირებს «მოეგებნიან, სძღვნობდიან, აქებდეს,  
არ აგინებდეს?»

იტევან, იქნება გმირნი სხვა გზით მგზავრობდნენ, რომელიც  
დაშენებულ ქეყუნებზე გადიოდათ? მაგრამ რისოვის დაუღებდნენ  
ქეკელსა და ცნობილს გზასა?—ნუთუ ქებისა და ძღვენის მოსაკრე-  
ბად კიდაც უცხო მცხოვრებთაგან? რას შექმატებენ თავიანთ ბედნი-  
ერებასა და სიმდიდრეს, რომ მოგლე გზა დააგდონ და ქეყუნით  
ქეყუნად იაროს იმ იმედით, იქნება იმჟერ ეტელთა მოკალხინოთა, ან  
გვაჭრონ და გვიძღვნან რამერა?

გმირნი ქავეთით მივდენ რიგზე გულანშაროს, მულდაზაზარის  
და არაბეთს და, სანამ დანიშნულს : დაგას მაიღწევდნენ, ტარიელ  
უოკელთვის ჭაცსა ჰგზავნის, რომ თავისი მოსვლა აცნობოს, და  
მაშინ-და მოეგებნენ; მე-1488 სანაში კი მელექსე გვარწმუნებს,

„გეფხის-ტებასნის“ უაღბი ბდგალები

ვითამც გმირებს, «სადაცა დაჭხნდის ქვეყნა», მოეგბნიანო,—მე-  
რე, კინ და რისთვის ეგებებოდა? გმირნი — რა იმ ქვეუნებისა-  
თვის, ან გმირებს — რა ის უცხო ქვეუნები? გულანშაროს,  
მულდაზანზარს და არაბეთს გმირებს დასამც ეგებებიან, აქებენ  
და სძლვნობები, მაგრამ მაგის გულისათვის ხომ არ მის-უდან იმ  
ქვეუნებში, არამედ საქმისათვის; ქება და ძღვენი კი საქმის და-  
სრულებას დაურთვის. რადა საჭიროა იმ უცნობ ქვეუნების ნახვის  
სსენება, სადაც გმირებს არცა-რა საქმე ქვენდათ და არცა-რა გაუ-  
კუთხდიათ? რას შესძენს პოემას ეს ფუჭი მოთხოვთ?

თავით თვისით მ. 1488 სანას ორიგინალთას ღირებულებაც  
არა აქვს. მოიხსენეთ რუსთაველის აღწერილი გმირების მგზავრო-  
ბა, როდესაც გულანშართით მულდაზანზარს მიდიოდნენ. ზღვა რომ  
გაიარეს და ფრიდონის სამეფოს მიუასლოვდნენ, გმირებმა (გვ. 325) —

1444. იგი მხე შესვეს კუბოსა, იარეს გზა ზღვის პირისა,  
მიყმაწვილობენ, უხარისო მათ გარდახდომა ჰირისა;  
მივიღეს, სადა ქვეყანა იყო ნურადინ გმირისა;  
მოეგებნიან, ის მოდის ხმასიმღერისა ხშირისა.

საქმარისია ამ დედანს შეგაფარდოთ უაღბის-მქნელის დაწერი-  
ლი ხანა, რომ მიბაძების აზრის სიღატაკე და იღორმის უგავნობა  
გამოხსნდეს. რუსთმეული გვიაშობს, რამ გმირნი, რომელიც აქმ-  
დის ზღვით მოდიოდნენ, ახლა ხმელეთით წაგიდნენო. გზის თვი-  
სება გამოიცემა და ამისდა გმირად მგზავრობის დონის-ძიებაც უნ-  
და გამოცელილიყო, ამიტომაც იყო საჭირო იმის სსენება, რომ  
ნესტრან-დარეჭან კუბოს შესვესო. ფრიდონის ქვეუნდან არაბეთამ-  
დის, საითაც გმირნი ახლა გაემართნენ, უკავიცით, რომ გზა ხმე-  
ლეთით მიდის, უაღბის-მქნელი კი მაინც გვაუწებს, «იგი მზე უკ-  
და კუბოსათ». ეგეც არ გვაგმარა, და რომ არ კიფიქროთ, კითომც  
კუბოსა მკდობის ქადას რონინება იმავე დროს ცხენითა ან ქვეი-  
თი შეიძლებათ, ზედ დასძენს: «და აგრე არონინებდესთ».

ამაზე უარესს მრავალსიტევაობას მეორე ლექსში კუთვებთ. მო-  
ეტმა გვაძმო, გმირნი გზაში «მიუმაწვილობენო» და უმაწვილობის  
მიზეზი ის იყო, რომ ჭირის გარდახდომა უსაროდათ. «მიუმაწვი-

ღობენა-ის მაგიერ ყალბის-მქმნელმა «მინადირობდეს» დასკა, და მა-  
გით ექაწვილობას და შორს არ გასცილება. მაგრამ კაი ის არის,  
რომ მეღექსემ მის მოგანილს ნადირობას განმარტება დაურთო,  
თოთქო ნადირობა ერთი რამ უცნობი და უხსავი შესაძლება იყოსო.  
«მინადირებდეს ჩადირსა... და არა ოკეზსა ან ჭია-ჭეასა; და ისე  
ნადირობდნენ. რომ ცისხლის დაადინებდეს», — ასე, რომ უსისხლო  
ნადირობა როდი იყო, ნადირს ჸსოცვდნენ და არა ხელათ იჭერ-  
დნენ; სისხლის დვრაც სხვანარი იყო: «მეუნ სისხლსა დააღინებ-  
დეს», ესე იგი, სადაც ნადირობდნენ თუშმე ნადირს იქაუ დაადი-  
ნებდნენ სისხლსა და არა სხვაგან.

მე-1444 სანის თქმით, გმარნი მეუღლაზანზარს რომ მივიდ-  
ნენ, ფრიდონის უმანი მიეგებნენ და სიმღერის სმა ისმოდათ.  
დიადაც მაეგებებდნენ, რადგან გმარებმა წინჯაწინე აცნობეს  
თავიანთი მისკლა და დიადაც გაიხარებდნენ, პატრონსა და მისს  
შირბილებს გამარჯვებულს რომ დაინახავდნენ. ამისდა მიბაქოთ  
ყალბის-მქნელაც მოგვითხრობას, რომ ვათამც გმარნი რომელს  
უცხო ქვეყანასაც მივიდოდნენ, «მწერეტელთა მოაღხინებდესო»  
და ეს მოლხინებული მწერეტელი «მოეგებნიან, სძლვნობდა-  
ან, აქებდეს, არ აგინებდეს, — ერთის სიტუაცია, მოხარეებ გაუ-  
ხდებან... შეურცხეათ ფრიდონის უმებს პატრონისა და მის მმო-  
ბილების ერთგულობა! გაღაც უცხო ქვეყნის «მწერეტელია ძღვენით  
უცხო გმარებს ეგებებებოდნენ, ფრიდონის უმები კი მარტო სიმღე-  
რით დაუქვდნენ!..

აღ. ს — შეიძლი

# ეციუდები ქართულის ლიტერატურიდან

ჯერილი მემკვეთი

თ-და გ. დ. ერისთავი (1811—1864 წ. \*)

თავადი გიორგი ერისთავი ორის ჩვენში რეალიზმის მამა-  
შოთავარი.

არა ერთხელ განგვიმარტავს ჩვენს წერილებში რეალიზმი,  
როგორც ლიტერატურული მიმართულება. რეალიზმის უმთავრე-  
სი პრინციპია ბუნებისა და დამიანის ცხოვრების მოვლენათა  
სინამდვილით გამოხატვა. მწერალმა ის უნდა გვაჩვენოს, რასაც  
ადგილი აქვს ბუნებისა და ცხოვრებაში. ისე უნდა დაგვანახ-  
ვოს ესა თუ ის მოვლენა, როგორც იგი მოხდება ხოლმე და  
არა ისე, როგორც მწერალს ეჩვენება.

აქედან მეორე პრინციპი რეალიზმისა ის არის, რომ მწე-  
რალმა თავისი პირადობა უნდა უარ ჰყოს ამა თუ იმ მოვლე-  
ნის აღწერის დროს; თავისი სიმპატია-ანტიპატია უკუ აგდოს  
და გარდაიქცეს ფოტოგრაფიის მანქანად, რომელმაც უნდა  
მოგვაწოდოს უზყუარი და კეშმარიტი სურათი მოვლენისა.

რეალიზმს თავისი ფილოსოფიური მოძღვრებაცა აქვს. ეს  
მოძღვრება აღარებს, რომ ბუნებაში ყოველივე განსაზღვრუ-

\*) თ. გ. ერისთავის თხზულება, გამოცემა ი. მეუნარგიასი ტფილ-  
1884 წ.

## მთაბიძე

ლია და წინადვე გარკვეული. ადამიანი არის ერთი ნაწილი ბუნებისა, რომლის სურვილი, მოქმედება, აზრი და გრძნობა ექვემდებარება ბუნების მოვლენათა ზედ-გავლენას. კაცი არის მონა ბუნებისა და არა მისი უფალი. კაცის სულიერს მოძრაობას თავისი დასახამი და დასასრული მის სხეულში აქვს. ეს სხეული კი ისეთი ყურ-მოჭრილი ყმაა ბუნების კანონებისა, როგორც ქვა, ხე და პირუტყვი.

რეალიზმისა აქვს თავისი საშუალებაც, თავისი მანერა წერისა.

რეალიზრის ქმნილების საგნად აღებულია ხოლმე ისეთი პირადობა და ისეთი მოვლენა, რომელიც ჩვეულებრივია, ყოველ დღიური და არა რაიმე განსაკუთრებული არსებაა, ანუ შემთხვევა. მწერალს ამ სკოლისას მოვალეობად მიაჩნია უბადრუკისა და უმნიშვნელო სინამდევილის აღწერა. ენა და სტილი სადა უნდა იყოს და უბრალო, აზრის მარტივად გამომხატველი, მაგრამ არავითარი შეზღუდვა და შეჯაჭვა არ მოელის აქედან მწერალს: შეუძლიან ისარგებლოს არა თუ ჩვეულებრივის ლექსიკონის ყოველივე სიტყვით არაშედ ხალხისაგან ხმარებულ ეარგონითაც.

ამნაირი განსაზღვრა რეალიზმისა მიღებულია ევროპის ლიტერატურაში \*) და დამყარებულია ლიტერატურის ნაწარმოებთა განხილვაზე.

რეალიზმის მოძღვარი იყო საფრანგეთში ფლობერი. ფლობერის რეალიზმი ზოლას ნატურალიზმად შეიცვალა. თუ ფლობერის რეალიზმი ლიტერატურული პრინციპი იყო, ზოლას ნატურალიზმი ამ პრინციპების უკიდურესობამდის მიმყვანია. გარდა ამისა ზოლა ლიტერატურის სამეცნიერო იარაღად გარდა-

\*) იხ. ბრუნეტიერის *L'évolution de la poésie lyrique en France*, რომლის შინაარსი მოყვანილია ჩევრილებში „ევროპური სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში“, იხ. „მოამბე“ 1894 წ. № 12 და 1895 წ. № 1 და 2.

David Sauvageot: le réalisme et le naturalisme dans la littérature et dans l'art.

ვქმნას ელტვის და ვალადა და აზრად დაუდებს სიტყვა-კაზ-  
მულ მწერლობის, ცხოვრების უტყუარი საბუთები გადმოგვ-  
ცეს, ეს საბუთები კი სინამდვილის დაკვირვებაზე უნდა იყვ-  
ნენ დამყარებულნი, რომ სამეცნიერო დასკვნისათვის გამოსა-  
დეგარნი შეიქმნენ. ჩვენ ყოველთვის ძლგვინიშნავს ხოლმე ის  
განსხვავება, რომელიც აჩსებობს ჩვენისა და ევროპიელის ლი-  
ტერატურის შორის. ევროპაში სხვა-და-სხვა სკოლის დიდებუ-  
ლი წარმომადგენლები ჰყავთ. ეს დიდებული წარმომადგენ-  
ლები მსოფლიო გენიოსები იყვნენ (ბაირონი, ჰუკ და სხვ.).  
გარდა ამისა ესა თუ ის ქვეყანა ამა თუ იმ მიმართულების  
შემქმნელი იყო, ჩვენ კი მაჩანჩალები გახლდით, ქართული რო-  
მანტიზმი ევროპიელის მაჩანჩალა გახლდათ. ამიტომაც იყო,  
რომ ჩვენში რომანტიზმი არავითარი დამტკელი არა ჰყავთ  
და არც არავინ იყო მისი პრინციპების მქადაგებელი. ჩვენში  
არც კი აჩსებობდა ლიტერატურული სკოლა, რომანტიზმის  
შემოღებამდის. რეალიზმიც ევრე შემოიპარა ჩვენში, მაგრამ  
რაյო რომანტიკოსები კიდევ მოღვაწეობდნენ, დავა აუტენტის  
ჩვენში რეალიზმის განმამტკიცებელთ (ილ. ჭავჭავაძესა და აკ.  
წერეთელს, გრ. ორბელიანმა და სხვ.). ეს დავა, რასაკვირვე-  
ლია, შედეგი იყო სხვა-და-სხვა სკოლის წარმომადგენელთა არ-  
სებითის უთანხმოების და არა შეგნებული, წინდაწინვე გამოპ-  
ლანული დავა ორის სკოლის წარმომადგენელთა შორის. სხვას  
გარდა ეს ლიტერატურული დავა საზოგადო აზრის სხვა-და-  
სხვაობის შეჯახების შედეგიც კი იყო. გრ. ორბელიანი ენის  
გარეუქნას სწამებდა ახალ თაობას, რასაკვირველია იმიტომ, რომ  
რომანტიკოსთა აქტებული ენა და რეალისტთა სადა ენა, ხალ-  
ხური კილო სხვა-და-სხვაობდნენ. ძველი გრძნობდა, რაღაც  
ახალს, მის წინააღმდეგს და ამ წინააღმდეგს ებრძოდა. ახალი  
კი ძლევა-მოსილი წინ მიღიოდა და მას თავის ძალის შეგნე-  
ბაც უფრო ჰქონდა და თავისი პრინციპებისაც.

ერთი გასაოცარი შემთხვევა ის არის, რომ რეალიზმი  
ჩვენში სწორედ იმავე ხანებში დაიწყო, როგორც საფრანგეთ-  
ში და ევროპაში—ორმოცდა-ათიან წლებში.



სწორედ ამავე დროში გარეშე პირობათაც ისეთი მიმართულება მიიღეს, რომ ჩეალიზმის აღმოცენებისათვის ნიადაგი მხად იყო.

გამოურკვევლობა ქართველის ერის აზრისა, რყევა ამ აზრისა, „ძეველი მოგონებანი და ამ მოგონებათა გამო აღელვება დამთავრდა „შეთქმულობით“. ამას კი მოჰყვა საუკეთესო ქართველთა სამშობლოდან განძევება. მთავრობა შეთქმულთ გულმოწყალედ მოეკიდა. შესაძლოა ერთის მხრით იმიტომაც, რომ იმპერატორ ნიკოლოზ პირველს არ მიაჩნდა მაინცა და მაინც საკეთილოდ ქართველების გულის ტკენა იმ დროს, როცა პოლონეთის აჯანყება თვალ-წინ ჰქონდა და მეორეს მხრით და უფროც კი იმიტომ, რომ უთუოდ ეს „შეთქმულობა“ ბავშვურ მოქმედებად მიიღო. ყოველს შემთხვევაში „შეთქმულთ“ კარგად დაინახეს, რომ ყოველი მმგეარი მოქმედება მათვის შეუძლებელი იყო, რადგან ნიადაგი არა ჰქონდა მომზადებული და საზოგადოების თანაგრძნობა არა ჰქონდა მოპოვებული; რამთლენიმე გმირთაგან შეგნებულს მოქმედებას დიდი უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა უყურებდა როგორც მხურვალე ფანტაზიისა და გარეცებულის გრძნობის ნაყოფს. „შეთქმულთ“ ისიც შეიგნეს, რომ რუსეთის მთავრობა ყოველივე ამნაირს საქმეს სასტიკად მოეკიდება და არავითარს წინააღმდეგობას არ დასთმობს. სამისა და ოთხის წლით სამშობლოდან გარდაცვეწამ ბევრი მწარე ცრემლი დაანთხვინა ამ მაღალ-გრძნობიერ ახალგაზლათ და ამ ცრემლის დენაში ჩაუკვირდნენ თავისის ერის მდგომარეობას და მიხვდნენ, რომ ერის კეთილ-დღეობისათვის ზრუნვა სულ სხვა გზაზედ უნდა დაყენებულიყო.

თავისს მხრით მთავრობაც გარკვეულს გზას დაადგა,—საომარი მდგომარეობა მოსპობილ იქმნა. ქართველის ერის უსამართლო და უსირცხვილო დევნა პოლიციის მხრით, მმართველთა უსაფუძველო და ურიგო თავსედობა ნელა მოისპო და ვორონცოვის ნამეტ ტრიკად დანაშენის შემდეგ მთავრობის პოლიტიკამ განსაზღვრული და გარკვეული მიმართულება მიიღო. ეორონცოვის პოლიტიკა ქართველებისათვის ნათელი იყო. ქარ-

თველ ერს უნდა მიეღო იღსირულებული ისტორიული ფაქტები და დამორჩილებოდა ისტორიულ შემთხვევებს: საქართველო იყო რუსეთის ქვეშვრდომი, და ამის წინაშე თავი უნდა მოეხარა ყველის. ხოლო ვორონცოვს აზრადა ჰქონდა დიდის ხნით თავისუფლებას შეჩევეულის ხალპისათვის ეს მრავჩილება არამა თუ მოსათმენად, საინიმოვნოდაც კი გაეხადა. თავისის პოლიტიკის აზრად დაიდგა ქართველის საზოგადოების რუსულს კულტურა-სთან დაკავშირება (ესე იგი ევროპის კულტურასთან რუსეთის შემწეობით). ვორონცოვმა დიდი გამჭრიახობა და შორსმჭვრე-ტელობა გამოიჩინა და მიხვდა, რომ მხოლოდ ეს არის ერთად-ერთი გზა, რომელსაც შეუძლია სულიერათა და გარეგნობითაც შეეკავშიროს საქართველო რუსეთს. ამიტომაც ყოველის ღო-ნით ეცადა ქართველი საზოგადოება შეეთვისებინა ევროპიულის ციენლიზაციისათვის. თავისის სახახლის „ბალებისა“ და „საღა-მოების“ წყალობით იგი გარეგნად აკავშირებდა რუსეთისა და საქართველოს უმაღლესის საზოგადოების წევრებს; ხოლო უურ-ნალ-გაზეთებისა და თეატრის დაარსებით სცდილობდა სულიე-რადაც განემტკიცებინა კავშირი ევროპის კულტურასა და ქარ-თველის კულტურას შორის.

ი რას მმბობს ბ-ნი ი. მეუნარგია, ცნობილი და ჩინებუ-ლი ბიოგრაფი თავ, გ. დ. ერისთავისა, მმ დროის შესახებ: „კავ-კასიის აღმინისტრაციის მოხელენი ხშირად აყენებდნენ ხოლმე შეურაცხყოფას ნაციონალურ ქართულ გრძნობას. თავხელი ქცე-ვა პოლიციის მოხელეთა „ცუდად მოქმედებდა ქალაქის მოწი-ნავე ქართველობაზე. საზოგადოება უამისოდაც დაქავშისული იყო ნაწილი-ნაწილად. ნათესავის გრძნობა კავშირი, პირადი გრძნობა და ჩვეულება სხვა-და-სხვა მხრასკენ იწვევდნენ მას. დრო იყო საჭირო, რომ ეს ჩვეულება გამჭრალიყო, ამ ნაწილ ნაწილად დაყოფას ბოლო მოღებოდა, რომ წარსულ აჯანყებათა მოგო-ნებაც წაშლილიყო და ბატონიშვილების დინასტიური მეცადი-ნება დავიწყებოდა საზოგადოებას. მხოლოდ მაშინ შეადგენ-და ეს საზოგადოება ერთს მჭიდრო საპოლიტიკო წყობას. ამის-თვის კი საჭირო იყო ისეთი მშვიდობისა მმართველობა, რო-



გრანაც იყო შემდეგში თაგ. ვარანცფევისა (ხაზი ჩვენ გვეკუთვნის); საჭირო იყო თავაჭინი ქცევა და პატივი ქართველების „ისტორიული სიამპარტაციისა და ზეპირ გადმოცემათა“, როგორც ამბობს განსვენებული ფალევვი \*).

ცხოვრება დაწყნარდა. საზოგადოება გაერთიანდა. საზოგადო აზრი კალაპოტში ჩადგა. ძველი ოცნებები ტახტიდან ჩამოაბრძანეს ძალა-უნებურად და ეხლა ამ ოცნების მოძღვრებმაც კი შეიგნეს, რომ ერთად-ერთი საშუალება სამშობლოსათვის სამსახურისა არის ისტორიის მსვლელობისაგან აღნიშნული გზა: ევროპის კულტურის მიღება, ამ კულტურის განვითარება და განმტკიცება ქართულს ნიადაგზე.

გ. ერისთავს ბედმა არგუნა ისეთს ქვეყანაში ყოფნა და იმ დროს, როცა უსათუოდ უნდა შეესწავლა და შეეგნო ის იარაღი, რომელიც მისთვის მიუკილებელი იქმნებოდა სამშობლოს სამსახურისათვის მისმა ფხიზელმა გონებამ კარგად შეიგნო და მიხვდა, რომ ქართველობა მეტად ჩამორჩენილია ევროპის ციეილიზაციისა და კულტურისა და ხოლო გარეშე ამ ციეილიზაციისა და კულტურისა კი ქართველ ერს აღარ შეეძლო სიცოცხლე, — აღსრულებულმა ისტორიულმა ფაქტმა ძალა უნებურად ჩააბა იგი ევროპის ციეილიზაციის ძლევა-მოსილ მსვლელობაში და თუ ფეხს არ მოიმარტებდა ამ მსვლელობაში სხეას ჩამორჩებოდა და სხვისგან გაითვლებოდა. კარგად მიხვდა რომ იმ საზოგადოებას და იმ ხალხს, რომელსაც უბედურის შემთხვევის გამო საანბანო ჰეშმარიტებაც კი დავიწყნია არ შეეძლო „დიდის საგნის“ შეგნება. მან შეიგნო ნაძღვიდა, რეალურ საჭიროება თავისი ქვეყნისა და დაბრუნებისათანავე მიჰმართა ამ საჭიროებათა დაქმაყოფილებას და მათვის მუშაობას. ლიტერატურას და თეატრს მოჰკიდა ხელი გაზეთადან და სცენიდან სცდილობდა ან-ბანი ესწავლებინა ქართველ საზოგადოებისათვის, ანბანი ზნეობრივის მოქმედებისა და მომავა-

\* ) იხ. გვ. XXI და XXII მოხსენებულ გამოცემისა.

ლი დიდის შრომისა და მოღებების წინასიტყვაობა საქვე-  
ყნოდ განეცხადებინა.

## I

გ. ერისთავი უმთავრესად რეალისტი მწერალია, მაგრამ რო-  
მანტიულ ელემენტებიც ბევრს შეეხვდებით მის ნაწილმოებში და  
ეს არც კი გასაკვირეველი. საზოგადოდ ძნელია რომელიმე  
მიმართულება ლიტერატურაში უეცრად დამყარდეს, — საჭიროა  
ბევრი დრო, ბევრი შრომა, რომ ესა თუ ის მიმართულება გა-  
მოირკეს და განმტკიცდეს. ეს ერთა და მეორეც ისა, რომ  
ძვირად შეეხვდებით მწერალს, რომლის ნაწერებში რომანტიუ-  
ლი ელემენტიც არ ერიოს — და ეს იმიტომ, რომ რომანტიზ-  
მიც ისეთივე კანონიერი მოვლენაა, კაცის მოთხოვნილებაზე  
დამყარებული, როგორც ჩეალიზმი. ზოლას, ნატურალიზმის  
შემქმნელს, — რომანტიკოსობას ეწამებიან და მართლა ეგრეც  
არას. წარმოდგინებითი ძლია ზოლას ნიჭისა (l'imagination)  
იმდენზედ ძლიერია, როგორც ჰუგოსი. ზოლა უბადრუკ  
და ჩეულებრივ სინამდვილეს კი არ გვიჩატავს, არამედ იმ  
სინამდვილეს, რომელსაც მის ტვინში და გულში გაუც-  
ლია, ზედ დასჩევია მისის აზრისა და გრძნობის ბეჭედი და  
ეგრე გარდაბადებულსა და გარდაქმნილს სინამდვილეს მერმე  
ჩეენ დაგვანახვებს ხოლმე. ეს სინამდვილე ზოლასაგან, რასა-  
კვირველია, დასახიჩრებულია და დამახინჯებული, რადგან კა-  
ცის პირუტყვობის ფილოსოფიით გამსჭვალულია და მხოლოდ  
იმით განიჩევა რომანტიკოსთაგან გალამაზებულისა და გაპე-  
როვნებული სინამდვილისაგან. მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებთ,  
რომ რომანტიკოსებსაც არ ეუცროვებოდათ სინამდვილის და-  
მახინჯება და დემონიურის ბოროტების დახატვა.

გ. ეტისთავი რომანტიკოსთა შორის იზრდებოდა, იმ ზედ  
გავლენასა და გარემოებათა შორის, როგორც იგინი და რაღა  
თქმა უნდა რომანტიულს მანერას ვერ ასცდა. მხოლოდ თუ  
ჩეალიზმის შემქმნელი შეაქმნა, ეს იმიტომ, რომ მისი გონიერა



მეტად ფხიზელი და დაკვირვებული იყო და მას თან დაყოლილი ჰქონდა სატირიული ნიჭი, ნიჭი დაცინვისა და განკიცვისა. ხოლო როცა დრომ და გარემოებამ მოითხოვა განგებისა-გან მინიჭებულ ნიჭს თ. ერისთვისას გზა გაუხსნა და ამ ნიჭმა თავისი დაგვანახვა.

გ. ერისთავს ერთი ნიჭი ჰქონდა კიდევ: იგი იყო არსებითად დრამატიული მწერალი. მართალია, როგორც დრამატიულ მწერალს ბევრი ნაკლულევანება აქვს, მაგრამ ეს მისი ბრალია, რომ ქართულს ლიტერატურაში იგი იყო პირველი ამ გვარი მწერალი და როგორც პარველი ბევრის ახალისა და წვრილ-მანის შემოტანა დასჭირდა ჩვენს ლიტერატურაში, რამაც მისი ნიჭიც დააბრკოლა. მის კომედიების ნაკლულევანებებში მის ნიჭს იმდენი ბრალი არ ადევს, რამდენიც ქართულის ლიტე-რატურის სიღარიბეს.

გ. ერისთავის ლირიზმი მის დრამატიულ პოემა „შეშლილ-ში“ გამოიხატა საუკეთესოდ. მართალია ლექსებსაცა სწერდა, მაგრამ ეგ ლექსები თითქმის სახსენებელნიც არ არიან.

გადაიკითხეთ მონოლოგი ბეგლარისა—იგივე გ. ერისთავი, როგორც ბიოგრაფიიდან ვიცით და უამისოდაც აღვილი მისახეე-დრია, რომ ბეგლარი თვით ავტორია—გადაიკითხეთ ეგ მონ-ლოგი და იქ ნახავთ ავტორის შეხედულებას ბუნებისა და კაც-თა შორის დამოკიდებულების შესახებ; მისს გრძნობას სიკ-ლილისა და სიყვარულის შესახებ; მისს აზრს კაცთა შორის დამოკიდებულების შესახებ. ყველა ეს აზრი და გრძნობა თ. გ. ერისთავს აქვს გამოთქმული ორიგინალურად, სულ სხვა გვა-რად, ვიდრე მის მოწინავე მწერლებს.

ბექნების სიმშვენიერით აღტაცებული პოეტი გაზაფხულს შექხარის:

«კიდევ მოხედი, გაზაფხულო, ჩექნო სტუმარო,  
უკულთა კაცთა სასიქადულო, გულთ მომღიმარო.  
შექე გიპერიეს სისარულის ფარალი სელით  
და მოგვებები, გამოვალთ რა ზამთარის ბნელით!» (გვ. 95).

მაგრამ მისი გული სევდით არის აღსავსე. მისი გრძნობა  
და ფიქრი მოწამლულია: „ბინდი ჭმუნვისა გულსა მისსა მიეფი-  
ნების“. ხედავს რა, რომ ბუნებასა და კაცთა შორის ჰარმონია  
და თანხმობა კი არ არსებობს, არამედ სრული წინააღმდეგო-  
ბა, სრული უთანხმოება. „ხედავს სოფელი და ბუნება სულ  
ქაბუკდება, და ის კი გვირგვინი ღვთისა ქმნილების (რა და-  
ცინვაა!) ბერდება, კვდება და დღე იკლდების“. (გვ. 96).

მისთვის ბუნება არც ისეთი მორჩილია კაცისა, როგორც  
ალ. ქავჭავაძეს ჰგონია, რომელსაც ბუნება იმ გვარად ეჩვენე-  
ბა, რა განწყობილებაზედაც თვით არის, არც კაცის თანავრძ-  
ნობად მიაჩნია იგი, როგორც გრ. ორბელიანს და არც „გულ  
დახურულთა მეგობრად და ნუგეშად“, როგორც თ. ნ. ბარა-  
თაშეილსა და გინდ ვახ. ორბელიანს. მის შეხელულებას ბუნე-  
ბაზედ უფრო ნატურალისტურის ფილოსოფიის დაგვარი რა-  
ღაც ემჩნევა. კაცს პოეტი დაცინვით იხსენიებს „გვირგვინად  
ღვთასა ქმნილების“ იმიტომ, რომ ეს ვითოვდა მეფე ბუნები-  
სა, მორჩილი და მონა იმისი, იმავე ბუნებისა, იმაზედ უფრო  
უძლები და სუსტი. ბუნება და სოფელი სულ ქაბუკდება და  
მას კი „არ აქვს უფლება განცხოველების, მოსია კაბა ტანთ  
განხრწნილების“ (გვ. 96).

ბუნება მის ღლტაცებისაც კი გულგრილად ისმენს; უყუ-  
რადლებოდა სტოვებს მის ვედრების, რომ „მერცხალთ აღმა  
საფრენი ფრთხი მისცენ, ღლფრინდეს მაღლა, და კვალად მაღ-  
ლა. რომ ვერ ხედვიდეს ქვეყანას დაბლა“. ხედავს პოეტი ასეთს  
ულმობელობას და უგულობას ბუნებისას და თვითვე გრძნობს  
თავის სიბერიავს, თავის უბადრუკობას:

გარნადა ვახ! მე ღვთისა ქმნილი,  
ვარ ამ მიწასა მაგრა მიკრული.

ეს სანახაობა ბუნებისა მარტო თავის უძლებებას შეაგ-  
ნებინებს პოეტს. იგი არა თუ ვერ შეედრება სიცხვლესა და  
სიძლიერეს ბუნებისას, მისთვის ამ ბუნების სურათის სავსებით  
დახატვაც კი მიუნდობელ სანატრელ საგნად გამხდარა: „ნეტარ

ვინცა შენ კალმით დაგწეროსო!“ შესძახებს აღტაცებული პოეტი.

გ. ერისთავს სიუკარულზე უფრო მიწიერი და ხორციელი შეხედულება ჰქონდა. როგორცა ჰქიანს ამავე პოემიდან. ბეგლარის მთელს ლექსში, საყვარელთან მიწერილში, პოეტი მარტო იმას ელტვის, რომ დაინახოს სატრფო „მისი ხელი გულს მიიკრას და ლამაზი თვალები გადუკოცნოს“ (გვ. 88), თუმცა არც მას გამოჰქონდეთ რო გვარი მხარე სიყვარულისა:

ჩემთ გულისა ამაშეოთო და ჩემთ ჟედო,  
ჩემთ სამოთხევა, ჭოჭოხეთო, ჩემთ იმედო!  
ეს არის ჩემი სოფელს დიდება,—  
ლიტონი კაცი როგორ მისკდება,  
რომ ჩემა გული  
არს დაკუწელი  
და მისგან შეკმენ ტრფობით ანბანია. (გვ. 99)

იცის, რომ სიყვარული ჯოჯოხეთიც არის და სამოთხეც, დამტანჯველიც და აღტაცებელიც.

არც ის გამოპარვია ჩვენს ავტორს, რომ პოეტი მაღალის ნიჭითა და გრძმობით დაჯილდოვებული ბრბოსათვის გაუგებარია. ის ვერავის „აგრძნობინებს, შეატყობინებს ტკბილ ჩანგის უღერით შენს ნიჭისა გულის, მაღალის სულის პასუხს ვერსად ჰპოებს... აქ ამ სოფელს, არ მის სამყოფელს... მისი ცხოვრება კაცთ ეკვირვება“, გაუგებარია კაცთათვის ის, რომ პოეტი ხან სოფელს სტირის, ხან მაღლა ჰყვირის, არ არის კმაყოფით, ხან ვითა ჩვილი, „გულ უბრყვილი, ხარობ სოფელსა“ (გვ. 92) კარგად იცის ჩვენმა მწერალმა, რომ პოეტთაგანი „ბენიირებით და მყუდროებით არენა შობილა“ და ასე მიმართავს ხალხს.

«და თქვენცა ერთო, მოძღვრაჲთ მტერნო, საგსენო შეზით,  
თქვენ არ იუგით დასცინოდით დიდ ბაირონსა?  
თქვენ აძულეთ, განაშორეთ მშობლის სირონსა!  
«ტროკეტო ტასი?  
«კერ სცანით ფასი,

## ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან

«უწოდეთ შტერი,  
«ქვეწით პერლაბილი:  
«მის მღერა ტებილი  
«კერ მოიგონეთ.

«თქვენში არ იყო გამოქანსა მოგვდა შშიერი?  
«თქვენ არ სფერნადით დიდსა დანტეს, იყავით მტერი?  
«და ავიდა რომისაგან რისთვის განაძეთ?  
«იქნებ მეტ ისე მომიძელოთ არვის დაგნანდეთა!

სიკედილით თ. გ. ერისთავის აზრით ყოველივეს ბოლოა  
და ეს თეისება სიკედილისა მას გულს უწამლავს.

«გეგენირობა რად მომცეა გონება, ნება — გაიძახის პოეტი,  
«თუ რომ სიკედილით სრულ დასრულდება!  
«ჩეგენი იმედი და ჩეგნი ბედი,  
«ასე სიზმარებრ თუმცა განქრება,  
«სიცოცხლის სიმი უკრად სწერება,  
«კაცი ამისთვის რად იხადება?

მართალია ისიც კი იცის, რომ ეს სოფელი სხვა სოფლი-  
სთვის სამზადისია:

«მაგრამ რა უწერეტ მჩესა, მთებარესა,  
«ამ მნათობთ კარსკელაგთ, ცის სამარესა,  
«დღუმალ მეტეკის მე სინიდისი,  
«სხვა სოფლისათვის არს სამზადისი

ხოლო ეს სხვა სოფელი რაღა უნდა იყოს, თუ კი „სიკე-  
დილით სულ დასრულდება“ ყოველივე და „სიზმარებრ გაპე-  
რება?“ შესაძლოა პოეტს მისტიური წარმოდგენაც ჰქონდეს  
ჩვენს გარდაცვლაზე, ჩვენს სიკედილზე, თუ ნ. ბარათაშვილის  
გარდაცვალებაზედ ამას სწერს:

«რა მოგევთარე, ცას შეგრძერი: რა დღე ბნელდების,  
უუურებ ტატო რომელ კარს კვლავად გამობრწყინდების  
თითქო გსედაკ შენ მოარულსა რძისა გზაზედინ,

ანგელოსთ დაზნი გეხვევიან, უურს დაგიგდებენ,  
მერა ცის სიერცეს დაუკარდოვანს განავარდებენ».

ამავე „შეშლილშია“ დასურათებული საოცარი მაგალითი კაცთა უგრძნობლობისა და გულ-გრილობისა, ადამიანთაგან ერთმანეთის ვაძა და ჭირის შეუკნებლობისა. საბრალო ტახო შეშლილია უარყოფილის სიყვარულის ვამო. იმას კი წამლად გათხოვებას უნიშნავენ და როცა ეს წამალი სიკედილამდის მიიყვანს, მისივე ახლო ნაცნობნი ლოტოს თამაშის დროს გაიგებენ ამ საზარელ, თითქვის მათის ხელის საქმეს და გულ-გრილად და საოცარის ცინიზმით განაგრძობენ თამაშს და ჭირაობენ :

მეღმია. ევით დესეტი ოსემ... თუ მართალია...  
მაგრამ დედაზედ სამართალია.

გოსემ დესეტი სემ... უურა არ უგდო,  
საბრალო ქალი უმარგილს მაუგდო.

შესტრესეტი დეპეტი... მე რა გაკიგე  
ნინო. «უკაცრავად ვარ, აი, მოვიგე»

თუ ეს პოემა რომანტიკულია მით, რომ ავტორი მეტად პირადის გრძნობისა და სევდის გამომხატველია, რეალიზმის კვალიც ძლიერია. ზემოდაც მოვიხსენიეთ ავტორის შეხედულება-ში ბუნებასა და სიყვარულზედ უფრო ნატურალისტი სჩანს, ეიდრე ალტაცებული რომანტიკოსი. გარდა ამისა ამ პოემაშია დახატული, თუმცა ნაჩქარევად, მავრამ ნიჭიერის კალმით, ნამდვილი სურათი იმ დროს ქართულის ოჯახისა, ამ ოჯახის ახრებისა და წარმოდგენისა ცოლ-ქრობაზედ, სიყვარულზედ, მწერლობაზედ, გონების შრომაზედ და აღწერილია იმავე დროის დავისა და საჩივრების მოყვარეობა, ამავე ნაკლულევანებათ კი-ცხაეს მწერალი შემდეგ თავის კომედიურ თხზულებებში.

ანახანუმი, დედა შეშლილის ტახოსი, — უსირცხვილოდ საყვედურს აცხადებს იმისი სასიძო პევლარის ვამო, რომ „ატკაზის არზა“ არ დაუწერა ბოქაულთან, რომლითაც უარი უნდოდა ეთქვა ამ ქალბატონს იმ ფულზე, რომელიც დალალისაგან

## ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან

31

ესესხა (ათი თუმანი ისიც) და რომლის „მცირე ბარათიც“ კი ექირა დალიალს, და რაინდული და პატიოსნური აღელვებული უარი სასიძოისა მისს უაღრესს ნაკლულევანებად მიიჩნია. ან კი როგორ უნდა მოქცეულიყო ისეთი ქალი, რომლისთვისაც კაცის ერთად ერთ ლირსებად ითვლება „არზის წერის“ ცოდნა და გაბრაზებულია, რომ მის სასიძოს არზის ქალალდზედ ლექსები დაუწერია. მწერლობისა და საზოგადოდ გონებრივ გრძნობას საოცარის ცინიზმითა და უსირცხვილო დაცინვით ეპყრობა. არც სიყვარულის გრძნობას ეპყრობიან იმ დროის მანდილოსნები ნაკლების დაცინვითა და გულ-გრილობით. ამათ რომ დავუჯეროთ, საქართველოში სიყვარული არც კი სცოდნიათ და „მოღნად“ შემოღებულია.

«ჩექნცა კურაფალგართ უქაწერა-ქაჭები,—ამბობს ერთი მათკანი ჩექნცა გვერნია კარგი თვალები, მაგრმ ჩექნ გვედსა არა გვათხავდათ, საქმროდ ვინ გვინდა, ვისთვის კოსტავდათ. გათხოვებასა მაშინა გვრმნობდათ, როცა საედარში ქმარს წაკუკებოდით».

ასეოს საზიზლარს ატმოსფერაში, ასეოს გარევნილს საზოგადოებაში ხვდა მუშაობა თ. გ. ერისთავს. მან თავისის მკვირცხლის გონებითა და გრძნობით შეიგნო, რომ ესდენ გათახსირებულსა და დაცემულს საზოგადოებას ზნეობრივი წროვნა ეჭირვება, ეჭირვება თვალების გახელა, მასი ნაკლულევანებისა და სიწამხდრის თვალწინ დაყენება. გ. ერისთავმა კომედიებს მიჰმართა და სცენა იხმარა იარაღად თავისის აზრის განხორციელებისათვის. ამ კომედიების მიზნებულობა ჩვენის ცხოვრებისა და ლიტერატურისათვის მრავალგვარია. იგინი შეიქმნებ ენითა და შინაარსით ახალის მიმართულების შემქმნელნი. უკვე მისის ლექსების ენა უფრო სადაა და მარტივი, უფრო მდაბიური ვიდრე რომანტიკოსების ენა, რაც დიდ დამსახურებას შეადგენს ლიტერატურაში. და კომედიების ენა ხომ ისეთია, რომ მართლაც ახალის ეპოქის დამწყებია ჩვენს მწერლო-

ბაში. „მწერლობა მყედთხ, გარდა რუსთაველისა და მცირეთა სხვათა, არა იქთ ჩვეულებითის საუბარის ენითა, რომელიც არის და უნდა იქთს ჭეშმარიტი ენა ხალხისა“, — ამბობს პლატონ იოსელიანი „გაყრის“ წინასიტყვაობაში. „დამწერმან ამა პირველისა, ქართულისა ენაზე კომედისა, თ. გ. დ. ერისთავმან, დაბადა ენა ქართული ახალისა გვარისა მწერლობისათვეს (ხაზი ჩვენ გვეკუთვნის). პლატონ იოსელიანი დიდს გამჭრიახობას იჩენს ამ სიტყვებში: „მან დაბადა ენა ქართული ახალი დღისა გვარისა მწერლობისათვეს“. ლიტერატურაში ახალი მიმართულება იწყებოდა და ახალი ენაც საჭირო იყო, სხვა რომ არაფერი, მარტო ამ „ახალისა გვარისა ენის დაბადებისათვის“ ეკუთვნის გ. ერისთავს დიდი ადგილი ჩვენს ლიტერატურაში. მეორე დიდი მნიშვნელობა ამ კომედიებისა იმაში მდგომარეობს, რომ გ. ერისთავმა თავისის ნიჭიერის კალმით პირველად შეეხო ჩვენში ახალ ცხოვრებას. ამ ცხოვრებისაგან შექმნილ პირობათ; პირველად მან დაგვანახვა ძველის წყობილების ფერდალიზმის და ახალის ვაჭრულის ბრძოლა, პირველის მისუსტება და მეორის გაღვიძება; პირველად მან სცადა ახალ პირობებში აღზრდილ ახალგაზდათა დახასიათებას, პირველად მიაქცია ყურადღება ამ ჯგუფს საზოგადოებისას; პირველად მან დაასურათა და დაგვანახვა ახალის გარემოების ნაშობნი — პირველად, გაგრამ საუბედუროდ თითქმის უკანასკნელადაც. 50 წლის განმავლობაში ჩვენი ლიტერატურა ყრუდ დარჩა და გ. ერისთავისაგან ნიჩევნები საგანი განზე დასტოვა. (როგორდაც უფრთხის მას განათლებულ და ახალ პირობებში აღზრდილ ახალგაზდათა დასურათება). მანვე შექმნა ჩვენს ლიტერატურაში ახალი გვარი, ფორმა ლიტერატურის ნაწარმოებისა — დრამატიული მწერლობა, რომელიც შემდეგში განვითარდა და გაიზარდა.

კიტა აბაშიძე

(დასასრული იქნება)

# ინგლისის პონსტიტუცია

## მე-XIX საუკუნეში

### II

ის მხარე, რომელიც მე-XIX-ე საუკუნეში მოელს ევროპას მაგალითს უჩენებდა, იყო ინგლისი. ერი, რომელმაც შეჰქმნა პოლიტიკური მექანიზმი თანამედროვე ევროპისა,—კონსტიტუ-  
ციონური მონარქია, პარლამენტალური რეფიმი და თავისუფ-  
ლების გარანტია,—იყო ინგლისის ერი. სხვა ერები მხოლოდ ჰბაძვდნენ მას.

მე-XIX-ე საუკუნის პოლიტიკური ცხოვრების დამახასია-  
თებელი პარტიები (კონსტიტუციონური, პარლამენტარული,  
რადიკალური და სოციალისტური) პირველად ინგლისში გაჩნ-  
დნენ. ამიტომ სამართლიანი იქმნება, რომ ევროპის პოლი-  
ტიკური ისტორია ინგლისიდან დაეწყოთ.

შევდი ინგლისური რეჟიმი. დიდი-ბრიტანიისა და ირლან-  
დიის შეერთებული სამეფო 1814 წელს როგორც იყო მორჩი-  
ლიდის ხნის ომს (თითქმის განუწყვეტელს 1793 წლიდან), რო-  
მელმაც გააფართოვა მისი სახალშენო სამფლობელო და გაა-  
მაგრა შინაური ორგანიზაცია.

მე-XVIII-ე საუკუნის „ძველი ინგლისი“ (Old England) მაგ-  
რად იდგა და რესტავრაციას არ საჭიროებდა. რომ ეს ძეველი  
რეფიმი გავიგოთ, საჭიროა ვიკოდეთ ინგლისის მთავრობის

\*) იხ. „მოაშე“ № IX, 1900 წ.

ორგანიზაცია, მისი საზოგადოების შემაღვენელი ელემენტები და განსაკუთრებითი მდგომარეობა ირლანდიისა.

დიდი-ბრიტანიის საზოგადო ცხოვრების უმთავრესი ძაფები სამ ძველებურ დაწესებულებაში იყრიდა თავს, რომლებიც ძველი დროიდანვე ისე დაკავშირებულნი იყვნენ ერთმანეთზე, რომ მათი უალკ-უალკე წარმოდგენა შეუძლებელი იყო; ამ ეს დაწესებულებანი: ცენტრალური მართებლობა, იდგილობრივი თვითმ-მმართველობა და ეკკლესია.

ცენტრალური მართებლობა: ინგლისის ცენტრალური მართებლობა, რომელმაც 1707 წელს შოტლანდიაში და 1800-ში ირლანდიაში თავისი კომპეტენცია გაავრცელა, ოფიციალურად სამის დაწესებულებისაგან შესდგებოდა: პირველი—მეფე და მისი მრჩეველნი, მეორე დორიდა შადატა და მესამე თემთა შადატა. სამიე ინგლისის უძველესი დაწესებულებანია (corps) რომლებიც, ეგრე ვთქვათ, უკვე მე-XIV საუკუნიდან გაშეშდნენ და ტრადიციონულ ორგანიზაციას წარმოადგენენ. მეფე, რომლის ხარისხი მამიდან უფროს შვილზე გადადიოდა და რომელიც ხელ-შეუხებელი (inviolable) იყო სამეფოს ოფიციალურ ბატონ-პატრონათ ითვლებოდა. როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელს, მას ხელთ ეპირა ომის გამოცხადებისა და ზავის ჩამოვლების უფლება; როგორც „მართლ-მსაჯთელების წყარო“, იგი წიგნავდა მსაჯულებს, რომლებიც იმის სახელით მოსამართლეობდნენ; როგორც თავი მთავრობისა, იგი წიგნავდა მოხელეებს, იწვევდა და ითხოვდა პარლამენტს. მასვე ეკუთხნოდა პალატაში ბიუდეჯეტისა და კანონ-პროექტების წარდგენის უფლება; გარდა ამისა ყოველი კანონი მეფის სანქციის საჭიროებდა. ინგლისის მეფეს კიდევ შეჩერებილი ჰქონდა საშუალო-საუკუნოების მეფეთა ძველი უფლებანი; მასაც, როგორც მის წინაპრებს, ქვეყნის მმართვაში ქმარებოდა რჩება, რომლის ყველა წევრებს თვითონვე ირჩევდა.—ლორდების პალატა როგორც ეს ძველათაც იყო, შესდგებოდა შთამომავლობით ლორდებისაგან და ახალ ლორდებისაგან, რომლებსაც ამ ხარისხს პირადად მეფე აძლევდა და შემდეგ გვარში რჩებოდა. პალატის

სხდომები ისევ ძველ წესზე და ფორმაზე ხდებოდა. თემთა პალატა, რომელიც შესდგებოდა ძველ წესზე ამორჩეულ (შვიდი წლით) დეპუტატთაგან, მოქმედებდა ძველისავე ჩვეულებების მიხედვით. ორივე პალატას ვესმინისტერში ჰქონდათ დღილი. ერთად ისინი პარლამენტს შეადგინდნ. მეფის, მისი რჩევისა და პარლამენტის უფლებანი ჩვეულებით ითავრებოდა. ინგლისელებს არ ჰქონდათ, არც წერილობითი კონსტიტუცია\*) არც კრებული საბოქალაქო კანონებისა, და ამ გარემოებით ისინი ამაყობენ კიდეც. პოლიტიკურ საქმეებში ისინი პრეცედენტებით და ტრადიციით ხელმძღვანელობენ, სამოქალაქო საქმეებში კი ჩვეულებრივი სამართლით (common law). ფორმალურად მეფე კიდევ მთავრობის ერთად ერთი თავი იყო და ყოველისუერი იმის სახელით სრულდებოდა, პარლამენტი მხოლოდ ეხმარებოდა მას და იმის ნებადაურთველად თავის მოყრაც კი არ შეეძლო. მინისტრები მხოლოდ მისი მჩჩეველები იყვნენ. მაგრამ ეს რეგუმი ერთიანად შეცვლილ იქმნა სამი ჩვეულებით, რომელთაც განსაკუთრებით მე-XVIII საუკუნეში მოიკიდეს ფეხი:

1) მეფე, რომელიც ფორმალურად აღჭურვილი იყო ყოველგვარ სრულ უფლებებით, ნამდვილად კი ვერც ერთით ვერ საჩიტო ბლოკით, ყოველი პოლიტიკური აქტი, მეფისგან ხელმწერილი, მინისტრებისაგანაც ხელ-მოწერილი უნდა ყოფილიყო. მეფე კი არ განაგებდა ქვეყნის საქმეებს არამედ მისი მინისტრები.

2) მინისტრები მოქმედებდნენ ერთად და თანახმად. ისინი იკრიბებოდნენ საკაბინეტო რჩევაში ამა თუ იმ გადაწყვეტილების დასადგენად. ეს კრება მხოლოდ ფაქტიური ჩვეულება იყო; დღემდისაც ოფიციალურ აქტში სიტყვა „კაბინეტი“

\*) ინგლისის საკონსტიტუციო კანონები სამი აქტისავან შესდგება: *habeas corpus* 1679, უფლებათა ბილლი 1689 და დაწესებულების აქტი (*acte d'établissement*) 1700; არტურ იუნგი 1789-ში დასკინის ფრანგებს, რომელთაც ჰქონიათ, რომ უკონსტიტუციის შესადგენი რეპერი არსებობს“.

არ იხმარება, მაგრამ ნამდვილად კი მინისტრთა კრება (სამინისტრო), მოწვეული მეფის სახელით ქვეყნის მმართველად, შეიქმნა სახელმწიფოს უმთავრეს დაწესებულებად, (იწოდებოდა ჯდონისტრაციად). რადგანაც სამინისტრო ოფიციალური დაწესებულება არ იყო, ამიტომ მის წევრთა რიცხვიც განუსაზღვრელი იყო (მათი რიცხვი 12—20-ში ტრიალებდა). ზოგიერთი წევრები ისევ ძველ სახელს ატარებდნენ (ხაზინის ლორდი, დიდი კანცულერი, ხაზინის კანცულერი); დანარჩენებს სახელმწიფო მდივნებს ეძახდნენ. (სიტყვა „მინისტრი“ არ იყო ოფიციალური). მე-XVIII საუკუნიდან დაწყებული სამინისტრო ნიშნავს სოლიდარულ პირთა ჯგუფს, რომლებიც ერთ და იმავე პოლიტიკას ადგანან. ერთი წევრთაგანი მოთავე ხდებოდა და დებატების დროს სამინისტროს მაგიერ ლაპარაკობდა. მას მეფე იჩივედა და თვითონ ის კი ირჩევდა თავის ამხანაგებს, მას ჰირგელ მანისტრს ეძახდნენ, მაგრამ არა ოფიციალურად. იმ დროს (1806 წ.) კი დევ, აბბობდნენ არა „ინგლისის კონსტიტუციის პირველი მინისტრობა ეჯავრებათ“.

3) მეფე, სამინისტროს ამორჩევაში თავისუფალი არ იყო და პირადად არავის წინაშე პასუხის არ ავებდა.

ინგლისში შემდეგი ფიქცია არსებობს: მეფეს არ შეუძლია ავის ჩადენა. თუ ის ცუდად ირჯება, ეს მისი ბრალი არ არის, მრჩევლების ბრალია და ამიტომაც პასუხის-მგებლებიც ეს უკანასკნელნი არიან. მაგრამ ამ ფიქციამ მინისტრები, როგორც მეფის მრჩევლები, პარლამენტის წინაშე ჰასუხის-მგებლებდ გახადა. როგორც ვხედავთ პრაქტიკულად სამინისტროს მაშინ შეეძლო ქვეყნის ჩართვა, როცა სათემო პალატის წევრთა უმრავლესობა მისკენ იყო. სათემო პალატას ყოველთვის შეეძლო ფაქტიურად სამინისტროს სამსახურიდან გადაყენება ბრალდაუდებლადაც: საკმარისი იყო უარის განცხადება ბიუჯეტის დამტკიცებაზე ან და სამინისტროსთვის უნდობლობის გამოცხადება. მაშასადამე მეფე თუმცა არა პირდაპირ, მაგრამ მაინც იძულებული იყო მინისტრებად ამოერჩია პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენლები, წინააღმდეგ შემთხვევაში სამინისტროს ქვეყნის მართვა

არ შეეძლო, რადგანაც პალატის უმრავლესობა მისი წინააღმდეგი იქნებოდა, (ჩვეულებად იყო ლორდებისგან იმდენი მინისტრი ამოერჩიათ, რამდენიც სათემო პალატისაგან). ამგვარად რაზგანაც მეფემ მინისტრებს დაუთმო ქვეყნის ზაროვა, სამინისტრო კი მხოლოდ პალატის უმრავლესობის დელეგაციად გადაიქცა, მეფის მაგიერ პალატა შეიქმნა ქვეყნის მმართველი. სათემო პალატის უფლება მარტო ბიულეტის დამტკიცება და კანონმდებლობა (ლორდებთან ერთად) იყო; წინედ იგი მეფის მორჩილი მეორე ხარისხის დაწესებულება იყო; ამ გვარია ეხლაც პალატები კონსტიტუციონურ მონარქიებში (პრუსიაში, ავსტრიაში); თუ ინგლისში საპარლამენტო რეემი დაარსდა, ეს იყო შედეგი არა იმ გარემოებისა, რომ პალატა კანონმდებლობათ ხმარობდა თავის კანონმდებლობათ უფლებას, არამედ იმისა, რომ მან ჩვეულებით მიითვისა „აღმასრულებელი უფლება“, რომელიც სისრულეში მოჰყავს კაბინეტს მეფის სახელით. ეს საპარლამენტო რეემი მდგრამარეობს იმაში, რომ მეფის რეალური, ნამდებილი მეუფება—პარლამენტის უმრავლესობის ხელში გადავიდა; მეფეს კი მარტო პირველობის სახელი დარჩა, თანახმად ფრანგულის ფორმულისა: „მეფე მეფობს და არა პიმართავს“. (le roi règne et ne gouverne pas) დღეს პარლამენტალური რეემი ჩვენთვის იმდენად დამახასიათებელია ინგლისურ ჩვეულებათა, რომ ადვილად ვივიწყებთ, თუ რამდენად ახალია იგი. მან დაიწყო მოქმედება პირველი გიორგების დროს—1715 წლიდან 1760 წლამდე; მაგრამ პრაქტიკა ამ რეემისა ჯერ კიდევ არ დამყარებულიყო და თეორიაც ჯერჯერობით არ იყო მიღებული; გიორგი მე-III-მემ ეს კითხვა ისევ სადავოდ გახდა. პირველ ორ გიორგის ნებავდათ თავიანთი მინისტრების უმრავლესობისაგან ამორჩევა და სახელმწიფო მმართვის მათვეის გადაცემა. მაგრამ მათი მოქმედება მეფის კანონიერ უფლებას (la prerogative) არ სცვლიდა და მათ მემკვიდრეებს შეეძლოთ სულ სხვანაირად მოეხმარათ ეს სამეფო პრეზიდენტივა. სწორედ ამ პრეზიდენტივით ხელმძღვანელობდა გეორგ მე-III, როდესაც იგი სცვლილობდა განეხორციელებია თავისი უფლებანი.



იგი თავისი დიდის ხნის მეფობის დროს დაუბრუნდა ძველ  
პრაქტიკას, რომელიც სრულებით ეთანხმებოდა ოფიციალურ  
დოკუმენტის სამ დაწესებულებათა — მეფის, ლორდების და სა-  
თემო პალატების სწორ-წონაობისას\*). ის არც ერთ საპარლა-  
მენტო ახალ ჩვეულებას არ სტოვებდა შეუკვეცელიად. ის თავ-  
შედომარეობდა პირადად კაბინეტის რჩევას და ამბობდა, რომ  
თვითონ ჰსურს იყოს თავისი პირველი მინისტრი და არაგვარ  
ზომების მიღებაზე, რომელიც პირადად მას არ მოსწონდა, არ  
თანხმდებოდა. ორმა სამინისტრომ სამსახურს თავი დაანება  
(1800 და 1806 წ.) რადგანაც მეფე არ თანხმდებოდა კათო-  
ლიკეთა წინააღმდეგი კანონები შეემსუბუქებია. იგი დიდხანს  
იყო წინააღმდეგი სამინისტროს ერთფერობისა და სისხემატი-  
ურად იწვევდა მოპირდაპირე პარტიებისაგან მინისტრებს. ის  
თითქმის ვალდებულიდ არ სოფლიდა თავის თავი, რომ მინის-  
ტრები პალატის უმრავლესობისაგან ამორჩია. პარლამენტა-  
რულ რეფიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, გორგი მე III ს თეთრ  
პარლამენტი შველოდა. როიალისტების ძველმა პარტიამ, რო-  
მელიც ტორის პარტიად გადაიქცა, მეფის პრეროვატიეს იცავ-  
და და უარს ჰყოფდა პარლამენტარულ გამგეობას იმ სა-  
ხით, რა სახითაც მას (რეფიმს) გაგების პარტია ხმარობ-  
და. სარწმუნოა, რომ მე-XVIII საუკუნეში ამომჩიერების  
უმეტესობის ტორიების მხარე ეჭირა, რაღანაც ყველა ჯე-  
რები (სოფლელი აზნაურები) და გლერვამენები (ინგლისის  
სასულიერო წოდება) ტორიები იყვნენ. მთავრობის დახმარე-  
ბით ვიგებმა 1715 წ.-დან ძველის გამგეობა იგდეს ხელში;  
მათ შექმნეს ხელოვნური უმრავლესობა პალატაში. მაგრამ,  
როდესაც მეფე ტორიებს შეუერთდა, პალატა თითქმის სულ  
უკანასკნელებისაგან შესდგებოდა, და ამგვარმა მდგომარეობამ  
მთელი ნახევარი საუკუნე გასტანა (1783—1830). იმ ხნის გან-

\* ) ეს დოკტრინა მონტესკიეს აქტ ახსნილი თავის Fesprit des lais (XI, 6); იგი (დოკტრინა) ინგლისში კლასიკური შეიქმნა; საპარლა-  
მენტო რეფიმის თეორია კი მხოლოდ გეორგ III-ის დროს იყო გამოთქ-  
მული.

მავლობაში მინისტრებად სულ ტორიები იყვნენ და ისინი განაგებდნენ სახელმწიფოს, რასაკვირველია, მეფის პრეზიდენტი. ვის ხელშეკრებლად. ამ გვარად ტორიების შემწეობით გიორგი III-ს შეეძლო მინისტრებზე გავლენა ჰქონოდა და პირადი პოლიტიკა გაეყვანა, როდესაც თავის პერიოდულ სიგიენისაგან თავისუფალი იყო. მის შვილს, რომელიც 1811 წელს ჩეგენტი გახდა, როდესაც გიორგი III სრულიად ქუთაზე შეიშალა, და რომელიც შემდეგში გიორგი IV სახელით ტახტზე ავიდა (1820—1830), კონსტიტუციონური ჩვეულებანი შერყეული დახვდა. ინგლისს ჯერ კიდევ ვერ აერჩია ერთ-ერთი რეეიმი. ტორიების პარტია იცავდა კონსტიტუციონურ მონარქის ტრადიციონულ დოქტრინას, რომლის მიხედვითაც პარლამენტს მმართებლობის კონტროლის უფლების მეტი არა რჩებოდა, მეფეს კი მინისტრების ამორჩევის და მათ გაძლილას ანიჭებდა, რაც შესაძლებლად ზღიდა პიროვნულ მმართებლობის დამყარებას. ეფების პარტია ლემულობდა პარლამენტარულ რეეიმის ახალ თეორიას, რომელიც მეფეს ჩეგალურ უფლებას ართმევდა; მას მხოლოდ რაღაც განუსაზღვრელი გავლენა რჩებოდა და ნამდვილი მმართველი სამინისტრო რჩებოდა, რომელიც ყოველთვის თემთა პალატის უმეტესობის დელეგაციის წარმოადგენდა.

საფრანგეთთან ომის დროს შინაური განხეთქილება შეწყდა; პარლამენტი სამინისტროს მორჩილებდა: მან დაამტკიცა განსაკუთრებითი კანონები საფრანგეთის რევოლიუციის მომხრე რადიკალურ პარტიის გასაკულეტად, (1795) დაამტკიცა აგრეთვე ის ზომები, რომელნიც მიღებულ იქმნენ ფრანგთა ვაჭრობის წინააღმდეგ უბრალო „რჩევის გადაწყვეტილებით“, ეს იგი მეფის ბრძანებით (1806). ბრძოლა უაღრეს მეუფებისათვის დროებით შეჩერდა, მაგრამ სრულიად არ შემწყდარა და 1814 წელს ისევ გაჩნდა კითხვა: ინგლისს პიროვნული მმართველობა ეყოლება, თუ პარლამენტარული რეეიმი?

ადგილობრივი თვით-მმართველობა. თვით პარლამენტის შედგენა ტრადიციის მიხედვით ხდებოდა. თემთა პალატას ერთ კი არ ირჩევდა, არამედ ადგილობრივი პრივალეგიური კო-რპორაციები. ამიტომ ცენტრალური მთავრობა დაკავშირებული იყო ადგილობრივ დაწესებულებებთან. ინგლისის ადგილობრივ თვით-მმართველობის ორგანიზაციაში არავითარი სისტემა არ იყო კლასიკურად გამხდარ აზრის წინააღმდეგ; იგი, (ესე იგი თვით-მმართველობა) სუსტი იყო; self government-i (თვით-მმართველობა) რომლითაც ინგლისის თავი მოაქვს, იყო მხოლოდ ქალაქებში და პრივალეგიურ დაბებში, რომლებსაც შთამომავლობით მოქალაქეებისგან ამორჩეული, ძველი მუნიციპალური კორპორაცია განავებდა. მაგრამ მთელს დანარჩენს მხარეს, სოფლებს და ახალ ქალაქებს, არავითარი ადგილობრივ აუჩეული აღმინისტრაცია არ ჰყავდათ; იმათს ადგილობრივ საქმეებს განავებდა „ვესტრი“, — სამრევლო რჩევა, საფაზრიულო რჩევის მსგავსი და ჩერჩეგრდენები (ეკკლესიის მნათეები), რომლებსაც სამრევლო პასტორი და ადგილობრივი მემამულენი ბატონობდნენ.

პოლიციის გამკეობას, გადასახადის გაწესრიცებას და მოსამართლეობასაც ჰქისრულობდნენ მომრიგებელი-მოსამართლეები (justice of peace), რომლებსაც შთავრობა ირჩევდა ადგილობრივ მდიდართა წრისაგან, მაგალითად: აზნაურების, სასულიერო წოდების და მრეწველობის წარმომადგენლებისაგან. ისინი მოქმედებდნენ ხან ცალკ-ცალკე, ხან თავს ერთად იყრიდნენ განსაკუთრებულ სესიებზე საერთო საქმეების განსასჯელად. თვითეული მათგანი თავის ოლქში ბატონი იყო; მათი უფლება მხოლოდ იმით იყო შეზღუდული, რომ მომჩინენს უფლება ჰქონდა მიემართა გასასამართლებლად ჩვეულებრივ სასამართლებისათვის.

თვითეულს საგრაფოში იყო აგრეთვე შერაფი, მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი, და ლორდ-ლეიიტენანტი, მილიციის უფროსი, რომელიც ინიშნებოდა აგრეთვე ადგილობრივ მსხვილ მემამულეთაგან. მაგრამ მათი როლი ადგილობრივ

ცხოვრებაში იყო როლი მხოლოდ საპატიო წარმომადგენელი. სა. ორიგინალური ხასიათი ინგლისის აღმინისტრაციისა იმაში მდგრადი რეობდა, რომ მას არა ჰყავდა ჯამაგირიანი სახელმწიფო მოხელეები. ყოველ გვარი აღმინისტრატორული შრომა ადგილობრივ წარჩინებულთ (notables) უნდა შეესრულებინათ უფასოდ. მხოლოდ სამეფო სასამართლოს მსაჯულები ღებულობდნენ თავიანთ შრომის ფასს, მაგრამ ეს კორპორაცია რიცხვით ერთობ პატარა იყო და მარტო სატახტო ქალაქში იმყოფებოდა. პროვინციებში ეს კორპორაცია ჩამოდიოდა მხოლოდ სესიების დროს, როდესაც იგი თავმჯდომარეობდა ქუურის (ნაფიც მსაჯულთა კრებული). ქუურის წევრებს კი ირჩევდნენ ისევ წარჩინებულთა წრიდან. ინგლისში არ არ სებობდა მუდმივი ადგილობრივი სასამართლოები. როგორც ვხელავთ ეს ინგლისური self-governement'-ი იყო, არა თვითმმართველობა არამედ ადგილობრივ წარჩინებულთა მიერ ქვეყნის მართეა.

**საარჩევნო სისტემა.** სათემო პალატის დეპუტატებს ირჩევდნენ შვიდი წლის ვადით ადგილობრივი კორპორაციები. ეს კორპორაციები სამ გვარი იყო: საგრაფოების კრებულები (assemblées des comtés) (186 დეპუტატი), დაბების კორპორაციები (467 დეპ.) და უნივერსიტეტები (5 დეპ.). ესენი საარჩევნო ოლქებს როდი წარმოადგენდნენ, ესენი იყვნენ პრივალეგიური კორპორაციები, უთანასწოროდ განაწილებულნი მიუხედავად მცხოვრებთა რიცხვისა და ტერიტორიისა. შოტლანდიაში მათი რიცხვი მარტო 45 იყო; ვალლისში 24, ირლანდიას, რომელსაც 1800 წ. გაუუქმეს საკუთარი პარლამენტი, ჰყავდა 100.

ინგლისში პრივილეგიური დაბები უმეტესს ნაწილად იყვნენ სამხრეთ - აღმოსავლეთის ნაწილებში, ლონდონის მახლობლად; 10 სამხრეთ საგრაფოს 237 დეპ. ჰყავდა; დანარჩენ 30 საგრაფოს კი მხოლოდ 252, მარტო კორნეალლისში 44 იყო, (იმდენი, რამდენიც მოელ შოტლანდიაში). უმეტეს ნაწილს ამ ამომრჩეველ კორპორაციებისას არავითარი პოლიტი-

კური ცხოვრება არ ეტყობოდა, 34 დაბა ეგრედ წოდებულ „დამშვალ“ დაბებს წარმოადგენდნენ, ესე იგი ისინი ძეველი მი- ყრუებული სოფლები იყვნენ. (ზირალსტონში მაგ. მხოლოდ ერთი სახლი იყო, დენვიჩი უკვე რამდენიმე საუკუნე წყლით დაფარული იყო, გატტონი მხოლოდ პარკს წარმოადგენდა. წარმომადგენლობის უფლება კი ჰქონდა). ბევრ სხვა აღი- ლებში 50-ზე ნაკლები იყო ამომრჩეველთა რიცხვი. მათ „ჯი- ბის დაბებს“ ეძახდნე. უკელა სახლები ერთ მდიდარ მემა- მულეს ეკუთვნოდა, რომელიც აარჩევინებდა დეპუტატად თავის დაბის მცხოვრებლებს იმას, ვინც მას უნდოდა. თავის დაბის სადეპუტატო ვაკანსიებს ისე განავებდა პატრო- ნი, როგორც თავის საკუთრებას; შეეძლო გაეცა და გაე- ყიდა. სხვა დაბები დამოკიდებული იყვნენ მთავრობისაგან, რო- მელიც აიძულებდა მათ სამინისტროს მიმხრების ამორჩევას. 658 დეპუტატთა შორის 424 არჩევნამდე ინიშნებოდა ან სა- მინისტროსაგან, ან და პატრონთაგან.

მხოლოდ საგრაფოების კრებულები და რამდენიმე მოზრ- დილ ქალაქების კორპორაციები შესდგებოდნენ ამომრჩეველთა საქმია რიცხვისაგან; ე. ი. აქ ამომრჩეველთა რიცხვი საკუთრისი იყო ნამდვილ ამომრჩეველ კალლეგიის შესადგენად; მაგრამ აქაც საქმე უარჩევნოდ თავდებოდა. კანდიდატურების გამოც- ხადების დღეს იმდენი კანდიდატი გამოცხადდებოდა, რამდე- ნიც დეპუტატი იყო საჭირო: ისინა ყოველთვის აღვილობრივ წარჩინებულთა წარმომადგენლები იყვნენ. შერიცს (შეაჯულს) მხოლოდ ის-ლა რჩებოდა, რომ ისინი ამორჩეულიდ გამოეცხა- დებინა. ამგეარ არჩევნებს უდაფლას უწოდებდნენ, ამორჩევათა უმეტესი ნაწილი ამგეარად ხდებოდა; სადაც (contesté) არჩევა, ე. ი. ნამდვილი არჩევა, 50-ზე მეტი არ ყოფილა. 1818 წელს საარჩევნო ბრძოლა მეტად გაცხარებულად ითვლებოდა, რად- განაც 100 სადაც ამორჩევა იყო. შოტლანდიის ყველა საგ- რაფოში ამომრჩეველთა რიცხვი 3000-საც არ შეადგენდა. ბე- ტის საგრაფოებში (14,000 სული 21 ამომრჩეველი) შემუელ არ- ჩევანს ჰქონია აღვილი: გამოცხადდა ერთი ამომრჩეველი; მან

შეადგინა კრება, ამოირჩია თავის თავი პრეზიდენტიდ, ლაპა-  
რაკუმბდა თავის ამორჩევის სასარგებლოდ, კენჭი უყარა თავის  
თავს, გამოაქვეყნა თავის სახელი და ერთხმად ამორჩეულად  
აღიარა თავის თავი. სადავო ამორჩევები ძველებურად უწე-  
სოდ და უსისტემოდ ხდებოდა. ადგელობრივი შერიფი წარმო-  
უდგენდა ჰაერზე შეკრებილ ხალხს კანდიდატებს ერთო-მე-  
ორის შემდეგ და ხალხიც ყოველ მათვანზე ხმას იძლეოდა,  
საერთო ყვირილში და ორეულობაში, ხელის ზევით აწევით;  
ხშირად არა ამომრჩევლებიც იშვერდნენ ხელებს ამ სახისადო  
არეულობის დროს; ეს უფრო საარჩევნო კომიტეტი იყო და არა  
ნამდვილი არჩევნები. გაშავებულ კანდიდატს ნება ჰქონდა მო-  
ვთხოვა poll'ი და მხოლოდ მაშინ იწყებოდა ნამდვილი კენჭის  
ყრა: გაშლიდნენ რევისტრს და თითეულ ამომრჩეველს (ხმო-  
სანს) ნება ჰქონდა მოვთხოვა, რომ მისი ხმა ამ რეგისტრში  
ყოფილიყო ჩაწერილი. ეს პროცედურა რამდენიმე კვირას  
გრძელდებოდა, რაც მცხოვრებთათვის ანგარიში იყო, რადგა-  
ნაც გამწვავებულ არჩევნების დროს ხმის ფასი თანდათან მა-  
ტულობდა; რადგანაც ხმის მიცემა ფარული არ იყო და ხმოს-  
ნები რევისტრში იწერებოდნენ კანდიდატებს შეეძლოთ ამომრ-  
ჩევლების მეოთხიურად ერთო-მეორეზე დაშინება; მოსყიდვა სა-  
ჯაროდ ხდებოდა; იმისთანა დაბებიც იყო, რომლებიც თავი-  
ანთს სიდეპუტატო ადგილებს ყიდნენ. დაბის პატრონები პირ-  
დაპირ უბრძანებდნენ თავიანთ დაბების მცხოვრებლებს, ვის-  
თვის უნდა მიეცათ თავიანთი ხმები. 1829 წელს ნუვორკში  
ნიუკესტლის ჰერცოგმა ჩატ თავის დაბის მცხოვრები გადასახ-  
ლა, რადგანაც მათ მისი კანდიდატის კონკურენტს (მეტოქეს)  
მისცეს ხმები. პალატაში ამ საქმემ საჩივარი გამოიწვია, და  
ჰერცოგმა სთქვა: „განა მე ნება არა მაქვს ჩემს საკუთრებას ისე  
მოვექცე, როგორც მე მინდა?“ პიტტმა სცადა სულ პატარა  
რეფორმა: უნდოდა, გამოეყიდნა „დამპალი დაბები“ მფლო-  
ბელებისაგან, მაგრამ პალატა წინააღმდეგი გაუხდა, არჩევ-  
ნები ისევ ძველებური დარჩა და სხვა-და-სხვა გაიძვერები,  
როგორც მაგ. ბანკირები და მრეწველები (ეგრედ წოდებული

ნაბობები), რომლებიც ინდოეთში გამდიდრდნენ, ერთმანერთს ეცილებოდნენ პარლამენტის წევრობის წილების ყიდვაში. ამ გარემოებამ ხმების ფასი შესამჩნევად ასწიეს. 1814 წელს სა-დეკუტატო ვაკანსიების უშეტესობა შეიდგენდა საკუთრებას, რომელიც ან შემკვიდრეობით იყო მოპავებული ან და ნაყი-დი. ამ გვარი პალატა მხოლოდ გარეკნობით წააგავდა წარმო-მადგენელ კრებულს, მხოლოდ ნამდვილი იგი იყო მსხვილ მემამულებების და მილიონერების კრებული ხალხისაგან სრუ-ლებით დამაუკიდებელი. უაღრესი უფლება (ძეუფება) მეფეს და არისტოკრატიას ეკუთვნოდა.

ინგლისის საპარლამენტო რეემი არ იყო მაშინ ნამდვილ წარმომადგენლობაზე აგებული, იგი უფრო ოლიგარხიულ მარ-თველობას წარმოადგენდა.

**ეკკლესია.** ეკკლესიის ორგანიზაცია მეტად რთული იყო. სექტები რომ არ ჩავთვალით, მთელი სამეფო სამ ეკკლესიად იყოფოდა. თითოეული მათგანი ერთ რომელიმე მხარეში ბა-ტონობდა: ანგლიკანური ეკკლესია ინგლისში, პრესბიტერია-ნული შოტლანდიაში და კათოლიკური ირლანდიაში. მაგრამ ოფიციალურად მხოლოდ ორი იყო მიღებული; ანგლიკანური, როგორც ეკკლესია ინგლისის სახელმწიფოისა, პრესბიტერია-ნული, როგორც ეკკლესია შოტლანდიის სახელმწიფოისა, კა-თოლიკური კი კანონით აღკრძალული იყო, მაგრამ ცხოვრე-ბაში კი მის არსებობას ურიგდებოდნენ.

მხოლოდ ერთი სახელმწიფო ეკკლესია იყო მიღებული, რომელსაც მთავრობა მფარველობდა ოფიციალურად და ფუ-ლითაც დახმარებას უჩენდა. მთავრობამ 1688-ში დისსიტენ-დენტებთან შერიცების, შემდეგ, გამოსცა თვითეულ სექტის შე-სახებ ცალკე კანონები, რომლებითაც იგი ურიგდებოდა ფაქ-ტიურ არსებობას, მაგრამ მას არ მოუსპია ის კანონები, რომ-ლებიც სახელმწიფო ეკკლესიას კველასათვის სავალდებულოდ ხდიდა. თუ ვისმე სახელმწიფო სამსახურში ან რომელიმე კორ-პორაციაში (დაბების და უნივერსიტეტების კორპორაციები) შესვ-

ლა უნდოდა, მას ჯერ უნდა შეეფიცა ანგლიკან-ეკკლესიისთვის და ზიარებაც ამ ეკკლესიის წესზე უნდა მიეღო. დისსიდენტებს თავიანთ კაპელლებში სიარული ეთვლებოდათ დანაშაულობად, რისთვისაც ისინი უნდა დაჯილისკვნენ. ამ სასჯელისაგან გა-სანთავისუფლებლად დასჭირდათ სპეციალური კანონი — შენ-დობის ბილლი (bile d'indemnité), რომლის მიღებასაც სამინი-სტრო პალატას ყოველ წელს ხელახლად ავალებდა. ამ ბილ-ლით მთავრობა ნებას აძლევდა დისსიდენტებს პქონოდათ თა-ვიანთი კულტი და საკუთარი სასწავლებლები მათი ხარჯით; მაგრამ ეს ბილლი ითვლებოდა დროებით ზომად და არა დი-სიდენტების კანონიერ უფლებად.

კათოლიკური კულტი ამ პატარა შეღვაოთოთაც არ საჩ-გებლობდა, ის კანონით აღკრძალული იყო. რადგანაც ანგ-ლიკანურ წესებზე ზიარების მიღება და ფიცი, შემოღე-ბული „ფიცის ბილლით“ (bile de Test), სავალდებულო იყო 1673 წლიდან ყოველ მოხელისათვის, კათოლიკესთვის სახელმწი-ფო სამსახურის და კორპორაციის წევრობის გზა შეკრული იყო. გიორგი მე-III ორჯერ უარპყო თავის მინისტრების წინადა-დება კათოლიკებისაგან ოფიციის ხარისხის შოვნის შესახებ. ანგლიკანურ ეკკლესიამ შეირჩინა თავისი საეკკლესიო სასა-მართლოები, სადაც ირჩევოდა არამც თუ საეკკლესიო საქმეე-ბი, არამედ ყოველგვარი საერო პრივატული როგორც მაგ-გაყრა, შვილის კანონიერად ცნობა და ანდერძები. მანვე შე-ირჩინა სამოქალაქო აღწერილობის (записხ) გამგეობა, ის აძ-ლეედა კანონიერ ძალას ქორწინებას და განაგებდა დაბადები-სა და სიკვდილის სიებს.

მან შეირჩინა ყველა თავისი პრივილეგიები და შემოსევა-ლი, რომელიც შესდგებოდა საეკკლესიო ქონების შემოსავლი-საგან, სახელმწიფო დახმარებისაგან და სავალდებულო საათის-თავი გადასახადისაგან. ამ გადასახადს იხდიდა ყოველი ინგლი-სელი იმის განურჩევლად, — ეკუთვნოდა იგი ანგლიკანურ ეკკ-ლესიას თუ არა, რადგანაც კანონით ყოველი ინგლისელი ან-

გლიკანი უნდა ყოფილიყო. მას შეზღა თავისი ძველებური იერარქია: არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, კანონიკების კაპიტულები, სასულიერო წოდების სამსაჯულოები, მთავრობისაგან დაყენებული არქიდიაკონები და პატრიარქებისგან დანებნული პასტორები (parsons); პატრიარქებად იყვნენ ან ეპისკოპოსები, ან კაპიტული, ან და სამრევლოს დამფუძნელის მემკვიდრე. ნამდვილად სასულიერო პირებად (elegymen) ოჯახის უმცროსი წევრები, რომლებიც თავიანთ სასულიერო თანამდებობის შემოსავლით განაგრძობდნენ „ჯენტლმენურ“ ცხოვრებას: ნადირობას, ცენზე ჯდომას, მომრიცებელ-მოსამართლის თანამდებობის აღსრულებას და თავისს საოჯახო საქმეების გაუმჯობესებას. მრავალი მათგანი არც კი სცხოვრობდა თავისს მრევლში, მათ მავიერობას ასრულებდნენ მათი თანაშემწენი (curate), სასულიერო პირილ ბურჟუაზიის წრისაგან, რომლებსაც შემოსავლის ცოტაოდენ ნაწილს ძლიერდნენ.

შოტლანდიის ეკკლესიამ შეირჩინა და ეხლაც აქვს თავის ფედერატიული კონსტიტუცია, უზრუნველ-ყაფილია 1707 წლის „ერთობის“ აქტით (acte d'Union). თვითონეული მრევლი შეადგენს საზოგადოებას, რომელსაც განაგებს პასტორები და მხცოვანი ერის კაცნი (მამასახლისები). რამდენიმე მრევლთა ჯგუფი იდგენს სამრესბიტერიას (presbytery), რომელსაც განაგებს ყველა პასტორების კრებული და მხცოვანი ერის კაცნი, თვითონეულ სამრევლოსაგან. რამოდენიმე საპრესბიტერო წევრების კრება შეადგენს სამრევლო სინდიქას. დაბილოს ამ იერარქიის სათავეში სდგას კრება, რომელიც შესდგება საპრესბიტერო, სამეფო დაბების და თითო უნივერსიტეტების დელეგატებისაგან, ეს კრებული არის უმაღლესი დაწესებულება შოტლანდიის ეკკლესიისა. ყველა ეს კრებულები წარმოადგენენ დისციპლინა-ლურ სასამართლოებს, რომლებიც პასტორებისა და მრევლის როგორც ჩელიგიოზერ, ისე კერძო ცხოვრებას თვალ-ყურს იდევნებენ; საპრესბიტეროს, რომელიც ნაშნავს პასტორებს, უდიდესი გავლენა აქვს, მიუხედავად იმ გარემოებისა,

რომ, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, მაზე მაღალი საეკულესიო დაწესებულება არსებობს. შოტლანდიის ეკულესია, XVIII საუკუნეში, დესპოტიურად განაგებდა თავის წევრთა კერძო ცხოვრებას, მაგრამ მთავრობამ და სამოქალაქო სასამართლოებმა, რომელიც უარს ყოფილნენ ეკულესის ძალატანების უფლებას კერძო პირების შესახებ, ფრთხი შეაკვეცეს ეკულესის კომპეტენციას — იგი მხოლოდ რელიგიის საქმეებს ეხებოდა. (კონფლიქტმა, რომელიც სახელმწიფოსა და ეკულესის შორის მოხდა, შექმნა 1843 წ. „თავისუფალი ეკულესია“). — ეკულესის შემოსავალი შესდგებოდა საათისთავო გადასახადისაგან, სახელმწიფო დახმარებისგან და კერძო შემოწირულებისაგან (ეს უკანასკნელი შეადგენდა თითქმის ნახევარს მოელის შემოსავლისას). შოტლანდიის ეკულესია ლარიბი იყო და ცოტა ჯილდოს აძლევდა თავის სასულიერო წევრებს მათის შრომისათვის; მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ აქ ვერ ვნახავთ ვერც იმ საშინელ უთანასწორობას პასტორების შემოსავალთა შორის და ვერც იმ ეკულესის აღგილებით ვაჭრობას, რომელსაც ჩვენ ანგლიკანურ ეკულესიაში შევხვდებით: შოტლანდიის სასულიერო წოდება უფრო დამოუკიდებელი მომქმედი იყო, ვიდრე ანგლიკანური ეკულესისა.

საზოგადოებრივი წესწევაბილება. ინგლისის საზოგადოება, თანახმად საშუალო საუკუნოების შეხედულებისა, იყოფებოდა ორ ნაწილად — პირველ ნაწილს შეადგენდნენ მდიდრები, მეორეს ლარიბები. შეძლებულებს ჰქინდათ ყოველგვარი უფლებები, როგორც სამოქალაქო, ისე პოლიტიკური, ლარიბები კი ერთიანად განდევნილი იყვნენ საზოგადოებრივ ცხოვრებიდან და თითქმის მოქალაქობრივ თავისუფლების გარანტიასაც მოკლებულნი. ქს იყო ორი, ერთი-მეორის მორჩილი, ერთი, ერთი სხვა-და-სხვა უპირატესობით აღვსილი და მეორე ყევლაფერს მოკლებული და ლატაკი.

ის ავტორები, რომელიც ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებას აწერდნენ, ან ამ პოლიტიკური ცხოვრების თეორიის

ქმნიდნენ, იცნობდნენ მხოლოდ ამ პრივილეგიებით აღსავსე ერს. ამ მწერლებისთვის უფელა ინგლისელები კანონის წინაშე თანასწორნი და ამ კანონის მფარველობის ქვეშ მყოფნი იყვნენ. მართლაც პოლიტიკური და ოფიციალური აქტები არ არჩევდნენ, როგორც ეს სხვა ქვეყნებში იყო, კეთილშობილთ არა კეთილშობილთაგან. „უფლებათა ბილლი“, კლასების განურჩევლად, ჩამოთვლის საზოგადოდ „ინგლისელთა უფლებებს“ ნამდვილად კი ჩვეულებებმა და ზოგიერთ სპეციალურ კანონებმა, რომლებსაც საზოგადოება ცოტას იცნობდა, შექმნეს კანონიერ ერს ქვეით დაბალი კლასი, რომელიც უფლებებისა და კანონების გარეშე იდგა.

კონსტიტუციით სავალდებულო სამხედრო ბეგარა ძლკრძალული იყო, ნამდვილად კი მართებლობა, როდესაც კი იგი სახელმწიფო გემებისათვის ნაოსნებს საჭიროებდა, ძალით იქერდა ამ საჭმასათვის, როგორც ნაოსნობის მცოდნეო, აგრეთვე ხანდახან არა მცოდნეთაც. ეს ეგრედ წოდებული „მუხრუჭი“ (La presse) იყო, რომელმაც ასე გააკვირვა ვოლტერი. ეს ზომები მხოლოდ ღარიბებისთვის იყო. კონსტიტუციით მუშას მისი პატრონთან ხელშეკრულება ვერ წაართმევდა მას ინგლისელ მოქალაქის ვერც ერთ უფლებას, მაგრამ პატრონებისგან და მესაკუთრეებისგან შემდგარმა პარლამენტმა გამოსცა კანონები, რომელნიც მუშებს ხდიდენ დამოკიდებულათ იმათგან, ვინც მათი შრომით სარგებლობდა.

მე-XIV საუკუნის ერთი კანონი დღიურ მიწის მუშებს ავალებდა მიეღო სამუშაო ყოველ მესაკუთრისგან, რომელიც კი მას კანონით გადაწყვეტილ შრომის ფასს შეაძლევდა. მომრიგებელი მოსამართლე კმაროდა იმ კანონის დამტკიცით რომ საპყრობილები ჩაესვათ: ამ გვარად დღიური მუშები მიწაზედ იყვნენ მიკრუნნი. კანონების ერთმა სერიამ (XVII საუკუნიდან XVIII საუკუნემდე) შექმნა ღარიბ-ღატაკთა (poor) წოდება და აღილობრივი ნიხრი ღარიბთათვის (poor-tax). ის ვისაც არ ჰქონდა საშუალება დამოუკიდებლად ეცხოვრა, „ღარიბთა ზედამხედვე-

ლების<sup>4</sup> უფლების ქვეშ ეარდებოდა და მრევლის ხარჯზე ცხოვ-  
რობდა. ზედამხედველს ნება ჰქონდა, ყოველ გვარი სამუშაო  
მიეცა ღარიბისთვის და, თუ ის უარს განაცხადებდა ვაი მის  
დღეს, მისი ბინა მუშათა სახლი work house იყო, სადაც მას  
ამწყდევდნენ. ღარიბის შვილებიც ზედამხედველის განკარგუ-  
ლების ქვეშ იყო: სადაც უნდოდა იქ მისცემდა შეგირდად,  
უფრო ხშირად ბავშვებს მრეწველებს ჰყიდდა მათ ფაბრიკებში  
სამუშაოდ. ღატაკს ნება არ ჰქონდა თავის ნებით გამოეცალა  
საცხოვრებელი ადგილი, რაღვანაც ყოველ მრევლს უფლება  
ჰქონდა, თავის ტერიტორიაში არ შეეშეა იგი, რომ მათ სარჩენად  
არ გაძლდარიყო. და რაღვანაც მოელი ინგლისის ტერიტორია  
თავად-აზნაურობას ეკუთვნოდა, იმიტომ ინგლისელი კლეხი  
შოკლებული იყო არსებობის ოეგულიარულ საშუალებებს. უმე-  
ტესი მათგანი ღატაკთა კლასის წრეში ჩავარდნენ; ამ კლასის  
რიცხვი 1811 წელს 1,340,000., 1821—2,500,000 და 1827 წ.  
1,850,000 გახდა.

კონსტიტუცია კანონიერად სცნობდა ასოციაციის თავი-  
სუფლებას. ქალაქის ხელოსნებს ჰქონდათ თავიაჩით სახელოს-  
ნო ასოციაციები, ეს ასოციაციები ექვემდაბარებოლნენ გან-  
სახლერულ კანონებს. ისახლერებოდა მოსწავლეთა მაქსიმალუ-  
რი რეცხვი და სამუშაო ფასებს მინიმუმი. მაგრამ როდესაც  
მრეწველობამ მაშინის წყალობით ახალი ელფერი მიიღო, პატ-  
რიონები შეკრიბეს კორპორაციის გარეშე ახალი მუშები, და  
იაშენებს ფაბრიკები სოფლებში, რომლებიც ძეველ კანონებს არ  
შორისლებოლნენ და ქალაქებშიც, როდესაც მუშებმა ძეველი  
კანონების სისტემებში მოყვანა მოითხოვეს, მრეწველებმა არამც  
თუ შეაცვლევინეს უწინდელი წესები, არამც კოალიციის შესა-  
ხებ ახალი კანონებიც მოიპოვეს პარლამენტისაგან (1799—1800),  
ეს კანონები უკრძალავდნენ მუშებს ფასების აწევისათვის გა-  
ფრცვას; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ რამდენიმე თვით ღატუ-  
სალება მოელოდათ. ამ გვარიდ მუშათა ასოციაციები დანა-  
შაულობა შეიქმნა და საგამარისი იყო მომრიგებელი-მოსამართ-  
ლე რომ ამისთვის ისინი საპყრობილები გაეგზავნა.

ამ გვარად მატროსები, მიწის დღიური მუშები, ღატაკნი და ქარხნის მუშები, რომლებიც საერთო უფლების გარეშე იყვნენ დარჩენილი და რეკრუტერების სამრევლო რჩევის, მრეწველების და მომრიგებელ-მოსამართლების მსხვერპლად ხდებოდნენ, წარმოადგენდნენ დაბალ ერს — მოკლებულს პოლიტიკურ უფლებას, არსებობისთვის განსაზღვრულ საშუალებას და პირად თავისუფლების გარანტიას.

ამ გალატაკებულ კლასიდან ბევრი დაწნაშავე გამოდიოდა, უფრო კი ქურდები. იმათ დასაშინებლად პარლამენტმა მყაცრი კანონები გამოსცა, რომლის ძალით 200 დანაშაულის ჩამდენს სიკვდილით სასჯელს უწყვეტიდნენ. სისხლის სამართლის დანაშაულებად ითვლებოდა მაგალითად სხვის აღკილში კურდღლის ბაჭის მოკვლა, ან და გასაყიდად გამოფენილ საგნის მოპარვა.

რაც შეეხება „კანონიერ ერს“ უნდა ვსთქვათ, რომ მას ორი მოდავე არისტოკრატია განაგებდა: 1) პირველი შესდგებოდა მიწის მესაკუთრე არისტოკრატიისგან და სასულიერო წოდებისგან; პირველიც და მეორეც სოფელში მეფობდა 2) მეორე შესდგებოდა კაპიტალისტებასაგან და მსვილ მრეწველებისაგან, ესენი ქალაქის ბატონები იყვნენ. ერის მთელი ეკონომიკური ძალა ამათ ხელში იყო. ინგლისში თითქმის არ დარჩენილა არც დამოუკიდებელი გლეხი, არც წვრილი მესაკუთრე, და არც დამოუკიდებელი მოჯარადრე. თან და თან მთელი ადგილ-მამული სხვილ სენიორების (lords) ან აზნაურების (squire) ხელში იყრიდა თავს; ესენი თავიანთ ადგილებს ადლევ-დნენ ფერმერებს (farmers), რომლებიც ამუშავებდნენ მიწის მოჯამაგირების (labourers — დღიური მუშა) საშუალებით. სოფლები მოჯამავირებით დასახლებულ ქახების გროვას წარმოადგენდნენ, საღაც ბატონად იყო ლორდი ანუ სკვაირი (squire).

ინგლისში ჯერ კიდევ პურის წარმოებას პირველი ადგილი ეჭირა. პურის ფასის ასაწევად, მემამულებმა შემოაღებინეს „პურის

კანონები“ (corn-law) შემოაღებინებს, რომლის ძალითაც საზღვარ გარეთიდან ხორბლის შემოტანა მხოლოდ შიმშილობის დროს, შეიძლებოდა, როდესაც ფასი მეტად აწეული იყო. 1791 წელს ჩეტვერიკი ხორბლის კანონიერი ფასი  $2\frac{1}{2}$  გირ. სტერლინგი (28 მან.) იყო, მაგრამ საფრანგეთთან ომის დროს ფასი ისე აიწია, რომ ტარიფი 3 გირ. სტერლინგამდის ასწიეს. მშვიდობიანობის ჩამოგდების შემდეგ საზღვარ გარეთადან კანკურენციასთან საბრძოლველად ისევ ახლად ასწიეს პუნის ფასი ( $\frac{1}{4}$  გირ. სტერლინგამდის). ამ ზომებით მიწის შემოსავალი გააორკეცებს; მესაკუთრე დიდ მოგებაში იყო: მათ ასწიეს საიჯარადრო ფასი მუშის ხელფასის აუწევლად.

მე-XVIII საუკუნის დამლევამდინ მრეწველობაშიაც დაიწყო ამ გვარივე კანკურტრაცია. შრომის ორგანიზაცია სრულიად შეცვლილ იქნა, ორი ცვლილების მაზეზით: 1) ახალმა გაშინამ, რომელიც წყლის და ორგანიზის საშუალებით მოძრაობს, და ახალმა მექანიურმა მანქანებმა შექმნეს მსხვილი მრეწველობა<sup>1</sup>, უმეტეს ნაწილად მდინარეების, ქვანახშირის მაღნების და ტყის მახლობლად; 2) წვრილი მწარმოებლები, რომლებიც პირდაპირ მუშტრისთვის აწარმოებდა საქონელს, გაპერნენ და მათ მავიერ გაჩნდნენ — დიდი ფულის მექონე მსხვილი კაპიტალისტები, რომლებიც ამზადებენ უოფალავ საქონელს საგარეო პაზრისთვის, რომლის მოთხოვნილება განუსაზღერებლია. მცვარად გაჩნდა მსხვილი მრეწველების და ნევოციანტრების კლასი, რომელმაც კადვ უფრო გააძლიერა კაპიტალისტური არისტოკრატია.

ამავე დროს მსხვილმა მრეწველობამ მოახდინა ცვლილება ინგლისის მცხოვრებთა დასახლებაშიაც. მე-XVIII საუკუნემდე მთელი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ მხარეებში, ლონდონის მახლობლად, იყო. მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილები ერთობ თხლად იყო დასახლებული და მასთან ერთობ გაუნათლებელი, მაგრამ მსხვილმა მრეწველობამ აქაც მაღვ მორევა ხალხი, ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის სამაღნოებისაკენ და ჩანჩქერებისაკენ,

სადაც ცოტა ხნის განმავლობაში მუშათა დიდი ცენტრები გაჩნდნენ. ინგლისი ორად გაიყო: სამხრეთი და დასავლეთი სამეურნეო ორინობად დარჩნენ; მიწის პატრონები ბატონობდნენ და ამიტომაც ეს მხარე კონსერვატიული იყო. ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი, მრეწველობის მხარე შეიქმნა; იგი პოლიტიკურ აგიტაციის ასპარეზად გადაიქცა. შოტლანდიაში, სადაც მრეწველობა ყველაზე უფრო მძინარე კლიენტის ნაპირებზე გაჩაღდა, გლაზურული ერთ უმთავრეს ცენტრად გადაიქცა, რომელიც სატახტო ქალაქს ედინბურგს მეტოქეობის უწყვდა.

ინდანდის შდგომაზეაბა. იტლანდიაში სცხოვრობდა ორი სხვა-და-სხვა მოდგმის ხალხი: იტლანდის მკვიდრნი სარწმუნოებით კათოლიკები და იხალშენელნი, ინგლისიდან და მეტადრე შოტლანდიდან მოსულნი ანგლიკანის ანუ პრესბიტერის სარწმუნოებისა. იხალშენებს თას პროვინციადან მხოლოდ ერთი ეჭირათ და ისეც არა მთლად; ეს იყო ულსტერი ჩრდილოეთ-დასავლეთით. დანარჩენ სამ პროვინციაში მკვიდრობდნენ იტლანდიელნი. მაგრამ მე-XVIII საუკუნეში დამარცხების შემდგე ცენტო თავისს ქვეყანაშეც კი ვეღარ ბატონობდნენ. მათი სარწმუნოება კანონით დღკრძალული იყო; კათოლიკეთა სასულეოებო წლების, როგორიც მხოლოდ შეწყნარებული იყო, არც თვიციალური უფლება, არც რამე შემოსავილი ჰქონდა; იგი არსებობდა შეეცლის შემოწირულებანით. ანგლიკანის ეკკლესია იყო სახელმწიფო ეკკლესია, ოფიციალურ უფლებით მოსილი; იგი არსებობდა თავისს მიმულების შემოსავლით და იმ მცხოვრებლებზე გაწერელ ხათისით გარდასიხადით, რომელიც პროტესტანტები არ იყვნენ. ყველა თანამდებობანი კათოლიკეთავეს მიუწვდომელია. ყველა ძღვილობრივი შოხელები (პომრივებელი მსჯულნი, ქალაქის მუნიციპალიტეტები, ნაფიცნი) პროტესტანტები იყვნენ, ესე იგი უცხოელნი. მიწა ეკუთვნოდა ინგლისელ მესაკუთრეებს; ესენი ძალიან იშვიათად სცხოვრობდნენ თავიანთ მიმულებში; მამულები ინ მოურავებს ჰქონდათ მინდობილი და ინიჯარით იყო გაცემული. იტლანდიელი

## ინგლისის განცხადის მე-XIX საუკუნეში

ლი გლეხი არ იყო მესაკუთრე. მას ხელში ჰქონდა, ხშირად რამდენიმე თაობას ერთი-მეორის შემდეგ, მიწის პატარა ნაკერი, რომელზედაც იგი იშენებდა პატარა ქასს და რომლის დამუშავებისათვის იგი ღალას იხდიდა; მაგრამ მას არ ჰქონდა არავითარი უფლება ამ მიწაზე, იგი მხოლოდ დროებითი მოიჯარადო (tenant at will) იყო; პატრონს შეეძლო ყოველთვის წაერთმია მისთვის მიწა, ყოვლის დანახარჯის აუყენებლად. მე-XVIII საუკუნეში ხალხი ძლიერ გამრავლდა და მიწა ისე დანაწილდა, რომ გლეხს ძლივს მოჰყავდა თავის სამყაფი კარტოფალი. ირლანდიელი გლეხის სილატაკე საანდაზოდ გადაიქცა.

ულსტერში, სადაც შოტლანდიელი პრესბიტერინი სახლობდნენ, გლეხის მდკომარეობა შედარებით უფრო უზრუნველ ყოფალი იყო: მესაკუთრეს შეეძლო მიწის წარამევა მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში და მაშანაც ვალდებული იყო აეყენებინა გლეხისთვის ყოველი მისი დანახარჯი.

პოლიტიკურად ირლანდია 1800 წლიდე დიდი-ბრიტანიის ნაწილი იყო და იგი ემორჩილებოდა მეფეს და ინგლისის პარლამენტს, მაგრამ თავისი საკუთარი პარლამენტიც ჰქონდათ. საფრანგეთთან ომის დროს (1780-დან 1798-მდე), ირლანდიის პარლამენტი სცდალობდა გაეხადა ირლანდია უფრო დამოუკიდებლად; მან მასპან ნაწილი იმ განსაკუთრებული კანონებისა, რომელიც კათოლიკებას წინააღმდევ იყო მიმართული: კათოლიკებმა შეიძინეს მიწის ყიდვის და ირჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება. მაგრამ ირლანდიის ავტონომია ერთბაშათ მოისპო 1800 წლის უნით, რომელიც მიღებულ იქმნა ირლანდიელ პატრიოტთა სურვილის წანააღმდევ. პარლამენტი გაუქმებულ იქმნა; ირლანდია სრულებით შეუერთდა დიდ-ბრიტანიას, მას პყავდა დეპუტატები ინგლისის პარლამენტში; მაგრამ მან შეირჩინა საარჩევანო წესი, რომელიც კათოლიკებსაც ანიჭებდა არჩევის უფლებას: ვასაც კი იჯარით აღებულ მიწიდან 40 შალინგზე ნაკლები შემოსავალი არ ჰქონდა, ამიმრჩეველი იყო და ირლანდიის გლეხობა კი თითქმის ხულ ამ გვარ მოიჯარადრებიდან შესდგებოდა; ასე რომ პრო-

ტესტანტ - დეპუტატებს ირჩევდნენ ირლანდიის კათოლიკები - გარდა ამისა, ირლანდიაშ ცალკე მთავრობაც შეირჩინა, მეფის მოადგრლე (vice roi) და „კერძო რჩევა“. თვით ირლანდიაში და განსაკუთრებული მინისტრი, ირლანდიის მდივნად წოდებული, — ინგლისის სამინისტროში.

ირლანდიის გლეხთა დაბალი „ერი“ ენით არ განიხეოდა ინგლისელ ან შოტლანდიელ მესაკუთრეთა მაღალ „ერისაგან“: ყველა ირლანდიელებს, გარდა იმათისა, რომელ-ნიც კუნძულის აღმოსავლეთი ნაწილი უკავიათ, დავიწყებული აქვთ კელტური ენა, ისინი ინგლისურს ლაპარაკობენ \*). მაგ-რამ საკმარისი იყო რელიგიური სხვა-და-სხვაობა, რომ ირლან-დიელ გლეხს არ დავიწყებოდა მებატონების უცხო თესლობა. ამ გვარად რადიკალურმა და რელიგიურმა ოპპოზიციამ მესაკუთრების (Lahdlord) წინააღმდეგ თანდათან გახდა ირლან-დიელთა ეროვნული მოძრაობა.

(შემდეგი იქნება)

---

\* ) პატრიოტულ სიმღერებსაც კი ინგლისურად მღერიან.

# სამეგრელოს აღწერა

არქანჯელთ დამბეჭდისა

(თარგმანი იტალიურით)

**XX<sup>\*)</sup>**

ქურდები და ქურდობა სამეგრელოში.

თუმცა ეს საშინელი სენი—ქურდობა ქვეყნიერობაზე ყოველგან გაერცელებულია, მაგრამ განსაკუთრებით სამეგრელოშია გახშირებული, თითქო იპოვა კარგი ნიადაგით. მეგრელები თითქო ბუნებით არიან ქურდები. ყველანი ცდილობენ თავის წინაპრებს არ ჩამორჩინენ ამ ხელობაში. მთელ კოლხიდაში არ მოიძებნება ისეთი კაცი, რომ ოდესმე ამ ხელობაში არ ევარჯიშნოს. ლარიბი და მდიდარი, პატარა და დიდი, მაღალი წაფება და დაბალი ხალხი, ერი და ბერი—ხულ ქურდები არიან. სასჯელის შიშისაც ვერ შეულაგმავს ისინი, და ხშირად შეხვდებით, რომ ქურდობისათვის უკვე სასჯელ მოხდილი, როგორც კი შემთხვევას ნახავს, ვეღარ მოითმენს და ხელახლავ ჩიდენს ქურდობას; მაგალითად, ქურდობისათვის ცალფეხ მოქრიოლი მოქოქლობს და მიღის ქურდობაზე; იგრეთ ვე ცალ ხელ მოჭრილი ეხმარება თავის ამხანაგებს ქურდობაში, და თვალ-მოთხრილი, სხვაფერ თუ არ შეუძლიან დახმარება, რჩევით მაინც ეხმარება ქურდებს. ქურდებს ვერ აკავებს ვერც

\*) იხ. „მოაშბე“, 1900 წ., № IX.

ის ზარალი, რომელიც გადახდებათ მათ, თუ ქურდობაში დაიკირეს: მათ უნდა გადაიხადონ თხეომეტჯერ მეტი ფასი ნაქურდალისა; ამას გადაიხდიან და შემდეგ კიდევ უფრო ეტანებიან ქურდობას, რათა ერთი-ორად შეავსონ ის ფული, რაც გადაუხდიათ ხაზინისათვის. ამასთან თუ უფრო ფრთხილადაც არიან, რომ მეორედ აღარ დაიჭირონ ქურდობაში. არ აბრკოლებს მათ არც ქურდობის გამოაშეარავებისა და სასჯელის სირცხვილი, რადგან ყველა ქურდებია და ქურდობაც მოსაწონ საქმედ მიაჩნიათ. არც ლმერთის ეშინიანთ, რადგან ბევრი არა გაეგებათ-რა ლმერთისა. ამ რიგად მეგრელები ვერ შეულაგმავს ვერც სხეულის ტანჯვის შაშსა, ვერც ზარალის ზღვევასა, ვერც სირცხვილსა და ვერც ლვთის შაშსა, და აღვირანი ეტანებიან სხვა-და-სხვა ნიირ ქურდობას.

აქ ვერ ნახავთ ქურდს, რომ ყველნაირ ქურდობა იცოდეს. ყველის თავისი ხელობა აქვს აჩენილი. არიან იმისთან ები, რომელუაც სახლების გაქურდეა აურჩევიათ, ზოგს — ცხენების მოპარვა, ზოგს — ხარებისა და ძროხებისა, ზოგს — ლორებისა და თხებისა, და ზოგს ეიდევ — გოჭებისა და ცუნებისა. ამ უკანასკნელების ქურდები ყმაწვილებია, რომელნიც თავის სიყმაწვილეში ხელს იმართავენ ამ პატარა ცხოველების ქურდობაში, რათა შემდეგ, როცა გაიზრდებიან, უფრო დიდი ცხოველების მოპარვა შეიძლონ. ყველა ქურდები თავ-თავის წესებს ადგანან. ხოლო ყველასათვის საერთო კანონი ის არის, რომ ქურდობისათვის ამორჩეული ღამე სულ ბნელი იყოს, და თუ თან მეტად ცუდი დარი იქნება, ხომ კიდევ უკეთესი, მაგალითად, რომ ძლიერი ქარი იყოს, რათა ქურდობის ხმაურობა არ ისმოდეს, ან დიდი წვიმა იყოს, რომ ქურდების კვალი მიწაზე წაშალოს. ისეთ ღამეს კი ერიდებიან, როცა ან დიდი თოვლი მოდის ან პატარა წვიმა, რადგან პატარა წვიმა მხოლოდ არბილებს მიწას და ვერ შლის კვალს მიწაზე.

ის ქურდები, რომელთაც ხელობათ აქვთ სახლების გაქურდვა, ელოდებიან ისეთ დღეს, როცა მასპინძელს დიდი წვეულობა აქვს.

## სამეცნიეროს აღწერა

ამ დღეს, როცა ლაბნელდება, ქურდები შემოდიან ეზოში, მიიპარებიან სახლთან და ჯუჭრუტანებში, რომელიც ხის სახლს, რახაცვირველია, არ იკლია, უცქერენ, თუ რა ხდება შიგ, მაგალითად: სადა დგას ყუთები; სად ინახება ქვაბები, სად აწყობენ სუფრის მოწყობილობას და როდის-ლა დალავდებიან დასძინებლიდ. აქ დარაჯობენ იმ დრომდე, სანამ არ დარწმუნდებიან, რომ ყველას კარგად დაეძინათ. მაშინ განგებ დამზადებულ რკინებით შეუდგებიან ნელ-ნელა სახლს ქვეშ მიწის თხრის და გათხრიან ისეთ ორმოს, რომ კაცს ადვილიდ შეეძლოს იმაში ჩასვლა და მერე კარგად დატვირთული გარედ გამოსვლა. მაშინვე კი არ შედიან სახლში, არამედ მასპინძლებს რომ არ გამოელვიძოს ხიბაკის გამოლაგების დროს, მკვდრის ძვალით ჰიბლავენ; ამ ძვალით წრეს შემოაყოლებენ სახლის ირგვლივ, რის შემდეგაც, მათის აზრით მკვდრად გადაიქცევიან იმ დრომდე, სანამ ქურდეა იპარენ. მაგრამ ამ საშუალებას მოთლად მაინც არ ენდობიან და ცდილობენ დარწმუნდნენ, თუ მოხიბლეამ იმოქმედა. ამისათვის, როცა ორმოს ამოთხრიან, სახლს შემოუვლიან მკვდრის ძვალით და მზად არიან სახლში შესასვლელად, ოდნავ შმაურობას დაყენებენ და თუ სახლში მყოფთ გამოიღვიძეს ქურდობას თავს დაანებებენ და გაიქცევიან. ხოლო, თუ სახლში მიუხედავად ამ ხშაურობისა სძინავთ, ქურდები კიდევ ფრთხილად არიან და ამ საშუალებას ცდიან: ჯოხზე წამოაცმევენ გოგრას, რომელსაც დაახურავენ ქუდს და გათხრილის ხვრელით შეაძრენენ სახლში, ვითომ კაცი შეზიდნეს. თუ შინაურებში შენიშნეს იგი და დაიწყეს ყეირილი: „ქურდები, ქურდებია“, მაშინ დააგდებენ გოგრას და თავს უშველიან. წინააღმდევ, თუ არც შმაურობაზე და არც გოგრის შეძრენაზე არავინ არ დაინძრა სახლში, ქურდები მაშინ რწმუნდებიან, რომ ყველა დამთვრალია და მაგარ ძილშია, უშიშრად შედიან სახლში და გამოაქვთ, რაც მოეწონებათ.

აკრე იქცევიან ისინი, ვისაც ხელობად სახლების გაქურდება აურჩეება. არიან სხეული, როგორც ზევით ვთქვით, რომელიც მარტო ცხენებს იპარავენ. ამათ საზოგადოდ არ შეუძ-

ლიანთ თავისი ხელობა შეასრულონ, თუ შემწედ და პატრონად არ ჰყავთ რომელიმე თავადი ან დიდებული კაცი. ამ რიგად მართლდება ისაია წინასწარმეტყველის სიტყვა: მთავარი თქვენი ზეარებ მშარე: გთა (ისაია, I). თუმცა ყოველნაირ ქურდობაში საჭიროა დიდებულების შემწეობა, მაგრამ განსაკუთრებით ეს საჭიროა ცხენების ქურთობისათვის, როგორც ცხენების სხვა ქვეყნებში გადასაყვანად, ისე მთავრის წინაშე გამოსასაჩილებლად, უკეთუ თავზე ბრალი დაატყდათ. გარდა ამისა ცხენების ქურდებმა უნდა იყოლიონ მომიჯნავე ქვეყნები თავისი მონაწილეები. მაგალითად თუ ქურდს უნდა სამეგრელოში კარგად აწარმოეოს თავისი ხელობა, უნდა იყოლიოს იმერეთში, ქართლში, კახეთში, გურიაში, აფხაზეთში და სვანეთში თავისი რწმუნებულნი, რომელთანაც შეეძლოს საჭიროებისამებრ მოპარული ცხენები უშიშრად გაუგზავნოს. ცხენების მოპარვა აქ არც არის ძნელი, რადგან დღე და ღამე ცხენები გაშვებულია საბალახოდ შინდორში. ქურდებს ერთი სითრთხილე ჰმართებთ: რადგან ყველა ცხენები სამეგრელოში დადალულები არიან, ქურდმა უნდა ამოარჩიოს ისეთი ცხენი, რომლის დაღი ადვილი წასაშლელი იყოს. ამასათვის ქურდებს ჰყავთ მზვერავები, რომელთაც უნდა გამონახონ პატარა დალიანი ცხენი, რათა ადვილად შეიძლებოდეს ამ დაღის წაშლა და ან მეორე დაღის მასზე დასმა. ამ შემთხვევაში ქურდებს შიში აღარა აქვთ. ქურდები კიდევ ამ ხერხს ხმარობენ: შეიყრება ღამე სამი თუ ოთხი ამხანაგი; ორი მათგანი თოკს გაჭიმავს და შუაგზაზე დადგება, დანარჩენები კი ცხენებს იმათკენ გამოდენიან. შეშინებული ცხენები გაჭენდებიან და ეცემიან თოკს. ამ ცხენებს ქურდები მაგრად ჩააბამენ თოკს, შემდევ შეასხდებიან და გააჭენებენ საზღვარს იქით. რამდენიმე დღით მალვენ ამ ნაქურდალ ცხენებს და შემდევ შეარჩევენ დროს და გადასცემენ თავის მონაწილეებს, რომელნიც ან სამაგიერო ცხენებს აძლევენ და ან ფულს, რომელსაც ამოიგებენ იმ მოპარულ ცხენების გაყიდვით.

რაც შეეხება ხარებისა, ძროხებისა და ლორების ქურდებს, ამათ გავირვება და შეძენის სურვილი როდი ამოქმედებს, არა შედ ლორ-მუკლობა. მართლაც, ძლიერ იშვიათია, რომ ქურდებმა ეს საქონელი შეინახონ. თითქმის ყოველთვის მოპარვის უჩილ დაჭკლავენ და შესჭამენ. მაგალითაც თვეუდებისა და დიდებულების ახალგაზდა ვაჯებს სირცხვილად არ მიაჩნიათ, რომ როგორც კი შეიტყობენ ამა და ამ ადგილს მსუქანი ძროხა ჰყავთო, მოიპარონ და მხიარულად შესჭამონ ამხანავებთან ერთად. ამ პირუტყვების ქურდობის დროს ხმარობენ იმავე ზერხს, რასაც ხმარობენ სახლების გამქურდავები, რაღან აქაც საჭიროა მიწის გათხრა, სახლში შესვლა, შიგნიდან ჩაკეტილი კარების გალება და იქიდან პირუტყვის გამოყვანა. ხოლო, თუ საქონელი დღისით საბალახოზე გაშვებული როგორმე დაიბნა, ქურდი მას ბაწრით მიაბამს რომელსამე მიყრუებულს ტყეში და როცა დაღამდება, წარყვანს სახლში, დაჭკლავს და შესჭამს. შიგნეულობას და ძელებს მიწაში ჩაჰფლავს, რათა არავითარი კვილი ნაქურდალისა არა ჩნდეს.

მეტი სიცრთხილე ჰქმართებს ლორის ქურდს, რაღან ეს პირუტყვი ისეთის ბუნებისაა, რომ, როგორც კი ვინმე ხელს ახლებს, მაშინვე ისეთ კუვირილს გააბამს, რომ ყველას გააგონებს. ამის წინააღმდეგ აი რა საშუალებას ხმარობენ ქურდები: მიუახლოვდებიან იმ ადგილს, სადაც ლორები ყრიან და წაუგდებენ დიდ ლუკმა ჭაღის ცომს. იმ დროს, როცა ლორი ამ ცომის გადაყლავებს დაპირებს, ქურდები დინგზე სტაცებენ ხელს; უფრო ურჩს თოკით შეუბოჭვენ როგორც დინგს, ისე ფეხებსაც, შიგ გაუყრიან კეტს, რომლის შემწეობითაც ორი ზათგანი გაიდებს მხრებზე და გააქანებენ სახლისაკენ. როგორც კი მივლენ სახლში, მაშინვე დაჭკლავენ და შესჭამენ.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ყველანაირი ქურდები, რომელნიც კი მოიპოვებიან სამეგრელოში. გარდა ამისა, არიან აქ ისეთი ქურდებიც, რომელნიც იპარავენ კაცებს და ყმაწვილებს და ჰყალიან ჩუმად თსმალეთში. გურიელის სამთავროში, ზღვის პირად, სახელდობრ ქობულეთში, მუდამ ტყვეებს ვაჭრობენ.

ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ იხლო ქალა-  
ქებიდან რიჩე, გონია და ტრაპიზონიდან მოდის მრავალი  
ვაჭარი ისმალი. მათ მთაქეთ ბლომად ფული და ტანისამოსი,  
რაც ფრიიდ ეჭირვება აქაურ გაჭირვებულ ხალხს. ისმალები კი  
სამავიეროდ მხოლოდ ტყვეებს თხოულობენ. ამიტომაც აქ მო-  
ყავთ ისმალებზე ტყვედ გასასყიდად ქართლელებიც, კახელე-  
ბიც და აფხაზებიც. ყველანი ისე არიან დახელოვნებულა ამ  
ხელობაში, რომ აღვილად იპარავენ როგორც მამა-კაცების, ისე  
დედა-კაცებს, დიდებსაც და პატარებსაც. ზოგჯერ ასეთი ივაზა-  
კები ღამე თავს დაესხმიან მეზობლის სახლს, შეტეხენ ძალით  
სახლის კარს, შებოჭვენ ვისაც კი შინ იპოვიან და პირდაპირ  
ქობულეთში გააქანებენ. ზოგჯერ კი მოტყუალებით მიიჩირე-  
ბენ თავის სახლში, სადაც დაატყვევებენ და შესაფერ დროს  
ქობულეთშივე წილყვანებენ ისმალებზე გასასყიდად. ისმალე-  
ბი, რასაკეირველია, ფისს ძლევენ და მაშანვე გაჟიყვანებენ  
თავის ქვეყანაში, რომელიც ძალიან იხლოა.

### XXII

#### დამნაშავეთა დასჯა

მეტად კულკეთილს მთავარს ჩვეულებად არა აქვს სიკვ-  
დილით დასჯა არც ერთის დანაშაულობისათვის, რაც უნდა  
მძიმე იყოს იყო. თუ სათვალიაგში არ ჩაეგდებო მისი ვეზირის  
საქმეს, მხოლოდ ერთ შეზოგვევისათვის აქვს მას დაწესებული  
სიკვდილით დასჯა, სახელდობრ ეკკლესიის მკრებელობისათვის,  
როცა ნივთებს მოიპარვენ, ან ეკკლესიას გადაწვავენ. სხეა ყო-  
ველივე დანაშაულობა შეიძლება მთავარმა აპატიოს ფულის გა-  
დახდევინებით, ან ვისიმე მფარველაბის გამო და რაც შეტეხება  
შკრებელობას, ამის ჩამდენი ვერც ფულით და ვერც თხოვნით  
ვერ შეაბრალებს თავს მთავარს და უსათუოდ დასჯილი უნდა  
იქმნას სიკვდილით. ჩემსობას რამდენიმე ეკკლესიაში მოიპარეს  
რამდენიმე ოქროს და ვერცხლის ხატი სხვა-და-სხვა ძვირფასის

ქვებით შემკული და აგრძელებული სხვა ძეირფასი ნივთები, რომელიც იქ ინახებოდა. ბევრი ეცადეს, მაგრამ ქურდები დიდხანს ვერ იპოვეს. ბოლოს კი, ბევრი ძებნისა და დიდის მეცადინეობის შემდეგ, ავაზეკები ხელში ჩაიგდეს, თავები მოსჭრეს და ჩამოკრდეს იქვე, სადაც დანაშაულობა ჩაიდინეს. სხვა ქვეყნებშე უფრო აქ ჯერ კიდევ ისეთი პატივისცემა დარჩენიათ ეკალესის მიმართ, რომ თვეთ სარწმუნოებას უფრო უდალატებენ, ვიდრე ასეთს დანაშაულობას დასტოვებენ დაუსჯელად. მაგალითად, როცა დალიანსა და მის მეზობელს აფხაზეთის მთავარს შეუ უკმაყოფილება ჩამოვარდა, და ამ უკანასკნელმა სამაგიეროს გადასახდელად მისს სახლვარზე ჯარით მიერდა და ჩვეულებისაშებრ რამდენიმე სოფელს ცეცხლი წაუკიდა; ცეცხლი შემთხვევით ერთს უმთავრესს ეკალესიასაც მოედვა და გვარიანად დააზარილა. წინდახედულმა დალიანმა ისე მოიკუა მაშინ, თითქოს არც შეჩრდის ეს ამბავი, თუმცა მეტად გაბრაზებული იყო და მტკიციდ გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ თავის დროზე სამაგიეროს გადავახდევინებ და ასეთის დანაშაულობისათვის უსათუოდ ღირსეულს სასჯელს მიეუზღდავო. ამ განზრავით, როცა მათ შორის ზავი ჩამოვარდა, დალიანმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს არავითარი უკმაყოფილება აღარ მაქვს აფხაზეთის მთავრის მიმართ და სრულიად შევურიგდიო; მაგრამ აფხაზთა მთავარი არას-გზით არ დასთანხმდა დალიანის სამთავროში შესულიყო მოსალაპარაკებლად: ჩემს თავს ვერ ჩავუგდებ ხელში იმ მთავარსაო, რომელ მაც მრავალჯერ სახლვრები გამიოხრა თავის ჯარითაო. თავის-თავის უზრუნველყოფისათვის აფხაზთა მთავარმა მოითხოვა ამინათები. დალიანმა მაშინვე გაუგზავნა ამანათებად ოდიშის უდიდებულებისა სამი ახალგაზდა ვაჟი. ამ საშუალებით აფხაზთა მთავარს ეგონა თავის თავი უზრუნველყოფილი და დიდის ამაღლით შევიდა ოდიშში დალიანთან მოსალაპარაკებლად. ხოლო, როგორც კი შეადგა ფეხი სამეცნიელოში, მაშინვე იგი თავის ამაღლით დაატუსაღეს და საქმე რომ გაარჩიეს, გადასწყვიტეს, რომ მის ამაღლას თავისუფლება უნდა მიეცეს და თეთი მთავარს თავი უნდა მოეცრას მხოლოდ იმისათვის, რომ მისი

ჯარის გამოლაშქრების დროს უცაბედად ეკვლესია დაიწვაო. დადიანმა გამოსცა მანიფესტი, რომელშიც გამოაკხალა, რომ შეუძლებელია პირობა შეუსრულოს კაცმა ისეთ ადამიანებს, რომელთაც შეურაცხყვეს ღმერთი თავის სახლშიო. აფხაზთა შთავარს მართლაც თავი მოსჭრეს. სამაციეროდ მის სამთავრო-ში მისმა ცოლმა ამანთები შეუპრალებლად ჩამოახრიანა.

შე ხომ დიდი ხანი დავრჩი სამეცნიერო და შემიძლიან დარწმუნებით ვთქვა, რომ თუ არა მკრეხელობისათვის, და-დიანს არავისათვის არასოდეს სიცოცხლე არ მოუსპია.

ხოლო აგრევე არ იქცევიან მისი სამთავროს დიდებულები და თავადები. მათ სრული უფლება აქვთ სიკვდილისა. ამი-ტომაც ხშირადაც სარგებლობენ ამ უფლებით და ბევრ კაცს უსპობენ სიცოცხლეს, რაცა ბრაზს, სისასტიკეს და ბარბარო სობას მისცემენ თავს. მახსოვეს, რომ ჩემს დროს ერთი მათგა-ნი მცირე ეჭვმა, რომ მისმა ყმამ ცოლი მომიხიბლით, ისე გააბ-რაზა, რომ იგი ყმა დააკვრევინა შამფურსავით გამოუჩილ გრძელ სარჩე და მერე დაანთებინა იქვე დიდი ცეცხლი და ატრიალე-ბინა ისე, თითქოს წვალია წვალენენო. აგრე უწყალოდ შესწ-ებეს საწყალი ადამიანი. მეორესა ჰყვანდა ომში ნაშოენი ტყვე, რომელიც კარგად ემსახურებოდა მის, როგორც თერძი. კარ-გას კერვისათვის პატრიანმა ასე დააჯილდოვა იგი: ცალი ფეხი მოსჭრა, რათა არ გამექუნს თავის ქვეყანაშიო. მრავალნი სხვე-ბიც ცოტა რამე მიზეზისათვის ყმებს თავის ხელით თავსა სჭრიან ან სხვა რიგად უსპობენ სიცოცხლეს. ამათ საქმეში ჩოვარი არ ერევა და ამბობს, რომ ყმები მათიათ და შეუძლიან კ, რო-გორც უნდათ, ისე მოეპყრონო.

თუმცა მთავარი გულკეთილია, მაგრამ ისეთი მოყვარულია მართლმსაჯულებისა, რომ არც ერთ დანაშაულს უსასჯელოდ არ დასტოვებს. სასჯელი კი სხვა და-სხვანაირია დანაშაულო-ბის მიხედვით: ქურდებს ჩვეულებრივ მოსჭრიან ან ხელს, ან ფეხს და ან ყურს; მკვლელებს ხელსა სჭრიან, მაგრამ თუ მკვ-ლელი მეტად გამოროტებულია და მრავალი კაცის მკვლე-ლობა და ავაზაკობა ჩაუდენია, იმ შემთხვევაში იმას თვალებს

## სამეცნიეროს აღწერა

დისტვავენ; ესევე სასჯელია მეამბოხეოთვის, რომელთაც გარდა ამისა სკრიან ცალ ხელს და ცალ ფეხს; თუ ეინიცობაა ვინმემ ცოდვა ჩიიდინა სასახლის რომელსამე ქალთან, მათ უავე ცხვირს მოსჭრიან და იძულებენ შეირთონ ერთმანეთი.

ჩამოთვლილ სასჯელთა შორის ყველაზე სასტიკად მიაჩნიათ დაბრძოება ცეცხლის შემწეობით. ამიტომიც მრავალნი სიკვდილს ამჯობინებენ, ვიდრე თვალის სინათლის დაკარგვას. ამბობენ, რომ ვინც მოკედება, ის ტანჯვასაც გადარჩება და ბრძან კაცი კი მუდამ ტანჯვაშიაო. თვით ამ სასჯელის აღსრულების დროს ისე იტანჯება დამნაშავე, რომ სიკვდილის დროსაც არ დაიტანჯება იმდენად. ჩასობენ მიწაში ოთხს საჩს, რომლებზედაც დამნაშავეს ხელებით და ფეხებით მიაკრავენ ისე მაგრად, რომ განძრევა არ შეუძლიან; აიდებენ ორს რვეალს და პრტყელს რკინის ნაჭერს თვალზე ცოტად უფრო დიდებს, წამოაცმევენ ორ გრძელ რკინაზე; ამ ვრძელ რკინებს შეაერთებენ ხის ტარით; შემდევ რკინებს ძალიან გაახურებენ, მაგრად მიადებენ თვალებზე და ასე უჭირავთ, ვიდრე სამხურვალე არ გამოაშრობს თვალის სისოვლეს. დამნაშავე საშინლად იტანჯება ცეცხლის გამო, რომელიც მყისვე ისე უსიებს პირისახეს, ყელს და მთელ გულს, რომ სამი-ოთხი დღის განმავლობაში ველარ მიეკარება ვერავითარ საჭმელს.

ხელებსა და ფეხებს სჭრიან გახურებულის ნაჯახით, რათა ცეცხლით შეაჩერონ სისხლი, რომელიც ბლომად გამოდის ვენებისიგან ჭრილობის ადგილზე. მოსჭრიან ფეხებს და ხელებს სახსრის ზეეთ და შემდევ ძვლიდან ჯოხით ამოიღებენ ტვანს, რათა შივნით არ დალპეს.

უკეთუ ჭურდს მხოლოდ ერთი ძროხა, ან ერთი ხარი, ან ერთი ღორი, ან ერთი ცხენი და ან ერთი სხვა ამისთანა რამ მოუპარავს, დაჭრისათანავე მას დაუყოვნებლავ სასჯელი გადახდება. ეს სასჯელი იმაში მდგომარეობს, რომ უნდა გადაიხდოს ნაქურდალის ფასი თხუთმეტჯერ მეტი, რომლისაგანაც ხუთა ნაწილი პატრონს ერგება, ხუთი—ხაზინას და ხუთაც—იმ მოხელეთა გასამრჯელოდ, ვინც სასჯელს გადაახდევინებს დამნაშა-

ვეს. ხოლო თუ ქურდს ქურდობაზე თავს არ წააწყდნენ და მხოლოდ სხვა-და-სხვა ნიშნებით ეჭვი აქვთ ვისმეზე, მაშინ საქ- მის ასახისნელიად ხმარობენ სამს საშუალებას იმისდა მიხედვით, თუ რამდენიდ ცხადია ის ნიშნები, რომლის გამო დამნაშავეს სწამებენ ქურდობას. თუ ეს ნიშნები მრავალი და ცხადია, მაშინ დამნაშავეს აწვალებენ ადგილობრივი ჩვეულებისამებრა: თოკით ხეზე ჩამოჰკიდებენ ცალხელით, ეს წვალება თუმცა იმ- დენიდ მავნებელი არ არის, ოოფორც ჩვენებური, მაგრამ მა- ინც დიდად სტანჯავს კაცს, რადგან ტანის სიმძიმე შეტად ძირს სწონდავს კაცს და ამის გამო იმ ადგილის, ხადაც ხელია მიკ- რული, კანი იხევა და ბლომად სისხლი გამოდის. მეგრელებს ისე ეშინიანთ ამ წვალებისა, რომ ხშირად, ოღონდ კი ხელი არ მიუბან ამ რიგად და ოოფორც კი ასწევენ, მაშინვე სრუ- ლიად გამოტყდებიან.

თუ კი დანაშაულობის ნიშნები იმდენად ცხადი არ არის, მაშინ უდანაშაულობა ამნაირად უნდა დამტკიცდეს: ამ საგნისა- თვის აქვთ პატარა ქვაბი, რომლის ზომაა დღამეტრული ერთი ტკაველი და ირგვლივ ორი მტკაველი. ამ ქვაბს გაავსებენ წყლით და ძირში ჩაგდებენ რკინის პატარა ჯვარს. ქვაბის ქვეშ დაანთებენ ცეცხლს. ცეცხლი უნდა დაინთოს ვაზისაგან, რომელიც უნდა მოსძებნოს და თავის ზურგით ადგილზე მო- იტანოს თვით ბრალდებულმა. ქვაბს რომ ცეცხლს შეენთე- ბენ და წყალი კარგად ადულდება, ბრალდებულმა შიშველი ხელი შიგ უნდა ჩაჲყოს და ძირიდან ჯვარი ამოიღოს. რო- გორც ბრალდებული ქვაბიდან ხელს ამოიღებს, მოხელენი ამ ხელს ტილოს ტომარაში ჩაუდებენ იღაყვამდის და იდაყვათან ტომარას თავს შეუკრავენ და დაბეჭდავენ. სამი დღის შემდეგ ბრალდებულს მიიყვანებენ მთავრის წინაშე, გაუხსნიან ხელს, კარგად გაუსინჯავენ, და თუ ხელზე სრულად არ ატყვადა, რომ მდუღარისაგან დამწვარიაო, მაშინვე აღიარებენ უბრალოდ. წინაღმდეგ შემთხვევაში, უკეთუ ხელი დამწვარი აღმოჩნდა, ბრალდებულს დამნაშავედ იღიარებენ და, ვითარც ავაზაკს,

## სამეგრელოს აღწერა

სასჯელს დაუნიშნავენ და არაეითარ გასამართლებელ საბუთს აღარ მიიღებენ.

რაც შეეხება იმ შემთხვევას, როცა საბრალდებულო ნიშნები მეტად სუსტია, მაშინ ბრალდებულს შეუძლია თავი გაიმართოს მარტო ფიცით. ფიცი უნდა მოხდეს რომელსამე ძლიერი ხატის წინაშე, მომჩინეანის ამორჩევით. მომჩინეანმა უნდა ამოარჩიოს ეკკლესიაც, სადაც ფიცი უნდა მოხდეს და ხატიც, რომელზედაც ბრალდებულმა უნდა დაიფიცოს. წინ-დაწინ მომჩინეანი არ გაუმჯღავნებს ბრალდებულს, თუ რომელს ეკკლესია და რომელი ხატი ამოურჩევია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალდებული მივაო, ფიცის წინა დღეს, დაუჩინქებს ამორჩეულ ხატს და შეევედრებათ: „შენ ხომ კარგად იცი, რომ ეს დანაშაულობა მე ჩავიდინე და, როგორც მრავალჯერ წინად, ეხლაც მუხლ-მოდრეკით აღვიარებ და ვამბობ, რომ ეს საქმე მე ჩავიდინე, მაგრამ ეს ჩემი აღსარება დარჩეს ჩვენს შორის. რადგან ამ ჩემის აღსარებით მე მოვიხადე ჩემი ვალი შენს წინა-შე, ნუდარ განმირისხდები იჩისათვის, რომ სხევბის თანადასწრებით ამას სრულიად უარს კვით. რომ არ განმირისხდე ამისათვის აღთქმას ვსდებ, რომ მოვართმევ ამას და ამას: მაგალითად, ცხვარს ან ძროხას“. ასეთი იდუმალი აღსარების შემდეგ მას სვინდისი დამშვიდებული აქვს და, როცა მიიყვანებენ იმავე ხატის წინაშე, თავისუფლად დაიფიცებს ტყუილსა.

ზემო დასახელებული სამ საშუალებას გარდა იდუმალ-ბოროტ-მოქმედთა აღმოსახენად ხმარობენ კიდევ ერთს: როცა ერთი და იგივე ბოროტ-მოქმედება ბრალდება ორ კაცს და ხელში კი არ უჭირავთ ისეთი ნიშნები, რომლითაც შეიძლებოდეს გადაწყვეტა, თუ ბრალდებულთა შორის რომელია ნამდვილი დამნაშავე, მაშინ მთავარი ბრძანებს, რომ მათი საქმე ასპარეზზე ბრძოლაშ უნდა გადასწყვიტოს. მაშინ დანიშნავენ დროს და ადგილს ბრძოლისას, ამოირჩევენ მოწმებს და დანიშნულ დღეს გამოცხადდებიან მებრძოლნი ცხენებზე შექმდარნი, აბჯარში ჩასმულნი და შეიარაღებულნი ფარით, შეტანით და ხმლით. მებრძოლთ მოჰკვებათ მრავალნი მათნი მეგობრები

აგრეთვე შეიარაღებულინი. მებრძოლნი რომ წარმოდგებიან ას-  
პარეზზე, მათ ახლავთ მათი მოწმები. როცა ნიშანს მისცემენ,  
მებრძოლნი ერთი მეორეს წინააღმდეგ გაეშურებიან შუბებით.  
ვინც პირველად დაიჭრება, იმას აღიარებენ დამნაშავედ და მეო-  
რე გამართლებული იქნება. თუ კი შემთხვევით ორივე დაიჭი-  
რა, ორთავეს იცნობენ დამნაშავედ და სასტიკად დასჯიან.

ზოგი დანაშაულობა, რომლისათვის ჩვენში სასტიკი სას-  
ჯელია დანიშნული, სამეცნიელოში არაფრად არ მიაჩნიათ და  
ამისთვის არც პასუხს არავინ მოსთხოვს. ამათ შორის ყველაზე  
უფრო მხეცურ და ბარბაროსულ ჩვეულებად უნდა ჩაითვალოს  
ის, რომ ყმაწვილებს ცოცხლად ჰმარხაენ, უფრო ხშირად დე-  
დები ჰმარხავენ თავიანთ ახალ დაბადებულ ბავშვებს. ამ საში-  
ნელ საქმეს ხშირიდ ჩადიან ის ქვრივები, რომელნიც პირველ  
ქმრის ხელში დაორსულებულან და მეორე ქორწინებისათვის  
ვერ დალოგინებულან. მაშინ ახალი ქმარი თავიდან იშორებს  
საბრალო ყმაწვილს, მაგრამ, რადგან ებრალება მახვილით მისი  
მოკვლა, კიდევ უფრო სასტიკად ჰკლავს: ამოთხრის თავის სახლში  
ორმოს და ჩაფლავს ახალ დაბადებულს ყმაწვილს. იგრევე  
იქცევიან ისინი, რომელნიც სიღარიბისა და მრავალ შეილ-  
თა გამო, არ შეუძლიან მათი რჩენა და შეილასნობას კი  
ვერ მორჩინილან. როგორც კი მათ დაებადებათ ბავშვი, მა-  
შინვე ცოცხლად მიწაში ჩაფლავენ. ასეთ საშინელ ბოროტ-  
მოქმედებისათვის სასჯელიც არავითარი არ არის დანიშნული.  
პირიქით, ჩვენები რომ სთხოვდნენ მთავარს, მიიღეთ რამე ზო-  
მა ამის წინააღმდეგო, მისი მუდმივი პასუხი ის იყო, რომ ამის  
წინააღმდეგ არავითარი საშუალება არ მაქსო, რადგან არ შე-  
მიძლია ჩემ ქვეშევრდომთა ახალდაბადებულების ანგარიში ვი-  
კონიოო. ესეც უნდა ვთქვათ, რომ ეს სასტიკი სიკვდილი ერ-  
თის მხრით სასაჩვენებლოც არის ყმაწვილების სულისათვის, რად-  
გან ზოგჯერ ჩვენები გაიგებენ ამ ყმაწვილების ბედს და, ვიდ-  
რე მშობლები მოკლავდნენ, ჩვენები ბევრს ნათლავენ. იგინი  
ამ რიგად სასტიკის სიკვდილით მოიპოვებენ ზეცაში სამკვიდ-  
რებელს.

## xiv

## საბურთლი დეკა

შეიძლება უთქვათ, რომ მთელი კოლხიდა საპყრობილე არის, რადგან ბუნებით ისე შეზღუდულია, რომ კაცი რომ შევა იქ, ადვილად ველარ გამოვა. ხმელეთით გარემოცულია კავკასიის უმაღლესი მთებით. ამ მხრით გასვლა შეუძლებელია ამ მთების სალის კლდეებისა და მათ მცხოვრებთა ბარბაროსობის გამო. მეორე მხრით ხომ შავი ზღვა, რომელიც მეტად მღელვარეა და გემებიც ნაკლებ დადის ამ ზღვაში. ამის გამო ეს გზაც არ ვარგა სამეგრელოდან გასასვლელად. კოლხიდას საზღვრავს კიდევ ორი მდინარე: კოდორი (Corace) და ფაზისი. ორივე მდინარე ლრმაა და ფართო, და ამიტომ მათში გასვლა უნავოდ შეუძლებელია. ამ რიგად კოლხიდა ისე შეზღუდულია ყოველის მხრით, რომ თუ ვინმე უცხოელი, მისდა საუბედუროდ, შევიდა იქ, გამოსვლა აღარ შეუძლია, თუ მთავრის ნება არ იქმნა. გარდა ამისა, ერთი ჩვეულება აქვთ კიდევ სამეგრელოში: თუ მეგრელი შეზღდება მეორეს და ეს უკანასკნელი ტანისამოსით ან ლაპარაკით უცხოელად იცნო მეგრელმა, ამას ნება აქვს გამოკითხოს, საიდანა ხარ, რა მოხელე ხარ და რად დადიხარო მარტო, და თუ შეპნიშნა რამეში ჩვენების არევა და სიყალბე, მაშინვე დაიჭირს და წარუდგენს მთავარს. ამიტომაც უცხოელი მონა თაღიში მრავალია, განსაკუთრებით მალოროსები (Rossioti), რომელთაც არ შეუძლიანთ ვავიდნენ იქიდან და დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში.

ასეთია საერთო საპყრობილე, რომელშიაც გამომწყვდეულნი არიან ისინი, ეისაც დაუკარგავთ თავისუფლება ამ ქვეყანაში მოსვლით. ხოლო ტუსაღს როდი ამწყვდევენ დაკეტილ სადგომში: როცა მთავარი მოინდომებს ვისიმე დაჭერას, ბრძანებს, რომ მას ყელზე წამოაცვით რკინის საყელო დიდის და მძიმე ჯაჭვითო და ამ სახით ჩაბარეთ დარაჯსო. სწორედ ამ სახით წარმომიდგენია მე რომში დაჭერილი წმ.

ჰავლე, რომელიც ჯაჭვით დაბმული ჩაბარებული ჰყეანდა ერთს  
ჯარის კაცს, რათა არ გაქცეულიყო. ტუსაღებისა, დარაჯისა და  
პოლიციელის მოვალეობას ერთად ასრულებენ ისინი, ვისაც  
ჩაბარებული აქვთ მწევარ-მექებართა ყურის-გდება. მეგრულიდ  
ამათ ჰქვიან მაჯოღორი. ეს დარაჯები ერთსა და იმავე სახლ-  
ში ამწყდევენ ჯაჭვით დაბმულებს ტუსაღებს და ძაღლებს,  
რომელნიც ღამე ერთად ატარებენ ერთს და იმავე უწმინდურო-  
ბაში და საშინელ ჰაერში. ხშირად მათი ჯაჭვები ერთმანეთს  
გადაებმებიან ხოლმე. როცა შიშობენ, ტუსაღები ღამე არ გა-  
იქცნენო, ყელს გარდა კიდევ ფეხებზე დადებენ მეტად შიმე  
ბორკილს.

ჯაჭვით დაბმსა ეკრავინ ვერ წაუვა, რაც უნდა დიდებული თავადი იყოს. როცა მთავარი გაურისხდება ვისმე, ბრძანებს იმის დაქვერას და ჯაჭვით დაბმსა, ეგრე დაბმულს ჩააბარებს მაჯოლორს, რომელიც ატარებს მას იქით-აქეთ. ეს კი არის, რომ კეთილ-შობილებს უფრო სუბუქ ჯაჭვს ჩამოჰკიდებენ და გარდა ამისა ნებას აძლევენ, რომ ცხენით იარონ, რის ნებაც დაბალ ხალხს არა აქვს. ზოგჯერ, როცა მთავარს სურს, რომ ტუსალი კარგად მოვლილი იქმნას, ჩააბარებს იმას რომელსამე ეპისკოპოზს ან დიდებულ თავადს, და დაავალებს ამათ პირველ მოთხოვნილებაშდის შემინახეთო. იმ დროს განმავლობაში, ვიდრე ტუსალი დამზუდეულია, რაც უნდა ბევრი ხანი გავიდეს ამასობაში, თუნდაც რამდენიმე წელიწადი, იგი თმის არ გაიკრევს მწეხარების ნიშნად. ეს ჩვეულება აღმაღ მეგრელებმა ეგვიპტელებისაგან შეითვისეს, როგორ ზემოდ აღვნიშნეო.

三五

## ଶ୍ରୀକୃତ ସହିତମନ୍ଦରେ ପାଞ୍ଚ

ის წესი, რომლითაც აწარმოებენ ჩვენში მართლ-მსაჯულებას, მეტად გვიანია და სავსეა ხრიკებით. ამით სარგებლობენ მოხელეები და ხალხი კი მეტად შეწუხებულია. ეს წესი

## სამეცნიერო სამუშაო

განდევნილია აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კოლხიდაში და საქართველოში, სადაც ჩქარა სწყლება ყოველივე დავა, რაც უნდა დახლართული იყოს, და ყველას შეუძლიან შცირე ხარჯით ამოიგოს თავისი ფული. ამის მიზეზი ის არის, რომ იქაურ მთავრებთან მისვლა ისე ძნელი არ არის, როგორც ჩვენში. ამიტომაც ჩვენში მომჩინეანს არ შეუძლიან მეფის ყურამდი მიაღწიევინოს თავისი სიმართლე და ხშირად ისეთ განჩინებას ეღირსება, რომელიც არ ეთანხმება მისს საბუთებს. მეგრელები კი ბედნირები არიან იმით, რომ მათი მთავარი ყოველთვის და ყოველგან მზად არის მოისმინოს საჩივარი და მოუძებნოს წამალი თავის ქვეშევრდომთა საჭიროებას. გინდ თათბირობდეს, გინდ ცხენით სეირნობდეს, გინდ გზაში იყოს, გინდ ნადირობდეს და გინდ პურის ვამად იჯდეს, მთავარი ყოველთვის მოისმენს საქვეს და შესაფერს განჩინებას დასდებს. საქმეების გადაწყვეტის დროს როდი ხელმძღვანელობს იმპერატორებისა ან აღგილობრივ კანონებით, რომელთა აზრის გადაბრუნება და თავისებურად ხშარება ყველასათვის ადვილი მოსახერხებელია. ამ შემთხვევაში იგი ხელმძღვანელობს კეთილ-გონიერებითა, რომელიც საფუძვლად უდევს მთელი ქვეყნიერობის კანონებს. უფრო ხშირად მთავარი საქმეებს არჩევს, როდესაც პურის ვამად ზის. რადგანაც იგი პურსა სჭამს სახალხოდ. და დიდ ხანსაც ზის, ყველას ნება აქვს მიუახლოებეს და მუხლმოდრეკილმა მოახსენოს თავისი გაჭარება. მთავარი მაშინვე გამოუტადებს თავის გარდაწყვეტილებას. როცა რთული საქმეა რამე და არ ჰსურთ, მთავარი შეაწუხონ, მოდავენი ისე იქცევიან: თვითეული მოდავე ირჩევს თითო მოსამართლეს. ორივე მოსამართლე ერთად ირჩევს ერთს მომხსენებელს (Referendario). ამ კაცის მოვალეობა ის არის, რომ არჩეულ მოსამართლესთან ერთად დაჯდეს და ერთი მოდავის სიტყვები მეორეს გადასცეს.

დანიშნავენ დღეს და ადგილს, როდის და სად უნდა მოხდეს საქმის გარჩევა. ჩვეულებრივ შეიყრებიან რომელსამე კარგ ჩრდილიან ხის ქვეშ. დანიშნულ დროს ყველანი შეიკრიბებიან ამორჩეულ ადგილზე. მოსამართლეები და საქმის მომხსენებელი

რომ დასხდებიან, ჯერ გამოცხადდება მომჩივანი და მუხლ-მო-დრეკით მოახსენებს მათ თავის საჩივარს და წარუდგენს რაც დამტკიცება აქვს. ეს რომ ყოველივეს იტყვის, რაც სათქმე-ლი აქვს, აღგება და წავა ისეთ ადგილას, რომ ვერ გაიგოს, რასაც მოპასუხე იტყვის. მერე მოსამართლეთა წინაშე გამოცხადდება და მუხლს მოიღრეკს მოპასუხე, რომელსაც საქმის მომხსენე-ბელი სიტყვა-სიტყვით გადასცემს ყოველსავე, რაც მომჩივანმა მოახსენა მოსამართლებს. ამის შემდეგ მოპასუხე თავის პასუხს მოახსენებს მოსამართლეებს და წარუდგენს თავის დამტკიცებას. დაასრულებს თუ არა თავის სიტყვას, მოპასუხე წავა. შემდეგ შემოვა ხელახლავ მომჩივანი, რომელსაც საქმის მომხსენებელი გადასცემს მოპასუხის სიტყვეებს. მომჩივანი კიდევ თავისას იტყვის, კიდევ წავა და შემოვა მოპასუხე. ასე გაგრძელდება, ვიდრე ორივე მხარე არ დაასრულებს თავ-თავის სიტყვას. როცა მათ აღარ ექნებათ-რა სათქმელი, მოსამართლენი ცალკე წავ-ლენ საბჭოდ და გადასწყვეტენ საქმეს წინამდებარე საფუძველ-თა მიხედვით. მათ განაჩენს ორივე მხარე ყაბულდება.

ეს წესი თუმცა ბარბაროსებუშია ხმარებული, მაგრამ ლირ-სია, რომ მიღებული იქნას ყოველ სახელმწიფოში, რადგან როცა ორივე მხარე ერთად წარსდგება მოსამართლეთა წინა-შე, ყოველთვის სასამართლოში დიდი ხმაურობა და იყალ-მაყლია, რის გამო ხშირად სიმართლე იკარგება. ამიტომაც მეგ-რელები არამც თუ სასამართლოს საქმეებში, არამედ სხვა საქ-მეებშიც არასოდეს პირდაპირ არ მიიქცევიან იმასთან, ვისთანაც საქმე აქვთ. ყოველთვის შუაკაცების საშუალებით არიგებენ საქ-მეებს. მაგალითად, თუ ვისმე აქვს ან ფული ასაღები ან სხვა რამე საქმე გასარიგებელი, იგი არასოდეს არ წავა პირდაპირ თავის მო-პირდაპირებთან და არ ეტყვის: „ჩემი ფული მომეციო, და ან ესა და ეს საქმე ასე გავათავოთო“, არამედ ამოირჩეს ერთს ან ორს კაცს და გზავნის მოსალაპარაკებლად. მოციქულები მეტად ზრდილობიანად მოახსენებენ მინდობილ საქმეს იმას, ვისთანაც გაგზავნილი იყვნენ. იქიდან დაბრუნდებიან და პასუხს მოუტა-ნებენ პირველს. პირველი ხომ კიდევ თავისას იტყვის, მოცი-

ქულები კიდევ მეორესთან მიბრუნდებიან და უკეთ შენიშვნეს, რომ ერთ-ერთი მხარე ცოტა უკმაყოფილოდ არისო, მაშინევ დააწყნარებენ და ამ რიგად მშვიდობით დაასრულებენ საქმეს.

## XVII

## ქ ა რ წ ი ნ ე ბ ა

ჩვენს ევროპაში როცა ცოლს ირთავენ, უმთავრეს საგნად აქვთ ბზითვის მიღება. ამიტომ ხშირად მოხდება ხოლმე. რომ ყურადღებას არ აქცევენ არც ტანის უშნოობას, არც ხნიერებას და არც დაბალ შთამომავლობას, როცა მეორეს მხრით არის კარგი და მდიდრული მზითევი. საზოგადოდ ჰფიქტობენ რომ ყოველსავე ნაკლულევანებას დაჰფარავს ოქრო და ვეცხლიო. ამიტომაც ხშირია, რომ დიდებულები თავს იდაბლებენ, ყმაწვილები უშნო და უკბილო ბებრებს ირთავენ. კოლხიდაში ასე როდია იქ ქალს არავითარი ბზითევი ქმრისოვის არ მოაქვს. მეგრელები ცოლში ეძებენ ფიზიკურ სიმშვენიერებს, კარგ შთამომავლობას და საუკეთესო ზრდილობას. სამაგიეროდ სასიძომ უნდა მიუტანოს ქალის მშობლებს დიდი საჩუქრები და მდიდრული ძლვენი. ამიტომაც ქორწინებას ამ ქვეყანაში თუ აბრკოლებს, ისევ ეს ვალდებულება სასიძოსი, რომ მშობლებს უნდა მოუტანოს იმდენი საჩუქარი, თითქოს სარძლო მონა არისო და მის ფასს იხდისო. ჩვეულებრივ საჩუქრად მოყავთ ხოლმე ძროხები და ხარები, ან ცხენები, ან ყმები და ან სხვა ამისთანები. ჩემს დროს მოხდა ოდიშის მთავრის და ჩერქეზთა სახელ-განთქმული ჭაშიაჯ მეფის (Chasciach Mere) ასულის დაქორწინება. ჭაშიაჯ მეფის მოციქულები მოეიღნენ ოდიშში და მისის სახელით განაცხადეს, რომ მეფეს სურს ეს ქორწინებაო და ოხოულობსო საჩუქრად ასს ყმას, სხვა-და-სხვა ქსოვილით და ხალით დატვირთულოსო; ასს ძროხს, ასს ხარს და ასს ცხენსო, ამისი აუსარულებლობა, რასაკვირველია, არ იქნებოდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ქორწინება არ მოხდებოდა.

როცა საჩუქრების რაოდენობა გადაწყვეტილია, ნიშნობას გამართავენ. რაღაც გადაწყვეტილი არ არის, თუ რა ხნის უნდა იყვნენ ნიშნობის დროს სასიძო-სარძლო, სულ პატარეებსა, სამი-ოთხი წლისას დანიშნენ ხოლმე, როცა ზოგჯერ მონათლულებიც არ არიან. ნიშნობისათვის ამორჩეულ დღეს ჩვეულებად აქვთ, რომ სარძლოს მამა ან დედა მოიწვევს სასიძოს ყველა მისი ახლობელ ნათესავებით, და ამ წვეულებაში სასიძომ უნდა მიართვას ნიშნად თავის საცოლოს ან ვეცხლის თასი, ან ბეჭედი, და ან ოქროს ფული. ამით ნიშნობა სრულდება. ვიდრე სარძლო მშობლების სახლში დარჩება, სასიძომ ყოველ მოსელაზე უნდა მოიყეანოს თან რამდენიმე ხარი და მოიტანოს ბლობად ღეინო და საჭმელები. ყოველსავე ამას იმავე დღეს გაათავებენ, რადგან დიდ წვეულებას გამართავენ, რომელზედაც მოიწვევენ ახლობელ ნათესავებს და მეკობრებს. ამ შემთხვევაში, კარგად აღზრდილი ქალები სასიძოს კიდეც რომ შეხვდნენ პირისპირ, მაინც თეალებს არ ასწევენ და არ შეხედვენ, რათა ამით თავის მორცხვობა დაამტკიცონ. ხოლო თუ სასიძომ არ მოეშვა და მოინდომა მაინცა და მაინც ქალებთან მუსაიფი, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ტკბილი სიტყვის მაგიერ მკვაბე პასუხს მიიღებს.

როცა სასიძო-სარძლო ქორწინებისათვის ასაჭი მოვლენ, აცნობებენ ყველა მეგობრებს და ნათესავებს და დანიშნავენ ქორწინების დღეს. ყველა ცდილობს, რომ ქორწილში დიდის ამბით გამოცხადდეს და მრავალი მხლებელი ჰყვანდეს, სარძლოს სახლში ამ დღისთვის იმართება დიდი ნადიმი. შაგრამ ყოველივე ხარჯი სასიძოსი არის; ამ დღისთვის მან უნდა გამოგზავნოს ბლობად ძროხები, ცხვრები, ლორები, ყვერულები, ლვინო, ყველი და სხვა საჭმელები, რასაც იქაური ჩვეულება მოითხოვს.

ყველა რომ შეიკრიბებიან, სუფრაზე ვიდრე დასხდებოდნენ, მოიწვევენ მღვდელს ან ეპისკოპოზს გვირგვინის საკურთხად. თუ იქვე არის კარის ეკკლესია მთელი შეკრებილება იქ მიმართება. თუ კარის ეკკლესია არა აქვთ, მიღიან მარან ში (Cantina), რომელსაც ეკილესიასავით პატივსა სცემენ, და იქ დააჭორწი-

ნებენ შემდეგის წესით. მეფე-დელოფალი ამოირჩევენ ერთ ნა-  
თესავს, რომლის მოვალეობა შემდევია; სამღვდელო პირი რომ  
შეიმოსება, ხსენებულმა ნათესავმა უნდა შემოიყვანოს მეფე-  
დელოფალი ეკკლესიაში ანუ მარანში. ხელში უჭირავთ მათ  
თითო ანთებული სანთელი. წინ მიღიან მეფე-დელოფალი და  
მათ მისდევთ სამღვდელო პირი, რომელსაც ხელებში უჭირავს  
ორი გვირგვინი მეფე-დელოფალის თავზე დასადგმელად. რაკი  
ყველანი შემოვლენ შიგნით, სამღვდელო პირი თავის წიგნიდან  
უკითხავს მეფე-დელოფალს მრავალ ლოცვას. როცა ლოცვებს  
დასარულებს, აიღებს ჯერ ერთ გვირგვინს, დაადგამს მეფეს და  
იტყვის: „გვირგვინოსან არს მონა ლეთასა ესა და ეს“. მერე  
მეორე გვირგვინს დაადგამს დელოფალს და ამბობს; „გვირგვი-  
ნოსან არს მხევალი ლვითისა ესა და ეს“. შემდეგ აიღებს ხელ-  
ში ლვითი სავსე კიქას და მიაწოდებს სასმელად ჯერ მეფეს  
და მერე დელოფალს. ამ დროს ამოირჩეული ნათესავი უკანიდან  
გვირგვინს იჭერს, რომ არ ჩამოვარდეს სანამ მეფე-დელოფალი  
ლვინოს სვამერი. როცა ისინი ლვინოს დალევენ, ნათესავი ნემ-  
სით და ძალით მეფე-დელოფალის ტანისამოსებს ერთვანებს მია-  
ქრებს. სამღვდელო პირი კიდევ იტყვის რამდენსამე ლოცვას  
და შემდეგ ამისა მეფე-დელოფალს გვირგვინებს ახდის და ჩა-  
მოჰკიდებს ეკკლესიაში. მაშინ ნათესავი დანით გაარღვევს მეფე-  
დელოფალის ტანისამოსს ერთვანებზე მიკერძებულს და ამით  
დასრულდება გვირგვინის კურთხევას წესი.

ეკკლესიაში რომ ეს წესი დასრულდება, ყველანი დიდის  
სიამოვნებით და სიხარულით მიღიან სახლში, რათა დიდი ნა-  
დიში გადაიხადონ. ყველანი დასხდებიან. კაცები ერთ მხარეზე  
და ქალები—მეორეზე. მეფე-დელოფალი დასხდებიან გამოიჩინილ  
და საპატიო ადგილზე: მეფე—კაცების მხრით და დელოფა-  
ლი—ქალების მხრით. ჩვეულებრივ აგრე გაატარებენ მთელ  
ლაშეს ჭამაში, სმაში და სიმღერაში.

როცა ქალს გავზავნია ქვერის სახლში, მშობლები მოვა-  
ლედ სთვლიან თავის თავს ცარიელი არ გაუშვან და გაატა-  
ნონ, რაც შეუძლიანთ. ჩვეულებრივ გაატანებენ მშვენიერ ლო-

გინს, რამდენიმე ზანდუკით სხვა-დ-სხვა ტანისამოს და საც-  
ვალს, ორს ან სამს მოსამსახურე გოგოს, ცხენებს მისთვის და  
მის მოსამსახურებისათვის, ერთ დიდ ქვაბს და ვეცხლის თასს.  
ამ ბარგს დიდი ადგილი უნდა ეჭიროს, რომ ყველამ დაინახოს.  
ქალი რომ მიჰყავთ ქმრის სახლში, თან ახლავს მრავალი ცხე-  
ნოსანი კაცი და ქალი და მშობლის საჩუქრებით დატვირთუ-  
ლი ყმები. ეს ხალხი მთელი გზა სიმღერით და დიდის მოლხე-  
ნით მიდის. როცა მიელენ ქმრის სახლში, აქ ხელახლავ გააჩა-  
ლებენ ნადიმს და დაურიგებენ საჩუქრებს იმათ, ვინც ქორწილ-  
ში მონაწილეობა მიიღო.



## უცხოეთის მიმოხილვა

ჩინეთის საქმეები.—გამოურკვეველი მდგომარეობა.—მშვი-  
ლობიანობის ჩამოგდების დაგვიანება.—პირობების გამორკვე-  
ვა.—მოკავშირეთა საერთო პოლიტიკა.—არჩევნები ინგლის-  
ში.—ლიბერალთა დამარცხება.—იმპერიალიზმის გამარჯვე-  
ბა.—ამის მიხეზები და შედეგი.

ჩინეთის საქმეები ისევ იმ მდგომარეობაში არიან, როგორ-  
შიაც პეკინის აღების დროს იყვნენ. მას შემდეგ სამი თვე გა-  
უიდა, მშვიდობიანობის დამყარების საქმეში კი ერთი ნაბიჯიც  
არ გადაფგმულა წინ. ჩინეთის მთავრობამ დანიშნა მოლაპარაკე-  
ბის გასამართავად თავის წარჩინებულნი—ლიხუნჩანგი და ცინი,  
მოკავშირეებმა იგივე მიანდვეს თავიანთ ელჩებს, მაგრამ საქმე  
წინ არ მიდის. თეოთ ჩინეთში წესიერება ჯერ არ არის აღდ-  
გენილი და, თუმცა რწმუნებულთა დანიშნენა ზავის შესაკრა-  
ვად მშეიქმნობიანობის ჩამოგდებას უნდა ნიშნაედეს, მოკავში-  
რეთა ჯარები, გერმანიის წინამძლოლობით, ცეცხლითა და მახ-  
ვილით იკაფვენ გზას შუაგულ ჩინეთისაკენ. მოკავშირეთა ჯა-  
რების მთავარსარდალმა უკვე კარგა ხანია გამოაცხადა, რომ  
მისთვის საქმე აღარა არის-რა ჩინეთში და ამიერიდან დიპლო-  
მატიამ უნდა დაიკიროს მხედრობის ადგილიო, მაგრამ რაზმებს  
რაზმებზე აგზავნის აქეთ-იქით და იპყრობს ქალაქებს, სჯის  
მცხოვრებთ, ანადგურებს სოფლებს. იმავე დროს იმპერატორის  
სახლობის ახლანდელს რეზიდენციაში გროვდებიან ჩინეთის  
ჯარები და კვლავ ემზადებიან, არაერთ იცის კი რისთვის: მოკ-

რივეთა დასამშვიდებლად თუ ევროპიელთა საწინააღმდეგოდ... ერთი სიტყვით, შორეულს აღმოსავლეთში ბდეობარეობის ისე-თივე გამოურკვევლობა ჰსუფევა', როგორც აჯანყებისა და ომიანობის დაწყების დროს იყო...

რა არის ამის მიზეზი? რა აფერხებს აწეწილ-დაწეწილის საქმეების დალაგებასა და მშვიდობიანობის დამყარებას? რომელი მხარეა დამნაშავე, რომ აქამომდე გაჭიანურდა საქმე — მოკაეშირენი თუ ჩინეთი?

გასაკვირველი არა არის-რა იმაში, რომ ჩინეთი ცდილობს საქმის გაჭიანურებას: იგი დღეს იბრძვის თავის თვით-არსებობის დაცვისათვის და ყოველს საშუალებას ხმარობს, რათა ხელი შეუშალოს შემოსეულს მტერს. მისი შესანიშნავი დიპლო-მატი ლი-ხუნგ-ჩინგი რამდენისამე თვის განმავლობაში მოგზაურობს კანტონიდან ჰეკინში, განზრახ იგვიანებს ვზაში იმ იმედით, რომ მის ჩასვლამდე მოკაეშირენი ერთმანეთში აიშლებიან და ჩინეთს უფრო ხელსაყრელის პირობებით გაუთავებენ საქმესაო. ჩინეთის მთავრობა, იმპერატორილან დაწყებული უკანასკნელ მანდარინამდე, ცდილობს დაარწმუნოს მოკაეშირენი, რომ ყოველი მოთხოვნა აღსრულებული იქნება და აჯანყება აღარ განმეორდებათ, მაგრამ ნამდვილად კი არ აპირობს თითქმის არაფრის დათმობას და ნელ-ნელა ბრძოლისათვისაც ემზადება. უკანასკნელი ამბები შორეულ აღმოსავლეთიდან უტყუარად გვეუბნებიან, რომ საშინელი საკითხი, რომელიც გაუჩნდა ანუ, უკედ ვთქეათ, რომელიც გაიჩინეს ევროპიელებმა ჩინეთში, თან და თან ძნელდება და ვითარდება. სანამ ევროპიელები თანხმობით მოქმედდებნენ, კიდევ იყო იმედი, რომ შეერთებულის მეცნიერობით მათ არ გაუძნელდებოდათ ჩინეთის საქმეების მოწეს-რიგება დროებით მაინც, მაგრამ, რაკი თანხმობა საეჭვო შეიქმნა, საეჭვო განდა კრიზისის მშვიდობიანად დასრულებაც.

ხოლო მოკაეშირეთა თანხმობა რომ შეირყა, ეს ცხადზე უცხადესია და ამას აღარ ჰმალავენ თუიციალური წრეებიც.

პირველი „დამოუკიდებელი ნაბიჯი“ პეკინის აღების შემდეგ, როგორც უკვე ოციან ჩვენმა მკითხველებმა, რუსეთმა გადასდგა: მან საქეუნოდ გამოაცხადა, რომ პეკინის აღებით ჩინეთი საქმაოდ დაისაჯა და ამიტომ გამყავს პეკინიდან ჩემი ჯარებით. ამგვარმა განცხადებამ ჯერ გააკვირვა მთელი ეეროპა, შემდეგ კი მის ეურნალ-გაზეთებში დაიწყეს ქადაგება, რომ რუსეთის პოლიტიკა შორეულს აღმოსავლეთში ცაბიერით, რომ იგი საქვეყნოდ აცხადებს ომიანობის დასრულებას, ნამდვილად კი იპურობს და იერთებს მანჯურიასათ. ამგვარის ქადაგების პასუხად რუსეთის მთავრობამ გამოაქვეყნა შესანიშნავი ნოტა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება ჩინეთის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის საქმეში. ნოტა კატეგორიულად და მტკიცედ ამბობს, რომ რუსეთს განზრახვა არა აქვს მანჯურია შეიირთოს და სრულიადაც არ ჰქონის—ჩინეთს ტერიტორია წაართვასო. აქედან ცხადად სხანს, რომ რუსეთს არ ჰსურს ჯერ-ჯერობით ჩინეთის განაწილებას შეუდგნენ სახელმწიფონი. ამგვარმა მოქმედებამ მეტად ააყაყანა ევროპის პრესა, რომელიც ცდილობდა გამოერკვია მიზეზები რუსეთის ასეთის უანგარო პოლიტიკისა; მაგრამ აქ საგანგებო რამ ან გასაკვირველი არა არის-რა: ცხადია, რომ რუსეთს, რომელსაც ჯერ არ დაუსრულებია ციმბირის დიდი რკინის გზა; ციმბირის კოლონიზაცია, რომელიც საქმაოდ არ გამაგრებულა ჯერ შორეულს აღმოსავლეთის საზღვრებზე, მოუქერხებლად მიაჩნია გადაიმტეროს ვეგძერთელა სახელმწიფო, მოსაზღვრე და ახლო მეზობელი.

ჩინეთის განაწილების წინააღმდეგნი გახდნენ აგრეთვ იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატები. მონგოლთა ახალგაზდა შესანიშნავი სახელმწიფო—იაპონია—იმიტომა მოწადინებული ჩინეთის დამოუკიდებლობის დაცვას რომ მას თავში უტრიალებს მეტად გაბედული აზრი,—თვით შეიქმნეს ოდესმე შორეულ აღმოსავლეთის ერთად-ერთ ბატონი. იაპონიის ერში გაიღვია და თანდათან ძლიერდება პანმონგოლიზმის იდეა, რომელიც, მონროეს დოქტრინის მიხედვით,

ჰფიქრობს აზია აზიელთათვის უნდა იყოსო და იმავე დროს იაპონიის გეგემონიის იმედებიც უღვიეს გულში. მაგრამ ეს შეუპოვარი გეგმა მომავალის საქმეა, ეხლა კი იაპონიას ყველაზე უფრო თავდაბლად უჭირავს თავი და მოწადინებულია ოლად-გინოს მშვიდობიანობა... ამერიკა დაინტერესებულია, რომ ჩინეთის ნაეთ-სადგურები კვლავაც გაღებული იყვნენ ამერიკის სავაჭრო გემებისათვის. იგი დარწმუნებულია, რომ სუსტი, მაგრამ დამოუკიდებელი ჩინეთი, უფრო ადვილი დასაყოლებელია, უფრო ადვილად დასთანხმდება, სხვა-და-სხვა უპირატესობა მიანიჭოს ამერიკის ვაჭრობას ჩინეთში, ვიდრე რომელიმე ეეროპიელი სახელმწიფო, რომელიც, თუ ჩინეთის ტერიტორია დაიჭირა, ალბათ მაშინევ თვალ წინ დაუხურავს ამერიკას ნაეთ-სადგურების კარებს...

თუმცა რუსეთმა, იაპონიამ და შეერთებულმა შტატებმა მტკიცედ გამოაცხადეს — არ გვსურს ჩინეთის დაყოფაო და თუმცა სხვა სახელმწიფონიც ამავე პრინციპს აღიარებენ, მათ შორის უნდობლობა და ქიშიობა არ ისპობა. თუ არ უნდობლობით, სხვით ეერაფრით ავხსნით, ჩინეთის კრიზისის მეტად საყურადღებო მომენტს, სახელდობრ — ინგლისისა და გერმანიის შეთანხმებას.

ეს შეთანხმება შესანიშნავი პოლიტიკური ძეგლია ჩვენს დროში და მოასწავებს ინგლისის დიპლომატიის საოცარს სიმნევესა და გონიერებას. სამხრეთ-აფრიკის ომშა საგრძნობლად შეასუსტა დიდი ბრიტანია. აუარებელი ხარჯი, რომელიც დასკირდა ინგლისს ომისათვის და 40 ათასი კაცი, რომელიც იმსახურებლა გაშმაგებულმა ბრძოლამ შავს ქვეყანაში, ძრიელ საგრძნობელი შეიქმნენ ინგლისისათვის და საკმაოდ შეასუსტეს მისი პრესტიური ყველგან. როდესაც იფეთქა ჩინეთის აჯანყებამ, ინგლისის საქმე აზიაში ცუდად იყო. ხელ-ფეხშებორკილი ტრანსვაალთან ომით, იგი იძულებული იყო პასიური როლი ეთამაშა მისათვის დიდად საყურადღებო საქმეში და ვეგემონია

## უცხოეთის შიმდგრადვა

დაეთმო თვის დაუძინებელ მტერთათვის. მაგრამ მისმა დიპლო-  
მატიურმა გენიოსობამ აქაც კასპირა: დიდ-ბრიტანიის ინტერე-  
სების დასაცველად მან შეიკავშირა ძლიერი გერმანია და ამით  
კვლავ აღადგინა გავლენათა თანასწორობა აზიაში. შინაარსი  
ამ შესანიშნავის აქტისა, რომელსაც, აღმად, მთავარი როლი  
ერგება ჩინეთის კრიზის დასრულების საქმეში, მოკლედ შემ-  
დეგია: მუხლი 1-ლი: საყოველთაო და ხანგრძლივი საერთა-  
შორისო ინტერესი თხოვლობს, რომ ჩინეთის მდინარეების და  
ჩინეთის ზღვების ნაპირებზე არსებული ნავთ-სადგურები ღია  
იყვნენ ყველა სახელმწიფოთა სავაჭრო გემებისათვის და რომ  
მათში ყველა სახელმწიფოთ ნება ჰქონდეთ რამე წარმოების  
დაწყებისა. მუხლი მე-2: გერმანიისა და დიდ-ბრიტანიის მთავრო-  
ბათ არ ჰქონდეთ ისარგებლონ დღევანდელ არეულობით და ჩი-  
ნეთისაგან ტერრიტორია შეიძინონ; მათის პოლიტიკის საგანი იქმ-  
ნება—ეცადონ, რომ ჩინეთს არ ჩამოეცალოს ტერრიტორია.  
მუხლი მე-3: თუ რომელმამე სხვა სახელმწიფომ ისარგებლა დღე-  
ვანდელ არეულობით, ჩინეთში ტერრიტორიის შესაქნად, ამ  
შემთხვევაში გერმანია და ინგლისი ნებას მისცემენ თავიანთ-  
თავს შეიმუშავონ ზომები, რომელთა შემწეობით მათ შეეძლე-  
ბათ დაიცვან თავისი ინტერესები ჩინეთში. მუხლა მე-4: ორი-  
ვე სახელმწიფო აცნობებს ამ შეთანხმებას დანარჩენ სახელმწი-  
ფოთ და წინადადებას მისცემს მათ მიიღონ მასში აღნიშნული  
პრინციპები.

ამ შეთანხმებაში ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის,  
რომ გერმანიასა და ინგლისს გადაუწყვეტიათ—არც თითონ  
წაართვან რომელიმე ტერრიტორია ჩინეთს და არც სხვებს  
დაანებონ. რას ნიშნავს ეს უანგარობა? რით აიხსნება ეს სა-  
კვირველი ფაქტი, რომ გერმანია, რომელმაც რამდენისამე წლის  
წინად სრულიად უმიზეზოდ და მოულოდნელად თავს დაესხა  
ჩინეთს და წაართვა მას საკმაოდ ვრცელი ტერრიტორია, დღ ეს,  
როდესაც მას შეურაცხოფა მიაყენეს ელჩის მოკვლით, რო-  
დესაც ჩინელებმა მრავალი ქრისტიანე ამოსწყვიტეს, დღეს, რო-

დესაც გერმანიაშ ომი მოიგო და „კანონიერის“ გზით შეუძლია გააფართოვოს თავისი შფლობელობა, იგი უარს ამბობს ტერიტორიაზე? რით აიხსნება აგრეთვე საოცარი ფაქტი, რომ ინგლისი, რომელიც ყოველთვის მზად არის ისარგებლოს შემთხვევაში და გააფართოვოს თავისი ისედაც აუარებელი შფლობელობა, დღეს ხაქვეყნოდ აცხადებს, არ ჩსურს ჩინეთს მიწა-წყალი ჩამოვაკალოო?

უმთავრესი მიზეზი ამისა—სახელმწიფოთა ერთმანეთში ქიშპობაა, ერთმანეთის შიში და უნდობლობა. ყოველ თითო-ეულ სახელმწიფოს ეშინიან—შეორებ მეტი ტერიტორია არ ჩაიგდოს ხელშიო, მეტი გავლენა არ მოიპოვოს ჩინეთშიო და არ გაძლიერდეს აზიაშიო. ყოველი სახელმწიფო ეჭვის თვალით უყურებს სხვა სახელმწიფოს მოქმედებას; ყოველი ნაბიჯის გადადგმა იწვეს აურ-ზაურს და მითქმა-მოთქმას. როგორ აყავანდა, მაგალითად, მთელი ეკროპა, როდესაც რუსეთმა მანჯურია დაიპყრო? და ეხლაც, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, განზრახვა არ მაქვს მანჯურია შემოვიყერთოო, დასავლეთ ევროპის უურნალ-გაზეთობა ექვუია და რწმენას აცხადებს, რომ ინგლის-გერმანიის შეთანხმების შესამე მუხლი რუსეთის წინააღმდეგ არის მომართულიო. გარდა ამ მიზეზისა, გარდა საერთო ცილობისა და უთანხმოებისა, ჩინეთის განაწილებას იმანაც შეუშალა ხელი, რომ ჩინეთის მთავრობამ რამდენჯერმე და ენერგიულად გამოაცხადა, რომ ჩინეთის ერი არ მოითქმნს ტერიტორიის წირთმევასაო. ამ მუქარეს, რასაკვირველია, მნიშვნელობა არ ექნებოდა, თუ მოკავშირე სახელმწიფონი თანახმანი იქნებოდნენ ერთმანეთში, მაგრამ როდესაც საერთაშორისო შეთანხმების ბედ-ილბალი ძაფზე ჰკიდია, როდესაც შიში არსებობს, რომ მოკავშირეები ერთმანეთს დაერევიანო, მაშინ ჩინეთის მთავრობის მუქარასაც ფასი ემატება...

ამ რიგად, დღეს-დღეობით ჩინეთის საქმეებიდან გამოირკვა, რომ ცისქვეშა იმპერიის განაწილებაზე ლაპარაკი და ზრუნ-

ვი ჯერ-ჯერობით უდროოა და შეუძლებელი; ეხლა უნდა მოი-  
ძებნოს და შემუშავდეს რაიმე modus utvendi, რომლის წყალო-  
ბით ჩინეთსა და კოროპის შუა ღროებით მაინც დამყარდეს მშვი-  
ლობიანობა. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ მოკავშირენი  
დღემდის კერ მორიგდნენ ერთმანეთში მომავალ ზავის პირო-  
ბების შესახებ. პირობების პროექტი შეადგინა ჯერ ინგლისმა,  
მერე გერმანიამ, მერე შეერთებულმა შტატებმა, ბოლოს საფ-  
რანგეთმა, მაგრამ არცერთი მათგანი არ იქმნა საბოლოოდ მი-  
ღებული ყველა დანარჩენ სახელმწიფოთაგან. ხანგრძლივის მო-  
ლიპარაკების შემდეგ, როგორც სიანს დეპეშების მოკლე ცნო-  
ბებიდან, შემუშავდა პირობების პროექტი თანახმად საფრანგე-  
თისა და გერმანიის წინადადებათა. ამ პროექტით სახელმწიფო-  
ნი დაახლოევებით თხოულობენ შემდეგს: ჩინეთი მოვალე არის  
ააგოს ძეგლი იმ ადგილას, სადაც მოკლულ იქმნა გერმანიის  
ელჩი კეტტელერი; ჩინეთმა უნდა გაგზავნოს გერმანიაში იმპე-  
რატორის სახლობის პრინცი ბოლიშის მოსახლეობად; ჩინეთი  
მოვალეა სიკვდილით დასაჯოს ის 11 პრინცი და წარჩინებული  
მოხელე, რომელთაც ბრალი ედებათ, რომ არეულობის მეთა-  
ურნი იყვნენო; ჩინეთმა უნდა უზღოს ზარალი სახელმწიფოთ;  
უნდა მოხპობილ იქმნას ცუნგ-ლი-იამენი, ხოლო გარეშე სა-  
ქმეთა საწარმოებლად დაარსებულ უნდა იქმნას განსაკუთრე-  
ბული სამინისტრო პასუხის მგებელ მინისტრის მეთაურობით;  
ტაკუ და ზოდიერთი სიმაგრეები დაქცეულ უნდა იქმნან; ალ-  
კრძალულ უნდა იქმნას თოფ-იარალის შემოტანა ჩინეთში; სა-  
ელჩოებისა და მისსიების დასაცველად ჩინეთში უნდა იმყოფე-  
ბოდნენ მოკავშირეთა რაზმები. ამგვარია ზავის პირობები, რო-  
მელიც სახელმწიფოთა უმრავლესობას შეუმუშავებია, მაგრამ  
საბოლოოდ არც ესენი არიან მიღებული, რადგანაც ამერიკის  
შტატები, მაგალითად, წინააღმდეგნი არიან პრინცების დასჯის  
მოთხოვნისა.

როგორც ვხედავთ, ზავის შეკვრის საჭმე გაჭიანურდა ერ-  
თის მხრით ჩინელთა დიპლომატების მეცადინეობით, უმთავ-

რესად კი მოკავშირეთა მეოხებით, რომელნიც ვერ შეთანხმებულან მომავალ ხელშეკრულობის პირობათა შესახებ. დღეს ამ პირობათა შესახებ ორი შეხედულება არსებობს: ზოგი სახელმწიფო, გერმანიის მეთაურობით, მომხრევ სასტიკის პირობებისა, ზოგიც — ამერიკის შეერთებულ შტატების მეთაურობით, არჩევს ზომიერებასა და ლმობიერებას. შესაძლებელია, რომ გერმანიამ, საქმის მაღალ დასრულებისათვის დაუთმოს შტატებს, რომელნიც ენერგიულად იცავენ თავის შეხედულებას; მაშინ ზემოდ მოყვანილი პუნქტები ცოტაოდნად შეცვლილ იქნებიან და ჩინეთს წარედგინება საერთო ნოტა მშვიდობიანობის პირობებისა. ამ შემთხვევაში ჩინეთის მთავრობა უფრო ადვილი დასათანხმებელი იქნება. ხოლო თუ მოკავშირენი ვერ მორიგდნენ, მაშინ ისინი, ალბალ, ჯგუფებად დაიყოფიან და თვითეული ჯგუფი თავის პირობებს წარუდგენს ჩინეთს. უშემდეგ, ამ შემთხვევაში ჩინეთის მთავრობა ისე ადვილად დასაყოლებელი აღარ იქნება, როგორც პირველ შემთხვევაში...

ასე იქნება თუ ისე, მშვიდობიანობის ჩამოგდება კიდევ კარგა ხანს დაგვიანდება. ბოლოს, უეპველია, ხელშეკრულობა დაიდება, მაგრამ ამით შორეულ აღმოსავლეთის ძნელი საკითხი არ გადაწყდება. ჩინეთი და მოკავშირენი, აზია და ევროპა, კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს პირისპირ ძველ ანგარიშების გასაწმენდად...

---

ოქტომბერში ინგლისში მოხდა საზოგადო საპარლამენტო არჩევნები. ამგვარმა შესანიშნავმა ამბავმა თითქმის შეუმჩნევლად ჩაიარა. იყო დრო, როდესაც ინგლისის არჩევნები მთელს ევროპას აღლვებდა, როდესაც ყველა, ვინც კი გაზეთს კითხულობს, სულგანაბული ადევნებდა თვალ-ყურს არჩევნებს და მოუთმენლად ელოუა მათ შედეგს. ასე იყო, მაგალითად, 1886

## უცხოურის მიმოხილვა

და 1892 წლების აჩჩენებზე. მაშინ ყველასათვის მეტად საინტერესო იყო სკოლნოდა, ეინ გაიმარჯვებენ არჩევნებზე — ლიბერალები თუ კონსერვატორები. ეს ინტერესი კანონიერი იყო, რაღვანაც მებრძოლთა პროგრამები შესანიშნავნი იყვნენ. ლიბერალებმა, რომელთ 1886 და 1892 წლის არჩევნებზე მეთაურობდა დიდი გლასტონი, წარმოადგინეს რამდენიმე ღირს შესანიშნავი პროექტი, რომელთა განხორციელება რადიკალურ ცელილებებს შეიტანდა ინგლისის ცხოვრებაში. ირლანდიის-თვის სრულის თვითმართველობის მინიჭება, საარჩევანო უფლებათა გაფართოვება, ეკკლესიის განცალკევება სახელმწიფოდან, ლორდთა პალატის უფლებათა შემცირება — ამგვარი ჩეფორმები ერთად ძნელია მოიპოვოს რომელსამე სხვა პარტიის პროგრამაში და საკვირველი არ არის, რომ ლიბერალთა ბრძოლას თანაუგრძნობდა მთელი განათლებული კაცობრიობა.

მაგრამ, „წარვიდნენ დრონი“. მას შემდეგ ინგლისში, ან, უკედ ვთქვათ, მის პოლიტიკურ პარტიების ცხოვრებაში დიდი ცელილება მოხდა. გლადსტონის მიერ გაღვიძებული და გამოწვეული იმედები განქრენ, განიფანტნენ და მათი ადგილი დაიკირა ჩემბერლენებისა და როდსების ალვირწაშვებულმა შოვინიზმა. ამიტომაც მოხდა, რომ წევანდელი არჩევნები აღარავის არ აინტერესებდა. ყველამ წინდაწინვე იცოდა, რომ გამარჯვება კონსერვატორთ დარჩება, რომ მათი მოწინააღმდეგე პარტია დასუსტდა, დაძაბუნდა და კიდევაც რომ გაიმარჯვოს, ბევრით ვერაფრით აღმცდავს თავის მეთაურობას ინგლისის სახელმწიფო ცხოვრებაში...

ლიბერალების (ვიგების) შესანიშნავ პარტიის დასუსტება მეტად თვალსაჩინო მოვლენაა ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს დასუსტება დაიწყო მეოთხმოცე წლების მეორე ნახევარში, მაგრამ მაშინ არ იყო ისე შესამჩნევი, როგორც შემდეგში. მაშინ პარტიას იცავდა გახრწნისაგან დიდის გლადსტო-

ნის შესანიშნავი ზნეობრივი ძალა; მაგრამ, როდესაც ეს უკანასკნელი კეთილშობილი ძველებური ვიგი განზე გადადგა, ლიბერალთა პარტიის დარღვევის პროცესის უფრო ჩქარის ნაბიჯით წავიდა წინ. რასაკირველია, გლადსტონის მეცადინება სასწაულს ვერ მოახდენდა და ერთხელვე დაწყებული პროცესი უნდა წასულიყო ბუნებრივის გზით. ეს პროცესი მარტო ინგლისის ცხოვრების თვისება კი არ არის; მთელს დასავლეთ ევროპაში ვხედავთ ანალოგიურს ევოლუციას: შუაგული პარტიები სუსტდებიან, ხოლო ძლიერდებიან უკიდურესი პარტიები. რაც უფრო და უფრო მწვავდება ბრძოლა ბურეუაზისა და პროლეტარიატის შუა, რაც უფრო და უფრო ძლიერდება ჩვენის დროის სოციალური ანტაგონიზმი, მით უფრო და უფრო თვალსაჩინოდ ხდება სენებული ევოლუცია. ჩენდება ორი პოლიტიკი: ერთს მხარეზე გროვდებიან და სდებიან ყველა ის პარტიები, რომელნიც მომხრენი არიან აწმუნს სოციალურ წეს-წყობილებისა, მეორე მხარეზე — ძლიერდებიან ამ წეს-წყობილების მტერნი; შუათანა პარტიები კი, როგორც ყოველ კრიზისის დროს, იხტენებიან და იშლებიან. ასე ხდება ინგლისშიაც: ლიბერალთა პარტია იშლება თან და თან, ერთი ნაწილი მისი უფრო და უფრო უახლოვდება კონსერვატორთ და რეაქციონერდება, მეორე ნაწილი კი იწევს დემოკრატიისაკენ და თანდათან რადიკალდება.

პირველის შეხედვით ახლანდელს არჩევნებში ვერ გაარჩევთ ცხადად ამ ევოლუციის მოქმედებას. არჩეულ იქმნენ: 401 მთავრობის მომხრე, 269 ოპპოზიციის მომხრე, ესე იგი, ახლად არჩეულს პალატაში თითქმის იგივე განაწილება იქნება პარტიებისა, როგორიც ძველში იყო. მაგრამ ციფრები გვეუბნებიან, რომ წელს კონსერვატორებს 100 ათასი ხმა მეტი მოუეიდათ, ვიღრე 1895 წლის არჩევნებზე, ლიბერალებს დააკლდათ 40 ათასამდე ხმა, რომელნიც მოემატა მუშათა პარტიას; ასე რომ, წელსაც ის მოხდა, რაც ხუთის წინად.

## უცხავთას მიმღებები

აქედან ის დასკენა უნდა გამოვიყვანოთ, რომ შემდეგ არჩევ-ნებში ფეხს მოიკიდებს და გაძლიერდება ახალი პოლიტიკური დემოკრატიული პარტია, რომელიც დაიჭირს ვიზების აღგილს და შეებრძოლება რეაქტიას...

რას მოასწავებს უნიონისტების დღევანდელი გამარჯვება? რას უქადის იგი ინგლისს შინაურ საქმეებში და გარეშე პოლიტიკაში? საზოგადო ხასიათი ინგლისის კონსერვატორთა ახ-ლანდელ პოლიტიკისა არის: შინაურ საქმეთა მიერწყება და მხნე მოლვაწეობა გარეშე საქმეებში. ამგვარს პოლიტიკას ადგა ცნობილი ბიკონსფილდი, ესევე შეითვისა მისმა მემკვიდ-რემ—სოლუსბერიმ. სრული მათი ყურადღება მიპყრობილია ინგლისის გაფართოებაზე, ინგლისის გამარჯვებაზე მსოფლიო პოლიტიკაში, დიდბრიტანიის გაელენისა და გეგემონიის დამ-ყარებაზე ყველგან, სადაც კი ხელი მისწვდება. ამგვარს პო-ლიტიკას ეხლა სახელად უწყოდებენ „იმპერიალიზმს“; იგი ახა-ლი არ არის. — საზოგადოდ, ტორიების უმთავრესი პრინციპი იყო მთელ ამ საუკუნის განმავლობაში—აგგრესიული გარეშე პოლიტიკა; მაგრამ ნამეტნავად გაცხოველდა ამგვარი პოლი-ტიკა 1874—80 წლებში, როდესაც ინგლისის მმართველად ბიკონსფილდის სამინისტრო იყო. მან გამოაცხადა ინგლისის დედოფალი ინდიის იმპერიატრიცად, მან დაასრულა აშანთიე-ბისა და ზულუსების დამონავება აფრიკაში, მან დიოწყო აეღა-ნისტანში მოქმედება და პირეელად მან განიზრახა სამხრეთ-აფრიკის ფედერაციის დაარსება, რამაც გამოიწვია ტრანსვალ-თან ოში. მას შემდეგ იმპერიალიზმის პრინციპი თანდათან იმარ-ჯვებს ინგლისში და ახლა ჩენ მოწამენი ვართ ამ პოლიტიკის გამფუქებისა. ვინ ჩამოსთვლის, რამდენი მსხვერპლი შესწირა ინგ-ლისმა ამ პოლიტიკას და ვინ იცის, კიდევ რამდენს შესწირავს? მარტო ახლანდელი მისი ოში რომ გავიხსენოთ ტრანსვალთან, საკმარისი იქნება იმის გასაგებად, თუ რა ძვირად უჯდება ინგ-ლისის ხალხს ეგ იმპერიალიზმი...

უმიზეზოდ ისტორიაში, კაცობრიობის ცხოვრებაში, არა-  
ფერი ხდება და, რასაკვირველია, ასეთს რთულს მოვლენასაც,  
როგორც იმპერიალიზმია, თავისი მიზეზები ექნება. მართლაც,  
რამ გამოიწვია ინგლისის ასეთი დაუცხრომელი ბრძოლა გა-  
რედ? რამ გამოიწვია ასეთი ღრმა ცელილება ინგლისის ცხოვ-  
რებაში? რა მიზეზმა აიძულა ინგლისის კეთილშობილი საზოგა-  
დოება, რომელიც გუშინ „ჩაგრულთა და წამებულთა წმინ-  
და საფარი“ იყო, დაიყიშვის ტრადიციები და ძარცვა-გლე-  
ჯის, ავაზაკობის მომხრე და მოტრფიალე შეიქმნას?

თავი და თავი მიზეზი ამისა უნდა ვეძიოთ ინგლისის თა-  
ნამედროვე ეკონომიურს ცხოვრებაში. საქმე ის არის, რომ  
ჩვენის საუკუნის მეორე ნახევარში, უმეტესად უკანასკნელ  
25—30 წელიწადში ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი  
ცვლილება შეიტანა ერთმა გარემოებამ. ინგლისს წინად მო-  
ცილე თითქმის არ ჰყავდა მსოფლიო ბაზარზე; მისი საქონელი,  
მისი ნაწარმოები სალდებოდა როგორც ევროპის კონტინენტ-  
ზე, ისე შორს ქვეყნებში—ამერიკაში, აფრიკაში და აზიაში;  
ინგლისელი კაპიტალისტ-ვაჭარი ბატონობდა პირებაზე და ბა-  
ზარზე, ინგლისელი მექანიზმეფაბრიკე ყველას აწვდიდა ყვე-  
ლაფერს, რაც კი საჭიროა ადამიანის ცხოვრებასათვის. ამგვარ-  
მა ბატონობამ მსოფლიო ბაზარზე მეტად გააძლიერა ინგლი-  
სის ვაჭრობა-მრეწველობა და იგი შეიქმნა პირველ ინდუსტრი-  
ალურ სახელმწიფოდ მთელს ქვეყანაში. ინგლისის ბურჟუაზია  
გამაგრდა, განათლდა და პირველი ადგილი დაიჭირა ევროპის  
სხვა ერების ბურჟუაზიასთან შედარებით. პარლამენტში მისმა  
პარტიამ შეითვისა თითქმის რადიკალურ-დემოკრატული პო-  
ლიტიკა და ამ 50 წლის განმავლობაში შესანიშნავად შესცვა-  
ლა ინგლისის პოლიტიკური წეს-წყობილება: ნახევრად ფე-  
დალურ-აბსოლუტური ძველი ინგლისი გადაიქცა დემოკრა-  
ტიულ სახელმწიფოდ...

მაგრამ დაპერა სხვა სიომ და ინგლისის მრეწველობას შა-  
ვი დღეები დაუდგა: მსოფლიო ბაზარზე მას ნელ-ნელა გვერ-

დში ამოუღვნენ მძლავრი მეტოქენი. ევროპის კონტინენტა-ლურმა სახელმწიფოებმა უდიდესის ტარიფებით გზა შეუკრეს ინგლისელ ნაწარმოებს ეკროპაში, განვითარეს და გააძლიერეს ნაციონალური წარმოება და შემდეგ შორს ქვეყნებშიაც შეებრძოლენ თავის სიმღიღრითა და განათლებით თავმომწონე ჯონბულს. საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები და უკანასკნელ ხანებში იაპონია გამოვიდნენ ბაზარზე თავიანთ ნაწარმოებით და საგრძნობლად შეავიწროეს ბატონობას ჩვეული დიდიბრიტანია. აქედან იწყება და ძლიერდება ერთა-შორის ბრძოლა მსოფლიო ბაზარზე ბატონობისთვის, ახალის ბაზრების გამწარებული ძებნა, აუარებელის მსხვერპლის შეწირვა ახალ ქვეყნების დაპყრობისათვის და სხვა ამგვარი. ყველაზედ უფრო გამწარებული ინგლისია, რაღვანაც მრავალ მეტოქებმა უკვე იგრძნობინეს მას, რა ცუდი მომავალი მოელის ბრიტანიის ინდუსტრიას. მაშინ როდესაც ამერიკის, გერმანიის, იაპონიის, ბელგიის და ბოლოს ხანებში რუსეთისაც კი მრეწველობა მატულობს და მასთან ერთად საქონლის ეკსპორტიც, ინგლისში ვხედავთ წარმოების შემცირებას. 1883 წელს ინგლისმა გაზიდა სხვა ქვეყნებში 305 მილიონი გირვა. სტერლ. ლირებული საქონელი, 1898 წლისთვის კი გაზიდვა დაეცა 290 მილიონამდე...

ამგვარია ის ახალი გარემოება, რომელმაც შესცვალა ინგლისის ეკონომიკური მდგომარეობა და რომლის მეოხებითაც აღორძინდა მილიტარიზმ-იმპერიალიზმი. ინგლისის ბურჟუაზიამ, გამწარებულმა დამარცხებით, შესტოპა რეაქციის მორეში და იქ ეძებს გამაახლებელს ძალებს. ძველი კეთილშობილი ვიგი, ეს შესანიშნავი იდეოლოგი თავისუფლების მოყვარე ბურჟუაზიისა, ადგილს უთმობს კემპბილ-ბანერმანისთანა იმპერიალისტ-ლიბერალს და ჩემპერლენისთანა რაღიკალ-შოვინისტს...

ინგლისის ხალხს კი და მასთან მთელს პროგრესიულს ეკროპას ნუგეშად ის რჩება, რომ ეხლანდელი კაპიტალის-

ტური წესშეყობილება არ არის მუდმივი ქვა-კუთხედი ცხოვ-  
რებისა და ახალის დროის ევოლუცია შეჰქმნის სხვა სოცი-  
ალურ ფორმებს, რომელთა ბატონობის დროს აღილი აღარ  
ექნება ქადაგრთაშორისო აეაზაკობასა და შინაურს ცარცვა-  
გოდანაცხადი.

ღამე



— — — — —

რედაქტორი  
აღექსანდრე ჭერია

გამომცემელი  
აღექსანდრე ჭაბაძე

6/10

